PRIME
# Time
N26 (276) ორშაბათი, 7 ივლისი, 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge




EXCLUSIVE

დავით მუჯირი სტუმრად „ევროპაბეთის" ვარკეთილის ფილიალში და გერმანიის სასარგებლოდ დადებული ფსონი

## ვინ და რატომ გაეხვია სოციალური მედიის სკანდალებში



EXCLUSIVE

ლევან ბერძენიშვილი: „უგულავას დაჭერა კიდევ უფრო მეტ მობილიზაციას თუ გამოიწვევს, ჩვენ ამის მაინც არ გვეშინია, რადგან მაინც მოვუგებთ. ეს გადაეცით ბატონ გია ხუხაშვილსაც და მომავალ წაგებულ ბატონ ნიკანორ მელიასაც"



EXCLUSIVE

## გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი უძველესი ეთნოსი



EXCLUSIVE




„X ფაქტორი" შეცვლილი ფინალითა და დაბრუნებული კონკურსანტებით

EXCLUSIVE



## „7 ნოემბრის" გამოძიება სრულდება

EXCLUSIVE

როდის და რატომ დაარტყა ხელი დათა ახალაიამ ბადრი პატარკაციშვილს?



EXCLUSIVE

## როგორ ექცეოდნენ ბოკერია, რამიშვილი და სააკაშვილი მოსამართლეებს, ვისი გადაწყვეტილებაც არ მოსწონდათ?

# EXCLUSIVE

## 19 ეპიზოდი ყოფილი მერის საქმიდან



უგულავა: რამდენი დარჩა, შემახსენე, რა, უკვე რამდენი მოვიდა.
ლონიაშვილი: 6 მოვიდა და დარჩა მაგდენივე.
უგულავა: მე რვამდე დასავლეთში ვარ და თუ რამეა, ოფისში მიშა ნახე.
ლონიაშვილი: თუ დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მირჩევნია მოვიშორო. თუ არა, დაგელოდები მაშინ.
უგულავა: პარტიაში მიშა დაგელოდება.
ლონიაშვილი: OK

ოპერატიული მასალა, რომელსაც დღის სინათლე ჯერ არ უნახავს

## როგორ გაჭედა გიგი უგულავა გამოძიებამ



რას უამბობს „პრაიმტაიმს" ყოფილი მერი, რომელიც ორჯერ დაიჭირეს

EXCLUSIVE

რისთვის ჰყავდა დაჭერილი ირაკლი ოქრუაშვილს დათა ახალაია?

# SOS!



რა ბედი ელის პატარა მირანდას ალკოჰოლზე დამოკიდებული „მეურვეების" ხელში

„დალევენ, დათვრებიან და ეს საწყალი ბავშვი უპატრონოდაა მიგდებული. იმასაც კი ამბობენ, ბავშვსაც სასმელს ასმევენ"

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით ბათუმი GEORGIAN SUMMER FEST-ს უმასპინძლებს

ნანა შონია

**Boney M (Maizie Williams), Sandra, Ottawan, Arabesque, Baccara, Eruption, Joy, 2 Unlimited, Snap, Haddaway - ეს იმ მუსიკოსების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ბათუმს ეწვევიან.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით 15-17 აგვისტოს ბათუმი GEORGIAN SUMMER FEST-ს უმასპინძლებს. სამდღიანი ფესტივალის ფარგლებში ორგანიზატორები სტუმრებს დაუვიწყარ მუსიკალურ შოუს ჰპირდებიან. 80-90 წლების ლეგენდარულ შემსრულებლებთან ერთად ბათუმს თანამედროვეობის გამორჩეული ვარსკვლავები ესტუმრებიან. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, დროის სასიამოვნოდ გასატარებლად, ბათუმის საოცრებათა პარკის ტერიტორიაზე ყველა პირობა იქნება შექმნილი. როგორი იქნება წლევანდელ GEORGIAN SUMMER FEST ფესტივალი? რამდენად დიდი ინტერესია მსგავსი ღონისძიებისადმი ტურისტების მხრიდან, ამაზე „პრაიმტაიმი" ტურიზმის ეროვნული ადამინისტრაციის ხელმძღვანელს გიორგი სიგუასა და ღონისძიების ორგანიზატორს ვლადიმერ იარომენკოს ესაუბრა.






**გიორგი სიგუა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:** - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მხარს უჭერს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც საინტერესოა და ზრდის ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს. ეს არის ღონისძიება ყველასთვის, როგორც უცხოელი, ასევე შიდა ტურისტებისთვის. GEORGIAN SUMMER FEST არის ფესტივალი, რომელიც ბათუმში ჩასულ სტუმრებს, ზაფხულის ცხელ დღეებში, განტვირთვის და დასვენების საუკეთესო საშუალებას მისცემს. მსგავსი ღონისძიებები აჩენს მეტ ინტერესს, რაც თავისთავად აისახება ტურისტების რაოდენობის ზრდაზე. ამიტომაც ჩვენ ამ ღონისძიებას მხარს ვუჭერთ. სამომავლოდ ვგეგმავთ თანამშრომლობის გაღრმავებას. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ყველაფერს გააკეთებს ამ ღონისძიების პოპულარიზაციისა და მხარდაჭერისთვის.

**ვლადიმერ იარომენკო, GEORGIAN SUMMER FEST-ის წარმომადგენელი:** - სამდღიანი ფესტივალის ფარგლებში, სტუმრებს დაუვიწყარ საღამოს ვთავაზობთ. ეს არის ფესტივალი, სადაც ყველა ასაკის ადამიანის გემოვნება იქნება გათვალისწინებული. პირველ დღეს 80-იანი წლების მუსიკალური ჰიტები აჟღერდება (Boney M (Maizie Williams), Sandra, Ottawan, Arabesque, Baccara, Eruption, Joy), ყოველდღე ექვსი-შვიდი შემსრულებელი იქნება წარმოდგენილი, მეორე დღეს არის დისკოთეკა 90 წლების (Ace of base (Jenny Berggren), Dr. Alban, Demo (Саша Зверева), Virus!, Отпетые Мошенники, 2 Unlimited, Snap!! , Haddaway) და ბოლო, დასკვნით დღეს, პოპულარული თანამედროვე მუსიკალური შემსრულებლები იქნებიან წარმოდგენილი. (Ola, Fly Project, Бьянка, Анри Джохадзе, Не Ангелы, Dan Balan) ასევე მოუსმენთ ქართველ შემსრულებლებს: ნინი ბადურაშვილს და ანრი ჯოხაძეს. ჩვენ არ შეგვეძლო ფესტივალის ისე ჩატარება, რომ ადგილობრივი შემსრულებლები არ გვყოლოდა. გვინდა ადამიანებს ვაჩუქოთ სასიამოვნო გარემო, არა მხოლოდ ის, რომ ადამიანი მოვიდეს და ზღვაზე დაისვენოს, არამედ მათ მიიღონ სასიამოვნო განწყობა, მოუსმინონ 80-90 წლების საყვარელ მომღერლებს. ეს არის ღონისძიება რომელიც, ადგილობრივებს და ტურისტებს ზაფხულის ცხელ დღეებში დააინტერესებს. ამიტომაც ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, შევარჩიეთ ფესტივალის სახელი GEORGIAN SUMMER FEST. გვქონდა ერთობლივი მოსაზრება, იმისთვის, რომ უფრო მეტი დაინტერესება ყოფილიყო ტურისტების მხრიდან. ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში არის ხალხი, ვინც მუდმივად ზრუნავს ტურისტების ყურადღების მიპყრობაზე და აქვთ რეკლამები, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებში. ისინი ჩვენ გვეხმარებიან და მხარდაჭერას გვიწევენ. ცოტა ხნის წინ მემორანდუმს მოეწერა ხელი და ყოველ წელს ფესტივალის მასშტაბები კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ეს არ არის ერთჯერადი ღონისძიება, რომელიც ყოველ წელს ბათუმში გაიმართება. მომავალ წელს ის შესაძლოა ანაკლიაში ჩატარდეს. ფესტივალი თავიდან ბოლომდე გართობაზე და საცეკვაო პროგრამაზეა აწყობილი. ამიტომაც ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, მოვიდნენ, მიიღონ სიამოვნება და გაერთონ ბოლომდე. ფესტივალზე ჩამოსულ ხალხს ეცოდინება ამ ღონისძიების გარდა სად შეძლებენ სასიამოვნოდ დასვენებას და გართობას.

მოსულ სტუმრებს უამრავ სიურპრიზს ვპირდებით. ეს არის ფესტივალი, სადაც შეგიძლიათ ბავშვებთან ერთად მოხვიდეთ. რადგან ჩვენ იქ მოწყობილი გვექნება საბავშვო ქალაქი, დედ-მამა რომ შევა კონცერტზე, შეძლებენ ბავშვის დატოვებას. აქ იქნებიან ანიმატორები, იქნება სცენა დეკორაციებით, ისევე როგორც ეს ევროპაშია. ეს კიდევ ერთი ახალი მიდგომაა ფესტივალების განვითარების გზაზე. ჩვენ ამით გვინდა საზოგადოებას დავანახოთ, რომ დასვენებასთან ერთად გართობასაც შეძლებენ.



**- სად არის შესაძლებელი ფესტივალის ბილეთების შეძენას და როგორი ფასებია?**

- ბილეთების შეძენა შესაძლებელია ვებ-გვერდზე biletebi.ge, ასევე ბათუმში საინფორმაციო პუნქტებში და სასტუმრო „რედისონში". ტურისტებს რომლებიც უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან ჩამოდიან, ადგილზე შეუძლიათ ბილეთების ყიდვა. ამ ქვეყნებში გადის სარეკლამო რგოლები, სადაც მითითებულია ის პუნქტები, სადაც, სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ. ბილეთის ფასი ხელმისაწვდომია, მისი ღირებულება 70-დან და 175 ლარამდე მერყეობს. არის სხვადასხვა ზონები, მათ შორის VIP ზონა, რომლის მიხედვითაც შეძლებს სასურველი ადგილის შერჩევას. ინტერესი საკმაოდ დიდია და ვფიქრობთ, რომ ფესტივალი, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, საკმაოდ მოცულობითი იქნება.

ღონისძიებას პარტნიორობას ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, „ფორტუნა", MUSIC BOX და სასტუმრო „რედისონი" უწევენ.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გაქრობის საშიშროების წინაშე მდგარი ეთნოსი



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**ბევრმა არ იცის, რომ კახეთში, კერძოდ კი, ყვარლის რაიონში არის პატარა სოფელი, სადაც მოსახლეობა უძველეს უდიურ ენაზე საუბრობს. სოფელი ზინობიანი 1922 წელს, აზერბაიჯანიდან გადმოსახლებულმა უდიებმა დააარსეს. იქ ამჟამად დაახლოებით 350 უდი ცხოვრობს. თუ არ ჩავთვლით აზერბაიჯანში მცხოვრები უდიების მცირე ჯგუფს, შეიძლება ითქვას, რომ სოფელი ზინობიანი მსოფლიოში ერთადერთი ადგილია, სადაც ჯერ კიდევ ისმის უძველესი უდიური საუბარი.**







ლალი გაბროშვილი

კახელი უდიების აზრით, ისინი კავკასიაში აბორიგენ ეთნოსს წარმოადგენენ და თავს ალბანელებად მიიჩნევენ. დღევანდელი მდგომარეობით უდიების ეთნოსი გაქრობის საშიშროების წინაშე დგას. უდიური ენა მოსახლეობის უფრო და უფრო მცირე ნაწილმა იცის. რას აკეთებს საქართველოს განათლების სამინისტრო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ენის გადასარჩენად? ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა – არაფერს!

სოფელ ზინობიანის სკოლაში არსებობს უდიური ეთნოგრაფიული მუზეუმი და ენთუზიასტი პედაგოგის მიერ ფაკულტატურად ისწავლება უდიური ენა. მაგრამ ცხადია, ენის შენარჩუნებისთვის ეს საკმარისი არ არის.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ პრობლემით სახალხო დამცველიც დაინტერესდა, რომელმაც საქართველოს განათლების სამინისტროს რეკომენდაციით მიმართა, რომ სასწრაფოდ მიიღოს ზომები უდიური ენის შენარჩუნების მიზნით.

„უდიურ ენაზე უკვე ოჯახებშიც იშვიათად საუბრობენ და თუ არსებული ტენდენცია შენარჩუნდა, უდიური ენა პრაქტიკულად გაქრობის საშიშროების წინაშე დგება. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც საკუთარი ძალისხმევით, ასევე, შესაბამისი საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ჩართვით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს თვალწინ ქრება ერთ-ერთი უძველესი – უდიური ენა და მისი შენარჩუნებისთვის დროულად უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები“, – აცხადებენ სახალხო დამცველის ოფისში.

მცირე ექსკურსი უდიების ისტორიიდან: ისინი კავკასიელი ალბანელების შთამომავლები არიან. ძველი ალბანეთი იყო მესამე სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში, საქართველოსთან და სომხეთთან ერთად. ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ სამივე სახელმწიფომ დაახლოებით ერთდროულად მიიღო ქრისტიანობა. მე-10 საუკუნემდე არსებობდა, როგორც სახელმწიფო, ამის შემდეგ მოსახლეობის ნაწილმა გასომხება დაიწყო. ამასობაში დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სახლდებიან თურქული მოდგმის ტომები და ალბანელები. როგორც ეთნოსი, თანდათან იკარგებიან. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში აზერბაიჯანის ორიოდ სოფელში შემორჩენილმა უდიებმა, მართლმადიდებლური სარწმუნოების გამო, საქართველოში გადმოსახლება გადაწყვიტეს. მათ სამოსახლო ტერიტორია ყვარლის რაიონში გამოუყვეს, ახალ დასახლებას უდიებმა თავიანთი წინამძღოლის – ზინობის სახელი უწოდეს. ზინობიანში სულ 112 უდიური ოჯახი დასახლდა.

## „ჩვენს თვალწინ ქრება ერთ-ერთი უძველესი უდიური ენა და მისი შენარჩუნებისთვის დროულად უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები“



ქართველი ლალი გაბროშვილი უდიების რძალი 18 წლის წინათ გახდა. უდიური მან ქართულივით იცის, თუმცა შიშობს, რომ მალე ეს უძველესი ენა საერთოდ გაქრება.

ლალი გაბროშვილი, ზინობიანის მკვიდრი:

„ხშირად ვსაუბრობ უდინურ ენაზე. მალევე ვისწავლე, ახლა კარგად ვიცი. მეუბნებიან, შენნაირი რძლები რომ მომრავლდნენ, უდიური შეიძლება არ დაიკარგოსო, მაგრამ ბავშვები უმეტესად ქართულად ლაპარაკობენ, ქართულ სკოლაში დადიან. ნელ-ნელა ენა შეიძლება საერთოდ დაიკარგოს. ძალიან მენერვიულება ეს, რადგან ძველი ენაა, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შენარჩუნდეს“.

ლალისა და მის უდ მეუღლეს ორი შვილი ჰყავთ. ბავშვებმა უდიური არ იციან, თუმცა მშობლების საუბარი ესმით. უფროსებს იმედი აქვთ, რომ ენას შვილებს შეასწავლიან და შთამომავლობას გადასცემენ, თუმცა იქვე ამბობენ, რომ მხოლოდ მათი მონდომება საკმარისი არაა და საჭიროა სახელმწიფოს ხელშეწყობა.

## სახალხო დამცველი განათლების სამინისტროს უძველესი უდიური ენის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს

უდიებთან ერთად, სახალხო დამცველი საქართველოს ხელისუფლებას ქვეყანაში მცხოვრები ბოშების პრობლემების მოგვარებისკენაც მოუწოდებს. სხვადასხვა მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 1500-დან 2500-მდე ბოშა ცხოვრობს, მაგრამ, განსხვავებული ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მათი ზუსტი აღრიცხვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ბოშათა ნაწილი კომპაქტურად არის დასახლებული კახეთში, თბილისში, ქობულეთში, ახალქალაქში, ქუთაისსა და გარდაბანში. საქართველოში მცხოვრები ბოშების დიდმა ნაწილმა არ იცის წერა-კითხვა. ბოშების წინაშე მრავალი სირთულე დგას განათლების მიღების, ადამიანის უფლებების დაცვის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოში მცხოვრები ბოშების უდიდეს ნაწილს მცირე წარმოდგენაც კი არ აქვს საკუთარი უფლებების შესახებ. ბოშები ძირითადად უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ, მაგრამ ამის მიუხედავად, მათი უმცირესი ნაწილი იღებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილ სოციალურ შემწეობას. ავადმყოფობის შემთხვევაში ისინი ძალზე იშვიათად, ან უკიდურესად მძიმე მდგომარეობის დროს სარგებლობენ ექიმის მომსახურებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოშები ძირითადად საკუთარ სახლებში მშობიარობენ, რაც ტრადიციის, მწირი შემოსავლებისა და გარეშე პირთა მიმართ უნდობლობით აიხსნება. ბოშების დიდ ნაწილს არ აქვს პენსია და სხვა სახის სოციალური დახმარება.

„საქართველოში სახელმწიფოს მიერ დღემდე არ განხორციელებულა ბოშათა თემის მხარდაჭერაზე ორიენტირებული არც ერთი პროგრამა. წინა წლებში ცალკეული ორგანიზაციები ცდილობდნენ ბოშათა თემის მხარდაჭერას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ბოშათა თემი ყველაზე დიდი სირთულეების წინაშე მყოფი ეთნოსია საქართველოში და მას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. ბოშათა თემისთვის ცხოვრების ყველა სფერო პრობლემურია“, – აცხადებენ სახალხო დამცველის ოფისში.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ გაჭედა გიგი

მარიამ ნადირაძე

**აღარ დავიწყოთ განსჯა იმასთან დაკავშირებით, რამდენად სამართლიანი იყო მოსამართლე როცა ჯერ გიორგი ღონიაშვილს, შემდეგ კი გიგი უგულავას აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. არც ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა-არაღდგენის თემას შევეხებით. არც ექსპერტებისა და პოლიტიკოსების შეფასებებით შეგაწყენთ თავს. გთავაზობთ მხოლოდ ფაქტებს და დასკვნებს თავად მკითხველი გამოიტანს.**

უკვე ვიცით, რომ გიორგი კაპანაძე, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი იყო, როგორც ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ერთ-ერთი მეწილე ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობს და სამართალდამცველებს ნაციონალების დანაშაულებრივი სქემის გამოვლინებაში ეხმარება. ამ მიზნით ის თანხმდება გიგი უგულავას შუამავლისა და ამავდროულად მისი ქვისლის, გიორგი ღონიაშვილის თხოვნას, საკუთარი კომპანიების ანგარიშებით დაეხმაროს ნაციონალებს წინასაარჩევნოდ საზღვარგარეთიდან გადმორიცხული მილიონ-ნახევრის გათეთრებაში. სქემა ასეთია: ფული უნდა ჩარიცხოს დავით კეზერაშვილმა კაპანაძის კომპანიაში საზღვარგარეთ, შემდეგ ის კომპანია ამ ფულს დარიცხავს ქართული კომპანიის ანგარიშზე. თანხას „ქეშად“ გამოიტანს კაპანაძე და გადასცემს უგულავას შუამავალს. კეზერაშვილის მხარეს ამ ოპერაციაში წარმოადგენს მისივე ლატარიის კომპანიის ყოფილი დირექტორი ალექსანდრე გოგოხია. მასთან კონტაქტზე გადის უშუალოდ ღონიაშვილი, თუმცა, პერიოდულად, როდესაც თანხა აგვიანებს, საქმეში უგულავაც ერთვება.

მომხდარმა მოლოდინს გადააჭარბა. სამართალდამცველების ხელში აღმოჩნდა პირდაპირი და უტყუარი მტკიცებულებები. შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება შეწყდა იმ ეტაპზე, როცა ამ გზით ნაციონალებმა კეზერაშვილისგან უკვე მიიღეს 760 ათასი დოლარი.

3 ივნისს ღონიაშვილი დააკავეს. მის დაკავებას სიძე უცნაურად ეხმაურება: „გიორგი ღონიაშვილი არის ჩემი ქვისლი და მეგობარი, მაგრამ მას ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ არანაირი კავშირი არ გააჩნია. მისი დაკავშირება „ნაცმოძრაობის“ პარტიის დაფინანსებასთან არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, დეზინფორმაცია, ტყუილი და მიზნად ისახავს ჩემი და პარტიის დისკრედიტაციას“.

მივედით სწორედ იმ განცხადებასთან, რომლის გასაბათილებლადაც ფაქტებს ამ სტატიაში წარმოგიდგენთ და თავად მკითხველი განსჯის, ვის შეჰყავს შეცდომაში საზოგადოება და მართლა აფინანსებდა თუ არა ფულის გათეთრების გზით კეზერაშვილი საარჩევნო შტაბს, რომელსაც გიგი უგულავა ხელმძღვანელობდა.

ოპერატიულ მასალას, რომელიც „პრაიმტაიმის“ ხელში აღმოჩნდა, იმ ქრონოლოგიით წარმოგიდგენთ, როგორც ვითარდებოდა მოვლენები.

## ოპერაცია დაიწყო

გიორგი კაპანაძესთან „შეთანხმება“ მიღწეულია და ღონიაშვილი მას ოფისში ხვდება. მათ საუბარს „პრაიმტაიმი“ სტილის დაცვით შემოგთავაზებთ:



„უგულავა: საშკიტოს შეეხმიანე? ღონიაშვილი: კი და მეტყვის ეგერევე, მზად რომ იქნება. უგულავა: შეეცი, არ მოადუნო. ღონიაშვილი: კი და ველოდები, მეტყვის“

# ოპერატიული მასალა, რომელსაც დღის სინათლე ჯერ არ უნახავს

## ეპიზოდი #1

(ვიდეო) ოფისში საუბარი მიმდინარეობს მაგიდასთან ოთხი ადამიანის მონაწილეობით. კაპანაძისა და ღონიაშვილის გარდა, დანარჩენ ორს სახე დაფარული აქვს. როგორც ჩანს, გამოძიებისთვის ისინიც მოწმეები იქნებიან. საუბარი არის ცალმხრივი. მიმართული ღონიაშვილის მისამართით.

კაპანაძე: „მინდა დანიშნულება. მაგათმა (ანუ, კეზერაშვილის მხარემ. – მ.ნ.) უნდა მითხრან გადმორიცხვის დანიშნულება. მე მკიდია გადმორიცხვის დანიშნულება რა იქნება, მაგრამ მაგენი ხომ გადმომრიცხავი ბანკი იქნებიან? ამიტომ ფულის დანიშნულება უნდა მოგვცენ მაგათ. ხელშეკრულებაში თუ არ ეწერა, ფულს ვერ გამოიტან, იმიტომ რომ, თუ დანიშნულება არ ეწერა, ფულს არ მოგვცემს“.

## ეპიზოდი#2

(SMS) როგორც ჩანს, მოთხოვნა შესრულდა და საქმე წკიპზეა. ამას გიორგი ღონიაშვილის სატელეფონო მიმოწერა ადასტურებს ალექსანდრე გოგოხიასთან, რაც 30 აპრილით თარიღდება. ალექსანდრე გოგოხია უდასტურებს გიორგი ღონიაშვილს, რომ ოფშორულ კომპანიებს შორის ფიქციური ხელშეკრულება გაფორმებულია და უკვე შესაძლებელია თანხების საქართველოში გადმორიცხვა. 5 მაისს ალექსანდრე გოგოხია ღონიაშვილს ეუბნება, რომ მზად არის თანხის პირველი ნაწილის ჩასარიცხად.

## ეპიზოდი #3

მოქმედება კვლავ იმავე ოფისშია. კაპანაძე და ღონიაშვილი დივანზე სხედან ერთმანეთის პირისპირ და საუბრობენ.

„კაპანაძე: ა, ამაზე მეუბნები რამეს? რავი, რამდენიც გინდა. 200 ათასი დოლარი? კაროჩე, ამას ხელმოწერილს გადმოგიგდებ მე დღეს შენ, თუ მეუბნები, რომ შენ მზად ხარ.

ღონიაშვილი: ისინი? ისინი მზად არიან.

კაპანაძე: უკვე თუ მეუბნები ჟელეზნად, მე ხვალ გამომაქვს ორასი, აგერ მოვიტან.

ღონიაშვილი: არა“.

## ეპიზოდი #4

სავარაუდოდ, ფულის პირველი პარტიის შემდეგ ღონიაშვილმა დოლარი ლარში გადაახურდავა და შეხვედრა კვლავ ცნობილ ადგილას შედგა.

„ღონიაშვილი: სამას ორმოცდაათი ათასია ( 350 000).

კაპანაძე: ანუ, შენ წახვედი, შენ დაახურდავე და არის 350 ათასი ლარი.

ღონიაშვილი. ხო, ეგ არის. ეხლა 200 რომ გავამრავლოთ 1.75-ზე და 8-ზე, არის ამდენი (გაუგებარი არითმეტიკა, მაგრამ მაინც... – მ.ნ.)

კაპანაძე: გავიგე. ახლა ზუსტად 350 ათასი ლარი მიგაქვს შენ“.

## ეპიზოდი #5

(ვიდეო) თანხა უკვე მიღებულია და ღონიაშვილი ფულს ალაგებს პარკში...

## შემდეგი ტრანში

## ეპიზოდი #6

როგორც ჩანს, 200 ათასი არ არის ის თანხა, რაც ნაციონალებს ეყოფათ და ჩვენს ხელთ არსებული მტკიცებულების მიხედვით, გიგი უგულავა უკავშირდება ალექსანდრე (საშა) გოგოხიას და ითხოვს თანხების გადმორიცხვას მისგან. ეს ხდება 14 მაისს.

„უგულავა: საშკიტო, დააჩქარე, ვიწვები მაგრა.

გოგოხია: ხვალ“.

## ეპიზოდი#7

6 დღის შემდეგ ეს კავშირი ისევ შედგა.

უგულავა ინტერესდება, როდის იქნება თანხის შემდეგი გადმორიცხვა ალექსანდრე გოგოხიასგან:

20 მაისი. 07:55 სთ.

„უგულავა: საშკიტო, შემდეგი როდისაა?

გოგოხია: ვჩალიჩობ, რომ ზეგ“.

## ეპიზოდი #8

გრძელდება საუბარი თანხის გადმორიცხვაზე.

უგულავასა და ღონიაშვილის მიმოწერა:

„უგულავა: არის საშკიტოსგან რამე ახალი?

ღონიაშვილი: არაფერი. შევეხმიანები და გეტყვი.

უგულავა: დონორზე არი ახალი რამე?

ღონიაშვილი: 2 დღით იყო ჩამოსული და ამერიკაში წავიდა 1 კვირით. რაღაც ფეხს ითრევს, თუ პოხუისტობს, ვერ გავიგე. კვირის ბოლოს ჩამოდის“.

## ეპიზოდი #9

21 მაისი. 5:07 სთ.

ღონიაშვილი უგულავას: „გამოჩნდა საშკიტო და ალბათ მოვასწრებ დღეს“.

### 600 ათასის შემდეგ მილიონ-ნახევრამდე...

მას შემდეგ, რაც უკვე გაშიფრული გზით „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 600 ათასი დოლარი მიიღო, კეზერაშვილმა ფულის გადმორიცხვა შეაფერხა. რამაც ჩვენი მეგობრები ააფორიაქა.

## ეპიზოდი #10

კვლავ ვიდეოჩანაწერი ცნობილი ოფისიდან...

მოქმედი პირები კვლავ ღონიაშვილი და კაპანაძე არიან. უგულავას ქვისლი ზის კომპიუტერთან. კაპანაძე ფეხზე დგას:

„კაპანაძე: კეზერა მიტისკოს. ჩაუტაროს. გიგიმ უთხრას, დედას მ...ავ, ჩარიცხე.

ღონიაშვილი: სულ გამოაშვებინებენ, შეჩემა (ანუ, ღონიაშვილს გიგის იმედი აქვს, რომ კეზერაშვილს მთელ თანხას, მილიონ-ნახევარს გადმოარიცხვინებს. – მ.ნ.).

კაპანაძე: რამდენი გავაკეთეთ ეხლა ჩვენ?

ღონიაშვილი: 600 (ექვსასი).

კაპანაძე: სამჯერ, ხო? (ანუ, სამ ტრანშად. – მ.ნ.)

ღონიაშვილი: ხო“.

## ეპიზოდი #11

შემდეგი შეხვედრა უცვლელ ადგილას. კადრში ჩანს მხოლოდ ღონიაშვილი. კაპანაძის ხმა ისმის.

„კაპანაძე: ნახე გიგი გუშინ (სავარაუდოდ თანხმობას იღებს. – მ.ნ.)?

კაპანაძე: რაო მერე იმან?

ღონიაშვილი: რაზე?

კაპანაძე: მაგ იმაზე არ დაებაზრე? გაკეთებაზე, ოფშორში გადმოგდებაზე. მე მივდივარ, ვებაზრებიო. თვითონ რა გითხრა?

ღონიაშვილი: დაჩქარებაზე?

კაპანაძე: ხო.

ღონიაშვილი: ხოდა, ეგ მითხრა რა, დავურეკავ და ვეტყვიო, რა და გეტყვიო შენცო. მერე ეხლა ეს რომ მოუ...ავს ტვინს, მერე ისინიც მეტყვიან თვითონ“.

## ეპიზოდი #12

„კაპანაძე: ბიჭო, რა ყ-ები არიან ესენი, რას ჩალიჩობენ, რას ჭედავენ.

ღონიაშვილი: აუ, არ ვიცი, ბოზიშვილი ვიყო, რა გითხრა, არ დამიწყია ჯერ ეს.

კაპანაძე: სახლის ასაშენებლად ხომ არ უნდათ ეს დედამ...ლი.

ღონიაშვილი: ხომ იცი რა, რომ შემოუთვალეს.

კაპანაძე: ვინ?

ღონიაშვილი: მაგათმა... საშკამ (ალექსანდრე გოგოხიამ. – მ.ნ.) მითხრა, ვინც არის მაგის თავკაცი, კაროჩე ისაო, ესაო და მერეო, ერთ თვეშიო და რაღაცეებს. შენ, მე ვუთხარი, ყ-ე ხომ არ ხარ შეჩემა.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უგულავა გამოძიებამ?

# 19 ეპიზოდი ყოფილი მერის ცხოვრებიდან







კაპანაძე: ხო, რა.
ლონიაშვილი: გამოდიოდა, 400-500 უნდა მოეცა და მილიონი უნდა მოეცა არჩევნების მერე. მერე რაღა ჩემ ყ-დ მინდა?
კაპანაძე: ხო, რა.
ლონიაშვილი: ისე, რა მაგარია რომ ეტყვი, მერე რაღა ჩემ ყ-დ მინდა ფული. მერე მინდა თუ მინდა.
კაპანაძე: არა, ხო მარა, საქმის პონტში არ გიშვებს ეგ დედამოტ...ლი და.
ლონიაშვილი: არა, ხო.
კაპანაძე: საშკა ვინ არის, იმის როჟაა?
ლონიაშვილი: ხო.
კაპანაძე: კეზერას?
ლონიაშვილი: კიპრში ვინც არის, კიპრზე. ეგ კიპრზეა ბაზირებული.
კაპანაძე: ვინა?
ლონიაშვილი: ეგ საშკა".

## ეპიზოდი #13

კაპანაძე: კეზერამ შეიძლება ვაფშე არ ჩარიცხოს. ხო ხედავ, აწვალებთ (იმენნო). ეხიპიშებით გადმორიცხვაზე, ტო.
ლონიაშვილი: ვის?
კაპანაძე: კეზერას.
ლონიაშვილი: არა, რა არ ჩარიცხოს, ხომ არ ღადაობ, რა პონტში ამბობ?
კაპანაძე: აბა, რას წელავდა ამდენი ხანი?
ლონიაშვილი: ბიჭო, იმას არ უზის იმ კომპანიაში. ეს ხომ ურიცხავს იმას".

## ეპიზოდი#14

უგულავა ლონიაშვილს დაჟინებით სთხოვს, რომ თანხის ჩარიცხვამდე მუდმივ კონტაქტზე იყოს ალექსანდრე გოგოხიასთნ.
31 მაისი. 4:30 სთ
„უგულავა: საშკიტოს შეეხმიანე?
ლონიაშვილი: კი და მეტყვის ეგერევე, მზად რომ იქნება.
უგულავა: შეეცი, არ მოადუნო.
ლონიაშვილი: კი და ველოდები, მეტყვის".

## ეპიზოდი #15

ლონიაშვილი უგულავას უხსნის, რომ უკვე გადმოირიცხა 600 ათასი დოლარი და კიდევ ელოდება იმდენივეს.
„უგულავა: რამდენი დარჩა, შემახსენე, რა, უკვე რამდენი მოვიდა.
ლონიაშვილი: 6 მოვიდა და დარჩა მაგდენივე".

**დასასრულის დასაწყისის წინა დღე**

## ეპიზოდი #16

2 ივნისი
ალექსანდრე გოგოხია ეუბნება გიორგი ლონიაშვილს, რომ მზად არის, ამჯერად 160 ათასი აშშ დოლარი გადმორიცხოს.
გოგოხია: „მოკლედ, ეხლა მაქვს 160-ის საშუალება. შეიძლება საღამოს შემეცვალოს და მეტი გახდეს. ჯერ ვერ გეუბნები".

## ეპიზოდი #17

2 ივნისი
„გოგოხია: რამენაირად დალაგდი ახლა შენებთან, რომ არ გავიჭედოთ. 160 უეჭველია.
ლონიაშვილი: უეჭველი რაც არის, ის ვქნათ. დანარჩენი ზეგ".

## ეპიზოდი #18

2 ივნისი.
ლონიაშვილი უგულავას ეუბნება, რომ ოფშორიდან გოგოხიამ თანხის მორიგ ჩარიცხვაზე თანხმობა უთხრა და თანხა უნდა ჩარიცხულიყო მომდევნო დღეს.
„უგულავა: საშკიტო?!
ლონიაშვილი: გულთმისანი ხარ? :) ეხლა ველაპარაკე და შენც მომწერე... ხვალისთვის წესით OK.
უგულავა: მე რვამდე დასავლეთში ვარ და თუ რამეა, ოფისში მიშა ნახე (ვინმე მიშასთან დაკავშირებით არსებობს ვარაუდები, თუმცა, ვინ არის... მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. – მ.ნ.).
ლონიაშვილი: OK. ხვალ გავუვლი".

**დასასრული**

## ეპიზოდი #19

3 ივნისი
გიორგი ლონიაშვილი გიგი უგულავას ეუბნება, რომ თან აქვს ოფშორიდან გადმორიცხული 160 ათასი აშშ დოლარი და ურჩევნია, თანხა მალე გადასცეს, რაზეც უგულავა პასუხობს, რომ ფული პარტიაში მიშას მიუტანოს. ამ საუბრის შემდეგ ლონიაშვილი დააკავეს. დაკავებისას მას ეს ფული თან აღმოაჩნდა.
„ლონიაშვილი: თუ დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მირჩევნია მოვიშორო. თუ არა, დაგელოდები მაშინ.
უგულავა: პარტიაში მიშა დაგელოდება.
ლონიაშვილი: OK".

3 ივნისს ლონიაშვილი დააკავეს. ერთი თვის შემდეგ გიგი უგულავა, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, უარყოფდა ქვისლის კავშირს „ნაცმოძრაობის" დაფინანსებასთან, თუმცა ზოგს ამ „ბოლოს გაკვირვებამდე" უგულავას „ფიცის სწამდა", ალბათ.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „7 ნოემბრის“ გამ



## რა ჩვენება მისცა პროკურატურას გიორგი თარგამაძემ? როდის და რატომ დაარტყა ხელი დათა ახალაიამ ბადრი პატარკაციშვილს? იგეგმებოდა თუ არა 2007 წელს პატარკაციშვილის ლიკვიდაცია, მერაბიშვილის გადაყენება და ახალაიების დაპატიმრება?



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**პრემიერ-მინისტრმა პოლიტიკურ ოპონენტებს ცხელი ზაფხული დაუანონსა და საზოგადოების მოლოდინი გახმაურებული საქმეების მიმართ მომენტალურად გაიზარდა. როგორც ჩანს, პროკურატურა მალე მართლაც არაერთი ექსჩინოსნის დაკავებას გეგმავს და საქმე მხოლოდ გიგი უგულავას პასუხისგებაში მიცემით არ შემოიფარგლება. ერთ-ერთი ასეთი გახმაურებული საქმე კი 2007 წლის 7 ნოემბერს უკავშირდება.**

**„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ გამოძიება 7 ნოემბრის საქმეზე ფინალშია გასული. პროკურატურამ უკვე დაკითხა არაერთი პირი, მათ შორის ტელეკომპანია „იმედის“ იმდროინდელი მენეჯმენტი. ჩვენებები მისცეს არხის მაშინდელმა დირექტორმა ბიძინა ბარათაშვილმა და საინფორმაციო-პოლიტიკური რედაქციის ხელმძღვანელმა, გიორგი თარგამაძემ.**

**„პრაიმტაიმი“ ინფორმაციის გადასამოწმებლად გიორგი თარგამაძეს დაუკავშირდა:**

– დიახ, „იმედის“ ცნობილი მოვლენებიდან 7 წლის შემდეგ მოხდა ჩემი დაბარება და დაკითხვა მთავარ პროკურატურაში. გამომძიებლებთან დეტალურად ძალიან ბევრ საკითხზე ვისაუბრე. საუბარი შეეხებოდა, ზოგადად, ტელეკომპანიის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, ტელეკომპანიის დარბევასა და მაუწყებლობის უკანონოდ შეწყვეტას, ასევე, 7 ნოემბრამდე და მას შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, რომლის გამოძიებითაც არანაკლებ ვარ დაინტერესებული. დაკითხვის დროს ამოტივტივდა გადაცემა „დროებაში“ თავის დროზე გასული დგებუაძისა და



პატიმრობაში მყოფ პლატონ მამარდაშვილის ფარული ჩანაწერი და ცხადია, ამ თემაზეც იყო საუბარი. ეს იყო ციხეზე გაკეთებული ფარული ჩანაწერი, სადაც მამარდაშვილი იჯდა. მასთან შესული იყო გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“. მამარდაშვილმა მოახერხა, ჩაეწერა მათი საუბარი.

**– თქვენ როგორ ჩაგივარდათ ხელში ეს ჩანაწერი?**

– ადვოკატი იყო ჩემთან მოსული, ქალბატონი ლალი აფციაური. იქ მცირე გაუგებრობაც მოხდა, რადგან ქალბატონი ლალი მოითხოვდა, რომ არ მომხდარიყო ამის გამოქვეყნება გარკვეული პერიოდით. უნდა ვაღიარო, რომ ეს პირობა ვერ დავიცავი, რადგან საუბარი იყო კონკრეტული ადამიანის, ამ შემთხვევაში ბადრი პატარკაციშვილის მიმართ ტერორისტული აქტის მზადებაზე. ამიტომ ჩავთვალე, რომ ეს ჩანაწერი დროულად უნდა გამოქვეყნებულიყო, რათა თავიდან აგვეცილებინა მცირე ალბათობაც კი იმისა, რომ ეს გეგმა რეალურად განხორციელებულიყო.

**– რა რეაგირება მოჰყვა ამ ჩანაწერის გამოქვეყნებას?**

– რამდენადაც მახსოვს, პროკურატურამ გაითხოვა ამ ჩანაწერის მასალები, თუმცა მე ამ თემასთან დაკავშირებით მაშინ არ დავკითხულვარ.

საგულისხმოა, რომ სამხედრო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“, გასულ კვირას ჰოლანდიაში დააკავეს. მან ქვეყანა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა. „მასტერას“ სახელს არაერთი გახმაურებული საქმე უკავშირდება, მათ შორის ციხის ბუნტიც. სწორედ ციხის ბუნტის შემდეგ მოხდა დგებუაძისა და კრიმინალური „ავტორიტეტის“, პლატონ მამარდაშვილის ზემოხსენებული საუბარი, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, მამარდაშვილი ფარულად იწერდა. ციხის ბუნტის გარდა, ფარულ ჩანაწერში საკმაოდ საგულისხმო სხვა ინფორმაციებია თავმოყრილი. ასე რომ, საქართველოში ექსტრადირების შემთხვევაში გიორგი დგებუაძემ შესაძლოა არაერთ სკანდალურ საქმეს ახადოს ფარდა. თუმცა ამაზე უფრო დეტალურად, ოდნავ ქვემოთ მოგიყვებით, მანამდე კი ვნახოთ, ოფიციალურად რას ედავება გამოძიება „მასტერას“?

მთავარმა პროკურატურამ გიორგი დგებუაძეს ბრალი 2013 წლის 7 მარტს დაუსწრებლად წარუდგინა. მას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და წამების ორგანიზებას ედავებიან. საუბარია თავდაცვის სამინისტროს სპეცოპერაციების ძალების ოპერატიული მორიგის, თემურ ამირანაშვილის წამებაზე, რომლისგანაც რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის აღიარებას მოითხოვდნენ. გამოძიების მტკიცებით, ეს დანაშაული სწორედ დგებუაძის უშუალო ორგანიზებითა და ბრძანებით მოხდა.

„მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსმა ლაშა მინდაძემ თემურ ამირანაშვილი ხელბორკილით მიაბა გათბობის მილზე ისე, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში არ ჰქონდა დაჯდომისა და გადაადგილების საშუალება, დაემუქრა, რომ ძილის დროს თითქოს მოახდინეს მისი გაუპატიურება და თუ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას არ აღიარებდა, გაუპატიურების ამსახველ ფოტოსურათებს გაავრცელებდა მისი ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. მანვე ამირანაშვილი აიძულა, თავისი ნების საწინააღმდეგოდ მდგარიყო ბრძანება „სმენა“-ზე და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო სამმართველოს ოპერატიულ მუშაკებს – ბესარიონ ჯაჭვლიანსა და დავით ფიფიას, დაავალა, არ მიეცათ მისთვის დაჯდომისა და ძილის საშუალება. ამირანაშვილის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, პატივისა და ღირსების შელახვა და წამება გაგრძელდა 2011 წლის 4 იანვრიდან ამავე წლის 8 იანვრის საღამომდე“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

საქართველოში ექსტრადირების შემთხვევაში გიორგი დგებუაძეს, სავარაუდოდ, სხვა საქმეებზეც დაუმძიმდება ბრალი, თუმცა არ არის გამორიცხული, მან გამოძიებასთან თანამშრომლობა გადაწყვიტოს. ის, რომ „მასტერა“ საკმაოდ სერიოზული ინფორმაციის მატარებელია, ეს ზემოხსენებული ფარული ჩანაწერითაც დასტურდება.

ფარული აუდიომასალა 2007 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია გაკეთებული, სადაც სასჯელს ცნობილი „ავტორიტეტი“ პლატონ მამარდაშვილი იხდიდა. სწორედ მამარდაშვილის საშუალებით მოხდა ამ ჩანაწერის მიწოდება ადვოკატ ლალი აფციაურისთვის. „პრაიმტაიმმა“ ლალი აფციაურს სთხოვა, გაეხსენებინა, როგორ მოხვდა მის ხელში „მასტერასა“ და მამარდაშვილის საუბრის ჩანაწერი.

**ლალი აფციაური, ადვოკატი:**

– ე.წ. მასტერას სახელი პირველად ამოტივტივდა იმ პერიოდიდან, როდესაც ბაჩო ახალაია დაინიშნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ. პატიმრებისგან გადმოცემით ყოველთვის გვესმოდა, რომ არსებობდა ვინმე „მასტერა“, რომელიც ახალაიასთან ერთად ახდენდა პატიმრების წამებასა და არაადამიანური მოპყრობის ორგანიზებას. კონკრეტული ფაქტი, სადაც მისი სახელი გამოიკვეთა, სწორედ ზემოხსენებულ ჩანაწერს უკავშირდება. ეს ფარული აუდიომასალა პლატონ მამარდაშვილმა მისი ოჯახის წევრების ხელით გამომიგზავნა. ეს არის ციხის ბუნტთან დაკავშირებული ჩანაწერი, სადაც დგებუაძე მამარდაშვილს სთხოვს, ხელი არ დაადოს ბაჩო ახალაიას და ამის სანაცვლოდ ყველანაირად დაეხმარებიან. ამ ჩანაწერით ცნობილი ხდება, რომ ჩაფიქრებული იყო ბადრი პატარკაციშვილის



## ლალი აფციაური: „თუ ქვეყანაში შეიცვლებოდა სიტუაცია და პატარკაციშვილის შეჩერებას ვერ შეძლებდნენ, დგებუაძე მამარდაშვილს ჰპირდებოდა, რომ ის დაეხმარებოდა ქვეყნიდან გაქცევაში“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოძიება სრულდება



## გიორგი თარგამაძე: „საუბარი იყო ბადრი პატარკაციშვილის მიმართ ტერორისტული აქტის მზადებაზე. ამიტომ ჩავთვალე, რომ ეს ჩანაწერი დროულად უნდა გამოქვეყნებულიყო იმისთვის, რომ თავიდან აგვეცილებინა მცირე ალბათობაც იმისა, რომ ეს გეგმა რეალობაში განხორციელებულიყო“



## მასტერა: „სახლში მივუვარდით მაგას. დედის მ... ვაგინეთ, დათამ ხელი დაარტყა, პირდაპირ გააქანა და ხია. თან ვის? პატარკაციშვილს, ებრაელი, წარმოიდგინე, რამხელა მაფიაშია ჩართული“

მკვლელობა, რომელსაც ხელისუფლებისთვის დისკომფორტის შექმნას უკავშირებდა. იქვე საუბარია იმაზე, რომ, თუ ქვეყანაში სიტუაცია შეიცვლებოდა და პატარკაციშვილის შეჩერებას ვერ შეძლებდნენ, დგებუაძე მამარდაშვილს ჰპირდებოდა, რომ ის ქვეყნიდან გაქცევაში დაეხმარებოდა.

**– რატომ ჩაიწერა მამარდაშვილმა ეს საუბარი?**

– მამარდაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო ძალიან მძიმე, მას თანამშრომლობის სანაცვლოდ მისცეს გარანტიები, რომელიც პირველ ეტაპზე შეასრულეს კიდეც. ჰყავდათ გაყვანილი ქალაქის საავადმყოფოში, თავისუფლად ჰქონდა ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და შეიძლება ითქვას, სასათბურე პირობებში ამყოფებდნენ. შემდეგ არ ვიცი, რა მოხდა, საერთოდ მამარდაშვილი არ იყო მყარი ადამიანი და როდის რა ჩვენებას შეცვლიდა, კაცმა არ იცის. მე დაპირისპირებული ვიყავი მამარდაშვილთან, რადგან ვიცოდი, რომ ცრუ ჩვენებას იძლეოდა ციხის ბუნტზე. მე დამიკავშირდა მისი ადვოკატი მზია სიჭინავა, რომელმაც მითხრა, რომ პლატონის ოჯახის წევრებს სურდათ ჩემთან შეხვედრა და უნდოდათ, რაღაც ჩანაწერი გადმოეცათ. მე მათთან შეხვედრა ჩავიწერე და აღმოჩნდა, რომ სწორადაც მოვიქეცი, რადგან შემდეგ მამარდაშვილის ოჯახის წევრებმა გადათქვეს, რომ მათ მომაწოდეს ეს ჩანაწერი. გადმომცეს ეს მტკიცებულება და მითხრეს, იქნებ მის საქმეს მოკიდო ხელიო. მე დავთანხმდი, თუმცა პროცესზე მან მაინც გადათქვა ჩვენება და კვლავ პატიმრებისკენ გაიშვირა ხელი, ამის გამო მე მას მივეცი აცილება და პროტესტის ნიშნად სასამართლო დავტოვე. მანამდე ეს ჩანაწერი, სადაც საუბარი იყო პატარკაციშვილის მკვლელობაზე, მინდოდა თავად პატარკაციშვილისთვის მიმეწვდინა. ამას მე პირადად ვერ მოვახერხებდი, ამიტომ გიორგი თარგამაძეს დავუკავშირდი, მივიტანე მასთან ეს ჩანაწერი. ვთხოვე, მოესმინა, მაგრამ არ გამოექვეყნებინა იმ დრომდე, სანამ სასამართლოში მამარდაშვილი არ დაიკითხებოდა. მოვასმენინე ეს ჩანაწერი, თუმცა ჩუმად გადმოუწერია ლეპტოპში და მეორე დღესვე გადაცემა „დროებაში“ გაუშვა. ამან განაპირობა სწორედ მამარდაშვილზე ზეწოლა და ჩვენების შეცვლა. მე ახალ გამოძიებას გადავეცი ეს ჩანაწერი, ჩვენებაც მივეცი ამ საქმეზე.

ახლა კი, რაც შეეხება უშუალოდ ამ ჩანაწერის შინაარსს. „პრაიმტაიმმა“ 2007 წელს ციხეში გაკეთებული ფარული აუდიომასალა კიდევ ერთხელ მოისმინა და დგებუაძე-მამარდაშვილის საუბრის მნიშვნელოვან დეტალებს ჩვენს მკითხველსაც გავაცნობთ.

**გიორგი დგებუაძე:** დათა ბრუნდება ეხლა, პროსტა შეჩერებული აქვს (იგულისხმება თანამდებობა). ბრუნდება ეხლა ამ დღეებში. გუშინწინ დამიძახეს და მითხრეს, რომ მინისტრს ხსნიანო და გული გამიხდა ცუდად. ვიფიქრე, დედა მაქვს მ...თქო. იმიტომ, რომ, როგორც შენ ხარ დამოკიდებული მაგაზე, ისე მე რას მიზამენ, იკაიფე რა, იმენა გამატყავებენ. თან რაზე იცი? ხელი დაადე დათასო, მეტყვიან, რომ ესეთ რაღაცეებს აკეთებდაო. ხომ უნდა მიიღონ კაცზე ჩვენება, ვისი საშუალებით უნდა გააკეთონ ეს რაღაცეები? ჩემით.

**პლატონ მამარდაშვილი:** არ დაადებ და შენ გამოდიხარ მერე დამნაშავე...

**გიორგი დგებუაძე:** ხო ხვდები, რა ცუდ მდგომარეობაში ვარ, ლამის ჭკუიდან გადავედი. ეს სადღაც დილით მითხრეს. მერე საღამოთი დამირეკეს და მითხრეს, რომ პრეზიდენტი ჩამოვიდა და იმენნა გაუიასნეს რა ყველაფერი. დაუდეს მასალები და დედის მ...ლი დაახურა ყველას, ვინც ეუბნებოდა, ვანო გადააყენეო... დარჩა ყველაფერი ძალაში. იმიტომ ვარ წყნარად ახლა, პაატა, ახლა მთავარი აზრი არის იმაში, რომ არ მოხდეს იმის გაშიფვრა, რომ მე და ბაჩოს რაღაცაზე გვქონდა საუბარი. ეგ ისე უნდა მოხდეს, რომ დაჟე პროკურორმაც არ უნდა იცოდეს, რომ ეს ამბავი იყო წინასწარ მოლაპარაკებული. სულ სხვა სიტუაცია იყო მოლაპარაკებული და სულ სხვა რამეში გადაიზარდა. ეს ყველამ ვიცით და მართლები ვართ, მაგრამ ეს საქმე ისე უნდა წავიყვანოთ... ზვიადაძესთან შეიძლება მაგაზე საუბარი, მაგრამ ადეიშვილთან ვინც არ უნდა მიიტანოს, სხვამ არ გაიგოს, რომ ჩვენ და ბაჩოს რაღაც გარიგება გვქონდა ერთმანეთში. მთავარი პრობლემა არის ეგ, რომ არ გაბაზრდეს და არ მივიდეს ვიღაცის ყურამდე.



**პლატონ მამარდაშვილი:** დაიჭერენ ეგრევე, ტო...

**გიორგი დგებუაძე:** დაჭერით ახლა ვერ დაიჭერენ, მაგრამ უსიამოვნება ექნება. ნუ, თუ ყველაფერი გაიხსენეს, ხო, მაგრამ ამ ხელისუფლების დროს მაგას ვერ დაიჭერს ვერავინ. მერე შეიძლება უკვე რა, ბომბს იტოვებს, რა, ფაქტიურად. მეც გასაქცევი ვიქნები და სადაც მე ვიქნები გასაქცევი, იქ გაგიყოლებ, თუ მაქამდე მივიდა საქმე. მაგრამ არ მივა, შანსი არ არის. მე ეხლა უფრო წყნარად ვარ, ისეთი ხალხისგან გავიგე. შენზე ცუდ მდგომარეობაში მე ვარ. აქ რომ რამე მოხდეს ახალაიას გარშემო, თუკი ვინმე ახლოს იყო, ყველას გაგვისწორდებიან, ისე ჰყავს გადაკიდებული ყველა... შენ პატარკაციშვილზე არ გაქვს რამე, მაგ დედა მ...ს რაღაცნაირად რომ გავუჩალიჩოთ, სიმონ? ვინმე სვაბოდიდან, ჩერეზ ქურდებიდან, რომ გავატ...თ. კომპრა მინდა მაგაზე... ეგ არის ბიჭო ყველაფრის თავი და თავი. რაც კი ხდება ყველაფერს აფინანსებს. ყველას მაყუთს აძლევს, ლიჟბი ამას დედა მ...ს. რატომ იცი? სახლში მივუვარდით მაგას. დედის მ... ვაგინეთ და დათამ ხელი დაარტყა, რა... აი, მოჭიდავეების გამოსვლა რომ იყო მაშინ, გააქანა და ხია.



**პლატონ მამარდაშვილი:** ეგ პატარა ბიჭია და რამხელა გული აქვს.

**გიორგი დგებუაძე:** თან ვის? პატარკაციშვილს, ებრაელი, წარმოიდგინე რამხელა მაფიაშია. ბუშის ძმასთან ძმაკაცობს. მეორედ ეგეთ რამეს გააკეთებ, ტყვიას დაგაჭედებ შუბლშიო. ვეუბნები, ძმაო, ჩვენ თუ არ მოვიცილებთ მაგ კაცს, ეგ კაცი მ...ს კარგის ტ...ს-თქო. სანამ არ გაგვანადგურებს, არ მოისვენებს. ეხლა არ გამოუვა, სხვა მიზეზს დაელოდება. ალანიას საქმე (იგულისხმება გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული) არ კეთდება, სანამ პატარკაციშვილს დედას არ მ...ენ. ესენი არ გაჩერდებიან, ყველა ნაბიჯს უყურებენ. დაჟე კამერაში ერთად რომ იყვნენ, მაგაზე რა ამბავი ატეხეს. სანამ ეგ იქნება, მანამდე შანსი არ არის, მაგათ რამე ეშველოთ.

**პლატონ მამარდაშვილი:** კაი მასტერ, ე.ი. მე ვცდილობ, რომ...

**გიორგი დგებუაძე:** ეხლა მიშა რომ გამოვა და იტყვის, ვინ დარჩა თავის ადგილზე და გააიასნებს, ყველა ელოდება, რა მოხდება. რომ იტყვის, რომ ძალოვნებს არ ვეხები და გააგრძელონ მუშაობა, მერე უკვე დედა უნდა მ... ყველას. უნდა გადავიდეთ ატაკაზე, თორემ აქეთ შემოგვიტევენ სერიოზულად და მაგ მომენტში უნდა ვისარგებლოთ, ყველაფერი რაც გასაკეთებელია. მე, ძმაო, კიდევ გეუბნები რა, რაც ჩემს ძალებშია ყველაფერს გავაკეთებ.

მოკლედ, როგორც ამ ჩანაწერით ირკვევა, გიორგი დგებუაძე ჯერ კიდევ 2007 წელს წინასწარმეტყველებდა ამ მოვლენებს. ამჟამად ის ჰოლანდიაში საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფება. საქართველოს პროკურატურამ ჰოლანდიელ კოლეგებს უკვე მიმართა დგებუაძის ექსტრადირების მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ მას საქართველოში ჩამოიყვანენ, მაღალი ალბათობით, არაერთ გახმაურებულ საქმეზე მოუწევს საუბარი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თეთრაძის საქმი



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**თავდაცვის სამინისტროს საკადრო პოლიტიკა ხშირად გამხდარა კრიტიკის საფუძველი. პრინციპში, ლოგიკურია, რადგან ხელისუფლება, რომელმაც სამართლიანობის აღდგენის მთავარ პრიორიტეტად წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეების გამოძიება დაისახა, როგორც მინიმუმ, ამ დანაშაულში ბრალდებული პირების თავშესაფრად არ გამოდგება. არადა ალასანიას საკადრო პოლიტიკა აშკარა დისონანსშია სამართლიანობის აღდგენასთან, რომლის ფარგლებშიც გასულ კვირას კიდევ ერთი ბრალი წაუყენეს ბაჩო ახალაიას.**

რა ბრალი მიუძღვის თავდაცვის ყოფილ მინისტრს პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამებაში, ამას სასამართლო გაარკვევს, თუმცა ფაქტია, რომ ყველა დაზარალებულს ერთპიროვნულად ახალაია ვერ აწამებდა. ყველა საქმეს თავისი ფიგურანტი ჰყავს, რომელთა ნაწილი დღესაც წარმატებით აგრძელებს საქმიანობას თავდაცვის უწყებაში. სერგო თეთრაძის საქმეს ოდნავ ქვემოთ მივუბრუნდებით, მანამდე კი ჩვენს მკითხველს შევახსენებ ცოტა ხნის წინ „პრაიმტაიმში“ გამოქვეყნებულ სტატიას.

საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში სამხედრო პოლიციამ თავდაცვის სამინისტროს ჯარების ლოჯისტიკის სარდალი გიორგი კერესელიძე დააპატიმრა. მას ბრალი ედებოდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და სამხედროების მიმართ ძალადობრივი ქმედებების გამოყენებაში. საქმე ეხება 2012 წლის არჩევნებამდე გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცების ცემისა და არაადამიანური მიპყრობის ფაქტს. სარდალი კერესელიძე ავტობატალიონში მძღოლების მიერ საწვავის გადახარჯვას გაუღიზიანებია. ითქვა, რომ მან ჯარისკაცები გააშიშვლა, ფიზიკურად გაუსწორდა, ორმოში ჩაყარა და თავზე საწვავი გადაასხა.

მოკლედ, კერესელიძეს ბრალი წაუყენეს, პროკურატურა მისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, თუმცა 2013 წლის 13 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ მას თავდებში ჩაუდგნენ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, მათ შორის მინისტრის მოადგილე. სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და კერესელიძე თავდების ქვეშ გაათავისუფლა. მეტიც, მალევე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ბრალდებული სარდალი საკუთარ პოსტზე აღადგინეს და ამჟამადაც აგრძელებს საქმიანობას.

რის სანაცვლოდ გაათავისუფლეს და რატომ აღადგინეს თანამდებობაზე ლოჯისტიკის სარდალი გიორგი კერესელიძე? ამბობენ, რომ პატიმრობიდან მის განთავისუფლებას წინ უძღოდა სამხედრო პოლიციაში გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსის, გიგი კალანდაძის წინააღმდეგ მიცემული ჩვენება. კერესელიძე გიგი კალანდაძეს საწვავის არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებდა. ამ საქმეზე გიგი კალანდაძე მართლაც დაკითხა სამხედრო პოლიციამ. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი ვარაუდობს, რომ კერესელიძის განთავისუფლება და თანამდებობაზე აღდგენა სწორედ ამ ჩვენებას უკავშირდება.

კერესელიძე არ გახლავთ ერთადერთი, ვინც, ძალადობრივ დანაშაულში მხილების მიუხედავად, თავდაცვის სამინისტროში განაგრძობს საქმიანობას. ამავე უწყების მაღალჩინოსნად რჩებიან ის პირები, რომლებიც სერგო თეთრაძის საქმეში ფიგურირებენ.

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას თეთრაძესთან ერთად ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული გია გორელაშვილი ასახელებს კონკრეტულ გვარებს, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ მის წამებაში და დღესაც თავდაცვის სამინისტროში მუშაობენ.

**გია გორელაშვილი:**

– უშუალოდ ჩემი წამების დროს ბაჩო ახალაია იქ არ იყო. იმ დილით რომ ის სამინისტროში იმყოფებოდა, ოფიცრების დაკითხვით გახდა ცნობილი. დაგვაკავეს ოთხი კაცი, რომლებიც გაგვყვეს ორ ჯგუფად – სამნი ცალკე წაიყვანეს, ანუ ისინი, ვინც ოფიცრები იყვნენ, მათ შორის სერგო თეთრაძე, ხოლო მე ცალკე წამიყვანეს, როგორც სამოქალაქო პირი. მე გამიშვეს მეგის ქარდავასთან და გიგი კალანდაძესთან წამებაზე, თეთრაძე და დანარჩენები მიიყვანეს ახალაიასთან. ჩემს წამებაში მონაწილეობდნენ გიგი კალანდაძე, ლევან ზაქრაძე, ზურაბ გოგიჩაიშვილი, ირაკლი გრძელიშვილი, ლაშა კვანტალიანი...

**– თუმცა ამ დრომდე მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა...**

– რა თქმა უნდა, არავის არ აქვს ბრალი წაყენებული, გარდა ციხის თანამშრომლების, მეგის ქარდავასი, რომელიც სასამართლომ თეთრაძის ეპიზოდში უდანაშაულოდ ცნო და ახლა წაუყენეს ბრალი ახალაიას. მე ჩვენება მივეცი ამ ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ რა გაგრძელება მოჰყვა? ისინი კვლავაც უწყებაში მუშაობენ, გარდა გიგი კალანდაძისა. არავინ არ დაკითხეს, არც გამომძიებელი, არც პროკურორი, არც ის ხალხი, ვინც ძალადობის ქვეშ გამიფორმა საპროცესო გარიგება.

**– იქნებ გაიხსენოთ, როგორ გაფორმდა თქვენთან საპროცესო შეთანხმება?**

– როდესაც უარს ვამბობდი, იმ ღამეს მივყავდი ციხის დირექტორის, ლევან მუხაძის ოთახში, სადაც მხვდებოდა სამხედრო პოლიციის უფროსი ლევან ზაქრაძე. იქ იყო ცემა, წამება და ა.შ. ასეთი მეთოდებით, დაშინებისა და მუქარის გზით მაიძულებდნენ არარსებული დანაშაულის აღიარებას. მერე მომიტანეს ერთ-ერთი დაკავებულის, ლონდარიძის ჩვენება, სადაც ის „აღიარებდა“. მე და თეთრაძე არ ვაღიარებდით, მაგრამ ლონდარიძის ჩვენება რომ ვნახე, მივხვდი, რომ უკვე აზრი აღარ ჰქონდა, ვეღარ ვუძლებდი და ვუთხარი, გადაწერეთ, რაც მანდ წერია-მეთქი. ხელიც არ მომიწერია, მათ მოაწერეს ჩემს ნაცვლად.

**– რამდენადაც ცნობილია, ლევან ზაქრაძე ამბობს, რომ იმ პერიოდში სამხედრო პოლიციას რეალურად მისი მოადგილე მეგის ქარდავა მართავდა და მას მსგავს თემებთან შეხება არ ჰქონია...**

– იმიტომ, რომ ქარდავა გაიქცა და ახლა ყველაფერი მას აჰკიდეს. ჩხრეკასა და დაპატიმრებაზე ჩემთან, ოჯახში, პირადად ზაქრაძე იყო მოსული. არც მისი და არც ჩემ მიერ ჩამოთვლილი სხვა პირების პასუხისმგებლობა არა თუ დადგა, არამედ ისინი დღესაც თავდაცვის სამინისტროში მუშაობენ. ალასანიამ ეს ხალხი სამსახურში აღადგინა. კაცი, ორი ხელით იცავს მაგ მკვლელებს და მე რას გავხდები. ასე რომ, ბაჩო ახალაიასთვის ბრალის წარდგენით ეს საქმე ნამდვილად არ ამოწურულა.

**– ცნობილია, რომ მეგის ქარდავამ წერილი მისწერა სერგო თეთრაძის მეუღლეს... შემთხვევით, თქვენც ხომ არ შემოგხმიანებიათ?**

– არა, მე როგორ გამიბედავს მაგას. მეგის ქარდავამ სიკვდილს ჩამახედა თვალებში. ეგ თუ მართლა ცოცხალია და სადმე გამოჩნდა, ჩათვალეთ, რომ ჩემი ხელით არის მკვდარი.

წერილი, რომელიც მეგის ქარდავამ გარდაცვლილ სერგო თეთრაძის



**„დაგვაკავეს ოთხი კაცი, რომლებიც გაგვყვეს ორ ჯგუფად – სამნი ცალკე წაიყვანეს, ანუ ისინი, ვინც ოფიცრები იყვნენ, მათ შორის სერგო თეთრაძე, ხოლო მე ცალკე წამიყვანეს, როგორც სამოქალაქო პირი. მე გამიშვეს მეგის ქარდავასთან და გიგი კალანდაძესთან წამებაზე, თეთრაძე და დანარჩენები მიიყვანეს ახალაიასთან“**

## „მას ყელზე შეაბეს იარაღის დასამაგრებელი ტყავის თასმა და აიძულებდნენ, ოთხზე ეხოხა შენობის დერეფანში“



## მეგის ქარდავა: „მოვა დრო და სიმართლეს გაიგებთ“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეუღლეს გაუგზავნა, ნანა თეთრაძემ გასულ კვირას „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გაასაჯაროვა. სამხედრო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი აღნიშნავს, რომ სერგო თეთრაძის საქმესთან დაკავშირებით უდანაშაულოა და ხელისუფლება ცდილობს, ეს თემა საკუთარი პიარისთვის გამოიყენოს.

„უბინძურესი მეთოდებით წარმოებული მთელი ეს კამპანია მიმართული იყო არა პირადად ჩემი, არამედ ბაჩო ახალაიასა და მისი თანაგუნდელების დისკრედიტაციისკენ და მიზნად ისახავდა თქვენი და მთელი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რაც, იმედს ვიტოვებ, არ გამოუვათ, ვინაიდან სიცრუე და ცილისწამება დიდხანს ვერ დაიმალება და სიმართლე ყოველთვის გამჟღავნდება.

მე ვიზიარებ იმ მოუშუშებელ ტკივილს, რომელსაც თქვენ განიცდით და მჯერა, რომ მიუხედავად ამ აგორებული ცილისწამებისა, რომელსაც ჩემთან დაკავშირებით მიზანმიმართულად ავრცელებენ, მოვა დრო და თქვენ სიმართლეს გაიგებთ“, – წერს მეგის ქარდავა ნანა თეთრაძის სახელზე ფოსტით გაგზავნილ წერილში.

თავად თეთრაძის ქვრივი კი დარწმუნებულია, რომ მისი მეუღლე უშუალოდ მეგის ქარდავასა და ბაჩო ახალაიას მითითებით აწამეს, თუმცა თავადაც ადასტურებს, რომ ამ საქმის ფიგურანტების ნაწილი ჯერაც დაუსჯელია და ისინი თავდაცვის უწყებაში თანამდებობებზე აღადგინეს.

თეთრაძის ოჯახი ამ საქმეზე ბაჩო ახალაიასთვის ბრალის წარდგენას ელოდა და იმედოვნებს, რომ გამოძიება საქმეს ბოლომდე მიიყვანს და ბრალის წაყენება მხოლოდ წინასაარჩევნო პიარის ნაწილი არ იქნება. ნანა თეთრაძის თქმით, ბაჩო ახალაიასთვის ბრალის წარდგენას ისინი გამოძიების განახლების დღიდან ითხოვდნენ:

„მე ორჯერ ვკითხე ყოფილ პროკურორს, ბატონ კბილაშვილს, რატომ ზის ადამიანი ვაშლის გათლაზე, როცა ჩემი მეუღლე მკვდარია. მან ამიხსნა, რომ უპრიანი იყო, საქმე გაყოფილიყო სამ შრედ, მესამე შრე იყო მაღალჩინოსნებისთვის ბრალის წაყენება. მე ველოდებოდი მისთვის ბრალის წაყენებას, მაგრამ ასეთი ვადები რატომ აირჩიეს, ჩემთვის გაუგებარია“, – აცხადებს ნანა თეთრაძე. მისივე თქმით, ახალაიას ბრალეულობაზე მან სასამართლოზე დაკითხვისასაც ისაუბრა:

„როცა მოწმედ დამკითხეს, მაშინაც ვთქვი, რომ ჩემთვის ცნობილი იყო, როცა ჩემი მეუღლე აღარ იყო ცოცხალი, რომ ჩემს ქმარს აწამებდნენ და ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ უშუალოდ ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა. ახლა მაქვს მოლოდინი, რომ საბოლოოდ დაესმება წერტილი ამ საქმეს. მოვითხოვ სერგო თეთრაძის სახელის სრულ რეაბილიტაციას. სერგო თეთრაძისთვის სამხედრობა არ იყო უბრალოდ სამსახური, ის მუნდირს არ შეარცხვენდა და ჯაშუშობას რომ არ აღიარებდა, ამაში ნამდვილად შეცდა ახალაია“, – ამბობს ნანა თეთრაძე.

ოჯახის ადვოკატის თქმით, ბაჩო ახალაიას ბრალეულობას არაერთი მოწმის ჩვენება ადასტურებს, თუმცა კბილაშვილის პროკურორობის დროს საქმეზე დასაკითხი რამდენიმე მთავარი მოწმე დასაკითხ პირთა სიიდან ამოიღეს;

„მთავარი მოწმეები მოხსნეს დასაკითხ პირთა სიიდან, ის პროკურორები კი, ვისაც უშუალოდ დაევალა ჯაშუშობის საქმის გამოძიება, კვლავ პროკურატურაში იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისაც, რომ მეგის ქარდავა თეთრაძის წამების ნაწილში სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო“, – აცხადებს ადვოკატი. რაც შეეხება ახალაიასთვის ბრალის წაყენებას, მისი თქმით, ეს ახალაიას წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის ამოწურვას არ უკავშირდება:

„მე ვერ დავუკავშირებ ამას 9-თვიანი ვადის ამოწურვას. პროკურატურამ ეს პოზიცია აირჩია და ჯერ უშუალოდ აღმსრულებლები მიეცნენ პასუხისგებაში, შემდეგ შუალედური რგოლი და ახლა უშუალოდ ისინი, ვინც ბრძანება გასცა“, – აცხადებს მაგდა კოტრიკაძე.

ჩვენს მკითხველს შევახსენებ, რომ მთავარმა პროკურატურამ სერგო თეთრაძის გარდაცვალების საქმეზე საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩანა ახალაიას 2 ივლისს წარუდგინა ბრალდება წამების, სექსუალური ძალადობის ორგანიზებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კუთხით.

გამოძიების მტკიცებით, ახალაიამ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მეგის ქარდავასთან და #8 საპყრობილის დირექტორ ალექსანდრე

# რას ყვება მოწმე, რომელიც ერთ-ერთი დაზარალებულია საქმეზე, რის გამოც დღეს ბაჩო ახალაიას ბრალი დაუმძიმდა?



მუხაძესთან ერთად გადაწყვიტა, წარმატებული ხელმძღვანელის სახელის მოსაპოვებლად, უდანაშაულო მოქალაქეთა წამების გზით, მიეღო აღიარებითი ჩვენებები, რასაც გაავრცელებდნენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, თითქოსდა გამოვლენილი ჰყავდათ ე.წ. „ჯაშუშური“ ჯგუფი.

„2011 წლის სექტემბრის თვეში სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შენობაში ბაჩანა ახალაია, მეგის ქარდავა, ალექსანდრე მუხაძე და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელი, ჯაშუშობის აღიარების მოთხოვნით, დაახლოებით 4-5 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ სცემდნენ და დამამცირებლად ეპყრობოდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერს, ვიცე-პოლკოვნიკ დავით ლონდარიძეს, თადარიგის პოლკოვნიკს სერგო თეთრაძეს და მოქალაქეებს, სერგეი ჩაპლიგინსა და გიორგი გორელაშვილს. ცემისა და წამების დროს ბაჩანა ახალაიამ ამოიღო თანნაქონი იარაღი, მიაბჯინა სახეზე ვიცე-პოლკოვნიკ დავით ლონდარიძეს და დაემუქრა მოკვლით, თუ ეს უკანასკნელი არ აღიარებდა დანაშაულს, თან აგინებდა და აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. ამის შემდეგ, როდესაც ცემისგან დაუძლურებულ დავით ლონდარიძეს მეგის ქარდავა სექსუალური ძალადობით დაემუქრა, ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო მასზე მოძალადე პირების მოთხოვნას და ეღიარებინა, თითქოსდა ის ჯაშუშობას სჩადიოდა საქართველოს წინააღმდეგ. მორიგი იძულებითი აღიარების მიღების მიზნით, მეგის ქარდავა, სამხედრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, ბაჩანა ახალაიასთან შეთანხმებით, გიორგი გორელაშვილს მთელი დღის განმავლობაში აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. კერძოდ, სისტემატურად სცემდნენ მას პლასტმასის მილით, ემუქრებოდნენ, რომ მავთულის დიდი ზომის საჭრელი მაკრატლით თითებს დააჭრიდნენ და მის თითებს ათავსებდნენ მაკრატლის საჭრელ პირებს შორის. შემდგომ მას ყელზე შეაბეს იარაღის დასამაგრებელი ტყავის თასმა და აიძულებდნენ ოთხზე ეხოხა შენობის დერეფანში. მას შემდეგ, რაც ისინი დარწმუნდნენ, რომ გიორგი გორელაშვილი არ არჩადენილ დანაშაულს აღიარებდა, ის, როგორც „ჯაშუშობაში“ ბრალდებული, გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში. ასევე, აღიარების მიღების მიზნით, ისინი სერგო თეთრაძეს აყენებდნენ ძლიერ ფიზიკურ და მორალურ ტანჯვას, თავზე ჩამოაცვეს პოლიეთილენის პარკი და არ აძლევდნენ სუნთქვის საშუალებას. სერგო თეთრაძემაც, მიუხედავად მის მიმართ განხორციელებული ძლიერი ფიზიკური ძალადობისა, არ აღიარა მისთვის დაბრალებული დანაშაული. ამის გამო ბაჩანა ახალაიამ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მეგის ქარდავასთან ერთად ორგანიზება გაუკეთა სერგო თეთრაძის შემდგომ წამებას და სექსუალურ ძალადობას, რის საფუძველზეც, 2011 წლის 23 სექტემბერს, ბაჩანა ახალაიას გეგმის მიხედვით, #8 საპყრობილეში მოთავსებულმა პატიმრებმა ა.ტ.-მ და თ.ს.-მ საკანში, სერგო თეთრაძის მიმართ განახორციელეს სექსუალური ძალადობა.

სერგო თეთრაძე მასზე განხორციელებული წამების შედეგად გახდა ცუდად და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა გონსმოუსვლელად“, – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

**მოკლედ, ბაჩო ახალაიას თეთრაძის საქმეზე 9-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება, თუმცა შემოიფარგლება თუ არა გამოძიება ახალაიას პასუხისგებაში მიცემით და დადგება თუ არა თავდაცვის სამინისტროს მოქმედი მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხიც, ეს ჯერჯერობით უცნობია.**

## გია გორელაშვილი: „მეგის ქარდავამ სიკვდილს ჩამახედა თვალებში. ეგ თუ მართლა ცოცხალია და სადმე გამოჩნდა, ჩათვალეთ, რომ ჩემი ხელით არის მკვდარი“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პირველად „პ

## სამი წლის წინათ საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი მოსამართლის ცოლი

# ალაპარაკდა

მარიამ ნადირაძე

**ვინმეს შეიძლება საერთოდაც არაფერთან კავშირში მოეჩვენოს ეს ისტორია, თუმცა დაკვირვებული და ინფორმირებული კარგად მიხვდება, რატომ ვიხსენებთ ისტორიას, რომელიც უკანასკნელ ხანს თითქმის ყველას მეხსიერებიდან ამოიშალა.**

ეს არის ამბავი მოსამართლეებ-ის შესახებ, რომლებსაც სააკაშვილის გუნდმა 1998 წელს ფიტულები დაუწვა ფანჯრებთან. თუმცა, ვენეციის კომისიამ ისინი გაამართლა და ხელისუფლების ზეწოლისგან დაიცვა. სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილი მაშინაც ხელისუფლებას წარმოადგენდა და მაშინაც დევნიდა მოსამართლეებს... ისე, ნუთუ არასდროს უფიქრია კოტე კუბლაშვილს, რომ მოსამართლის უკანონოდ მიჩნეულ გადაწყვეტილებას, ხალხის პროტესტი ამ ფორმითაც და არამარტო ამ ფორმით შეიძლება მოჰყვეს?

მაშ ასე, 1998 წლის 3 ნოემბერს სააკაშვილ-ჟვანიას გუნდი მომართული ელოდა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც უსათუოდ სერიოზულ გავლენას მოახდენდა მათ მიერ დაანონსებულ სასამართლო რეფორმაზე...

**პროფესორი ოთარ გამყრელიძე:**

– პარლამენტმა მაშინ მიიღო კანონი, რომლითაც მოსამართლეთა კორპუსი ვადამდე დაითხოვეს.

**– ეს კანონი, სასამართლოს ცნობილი რეფორმის ფარგლებში მიიღეს?**

– არა. მაშინ არავითარი რეფორმა არ იყო. კონსტიტუცია უკვე მიღებული იყო, რომელიც ამბობდა, რომ მოსამართლე დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ კანონს და კანონი იცავს მოსამართლეს. როცა მას აირჩევენ, თუ რამე დანაშაული არ ჩაიდინა, ვერავინ ხელს ვერ ახლებს. ერთი სიტყვით, მაშინ პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე ყველა მოსამართლეს სახლში უშვებდნენ. ეს გაასაჩივრა ერთმა ნაწილმა.

**„ეს იყო ჯგუფი, რომელიც უნდა მოსულიყო ხელისუფლებაში და მოვიდა კიდეც“**

**– რამდენადაც ვიცი, მათ შორის იყო საბურთალოს რაიონის მოსამართლე, ავთანდილ ჭაჭუაც...**

– დიახ, ის იყო ერთ-ერთი მთავარი ხელმომწერი. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ მოსამართლეების სარჩელი დააკმაყოფილა და ისინი აღადგინა თანამდებობაზე საკონსტიტუციო ვადის ფარგლებში. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაზე განაწყენდა თავისუფლების ინსტიტუტი და იმ მოსამართლეთა ფიტულები დაწვეს მოედანზე, იმელის შენობასთან, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ გადაწყვეტილებას. მაშინ საკონსტიტუციო სასამართლო თბილისში იყო, სწორედ ამ შენობაში.

**– კონკრეტულად ამ მოსამართლეების ფიტულები გააკეთეს?**

– დიახ – ავთანდილ აბაშიძის, ზაურ ჯინჯოლავასი და ლამარა ჩორგოლაშვილის. მაშინ ამ ქალბატონს გულის შეტევა დაემართა (დღეს ქალბატონი ლამარა გარდაცვლილია – მ.ნ.). სწორედ ამ ფაქტით დაიწყო საქართველოში მოსამართლეების დევნა. „თავისუფლების ინსტიტუტმა“ ეს იმიტომ გააკეთა, პარლამენტში ეს კანონი იმიტომ გაიტანა, რომ ეს არის ის ჯგუფი, რომელიც მოგვიანებით ხელისუფლებაში მოვიდა.

**– ჯერ კიდევ მაშინ იცოდნენ, რომ ხელისუფლებაში მოვიდოდნენ?**

– აბა, რა. ეს იყო ჯგუფი, რომელიც უნდა მოსულიყო ხელისუფლებაში და მოვიდა კიდეც, ნაციონალების სახით. თუ ქვეყანაში მოქმედებს სამართალი, იქ დამნაშავეს უჭირს. ამიტომ დამნაშავეს უნდა, რომ ჯერ სამართალი მოშალოს და მერე, რასაც უნდა იმას გააკეთებს. შესაბამისად, ასეც მოიქცა ჯგუფი, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებდა. მათ სჭირდებოდათ სასამართლოს განეიტრალება. გახსოვთ, ალბათ, მათი შეტევის მეორე ეტაპი, 2005 წელს რა გაუკეთეს მოსამართლეებს. ასე რომ, ყველაფერი ერთმანეთთან კავშირში იყო.

სხვათა შორის, მოსამართლე ჭაჭუა, რომელმაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა, 2011 წელს საკუთარ სახლში, აბაზანაში მოკლული ნახეს, ცეცხლსასროლი იარაღით. ბევრმა ეს ფაქტი მის საქმიანობას და რეჟიმთან დაპირისპირებას დაუკავშირა, ვინაიდან უკვე ადვოკატურაში გადასული, ის იცავდა იგორ გიორგაძის მომხრეებს, ასლან აბაშიძის ქალიშვილს და ა.შ. ბუნებრივია, „პრაიმტაიმი“ ამ ფაქტს გვერდს ვერ აუვლიდა და პირველად მედიასივრცეში მის მეუღლესთან, **ქალბატონ დალისთან** გთავაზობთ ინტერვიუს:

– მისი გარდაცვალება არაფერ კავშირში არ არის რეჟიმთან. ის ავად იყო 14 წელი. აღრიცხვაზეც იყო ფსიქიატრიულში და მოსამართლეობის პერიოდშიც რამდენჯერმე ჰქონდა შეტევა. სამთვიანი ჩაგდებაც ჰქონდა. ბოლოს გაუმძაფრდა.

**– ფსიქოლოგიური პრობლემებით ის მოსამართლედაც მუშაობდა და ადვოკატადაც?**

– კი. თავისებური პიროვნება იყო...

**– ჯანმრთელობაზე პრობლემები ფიტულების დაწვის ინციდენტის შემდეგ ხომ არ დაეწყო?**

– არა. მანამდე უკვე ჰქონდა.

**– რატომ დაემართა?**

– დეპრესია ჰქონდა. ერთი თვე, მაგალითად, საბნის ქვეშ იწვა. თვითმკვლელობის მცდელობა რამდენჯერმე ჰქონდა. რომ გამოდიოდა, თვითონვე ეცინებოდა თავის საქციელებზე. ასე იყო ბოლოსაც. რისაც მეშინოდა, ის მოხდა. 14 წელი ვუძლებდი ამას. ამის შიშით ვიცხოვრეთ, იმ დღეს, როცა ეს ამბავი მოხდა, მე და ჩემი ქალიშვილი ვიყავით სახლში.

**„მისი წარსულის ადამიანს, ცხადია, გაუჭირდებოდა ამის გადალახვა...“**

**– ასეთ ავადმყოფს იარაღზე წვდომა ჰქონდა?**

– სხვათა შორის, ერთადერთი იარაღი იყო სახლში, რომლის ტყვიებსაც ვერ შოულობდა. ამიტომაც ვიცოდი, რომ ის ცარიელი იყო. იმ საღამოსაც შევამოწმე და ბარაბანი ცარიელი იყო. თურმე ჯიბეში ჰქონდა 3 ცალი ტყვია.

**– საოცარია, ასეთი პრობლემით მოსამართლედ როგორ ამუშავებდნენ?**

– თანაც როგორი პროფესიონალი იყო... თქვენ წარმოიდგინეთ, კაციშვილმა არ იცოდა ეს, ჩემ გარდა, წარმოიდგინეთ, როგორ თამაშობდა.

**– როდის დაეწყო ეს პრობლემა?**

– საბურთალოს მოსამართლე იყო მაშინ.

**– ამ პოსტიდან არ გაათავისუფლეს ის?**

– კი.

**– იქნებ ამან გაუღრმავა ეს დეპრესია...**

– რა თქმა უნდა, ისეთი ცხოვრება წავიდა... მისი წარსულის ადამიანს, ცხადია, გაუჭირდებოდა ამის გადალახვა. მოსამართლედ იმუშავა 15 წელი, მანამდე რუსეთში იყო სასამართლოს თავმჯდომარე... უცებ გაათავისუფლეს... რა თქმა უნდა ესეც იმოქმედებდა.



EXCLUSIVE

## ფანჯრებთან დამწვარი ფიტულები და შავარშია-შემოვლებული კუბო







## ვინ არის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრი, ვინც სააკაშვილს პანღური ამოარტყა და დედა აგინა?



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რაიმტაიმში“







# როგორ ექცეოდნენ გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი და მიშა სააკაშვილი მოსამართლეებს, ვისი გადაწყვეტილებაც არ მოსწონდათ?

**ახლა კი ისევ მთავარ თემასა და სააკაშვილის გუნდის რისხვის მთავარ ობიექტებს მივუბრუნდეთ:**

**ზაურ ჯინჯოლავა:**

– პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა მოსამართლე უნდა განთავისუფლებულიყო. ასე უნდოდა სააკაშვილს. მე ეს მუხლი გავაუქმე, რომელიც ყველა მოსამართლეს, მტყუანსა და მართალს, სახლში უშვებდა. არ ვამბობ იმას, რომ მოსამართლეებში მექრთამეები არ არიან, მაგრამ ხომ ურევია 1-2 პატიოსანიც? გვაქვს განთავისუფლების კანონიერი წესი. როგორ შეიძლება, ვიღაცას მოუნდეს და ყველა მოსამართლე გაყაროს? ამის საშუალება რომ არ მივეცით სააკაშვილს, ამის გამო დაწვეს ჩვენი ფიტულები რუსთაველზე. ის ადამიანები, ვინც ეს გააკეთა, ბოკერია და სხვები, ახლა უსირცხვილოდ ახსენებენ ხშირად, რომ თურმე მაშინ დემოკრატიული საკონსტიტუციო სასამართლო ჰყავდათ და როგორ დემოკრატიულ გადაწყვეტილებას იღებდა.

**– ამას ახლა ბოკერია აცხადებს? ის ადამიანი, ვინც ამის გამო თქვენი ფიტულები დაწვა?**

– დიახ. არადა, მაშინ, ალბათ, დამიჭერდნენ კიდეც, საერთაშორისო საზოგადოება რომ არ დამდგომოდა გვერდით, განსაკუთრებით კი ვენეციის კომისია. სამშობლოს მოღალატედ გამომაცხადეს, პენსიონრებს რომ პენსიას არ აძლევდნენ, თურმე ისიც ჩემი ბრალი ყოფილა. ამ აქციის დროს მითხრეს, თურმე ერთი ქალი გამოგვსარჩლებია, წიოდა და კიოდა, რას შვრებითო. ბოკერია ხელმძღვანელობდა ამას. გარდაცვლილზე არ მინდა ცუდი ვთქვა, მაგრამ ეს ყველაფერი ზურაბ ჟვანიას კაბინეტში გაკეთდა. ეს ფიტულებიც იქ დამზადდა. მაშინაც ჟვანიამ რუსთაველზე ჩაიარა მანქანით, ხელი გამოყო და ცერა თითი აჩვენა ბოკერიასა და მის დამქაშებს, კარგი ბიჭები ხართო. სამშობლოს მოღალატედ გამომაცხადეს.

**– თქვენს დაჭერას რომ აპირებდნენ, ეს საიდან იცით?**

– ოფიციალურად ეს საკითხი არ დაუყენებიათ, მაგრამ ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ დავეჭირეთ და საკონსტიტუციო სასამართლო საერთოდ გაეუქმებინათ. მაგრამ ვენეციის კომისიამ არ მისცა მათ ამის უფლება. ჩვენ გადაგვარჩინა იმან, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება ინგლისურად ითარგმნება და ყველგან იგზავნება. სადაც კი ჩავიდა შევარდნაძე, ყველგან უთხრეს – ეს რა ქენით, რა ამბავი ატეხეთ სწორ გადაწყვეტილებაზეო. მერე შევარდნაძე ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, შეცდომაში შემიყვანეს, თურმე საკონსტიტუციო სასამართლოს სწორი გადაწყვეტილება მიუღიაო. საბოლოოდ, ვერ გამათავისუფლეს, ვინაიდან გარკვეული ვადით ვიყავით არჩეული და ვენეციის კომისიამ პირდაპირ დასვა საკითხი, თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, მაშინ ევროპისკენ არ მოიხედოთო. მერე, თითქოს ქუთაისში მიპირებდნენ გადაყვანას, იფიქრეს, ასაკია, არ დასთანხმდება და დატოვებს თანამდებობასო. მე კი განვაცხადე, წავალ ქუთაისში-მეთქი და ეს გეგმაც ჩაუვარდათ.

**– ის მოსამართლეები აღადგინეს თანამდებობაზე, შეასრულეს თქვენი გადაწყვეტილება?**

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ რაღაც შეღავათები მისცეს. საკითხი დაისვა ასე – თუ გამოცდას ჩააბარებდნენ, იმ შემთხვევაში დანიშნავდნენ...

**კიდევ ერთი მოსამართლე, რომელმაც ამ სკანდალურ გადაწყვეტილებას მოაწერა ხელი „პრაიმტაიმს“ ისეთ ისტორიებს უამბობს, რომელიც არასდროს გაჟღერებულა. მაშ ასე, რამ მიიყვანა მოსამართლე ავთანდილ აბაშიძე იმ ზომამდე, რომ მიხეილ სააკაშვილს წიხლი ჩასცხო და დედა აგინა, ამის შესახებ „პრაიმტაიმის“ მკითხველი ამ ინტერვიუდან შეიტყობს:**

– ბოკერია იყო მაშინ ყველაზე დიდი ძალა. მაშინ მიშაც კი ბოკერიას ეკითხებოდა, ანგარიშს უწევდა. ის, რაც მათ მაშინ გაგვიკეთეს, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი გახდა, ვინაიდან, თუ აქცია უნდოდათ, შენობიდან დისტანცია უნდა დაეცვათ. მათ კი პირდაპირ ფანჯრებთან დაგვიდეს კუბო წარწერით – გარდაიცვალა სამართალი. ეს საქმე ქვემდებარეობით გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს უნდა გამოეძიებინა, მაგრამ ქალაქის პროკურატურას დააწერეს. მათ ხელში არ იყო ყველაფერი? შეჩერდა და დღესაც შეჩერებული დევს ქალაქის პროკურატურაში.

**„საღამოს შევამოწმე და ბარაბანი ცარიელი იყო. თურმე ჯიბეში ჰქონდა 3 ცალი ტყვია“**

**– ანუ ფიტულებამდე ჯერ კუბოს აქცია იყო?**

– გადაწყვეტილება 1998 წლის 3 ნოემბერს მივიღეთ. ერთ კვირაში სააკაშვილის კაბინეტიდან გამოასვენეს შავარშიაშემოვლებული კუბო. მთელი რუსთაველი გამოატარეს და „იმელის“ კარებთან დაგვისვენეს. ერთი კვირის შემდეგ ფიტულები დაამზადეს, გვეუბნებოდნენ, ძალიან არის თქვენზე მიმსგავსებულიო. ის ჟვანიას კაბინეტში დაამზადეს. მასაც რუსთაველი გამოატარეს და ფანჯრებთან დაგვიწვეს.

**– ეს ყველაფერი ემოციურად როგორ აღიქვით?**

– მე ეს ნაკლებად მადარდებდა, მაგრამ ბავშვები იყვნენ პატარები და ძალიან ნერვიულობდნენ. ჩემი ბავშვები 61-ე სკოლაში სწავლობდნენ, მე-3 და მე-4 კლასში. უმცროსი შვილის სურათი დირექტორმა საპატიო დაფიდან ჩამოხსნა, მოღალატის შვილი ხარო... ამ გადაწყვეტილების მიღება მართლა რთული იყო. ყველა ნერვიულობდა ამ საქმეზე. იმიტომ, რომ მიშასგან გამოსული იყო ინფორმაცია, მე მოვდივარ საქართველოს პრეზიდენტადო.

**– ანუ, ეს თქვენ უკვე იცოდით 1998 წელს?**

– ეს ყველამ იცოდა. სანამ საკონსტიტუციოში მოსამართლე ვიქნებოდი, პარლამენტის წევრი ვიყავი და იურიდიულ კომიტეტში ვმუშაობდი, სადაც მიშა თავმჯდომარე იყო. მის მოადგილეობაზე უარი განვაცხადე. დანიშვნის დღიდან მეუბნებოდნენ, რომ ეს 29 წლის ბიჭი ჩამოსული იყო იმისთვის, რომ პრეზიდენტი გამხდარიყო. თავისი ამერიკელი პატრონებისგან მაშინვე ჰქონდა ინსტრუქცია, რომ სასამართლო ხელისუფლება დაექვემდებარებინა. იქ თავისი ხალხი უნდა ჰყოლოდა. მასთან სერიოზული კონფლიქტი მქონდა. ამბობდა, იურისტი ვარო და სინამდვილეში საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი იყო. ერთი მოწმეც კი არასდროს დაუკითხავს და მთელი ცვლილებების განხორციელებას აპირებდა კანონებში. იბარებდა მინისტრებს და ეუზრდელებოდა. ზოგიერთი პატივსაცემი ადამიანი იყო და ვესარჩლებოდი. ერთი სული ჰქონდა, როგორმე პარლამენტიდან წამოვსულიყავი. ამ დროს დადგა დღის წესრიგში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების საკითხი და მართლაც დავტოვე პარლამენტი. ჩემი წამოსვლის შემდეგ მიიღეს ეს კანონი, რომელზეც შემდეგ ის გადაწყვეტილება გამოვიტანეთ, რაზეც უკვე გესაუბრეთ. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე დიდი ამბავი იყო, გვითვლიდნენ, ზოგს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მინდია უგრეხელიძის ადგილს ჰპირდებოდნენ (ის უკვე დაჯახებული იყო მათთან), ზოგს მოადგილისას, თუ იმ გადაწყვეტილებას მივიღებდით, რაც ჟვანიასა და სააკაშვილს აწყობდათ. 2 საათი რჩებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებამდე. ამ დროს მენაღარიშვილი, ლადო ჭანტურია, ავთანდილ დემეტრაშვილი, სააკაშვილი და სხვები სტრასბურგიდან მოფრინავდნენ. სააკაშვილს უკვე გაუგია ჩვენი პოზიცია და ანგრევდა ყველაფერს. დემეტრაშვილმა დამირეკა, რას აპირებ ჩამომიშვებ ქვეყანაშიო? ცოტა ცუდად ვუპასუხე – ამას მაშინ გაიგებ, როცა გადაწყვეტილებას გამოვაცხადებ-მეთქი. როცა გადაწყვეტილება გამოცხადდა, ამ დროს თვითმფრინავში მინდია უგრეხელიძესა და სააკაშვილს შორის მომხდარა დაჯახება და იცი, რა უთქვამს მინდიას მენაღარიშვილისთვის მის გასაგონად? – ამ სულელს ბავშვობაში პაჭკორიას წამალი არ დაალევინეს და რა ჩემი ბრალიაო? ამ ყველაფრის შემდეგ ერთ კვირაში ჩამოატარეს კუბო, მერე კი დაწვეს ფიტულები. ერთ-ერთ წევრს, ლამარა ჩორგოლაშვილს გულის შეტევა დაემართა, მელიას კლინიკაში წაიყვანეს. ძლივს გადარჩა. ამის შემდეგ ჩვენ ვენეციის კომისიაში დაგვიბარეს. მინდია უგრეხელიძე დაგვემგზავრა. სტრასბურგში მიდიოდა, წევრად უნდა აერჩიათ. ფრანკფურტის აეროპორტში სააკაშვილს შევხვდით. მოვიდა ჩვენთან. ხელზე ტანსაცმელი ჰქონდა გადაკიდებული და, გამარჯობა, როგორ ბრძანდებითო, – მომესალმა. წადი შენი-მეთქი... და პანღური ამოვარტყი. ხელს როგორ მიწვდი, შე გარეწარო-მეთქი. ეს ტანსაცმელი ხელიდან გაუვარდა და მერე აკრიფა, მიათრევდა და გაიქცა. ხმა არ ამოუღია საერთოდ, ისე გაიქცა.

**– გული მოიოხეთ?**

– არა, როგორ მოვიოხებდი, სანამ გემოზე არ ვცემდი მაგას?!

**– ვენეციის კომისიაში რა მოხდა?**

– ჯანი ბუკიკიო, რომელიც ახლა კომისიის პრეზიდენტია, მაშინ მდივანი იყო, მან გაიტანა ჩვენი საკითხი. ვენეციის კომისიის მუდმივ საპატიო წევრებად აგვირჩიეს, ვინაიდან ხელისუფლების ასეთ ზეწოლას გავუძელით. ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მიშამ ვერ დამიჭირა. ერთი ასეთი შემთხვევაც იყო: ბათუმში სემინარს ვატარებდი, მსოფლიოს სასამართლოს თავმჯდომარეები მყავდა მიწვეული. ეს რომ მიშამ გაიგო, ჩამოვარდა ქოშინით, ბორბლებიანი სკამი მოაგორა და ჩემსა და ამერიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შორის მოინდომა ჩაჯდომა. მოვატრიალე სკამიანად მიშა, გავასრიალე და მივაძახე, – წადი და დაჯექი ჟურნალისტებთან, შენი ადგილი აქ არ არის-მეთქი. ამაზე ატყდა ერთი ამბავი. მეორე დღეს მაინც მოვიდა. იმ დღეს მე ვიყავი მომხსენებელი, სააკაშვილი დილით „ალიონში“ გამოსულა ჩვენი – ჩემი, ზაურის და ლამარას ქებას მოჰყოლია, – აი, ვინ უნდა მიიწვიონ საზღვარგარეთ ექსპერტებადო.

**– ფიტულების ისტორიიდან დიდი დრო იყო გასული?**

– არა, სწრაფადვე მოხდა ეს ყველაფერი.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რისთვის ჰყავდა დაჭერილი ირა

# EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

**რამდენიმე დღის წინ, სწორედ მაშინ, როდესაც საზოგადოება გიგი უგულავას აღმკვეთ ღონისძიებაზე მოსამართლის გადაწყვეტილებას ელოდა, „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე, ადგილობრივ არჩევნებში ფოთის მერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან", ყოფილმა მერმა დავით ქანთარიამ საკმაოდ ემოციური სტატუსი გამოაქვეყნა:**

„მე არ მინდოდა ამ სურათის გამოქვეყნება, მაგრამ უგულავებო, მერაბიშვილებო და ნაძირალა ახალაიებო თქვენმა არაკაცურმა საქციელმა 10-წლიანმა უმუშევრობამ, თქვენ მიერ ორჯერ დაჭერამ მიმიყვანა ამ მდგომარეობამდე და ახლა როდესაც თქვენ გიჭერენ, ნუ კრუსუნებთ. კარგად გაიხსენეთ ის ადამიანები, ვინც წლობით გამოამწყვდიეთ ციხის ჯურღმულებში. თქვენზე ნაკლები ოჯახი და შვილები არავის ჰყავს, იცოდეთ.

მე კი მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, ვინც შეწუხდა და ამ დღეებში ინგოროყვას კლინიკაში მინახულა, ვინც დარეკა. სხვათა შორის, სამივე ოპონენტს, ფოთის მერობის არჩევნებში, გულწრფელი თანაგრძნობისთვის.

გადავრჩით, ცხოვრება გრძელდება!!!!!!"

როგორც „პრაიმტაიმმა" გაარკვია, დათო ქანთარიას დიაგნოზი ინსულტია. ამ სტატუსის შემდეგ, ცხადია, გადავწყვიტეთ, ჩვენი მკითხველისთვის მისი ისტორია შეგვეთავაზებინა.

**დავით ქანთარია:**

– როცა რევოლუცია მოხდა, მაშინ ფოთის მერი ვიყავი. მანამდე 9 წელი – წალენჯიხის გამგებელი.

სანამ ნაციონალები ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, წინა დღეებში ფოთში სამი ათასკაციანი მიტინგი ჩავატარე და ვთქვი, რომ ესენი – სააკაშვილი და ჟვანია მანამდე კი იყვნენ ჩემი მეგობრები, მაგრამ ამ მეთოდით შევარდნაძის გადაგდება არ შეიძლებოდა. ეს არ მაპატიეს. როლანდ ახალაია, ეს კორუმპირებულმა მექრთამე, რომელიც ძალიან დიდ ფულს სძალავდა თავის თანამშრომლებსა და საგამოძიებო სამსახურებს, ამის გამო მას ადრე კარებიც კი აუჭედეს, ჩემთან მოდიოდა ხოლმე და დახმარებას ითხოვდა. მერე ის სააკაშვილს მიეტმასნა და გმირად მოგვევლინა, სპეტაკ კაცად. იმ დროს მე „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე გახლდით სამეგრელოს რეგიონში.

**– როლანდ ახალაია შევარდნაძის დროსაც პროკურორი იყო ზუგდიდში?**

– კი, იყო. როლანდ ახალაია ქრთამის გამო გაათავისუფლეს და კარი აუჭედეს. ეს არის წყალწაღებული ნაძირალა. გაბოროტებულმა, როცა ოლქის პროკურორი გახდა, ნახევარი სამეგრელო დაიჭირა. მე ორჯერ დამიჭირა. ორჯერვე პოლიტიკურზე. არანაირი საფუძველი, მას არ ჰქონდა. ახლა, როდესაც კენჭს ვიყრიდი ფოთის მერად, სადაც ერთი ნათესავიც კი არ მყავს, 2500 ხმა ავიღე. მე იმ ქალაქში არაფერი გამაჩნია. როლანდ ახალაიამ კი უზარმაზარი შენობა შეიძინა და დღეს მისი გაყიდვა უწევს.

**– რა შენობაა ეს?**

– ფოთის მერიის დაკონსერვებული შენობა. სხვათა შორის, ამ შენობის უკანონოდ შესყიდვა და გარემონტება მის სისხლის სამართლის საქმეში ერთ-ერთი ეპიზოდია. უზარმაზარი ფართის შენობაა. დაახლოებით 1500 კვადრატული მეტრი.

**– ახლა ვინ ყიდის ამ შენობას?**

– კი, ახლა აწერია, რომ იყიდება. მას კიდევ სხვა უამრავი უამრავი ეპიზოდი აქვს და დღემდე არ არის დაჭერილი.

**– თუმცა გაჟღერდა მხოლოდ ერთი.**

– სინამდვილეში 10 ეპიზოდია როლანდ ახალაიას საქმეში და ის მაინც თავისუფლად დადის. ეს ინფორმაცია პროკურორებისგან მაქვს. მე ახლა ვერ დავასახელებ მათ ვინაობას. როცა როლანდ ახალაიას დაიჭერენ, კიდევ უამრავი საქმე დაემატება ამ ყველაფერს.

**– როდის დაიწყო პირველი შეტევა თქვენზე?**

– როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, დაახლოებით 10 თვეში დამიჭირეს.

**– თუ არ ვცდები, მილიონზე მეტი თანხის გაფლანგვას გედავებოდნენ...**

– ეს თანხა, სესხის სახით, ჩემს წინამორბედებს ჰქონდათ აღებული „საქართველოს ბანკიდან", პედაგოგების ხელფასების დასაფარად. მე მედავებოდნენ, რატომ არ დაფარეო. მე მერი ვიყავი 1 წლისა და 7 თვის განმავლობაში. გამოდის, რომ ყველაფერი უნდა გამეჩერებინა, ქალაქში ხელფასები არ უნდა დარიგებულიყო და ყველა თანხა ბანკისკენ უნდა მიმემართა. არანაირი ინფრასტრუქტურული პროექტი არ უნდა განხორციელებულიყო და ისევ ჭაობში უნდა გვეცხოვრა. მე ხალხს ვახსოვარ გაკეთებული საქმეებით. ჩემს საქმეს პროკურორი ლევან ხუხუა კურირებდა. ფოთში მას უზარმაზარი ბინა აქვს შეძენილი. ხელისუფლების ცვლის შემდეგ თხასავით დაიმალა. ასეთი ადამიანები ჰყავდა ახალაიას გარშემო. მთელი სისტემა ააგო ჩამშვები ადამიანებით, რომლებსაც ენები მიჰქონდათ და აჭერინებდა ხალხს.

**– როგორ მოხდა თქვენი აყვანა პირველად ამ ბრალდებით?**

– მოტყუებით დამიბარეს ზუგდიდის პროკურატურაში, თითქოს მოწმის სახით დასაკითხად. გამაჩერეს და იქვე დამაკავეს.

**– როგორ დაიხსენით თავი?**

– 2 თვე ვიყავი ციხეში. მითვლიდნენ, მემუქრებოდნენ, გვაშანტაჟებდნენ. თურმე რაღაც თანხა უნდა გადამეხადა ჯარიმის სახით, თორემ მომისჯიდნენ ბევრ წელს და სიცოცხლეს დავამთავრებდი ციხეში. მე დავუწერე მაშინ განცხადება როლანდ ახალაიას, რომ ჩემი ნათესავები და მეგობრები გადაიხდიდნენ ფულს ჩემი თავისუფლების სანაცვლოდ და როლანდ ახალაიამ ამაზე ხელი მოაწერა. მერე, როცა ტექსტი ნახა, კედელს ურტყამდა თავს. არის ორი კაცი, ყოფილი პარლამენტარები, ახლა არ მინდა დავასახელო, რომელთაც შეჰპირდა, რომ მთელ ცხოვრებას გამატარებინებდა ციხეში. შემდეგ უკვე ვილაცები ჩაერივნენ და მაინც გამომიშვეს.

**– ანუ საპროცესო შეთანხმება შედგა... რამდენი გადაიხადეთ?**

– 100 000 ლარი...

**– მეორედ რისთვის დაგიჭირეს?**

– მეორედ სამი წლის შემდეგ დამიჭირეს. მაშინ ირაკლი ოქრუაშვილმა მთხოვა, მისი პარტიული გუნდი შემეკრიბა სამეგრელოში და კოორდინატორის ფუნქციები შემეთავსებინა. მე არ ვიყავი პარტიის წევრი. უბრალოდ მთხოვა, რომ ჯგუფები ჩამომეყალიბებინა. მათ შორის ფოთშიც. ეს გავაკეთე ყველა რაიონში. მაშინ „ნაცმოძრაობა" ზენიტში იყო უკვე. ეს იყო ურთულესი საქმე. დაახლოებით 300-კაციანი ჯგუფი მე უკვე მყავდა სამეგრელოში პარტიული ჯგუფების სახით, გარდა მარტვილისა. მარტვილში ვერ მოვასწარი. ეს ყველაფერი გავაკეთე თვე-ნახევარში. ვატყობდი, რომ დამდევდნენ და ჩემს ბინასთან 2-3 მანქანა პატრულირებდა. ჩემს მეუღლეს, ოჯახის სხვა წევრებს უსმენდნენ.

**– რა იცით?**

– როცა დამიჭირეს, სატელეფონო ჩანაწერები დაუდეს ჩემს მეუღლეს. უთხრეს, ირაკლი ოქრუაშვილთან კავშირის გამო დავაკავეთ თქვენი ქმარი, არ ისვენებსო. რაკი ფოთის საქმე ერთხელ უკვე წამოწიეს, ახლა რამე უნდოდათ მოეძებნათ წალენჯიხაში ჩემი გამგებლობის პერიოდიდან, მაგრამ ვერაფერი ნახეს ხელმოსაჭიდი



**„ჩვენ არ გვყავდა ოჯახები? ციხეებში ამოალპეს ამდენი ხალხი და თვითონ არ უნდათ დაჯდომა"**

**„უგულავებო, მერაბიშვილებო და ნაძირალა ახალაიებო, თქვენმა არაკაცურმა საქციელმა მიმიყვანა აქამდე!"**



**„როცა დამიჭირეს, სატელეფონო ჩანაწერები დაუდეს ჩემს მეუღლეს. უთხრეს, ირაკლი ოქრუაშვილთან კავშირის გამო დავაკავეთ თქვენი ქმარი, არ ისვენებსო"**

**„ვატყობდი, რომ დამდევდნენ და ჩემს ბინასთან 2-3 მანქანა პატრულირებდა. ჩემს მეუღლეს, ოჯახის სხვა წევრებს უსმენდნენ"**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კლი ოქრუაშვილს დათა ახალაია?



## რას უამბობს „პრაიმტაიმს“ ყოფილი მერი, რომელიც ორჯერ დაიჭირეს

და ისევ ფოთში დაბრუნდნენ. დამაბრალეს ფულის გაფლანგვა ქუჩის მოხრეშვიდან. ეს მოხდა 2001 წელს, როცა მე მერად 2002-ში დავინიშნე. ეს ბომბად დევს მაგათ საქმეში, მაგრამ დღევანდელმა პროკურატურამაც, როცა მე სარჩელი შევიტანე ხელახალ გამოძიებაზე, უკან დამიბრუნა ეგ საქმე, იმიტომ, რომ თურმე განაჩენი უკვე დამდგარი ყოფილა.

**– ეს ახალი გარემოება არ იყო?**

– ამის გარდა, კიდევ უამრავი ახალი გარემოება იყო. როლანდ ახალაიამ თვითონ დაკითხა რამდენიმე ადამიანი ზეწოლით. 360 ქალი მიიყვანეს... ვინც ჩვენება მისცა, იარაღის კონდახები ურტყეს და ისე ჩაწერეს. ასე ძალით აწერინებდნენ ტყუილ ჩვენებებს. ეს ყველაფერი მივიტანე პროკურატურაში და უკან გამომაგდეს, პარლამენტი შექმნის კომისიას და ის განიხილავსო. ეს კომისია კი არ ჩანს.

**– ე.ი. მეორედ ოქრუაშვილს შეეწირეთ...**

– ერთ თვეში ოქრუაშვილიც დაიჭირეს. ჩემი დაჭერით მას ნიშანი მისცეს. რომ არ გაჩერდა და ბოლომდე მიაწვა, მერე ისიც დაიჭირეს. მასზე ესენი ბოლომდე იყვნენ აჭრილები. ირაკლი ოქრუაშვილს დაჭერილი ჰყავდა დათა ახალაია, მაშინ, როდესაც ის მაროდიორობას სჩადიოდა ბათუმში, რამდენიმე დღით ჰყავდა დაკავებული. ზუსტად ამიტომ გადამეკიდნენ მამაც და შვილებიც ხელმეორედ. თურმე როლანდ ახალაია ყვიროდა და ღრიალებდა პროკურატურაში. სხვათა შორის, პროკურორს არ უნდა ხელმეორედ ჩემი დაჭერა, მაგრამ არამზადა კაცმა თავისი გაიტანა, პირადად შეხვდა პრეზიდენტ სააკაშვილს ამის თაობაზე.

**– ოფიციალურად რა ბრალი წაგიყენეს?**

– მანდ იყო რამდენიმე ეპიზოდი: ერთი იყო, რომ აეროპორტის მუშებს ჩავურიცხე ხელფასი თურმე არამიზნობრივად. ეს რომ არ გამეკეთებინა, მაშინ პრეზიდენტი ჰაერში იყო და გაფიცული მუშები რომ არ დამეკმაყოფილებინა, თვითმფრინავი ვერ დაჯდებოდა აეროპორტში. მეორე ეპიზოდი იყო ის, რომ კორტეჟს საწვავის დასუფთავების სამსახურმა ჩაუსხაო. უამრავი სტუმარი ჩამოდიოდა ფოთში და ეს ხარჯები არამიზნობრივად იყო გაწეულიო. ასეთ რაღაც აბსურდულ ბრალდებებს მიყენებდნენ. მერე კიდევ ჭავჭავაძის ქუჩის მოხრეშვა, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ, როცა ჩემი დანიშვნის თარიღი ვერ გაითვალისწინეს. ვუთხარი ეს ეპიზოდი მაინც ამოეღოთ, მათთვისვე იყო ცუდი. მაგრამ – არა, მათ ხომ არაფერზე ბოდიშის მოხდა არ უნდოდათ და ყველაფერში მართლები იყვნენ?! ამ ჩემი „ფეისბუკის“ სტატუსით არ მინდა დატკბეს ახალაია, მაგრამ როდესაც ხედავ, უგულავას მეუღლე და სხვები როგორ გამოდიან გაოცებული სახეებით, ჩვენ არ გვყავდა ოჯახები? ციხეებში ამოალპეს ამდენი ხალხი და თვითონ არ უნდათ დაჯდომა. ამათ სექტა აქვთ შექმნილი და ერთმანეთს უჭერენ მხარს, თორემ ეზიზღება და სძულს მთელ საქართველოს ეს ადამიანები. ამათ დაავიწყდათ ის 9 წელიწადი, რის გამოც ასეთ ყოფაში ვართ დღეს. ესენი გვიჭერდნენ არაფრის გამო, იმიტომ რომ მათზე მეტი ავტორიტეტი გვქონდა და დღესაც გვაქვს. ციხეში ვიჯექი და იქიდან მქონდა ახალაიაზე მეტი ავტორიტეტი. სააკაშვილს ჩემი გაკეთებული საქმეები ახსოვს წალენჯიხაში და რეკავდა ხოლმე, ეს როგორ გააკეთეო. აღტაცებული იყო ჩემი გაკეთებული საქმეებით, სპორტდარბაზებით. მაშინ, 1994 წელს, როდესაც ბიუჯეტი არ არსებობდა ქვეყანაში, მე არაფრისგან ვაკეთებდი და ვქმნიდი რაღაცებს. 39 წლის ასაკში დავჯექი სახლში და დღემდე სახლში ვზივარ. არც „ოცნებამ“ გამოიყენა ჩვენი პოტენციალი.

**– თუმცა თქვენზე ძვირის მთქმელიც ბევრი იყო...**

– ძვირის მთქმელს რა დალევს. არასამართლიანად ძვირის მთქმელზე მაქვს საუბარი. ეგენიც მიხვდნენ, სხვათა შორის, რომ არასამართლიანად მაკრიტიკებდნენ. თუმცა, თქვენ რას გულისხმობთ?

**– თუნდაც 1998 წლის ინციდენტს, როდესაც უდანაშაულო მესაფლავე თქვენს თვალწინ წამებით მოკლეს წალენჯიხაში იმის გამო, თითქოს მან მიცვალებული ამოთხარა და ცალი ფეხსაცმელი მოჰპარა...**

– როცა შემთხვევის ადგილზე ავედი, ის კაცი უკვე მოკლული ჰყავდათ. მაგრამ მაინც ჩემზე გადმოანთხიეს ყველა სიბინძურე. ამ საქმეში ყველამ აგო პასუხი, ზოგმა სამართლისა და ზოგმა ღმერთის წინაშე. დაუსჯელი არავინ დარჩენილა. იქ ჩემი რამე ბრალი რომ ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, როლანდ ახალაია ამას ხელიდან გაუშვებდა?

**– თქვენს ოჯახზე, თქვენი დაკავებების პერიოდში იყო ზეწოლა?**

– როგორ არ იყო... მთელი 2 თვე მანქანები ეყენათ და ჩემი ბავშვები პატარები იყვნენ მაშინ. მეუღლე ტერორში ჰყავდათ. ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, ასე და ასე მოიქეციო. იმას არ ესაუბრო, ამისგან ზარი არ მიიღო. პირველ დაჭერაზე არ იყო ასეთი ტერორი.

**– რამდენ ხანს მოგიწიათ მეორეჯერ ციხეში ყოფნა?**

– ციხეში მე დიაბეტი დამემართა. 11 თვე ვიჯექი. „რეზბალნიცაზე“ ვიყავი. იმას ვერ ვიტყვი, რომ ციხეში მჩაგრავდნენ, ვერ გვიბედავდნენ მაინც, და იყვნენ იქ ადამიანები, რომლებიც გვიცავდნენ და ტელევიზიით რომ გამოვედი, დავასახელე ეს ხალხი.

**– მეორედაც საპროცესო შეთანხმებით გამოხვედით?**

– მეორედაც ჯარიმაზე იყო საუბარი და უამრავი ხალხი ჩაერია. საპარლამენტო კომისია შეიქმნა, ისინი არ აღიარებდნენ, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებმა პოლიტპატიმრად ჩამთვალეს. თვითონ ამერიკის ელჩმა და პატრიარქმა ითხოვეს ჩემი განთავისუფლება.

**– ამ შემთხვევაში ჯარიმის სახით რამდენი გადაგახდევინეს?**

– 5000 ლარი...

**– დღეს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა შერყეულია. როგორც ჩანს, ამას თქვენ ყოფილი ხელისუფლებისგან ტერორს უკავშირებთ...**

– აბა, რა?.. აბა, კარგი და გალაღებული ცხოვრების გამო დამემართა ეს ყველაფერი? ეს ყველაფერი მოხდა 9-წლიანი სტრესების, დაჭერების, უმუშევრობის და ყველა ამ უბედურების გამო.

როლანდ ახალაიამ ნახევარი სამეგრელო ციხეებში გამოკეტა. არც ერთ რეგიონში ამდენი კაცი არ არის დაჭერილი, რამდენიც სამეგრელოშია. პროცენტულად თბილისის მერე ყველაზე მეტი დაიჭირეს სამეგრელოში. ყველა მერი ჰყავთ დაჭერილი, წალენჯიხის გამგებელი, ხობის გამგებელი. სოსო ჭანტურია აბაშის გამგებელი ციხეში მოკვდა. ინსულტი მიიღო, დროზე არ მიუშვეს ექიმები და გარდაიცვალა. რა გადაიტანა ამ ქვეყანამ და დღეს გამოდიან ჭკვიანი სახეებით ამათი ოჯახის წევრები და ეს როგორ მოხდაო, – კითხულობენ. მათ ასეთი წესი ჰქონდათ, როცა რომელიმე პატიმარს ვადა უმთავრდებოდა, უმატებდნენ სასჯელს. სოსო ჭანტურიასაც ასე დამართეს. დაუმატეს თვითონ ციხეშივე წლები. ხობის გამგებლის დედა გარდაიცვალა. ბიზნესმენი კახა ლატარია დაიჭირეს და მამამისი გარდაიცვალა. სხვათა შორის, კახას ცოლმა ახალაიას ფული პირად ანგარიშზე ჩაურიცხა. საპროცესო შეთანხმების ფულებს აგზავნინებდა და უამრავი ეპიზოდია მაგაზე. „ოცნებას“ აქამდე რომ დაეჭირა ეს ხალხი, დღეს უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდით და ამ ორ წელიწადში უკვე დალაგებული იქნებოდა ქვეყანა.



## რატომ ყიდის სამსართულიან შენობას როლანდ ახალაია?

**„ამათ სექტა აქვთ შექმნილი და ერთმანეთს უჭერენ მხარს, თორემ ეზიზღება და სძულს მთელ საქართველოს ეს ადამიანები“**



**„ირაკლი ოქრუაშვილს დაჭერილი ჰყავდა დათა ახალაია, მაშინ, როდესაც ის მაროდიორობას სჩადიოდა ბათუმში, რამდენიმე დღით ჰყავდა დაკავებული. ზუსტად ამიტომ გადამეკიდნენ მამაც და შვილებიც ხელმეორედ“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აქლემი „ჩინი“, თხები და სოცია



## „სიკეთე გამოვიჩინეთ და ცოტახნით შემოვუშვით. ახლა აღარ მიდის. ეს აქლემი იკბინება. უკვე მესამეს უკბინა“

# რა ხდება დედაქალაქის შუაგულში?

სალომე გოგოხია

**გასულ კვირას იპოდრომის ტერიტორიაზე მყოფ შუახნის მამაკაცს თავს აქლემი დაესხა. დაზარალებულ ჯუმბერ გოგიტიძეს ადგილზე აღმოუჩინეს დახმარება, ხოლო აქლემის პატრონს, შვეიცარიის მოქალაქეს გორან ჯითაოჰანს ადმინისტრაციული ჯარიმა - 1 300 ლარი დააკისრეს. ალბათ, გორანის და მისი აქლემის ცხოვრება ჩვეულებრივ რიტმში გაგრძელდებოდა, რომ არა გახმაურებული უსიამოვნო ინციდენტი. ახლა მათით არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ უცხოური მედიაც დაინტერესდა.**

„პრაიმტაიმი“ კი გორანის და მისი აქლემის გარდა იმითაც დაინტერესდა, რა პროცედურებს გადის საზღვარზე შემოყვანილი ცხოველი, ხორციელდება თუ არა ვეტერინარული კონტროლი, განსაზღვრულია თუ არა ქვეყანაში მისი დარჩენის ვადები და სად უნდა განთავსდეს ეგზოტიკური ცხოველი.

ერთი შეხედვით მარტივ შეკითხვებზე პასუხის მიღება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. სასაზღვრო პოლიციიდან ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში გადაგვამისამართეს, მათ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. თუმცა, კონკრეტული პასუხები ვერც ერთ უწყებაში ვერ მივიღეთ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ აქლემს საბუთები წესრიგში არ აქვს. მიუხედავად ამისა, მასზე ვეტერინარულ კონტროლს ვერ ახორციელებენ, რადგან საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს (?).

„ეს აქლემი ორი წელიწადია, რაც საქართველოშია. მის პატრონს რუსეთში გასვლა უნდოდა, მაგრამ რუსებს გარკვეული მოთხოვნები ჰქონდათ, აქლემისთვის გამოკვლევები უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ პატრონმა არაფერი გააკეთა. ამიტომ, საზღვარზე არ გაუშვეს, უკან დააბრუნეს. შემდეგ ჩავუტარეთ გარკვეული პროცედურები, სისხლის ანალიზიც ავუღეთ, საბუთები გავუმზადეთ, მაგრამ აღარ წავიდა. შარშან ოქტომბერში უნდა წასულიყო, მაგრამ დარჩა. ახლა თბილისში ცხოვრობს. აქლემს ევროკავშირის სერტიფიკატი ჰქონდა, მაგრამ მის საბუთებს ვადა გაუვიდა. მის პატრონს აქლემის საკუთრების მოწმობაც არ აქვს. ჩვენთან საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს, რომ ასეთი ცხოველები შევინახოთ. როგორც მოგზაური ისე შემოვიდა და დარჩა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აქლემის მეპატრონე აზერბაიჯანში გადასვლას აპირებს. უნდა გავიგოთ აზერბაიჯანულ მხარეს რა მოთხოვნები აქვს. თუ აქ დარჩება, მაშინ იმ უბანში, სადაც ცხოვრობს, აღრიცხვაზე უნდა დააყენოს, მაგრამ აქლემს სად შეინახავს? მაშინ ზოოპარკში უნდა მიიყვანოს, მაგრამ სპეციალური შემოწმების გარეშე ვერ მიიღებენ“. - განუცხადა „პრაიმტაიმს“ ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსმა დემნა ხელაიამ.

**„ჩვენთან საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს, რომ ასეთი ცხოველები შევინახოთ. როგორც მოგზაური ისე შემოვიდა და დარჩა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აქლემის მეპატრონე აზერბაიჯანში გადასვლას აპირებს“**

შემოსავლების სამსახურის პრესცენტრში მხოლოდ ის გვითხრეს, რომ საზღვარზე შემოსვლისას ცხოველს შესაბამისი სერტიფიკატი უნდა ჰქონდეს, ხოლო საბაჟოზე ტვირთის სახით პატრონი თანხას გადაიხდის. სულ ეს არის.

ალბათ, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შეიძლება ხდებოდეს მსგავსი ინციდენტი, როცა უცხო ქვეყნიდან შემოსული ცხოველი, რომელსაც საბუთები არ გააჩნია, თბილისის შუაგულში ცხოვრობდეს. ტერიტორიაზე, სადაც მცირეწლოვან ბავშვებს დაასეირნებენ, თავისუფლად გადაადგილდებოდეს. განსაკუთრებით ზაფხულში, როცა ინფექციების და ვირუსების გავრცელების მაღალი რისკი არსებობს. გამორიცხული არ არის, რომ აქლემი, რომელსაც ვეტერინარული შემოწმება არ უტარდება, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში დაავადების მატარებელი იყოს. ტერიტორიაზე არსებულმა დაცვის სამსახურმა „პრაიმტაიმს“ განუცხადა, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა აქლემი გამვლელს თავს დაესხა.

**„ჩემი აქლემი დედალია, „ჩინი“ ჰქვია. სამი წლის წინ „ბოიფრენდი“ მოუკვდა. ახლა მოწყენილია, კაცი, მეგობარი სჭირდება. თან ხომ უნდა გამრავლდეს? არავის ერჩის. თავისთვის წყნარად არის. ხანდახან ბოროტი ადამიანები ქვებს, ბოთლებს უშენენ. ამ დროს, რა თქმა უნდა, აგრესიული ხდება“**

### აქლემი და კაცი

იპოდრომის ყოფილ ტერიტორიაზე (ვაკე-საბურთალოს გზაზე) გორანი აქლემ „ჩინისთან“, 5 თხასთან, ქათმებთან და ძაღლებთან ერთად თითქმის ერთი წელია ცხოვრობს. ტერიტორია შპს „ინვესტ კაპიტალს“ ეკუთვნის, რომელიც „ქართუ ჯგუფის“ მფლობელობაშია. ჯერჯერობით, კერძო საკუთრებაში მოსახლეობას თავისუფლად გადაადგილების უფლება აქვს. შესასვლელში დაცვის სამსახური დგას. დაცვის სამსახურმა ტერიტორიაზე გორანს, მისი ცხოველებითურთ, ცხოვრების უფლება დართო.

გორანი, როგორც თავად ამბობს ბოშაა. იპოდრომზე ბინა მან შარშან, ოქტომბერში დაიდო. დაცვის სამსახურისთვის უთქვამს, საბუთებს მოვაწესრიგებ და ორ თვეში საქართველოს დავტოვებო. თუმცა, წელი მიიწურა, იპოდრომის მობინადრე იქაურობის დატოვებას ჯერ არ ფიქრობს.

გასულ კვირას აქლემი „ჩინი“ თბილისელ გოდერძი ტაბატაძეს თავს დაესხა და უკბინა. ხანშიშესული მამაკაცი შვილიშვილთან ერთად ფანასკერტელის მხრიდან შემოსულა. თუმცა, სეირნობა აქლემთან მომხდარმა ინციდენტმა შეაწყვეტინათ. „პრაიმტაიმთან“ საუბარში დაზარალებულმა მომხდარზე საუბარი არ ისურვა და აღნიშნა, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და უმნიშვნელო დაზიანება მიიღო.

„მადლობა, კარგად ვარ. თავს არ დამსხმია. პატარა რაღაც იყო. შვილიშვილთან ერთად ვსეირნობდი. 6 მეტრის მანძილზე მივუახლოვდით და ჩემსკენ წამოვიდა. ბავშვი გაიქცა. მოვიდა, გამეხახუნა. ისეთი არაფერი. ინციდენტი ამოწურულია“, - გვითხრა ტაბატაძემ.

როგორც დაცვის სამსახურის უფროსმა ვანო აფციაურმა გვითხრა, პირველი შემთხვევა არ არის, როცა აქლემმა ტერიტორიაზე მყოფი დაკბინა. იპოდრომზე მყოფებმაც გვიამბეს, რომ სეირნობისას იმ მხარეს სადაც აქლემია არც იხედებიან.

„ჯერ ერთი საშინელი სუნი დგას, რომ იტყვიან იქაურობა ყარს. თანაც, რომელი ერთია დაცული? ამხელა აქლემი რომ გამოგეკიდება, სად უნდა გაიქცე? იმის გარანტია, რომ იმ დროს მისი პატრონი იქ იქნება და აქლემს დააოკებს, არ არსებობს. თანაც, იმ კაცს იმხელა ძაღლები ჰყავს, რომ აქლემს რომ თავი გავანებოთ, მარტო მაგათი შეგეშინდება. არადა, რა უნდა თბილისში აქლემს? მისი ადგილი ზოოპარკშია და არა აქ, სადაც პატარა ბავშვებს ვასეირნებთ. იმდენი ჟურნალისტი მოვიდა, მალე ის კაცი ბიზნესსაც დაატრიალებს. თან, ზოოპარკში აქლემი აღარ ჰყავთ და ალბათ, მეორე ზოოპარკი იპოდრომზე გაიხსნება. ისე, უფასო კი იქნება, რა გვიჭირს თბილისელებს“, - ხუმრობანარევი ტონით შემოგვჩივლეს რესპონდენტებმა.



# ბოშა გორანის აქლემმა უკვე სამი ადამიანი დაკბინა

გორანთან იმ დროს მივედით, როცა ის აქლემს აჭმევდა. იქვე ბალახობდნენ მისი თხებიც. ჩვენს დანახვაზე რამდენიმე ძაღლი აიჯაგრა და ჩვენსკენ გამოემართა. თუმცა, გორანის შეძახილზე შეჩერდნენ.

გორანი ცხოველებთან ერთად იპოდრომის ტერიტორიაზე არსებულ მიტოვებულ შენობაში ცხოვრობს. შესასვლელთან თივის ზვინს მოვკარით თვალი, რომელზეც ქათმებს დაუდიათ ბინა. ღამით პატრონს ცხოველებთან ერთად სძინავს.

ჩვენი რესპონდენტი ამბობს, რომ მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. 25 წელია, რაც მოგზაურობს და ამასობაში 39 ქვეყანა შემოიარა.

„მე ბოშა ვარ. ვიცი ინგლისური, თურქული, იტალიური, ფრანგული ენები. ცოტ-ცოტას ქართულადაც ვახერხებ. ჩემი აქლემი დედალია, „ჩინი“ ჰქვია. სამი წლის წინ „ბოიფრენდი“ მოუკვდა. ახლა მოწყენილია, კაცი, მეგობარი სჭირდება. თან ხომ უნდა გამრავლდეს? არავის ერჩის. თავისთვის წყნარად არის. ხანდახან ბოროტი ადამიანები ქვებს, ბოთლებს უშენენ. ამ დროს, რა თქმა უნდა, აგრესიული ხდება. არ ვიცი აქლემს ასე რად ექცევიან. ის ხომ უწყინარია? საქართველოში თურქეთიდან შემოვედი. იქ 7 წელი ვიცხოვრე. მე მაქვს პროექტი, რომლის განხორციელებაც თქვენს ქვეყანაში მინდა. ქარვასლა მინდა გავაკეთო, სადაც ტურისტები შეძლებენ დასვენებას, გართობას. ძალიან საინტერესო იქნება“.

**- საქართველოში როგორ შემოხვედით?**

- თურქეთიდან. აქლემი სპეციალურ ვაგონში მოვათავსე და საზღვარზე ისე გადმოვიყვანე. ჯერ ყაზბეგში ვცხოვრობდი. ვლადიკავკაზიდან რუსეთში უნდა გადავსულიყავი, მაგრამ რუსებმა არ გადამიშვეს. მინდოდა ჩემი ჩინისთვის მამალი აქლემი მეყიდა. შემდეგ თბილისში ჩამოვედი. ახლა აქ ვცხოვრობ.

**- ოჯახი გყავთ?**

- კი, ჩემი ორი შვილი საფრანგეთში ცხოვრობს.

**- აქ როგორ ცხოვრობთ? შუქი, საცხოვრებელი პირობები არ გაქვთ...**

- ეგ წვრილმანია, არაფერი. მე ჩემი მიზანი მაქვს. აქ მეგობრები მაკითხავენ, ჩემი ძაღლებისთვის საჭმელიც მოაქვთ. მე ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. დილით რომ ავდგები, ღმერთს მადლობას ვეუბნები ახალი დღისთვის. ყოველი დღე ერთიმეორეზე უკეთესია.

ჩვენი იქ ყოფნისას გორანს მეგობრები მართლაც ესტუმრნენ. ახალგაზრდა ფრანგმა მამაკაცებმა გორანს ხილი, ხოლო მის ძაღლებს საჭმლის ნარჩენები მოუტანეს. ხის მორზე ჩამოსხდნენ და საუბარი გააბეს. გორანს დავემშვიდობეთ და იპოდრომის დაცვის სამსახურისკენ წავედით.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში დაცვის სამსახურის უფროსმა ვანო აფციაურმა განაცხადა, რომ მათ კეთილი ნება გამოიჩინეს და გორანს, ცხოველებითურთ, მათ ტერიტორიაზე დროებით ცხოვრების ნება დართეს. თუმცა, მომთაბარე ამ ტერიტორიაზე დაპირებულზე დროზე მეტ ხანს შემორჩა. აფციაური ვარაუდობს, რომ მას აქაურობას მალე დაატოვებინებენ, რადგან აქლემი გამვლელებს ერჩის.

„შარშან, 9 ოქტომბერს მოვიდა ჩვენთან. მთხოვა, ცოტა ხანს გავჩერდები, მერე წავალო. მანამდე ყაზბეგში, გზის პირას ცხოვრობდა. როცა აცივდა, წამოვიდა. საბუთები წესრიგში არ ჰქონდა, ამიტომ რუსეთში არ შეუშვეს. სიკეთე გამოვიჩინეთ და ცოტახნით შემოვუშვით. ახლა აღარ მიდის. ეს აქლემი იკბინება. უკვე მესამეს უკბინა. რახან ასე გამწვავდა, მალე აქედან გავუშვებთ“, - გვითხრა აფციაურმა.





საბუთები წესრიგში არც გორანს აქვს. თუმცა, შესაბამისი უწყებიდან გორანისთვის არავის მოუკითხავს.

როგორც „პრაიმტაიმს“ არასამთავრობო ორგანიზაციის „მიგრაციის ცენტრის“ ხელმძღვანელმა გიორგი გოგიშვილმა განუცხადა, ჩვენს ქვეყანაში უცხოელთა მიმართ საიმიგრაციო პოლიტიკა მეტად ლოიალურია. ჯერჯერობით, შესაბამისი სამსახური არ არსებობს, რომელიც ქვეყანაში შემოსულ უცხოელებს, მათ დოკუმენტაციას გააკონტროლებს.

„პრაქტიკულად, შესაბამისი სამსახური, რომელიც უცხოელებს შეამოწმებს, რამდენად წესრიგშია მათი საბუთები, ვიზა, არ არსებობს. მხოლოდ ცალკეული შემთხვევის გამჟღავნებისას ამოწმებენ უცხოელებს. თუ საბუთები წესრიგში არ აქვს, არალეგალია, დეპორტს ურტყამენ. პატრულის ბაზაზე მიგრაციის სამსახური შეიქმნა, მაგრამ ჯერ არ ფუნქციონირებს. ამჟამად, მუშაკების გადამზადება მიდის. შემდეგ დაიწყება არალეგალური ემიგრანტების კონტროლი, რეიდები. ალბათ, სექტემბრისთვის მზად იქნება დროებითი თავშესაფარი, სადაც სადეპორტო ხალხს მოათავსებენ. პირველი სექტემბრიდან ძალაში შევა ახალი კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის



„იპოდრომის ყოფილ ტერიტორიაზე (ვაკე-საბურთალოს გზაზე) გორანი აქლემ „ჩინისთან“, 5 თხასთან, ქათმებთან და ძაღლებთან ერთად თითქმის ერთი წელია ცხოვრობს. ტერიტორია შპს „ინვესტ კაპიტალს“ ეკუთვნის, რომელიც „ქართუ ჯგუფის“ მფლობელობაშია“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლურად დაუცველები იპოდრომზე



„ეს აქლემი ორი წელიწადია, რაც საქართველოშია. მის პატრონს რუსეთში გასვლა უნდოდა, მაგრამ რუსებს გარკვეული მოთხოვნები ჰქონდათ, აქლემისთვის გამოკვლევები უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ პატრონმა არაფერი გააკეთა. ამიტომ, საზღვარზე არ გაუშვეს, უკან დააბრუნეს. შემდეგ ჩავუტარეთ გარკვეული პროცედურები, სისხლის ანალიზიც ავუღეთ, საბუთები გავუმზადეთ, მაგრამ აღარ წავიდა

„მადლობა, კარგად ვარ. თავს არ დამსხმია. პატარა რაღაც იყო. შვილიშვილთან ერთად ვსეირნობდი. 6 მეტრის მანძილზე მივუახლოვდით და ჩემსკენ წამოვიდა. ბავშვი გაიქცა. მოვიდა, გამეხახუნა. ისეთი არაფერი. ინციდენტი ამოწურულია“

## EXCLUSIVE

არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი ინსტიტუტები ამოქმედდება. ფაქტობრივად, ჩვენი კანონმდებლობა უცხოელების მიმართ ლოიალურია. თუმცა, პირველი სექტემბრიდან მიდგომა გამკაცრდება, ისევე როგორც ვიზების მიმართ. ჯერჯერობით, იმ ქვეყნების ნუსხა განსაზღვრული არ არის, ვისაც უვიზო მიმოსვლა ექნება“. - ამბობს გოგიშვილი.

კანონმდებლობის გამკაცრებამდე კი გორანი თავის ცხოველებთან ერთად იპოდრომზე ცხოვრებას მშვიდად აგრძელებს. სავარაუდოდ, გვიან შემოდგომამდე მას არავინ შეაწუხებს. ეჭვი მაქვს, სიმშვიდეს მის აქლემსაც არ დაურღვევენ. მანამდე კი, თბილისელებს საშუალება აქვთ ეგზოტიკური ცხოველის ხილვით დატკბნენ, მით უმეტეს, რომ თბილისის ზოოპარკში აქლემი უკვე რამდენიმე წელია, რაც აღარ ჰყავთ.

ცნობისთვის, ჩინის თბილისის ზოოპარკი არ მიიღებს, რადგან მას წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნია.

„თურქეთიდან. აქლემი სპეციალურ ვაგონში მოვათავსე და საზღვარზე ისე გადმოვიყვანე. ჯერ ყაზბეგში ვცხოვრობდი. ვლადიკავკაზიდან რუსეთში უნდა გადავსულიყავი, მაგრამ რუსებმა არ გადამიშვეს. მინდოდა ჩემი ჩინისთვის მამალი აქლემი მეყიდა. შემდეგ თბილისში ჩამოვედი“

### იპოდრომის ბინადარნი

ცნობისთვის, გორანს ქართველი მეზობლები ჰყავს. იპოდრომის ტერიტორიაზე რამდენიმე წელია, რაც ჯანგულაშვილების ოჯახი ცხოვრობს. ირაკლი ჯანგულაშვილი წლებია, რაც იპოდრომზე მეჯინიბედ მუშაობს. მათთან სტუმრობისას ოჯახში ირაკლის დედა, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაგვხვდა.

ჯანგულაშვილებსაც გაუსაძლის სიტუაციაში უწევთ ცხოვრება. შენობა, სადაც ისინი არიან დაბინავებული, ამორტიზებულია. ოჯახი სოციალურად დაუცველია. როგორც თამარ ჯანგულაშვილმა გვითხრა, ორი თვის წინ, ტერიტორიის დაცვის სამსახურმა ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. დღის შუქზე მათ საცხოვრებელში უკვე ბნელა. ამას ემატება მათ მეზობლად მცხოვრები აქლემის და თხების სპეციფიკური სუნი. ირაკლის უმცროსი შვილი 3 კვირისაა. როგორც ოჯახმა გვითხრა, აუცილებლობის შემთხვევაში გენერატორს რთავენ.

„შვილო, ფეხმძიმე ქალს, რომ დენს გადაუჭრი, გაგონილა? ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. გაზის ბალონზე ვამზადებთ საჭმელს. ჩემი ბიჭი ათი წელია, რაც იპოდრომზე მუშაობს, სადაც არ უნდა იკითხოთ, მის აუგს ვერავინ გეტყვით. 14 წლის ბიჭი თბილისში ჩამოვიდა და ასე გაიკვალა გზა. მუშაობს, ოჯახს არჩენს. იმდენი ფული არ აქვს, რომ თბილისში ბინა იყიდოს. დაგვპირდნენ, იპოდრომზე კორპუსი რომ აშენდება, ბინას იქ მოგცემენო, მაგრამ... დაცვის უფროსმა ვანო აფციაურმა შუქი გამოგვირთო, მაგრამ ის ამას თავისით ვერ გააკეთებდა, ზემოდან უბრძანეს. ძალიან ვწვალობთ“, - გვითხრა თამარ ჯანგულაშვილმა.

ოჯახი სიღნაღის რაიონიდან არის. სოფელში სახლი აქვთ, თუმცა, იქ არ ცხოვრობენ.

„თავის დროზე ჩემმა დედამთილმა ჩემს უფროს ბიჭს ის სახლი დაუმტკიცა. ირაკლიმ, ძმას აღარ შეეეცილებიო და თბილისში წამოვიდა. მარტო ხომ არ დავტოვებდი? მეც გამოვყევი. მესამე გოგო ახმეტაშია გათხოვილი. ჩემი უფროსი ბიჭი უკრაინაში წავიდა, რადგან აქ სამსახური ვერ იშოვა. სახლი დაკეტილია, ხანდახან ჩავდივარ და ვაკითხავ, უპატრონოდ ხომ არ დავტოვებ? მეც ვმუშაობ, ახლოს ყვავილებს ყიდიან და ვეხმარები და დღეში 5-10 ლარს მიხდიან. ასე ვწვალობთ შვილო“, - შემოგვჩივლმა ქალბატონმა თამარმა.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში დაცვის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ჯანგულაშვილების ოჯახი კერძო მფლობელობაში შემოიჭრა და სასამართლოს მეშვეობით, მათ ამ ტერიტორიის დატოვებას აიძულებენ.

„ეს ტერიტორია კერძო საკუთრებაა. შპს „ინვეტს კაპიტალის“ არის, რომელიც „ქართუ ჯგუფს“ ეკუთვნის. ირაკლი ჯანგულაშვილი იპოდრომზე მეჯინიბედ მუშაობს. როცა იპოდრომი ლისის ტბაზე გადავიდა, მთხოვა, ცოტა ხანი მადროვე, სანამ ზევით მოვეწყობიო. მეც ნება დავრთე. აქვე, რესტორანია, დენი იქიდან შემოიყვანეს. მათ სიღნაღში სახლი აქვთ. როცა სიტუაცია გამწვავდა პატრული გამოვიძახეთ და დედამისმა იცით რა მოითხოვა? „ემ კვადრატის“ კორპუსი, რომ შენდება, იქ მომეცით ბინაო. თბილისში ჩაწერა არ აქვთ. მანამდე ეს ქალი „ზაკვოს“ შენობაში ცხოვრობდა. იქიდან როცა დევნილები გაუშვეს, ესეც წამოვიდა და აქ მოვიდა. ცოტახანში წყალსაც გავუთიშავთ. სასამართლოს მივმართავთ და აღმასრულებელი გამოიყვანს“,- აცხადებს აფციაური.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ბევრი ადამიანი ცხოვრობს სიღარიბეში. პრაქტიკულად, სოფლები დაცარიელდა, ყველა თბილისს ეტანება. გასაგებია, დედაქალაქში თავის გატანა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ როცა ოჯახს რაიონში სახლი აქვს, წესით, ისეთი პირობებისთვის, რომელშიც ჯანგულაშვილის ოჯახი ცხოვრობს, ბავშვებს არ უნდა იმეტებდნენ.

„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა ცხოვრებისთვის შეუფერებელი პირობების დროს, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე რა მიდგომით ხელმძღვანელობს სახელმწიფო.

სოციალური მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, რომ რაიონიდან ჩამოსული ოჯახები ბევრია, რომლებიც თბილისში ცუდ პირობებში ცხოვრობენ. სახელმწიფოს კი იმის რესურსი არ აქვს, ყველას გასწვდეს. ვერც რაიონში დაბრუნებას აიძულებენ. ასეთ მშობლებს მშობლის უფლებას ვერ ჩამოართმევენ, რადგან სახელმწიფოსთვის მთავარია ბავშვზე ძალადობა არ ხორციელდებოდეს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდეს.

„სამწუხაროდ, ძალიან ბევრია ისეთი ოჯახი, რომლებსაც რაიონებში სახლ-კარი აქვთ, მაგრამ თბილისში ცხოვრება და სახლის მოძიება უნდათ. გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ და ბავშვებით მანიპულირებენ. სოციალური სააგენტო იმ ბავშვებით, რომლებსაც კანონიერი წარმომადგენლები ჰყავთ, იმ შემთხვევაში დაინტერესდება თუ იქნება მომართვა. თუ ამ ოჯახს რაღაც განსაკუთრებულად უჭირს, უნდა მოგვმართოს. სასურველია, ის ოჯახები, რომლებსაც რაიონებში სახლ-კარი აქვთ, დაბრუნდნენ და ადგილზე შევუწყოთ ხელი. სოციალური სააგენტოს უფლებამოსილებას სცილდება მათთვის საბინაო პრობლემების მოგვარება. ჩვენ მათ დაბრუნებას ვერ ვაიძულებთ. ჩვენთვის მთავარია, დაკმაყოფილებული იყოს ბავშვის საჭიროებები და დაცული იყოს ყველა უფლება: განათლების, ჯანმრთელობის, განვითარების და ა.შ. დღეს საქართველოში სიღარიბეში ძალიან ბევრი ოჯახი ცხოვრობს და ყველა ბავშვს ხომ ვერ გამოვიყვანთ ოჯახიდან? ქვეყნის პოლიტიკაა, რომ ბავშვები მაქსიმალურად შენარჩუნდნენ და გაძლიერდნენ ბიოლოგიურ ოჯახები. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარეც ასეა, აქცენტი კეთდება ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებაზე, რითაც მცირდება ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობაში მოთავსების რისკები“. - განაცხადა მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს უფროსმა ეთერ ცხაკაიამ.

რა ბედი ეწევათ იპოდრომის მობინადრეებს, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ მომავალშიც დაინტერესდება და მკითხველს შემდომი მოვლენების შესახებ მოუთხრობს.





# 11 თვის ჩვილის სიც



## რა ბედი ელის პატარა მირანდას ალკოჰოლზე დამოკიდებული „მეურვეების“ ხელში

სალომე გოგოხია

**სანამ სასამართლო 11 თვის ჩვილის საკითხზე კონკრეტულ განკარგულებას გამოსცემს და სახელმწიფო მისი გაშვილების საკითხს გადაწყვეტს, შესაძლოა, სავალალო შედეგი მივიღოთ. 11 თვის მირანდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იზრდება. ბიოლოგიურმა დედამ ბავშვი ნაცნობ ცოლ-ქმარს დაუტოვა. თუმცა, მეზობლების და სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადებით, ბავშვის ე.წ. „მეურვეები“ ხშირად ნასვამები არიან და ბავშვი უპატრონოდ ჰყავთ მიგდებული.**

სოციალური მომსახურების სააგენტომ რამდენჯერმე სცადა ოჯახიდან ბავშვის წამოყვანა მისი გაშვილების მიზნით, თუმცა, ყოველჯერზე ოჯახისგან წინააღმდეგობას წააწყდნენ. ანალოგიური შედეგით დასრულდა მათი ვიზიტი გასულ კვირასაც. სოცმუშაკებს ცოლ-ქმარმა დალი სურგულაძემ და გია რთველიაშვილმა მათ ბავშვი არ გაატანეს. მათი მტკიცების მიუხედავად, რომ ბავშვი ბიოლოგიური დედისგან იშვილეს, ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი არ გააჩნიათ.

როგორც უკვე გითხარით, ეს საქმე მალე სასამართლოში გადაინაცვლებს. თუმცა, სიტუაცია იმდენად რთულია, რომ ამ ოჯახში ბავშვის ყოფნის თითოეული დღე რისკთან არის დაკავშირებული. ამიტომ, გამორიცხული არ არის, სასამართლო გადაწყვეტილებამდე საქმეში სამართალდამცველები ჩაერთონ და ბავშვის გაყვანა პოლიციის მეშვეობით მოხდეს.

**„ეს ბავშვი აქედან უნდა წაიყვანონ, სანამ რამე დაემართება ამათ ხელში“**

გასულ კვირას სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ სოციალურ მუშაკებს ადგილზე საპატრულო პოლიციის გამოძახება დასჭირდათ. ადგილზე 4 ეკიპაჟი გამოცხადდა, თუმცა, მათ ბავშვის გამოყვანაზე უარი თქვეს. მიზეზი ის გახდა, რომ იმ დროს იქ ბავშვის ბიოლოგიური დედაც იმყოფებოდა. პატრულმა განაცხადა, რომ კანონიერ წარმომადგენელს მისი თანხმობის გარეშე ბავშვს ვერ წაართმევდნენ.

„სააგენტოს სოციალურ მუშაკებს გაწერილი აქვთ ინსტრუქცია რეფერირების პროცედურების ფარგლებში თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ, მათ ჩატარებული აქვთ ტრენინგები და კარგად იციან თავისი უფლებამოსილებები, რომლის იქითაც ისინი ვერ გადავლენ“, -ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბარში სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მეურვეებისა და მზრუნველობის სამმართველოს უფროსი ეთერ ცხაკაია.

მისივე თქმით, 11 თვის ჩვილი ცხოვრობს ცოლ-ქმართან, რომლებიც ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები არ არიან.

„ოჯახში არაკეთილსაიმედო გარემოა შექმნილი ბავშვისთვის, ანტისანიტარია და ბავშვზე მზრუნველების არაჯანსაღი (ისინი ხშირად ნასვამები არიან) მდგომარეობა გახდა საბაბი იმისა, რომ სოციალურმა მუშაკებმა მიიღეს ბავშვის ამ ოჯახიდან გამოყვანის გადაწყვეტილება. შესაბამისი დასკვნები არსებობს, რომ ეს ბავშვი იქიდან გამოსაყვანია“, - ამბობს ცხაკაია.

ნინო არაბულს სასამართლომ დედობის უფლება უკვე ორჯერ ჩამოართვა. ორივე ბავშვი ანალოგიურ პირობებში იმყოფებოდა. ისინი გააშვილეს. რაც შეეხება 11 თვის მირანდას, მისი ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

11 თვის ჩვილი, რომლის პირობების გაუმჯობესებაზეც შესაბამისი სახელმწიფო უწყებები შესაბამის რეაგირებას აყოვნებენ, ფონიჭალაში საერთო საცხოვრებელში ე.წ. „მშობლებთან“ ერთად უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იზრდება.

„პრაიმტაიმი“ ადგილზე იმყოფებოდა, სიტუაციას გაეცნო. მკითხველს ვეტყვით, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ 21-ე საუკუნეში ბავშვი სრულ ანტისანიტარიულ პირობებში იზრდება. ბინაში, სადაც პატარა მირანდა ცხოვრობს, სრული ანტისანიტარიაა...საშინელი სუნი დგას. ნებისყოფის სრული დაძაბვაა საჭირო, რომ იქ თუნდაც რამდენიმე წუთი დაჰყო. პატარა ოთახში, იმდენია ბარგია თავმოყრილი, როგორც იტყვიან, თაგვი კუდს ვერ მოიქნევს. ორი საწოლი, ყუთებში ჩაყრილი ბავშვის ბინძური სათამაშოები, ერთი მაგიდა, რომელზეც უამრავი წვრილმანი ნივთია





თავმოყრილი, კუთხეში აყუდებული ბავშვის ლეიბი, კედლებზე ყველგან ჭუჭყიანი სამოსია ჩამოკიდებული. სავარაუდოდ, არასასიამოვნო სუნიც სწორედ ამის გამოა. პატარა სამზარეულოც სიბინძურეშია გახვეული. ჭუჭყიან გაზქურაზე ასევე ჭუჭყიანი ქვაბია შემოდგმული. უარესი სიბინძურე დაგვხვდა სააბაზანოში. აქაც სრული ანტისანიტარია სუფევს, ბინძური ვარცლები ერთმანეთზეა ახორხლილი. მაშინვე მიჩნდება კითხვა, როგორ აბანავებენ აქ ბავშვს. რაზეც მისი „გამზრდელი“ გია რთველიაშვილი მშვიდი ტონით მპასუხს, „ვაბანავებთ კიდეც და ვაჭმევთ. ჩემს გაზრდილ

**„ბინაში საშინელი ანტისანიტარიაა. საშინელი სუნი დგას. ერთ წუთსაც ვერ გაჩერდები. ისეთი სიბინძურეა, რომ მათი ბინიდან ტარაკნები გამოდიან. ხანდახან მათთან ბავშვის ბიოლოგიური დედაც მიდის. სამივე სვამს“**

ბავშვს არავის დავუთმობ“, - იმუქრება და ამ სიტყვებზე ხელებს მუშტავს.

თუმცა, პატარა მირანდას დანახვაზე ვრწმუნდები, რომ მის სისუფთავესა და ჯანმრთელობაზე არავინ ზრუნავს. პაპანაქება სიცხეში პატარას თბილი შარვალი და თბილი წინდები ეცვა. როგორც „გამზრდელმა დედამ“ დალი სურგულაძემ ამიხსნა, ბავშვს ფეხები ეყინება და ამიტომ აცვია თბილად. ბავშვს მოკლესახელოიანი მაისური აცვია. ხელები და ლამაზი სახე წითლად დაკოპლილი აქვს. სავარაუდოდ, დაისიცხა. თუმცა, დალი მიხსნის, რომ ბავშვს ალერგია აქვსო.

54 წლის გია რთველიაშვილი და 44 წლის დალი სურგულაძეს საკუთარი შვილები არ ჰყავთ. ისინი წლებია, რაც ე.წ. კამოს ყოფილ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ. გია მიამბობს, რომ გოგონა სამშობიაროდან მან წამოიყვანა და მას შემდეგ ზრდიან.

„ჩვენ უფასო სასადილოში დავდივართ. ჩემმა ცოლმა იქ გაიცნო ნინოს ქმარი, გიორგი არაბული, მერე გააცნო თავისი ცოლი ნინო. ორივე ცოლ-ქმარი გონებაშეზღუდულია, მეორე ჯგუფის ინვალიდები არიან. პენსიას იღებენ. ნინო ფეხმძიმედ იყო, აბორტის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ მეოთხე თვეში იყო და საშიშიაო. ჩემმა ცოლმა უთხრა, გააჩინე, მე გავზრდიო და გააჩინა. შოთიკო საავადმყოფოდან ჩვენ წამოვიყვანეთ. ჩვენ ვზრდიდით. ნინო ჩემს ბინაში ჩავწერე. ამასობაში მეორე ბავშვი - ალექსანდრე გააჩინა. ისიც ჩვენ წამოვიყვანეთ. მერე ჩვენს შორის რაღაც გაუგებრობა მოხდა. ნინო გაბრაზდა და რამდენიმე დღის ალექსანდრე სამშობიაროში წაიყვანა. იქ გამოიძახეს სოციალური სამსახური. ნინომ თანახმა ვარ, რომ ბავშვი გავაშვილოთო. ასეც მოიქცნენ. ბავშვი გააშვილეს. მოგვიანებით შოთიკოც გააშვილეს. 2 წლის იყო, როცა აქედან წაიყვანეს. ალბათ, ახლა 4 წლის იქნება. მერე ჩვენ შევრიგდით და ნინო ისევ ჩვენთან დაბრუნდა. ამასობაში მესამე შვილი გააჩინა, ვისგან არ ვიცი და არც მაინტერესებს, ჩემი საქმე არ არის. ბავშვი სამშობიაროდან წამოვიყვანეთ და მას მერე მირანდას ჩვენ ვზრდით. ბიოლოგიურმა დედამ ფურცელზე დამიწერა თანხმობა, რომ ბავშვი მე მომცა. ნოტარიუსთან ვიყავი, მაგრამ არ დაამოწმა. შვილად აყვანა ასე არ ხდებაო. სოციალურში რომ მივიდე, ბავშვს არ მომცემენ და გააშვილებენ. ბავშვის წართმევა უნდათ, მაგრამ ვერ მივართვი. ჩემს გაზრდილ ბავშვს არავის გავატან“, - ამბობს გია.

თუმცა, რთველიაშვილის ბინაში შეუძლებელია ბავშვის გაჩერება. გამორიცხული არ არის, სიბინძურისგან პატარა დაავადდეს. საწოლზე, რომელსაც ჭუჭყიანი ზეწარი აფარია, ცოლ-ქმართან ერთად ბავშვსაც სძინავს. „ჩვენთან ერთად სძინავს. რა, სამი ადამიანი ვერ დაეტევა?







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოცხლე საფრთხეშია!



ხან ერთის მოგვეხუტება, ხან მეორეს. ძალიან ბედნიერია. აგერ, ბავშვის ლეიბი (კუთხეში მიგდებულ ლეიბს მაჩვენებს), მაგრამ საწოლი არ მაქვს.

**- საჭმელს სად აკეთებთ? ბავშვს სად აბანავებთ?**

- აბაზანაში. საჭმელს გაზქურაზე აკეთებს ჩემი ცოლი.

**- მაცივარი არ გაქვთ, ბავშვის საჭმელს როგორ ინახავთ? სიცხეში ხომ გაფუჭდება?**

- მაცივარი არ მაქვს, ამიტომ, იმდენს ვაკეთებთ, რომ იმ დღესვე შევჭამოთ. მომცენ სამოთახიანი ბინა და ყველაფერი მექნება.

**- თუ ამ ბავშვზე გული შეგტკივათ, მაშინ მიეცით სოციალურ სამსახურს, ისინი ხომ უკეთეს პირობებში მოათავსებენ?**

- არა. ბავშვს არავის მივცემ. ამდენი ხანია ვზრდი. სამშობიაროდან ჩვენ წამოვიყვანეთ. შენს გაზრდილს ვინმეს გაატან?

**- ცოლ-ქმარი არ მუშაობთ, ჩვილს სპეციალური კვება ესაჭიროება, პამპერსები... როგორ ახერხებთ?**

- მე და ჩემი ცოლი, ასევე, მირანდას დედა, სოციალურ დახმარებას ვიღებთ. ბავშვსაც აქვს პენსია და 204 ლარი გროვდება. თანაც, ხე-



## SOS!

## „ბავშვი ისეთი გამხდარია, საწყალს საჭმელს არ აჭმევენ, არ უვლიან და რა იქნება?“

## EXCLUSIVE



ლნაკეთ ნივთებს ვყიდი. საჭმელი უფასო სასადილოდან მოგვაქვს. ეს თანხა ბავშვისთვის გვყოფნის“,- ამბობს გია.

სამწუხაროდ, დალიმ ჩვენთან საუბარი არ ისურვა. მხოლოდ ის გვითხრა, რომ ბავშვს არავის გაატანს და თავად აღზრდის. ამ სიტყვებზე საბავშვო ეტლს, რომელშიც პატარა მირანდა იჯდა, ხელი მოჰკიდა და დაგვტოვა.

რთველიაშვილის ოჯახის შესახებ მათ მეზობლებსაც ვესაუბრეთ. როგორც აღმოჩნდა, მთელი სამეზობლო შეწუხებულია მათი ოჯახიდან გამოსული ჩხუბითა და უწმაწური სიტყვების მოსმენით. თუმცა, პოლიციაში ჩივილს მაინც ერიდებიან.

„კი, ჩვენი ბრალიც არის ესენი ასეთ დღეში რომ არიან. გვინდოდა პოლიციისთვის მიგვემართა. კორპუსის თავმჯდომარემ გვითხრა, განცხადება დაწერეთ და მე შევიტანო. თუ ჩვენ დავწერდით, მაშინ შეტანას წინ რაღა უდგას?! მაინც ვერიდებით. სალი ჭკუის არც ერთია. სულ ჩხუბის, გინების ხმა ისმის მათი ბინიდან. მათთან არც ერთი მეზობელი არ ურთიერთობს. მათ ბინაში საშინელი ანტისანიტარიაა. საშინელი სუნი დგას. ერთ წუთსაც ვერ გაჩერდები. ისეთი სიბინძურეა, რომ მათი ბინიდან ტარაკნები გამოდიან. ხანდახან მათთან ბავშვის ბიოლოგიური დედაც მიდის. სამივე სვამს. სოციალურ დახმარებას იღებენ და ამ ფულით სასმელს ყიდულობენ. სხვა ლოთებიც მოდიან. დალევენ, დათვრებიან და ეს საწყალი ბავშვი უპატრონოდაა მიგდებული. იმასაც კი ამბობენ, ბავშვსაც სასმელს ასმევენ, რომ დაიძინოს და არ იტიროსო. პირველ ბავშვს, შოთიკოსაც მასე უკეთებდნენ. აშკარად, ბავშვს პირიდან ალკოჰოლის სუნი ამოსდიოდა. დალი ბავშვს „ჰერკულესის“ ფაფას ბოთლში ჩაუსხამს და ისე აჭმევს. როგორ უნდა შეჭამოს ბავშვმა საწოვარას ბოთლიდან ასეთი ფაფა? საწყალი ბავშვი სულ ჭუჭყიანი დაჰყავთ. ნაგვის ურნებში იქექებიან და სამოსი იქიდან მოაქვთ. ამ ბავშვის დედა სად გაიცნეს და საიდან მოიყვანეს არ ვიცით. ნინო 28 წლის გოგოა, მაგრამ ისეთი გალოთებულია, რომ შეხედავ 100 წლის ბებერი გეგონება. იმასაც კი ამბობენ, რომ მოწყალების სათხოვნელად დადის და ეს ბავშვიც თან დაჰყავსო. ორი შვილი ჰყავდა და სასამართლომ დედობის უფლება ჩამოართვა. გაუშვილეს. ახლა მეოთხე ბავშვზეა ფეხმძიმედ. თვითონ გია ცუდი კაცი არ არის, მაგრამ მისი ცოლი, დალი ძალიან აგრესიულია. სულ იგინება, ილანძღება. ერთხელ დანის ტრიალიც ჰქონდათ. დათვრა და ქმარს თავში ბოთლი ჩაარტყა“. - ამბობენ მეზობლები.

„მათთან ვის ექნება ურთიერთობა? ყველას ემტერება. ერთხელ გამოვარდა და ბავშვს მე მიგდებდა. მომაშორეთ, არ მჭირდება, თქვენ აჭამეთო, ყვიროდა დალი. ყველა იმას ვამბობთ, რომ ამ ბავშვს უპატრონო ბავშვთა სახლში თუ წაიყვანენ უფრო უკეთესად იქნება, ვიდრე აქ“,- ამბობს მეზობელი ელენა.

„რამდენიმე დღის წინ, დალი ეზოში მთვრალი დავინახე. ბავშვს ყურადღებას არ აქცევდა. საწყალი ტიროდა და 6 წლის ბავშვები რიგრიგობით დაათრევდნენ. სოციალურში დარეკვა მინდოდა, მაგრამ ტელეფონის ნომერი არ ვიცოდი. მომდევნო დღეებში მოვიდა სოციალური მუშაკი. 11 თვის ბავშვი ისეთი გამხდარია, საწყალს საჭმელს არ აჭმევენ, არ უვლიან და რა იქნება? ამ სიცხეში თბილად ჩაცმული დაჰყავს. ვუთხარი, გახადე, ბავშვი დაისიცხა-მეთქი. გაცივდებაო. ამ სიცხეში რა გააციებს-მეთქი. ეს ბავშვი აქედან უნდა წაიყვანონ, სანამ რამე დაემართება ამათ ხელში“, - ამბობს მეზობელი მონიკა.

**„დალევენ, დათვრებიან და ეს საწყალი ბავშვი უპატრონოდაა მიგდებული. იმასაც კი ამბობენ, ბავშვსაც სასმელს ასმევენ, რომ დაიძინოს და არ იტიროსო. პირველ ბავშვს, შოთიკოსაც მასე უკეთებდნენ. აშკარად, ბავშვს პირიდან ალკოჰოლის სუნი ამოსდიოდა“**



ფონიჭალიდან გულდამძიმებულები წამოვედი. ცალკე სიბინძურით, ცალკე შიმშილით შეწუხებულ პატარას ვინ იცის რა ბედი ელის... მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ყველანაირი ბერკეტი აქვს მის გადასარჩენად და მისთვის პირობების გასაუმჯობესებლად, ბიუროკრატიული მექანიზმი თუ არაპროფესიონალიზმი საქმეს აყოვნებს.

სოციალური მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, რომ სოცმუშაკებს ბავშვის წამოყვანის უფლება არ აქვთ. სასამართლოს კი გადაწყვეტილების მისაღებად გარკვეული დრო სჭირდება. ეს კი ის შემთხვევაა, როცა ყოველი წუთი ძვირად ფასობს, რადგან ბავშვის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კობა ბექაურის აღსარება და

# როგორ EX გააკეთები ბინძური სა და როგორ ჩამოიშორე გზიდან თანაგუნდე არასასურვ ნაციონალი



**მარიამ ნადირაძე**

**ამ ადამიანების ბედი, პირდაპირ თუ ირიბად, თავის დროზე გიგი უგულავას გადაწყვეტილებებს დაუკავშირდა. თუმცა ერთ-ერთი მათგანი წლების წინათაც დაზარალებულად აცხადებდა თავს და ახლაც. მის ჩვენებაზე ორივე შემთხვევაში კონკრეტული პირის თავისუფლების ძაფი ეკიდა.**

მაშინ, როდესაც გამოძიებამ უგულავას ბრალი „სითი პარკის" საქმეზე წაუყენა, კახი კალაძემ მეტად საინტერესო განცხადება გააკეთა: „მოვისმინე უგულავას განცხადებები, თითქოს გაკვირვებული იყო, ვინ იყო კონკრეტული საქმის მთავარი მოწმე, ეს იყო კობა ბექაური. ძალიან საინტერესო იქნება, თუ გექნებათ შესაძლებლობა, დაუსვათ შეკითხვა ბექაურს, ვინ დაუმაგრა კამერა, როდესაც ბატონ რამიშვილთან მიდიოდა?! მე ვიცი, ეს პიროვნება იყო ბატონი უგულავა, რომელმაც კამერა დაუმაგრა და შემდეგ მოხსნა".

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს დღეს, გიგი უგულავას დაპატიმრების შემდეგ, შალვა რამიშვილისა და კობა ბექაურის პოზიცია. სწორედ მათთან ინტერვიუებს შემოგთავაზებთ ამ სტატიაში:

**შალვა რამიშვილი:**

**– ის, რომ უგულავამ დაუმაგრა ბექაურს კამერა, პირველად ბექაურისგან შეიტყვეთ, თუ ამის შესახებ მანამდეც გქონდათ ინფორმაცია?**

– ჩემსა და ბექაურს შორის ეს საუბარი პირდაპირ ეთერში შედგა, დაახლოებით 1 წლის წინათ. მანამდე ჩემთვის ცნობილი იყო უგულავას მონაწილეობის შესახებ გარკვეულ პოლიტიკურ საგამოძიებო ქმედებებში, რაც პოლიტიკურ დაჭერას უკავშირდებოდა. უგულავა გახლავთ ერთ-ერთი აქტიური წევრი ყოფილი პოლიტიკური გუნდისა და მონაწილეობდა გარკვეულ სპეცოპერაციებსა და მათ დაგეგმვაში მერაბიშვილთან, ადეიშვილთან, სააკაშვილთან ერთად. ეს ცნობილი იყო.

**– მიუხედავად მისი კომპეტენციის ფარგლებისა?**

– ომის დროსაც არ შედიოდა მის კომპეტენციაში საბრძოლო მოქმედებების ხელმძღვანელობა, ასევე, მის კომპეტენციაში არ შედიოდა ისეთი რაღაცების კეთება, რაც არ შედიოდა, მაგრამ... ზოგადად იყო ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი და ისეთ ადგილებში ჩნდებოდა, სადაც, მისი თანამდებობიდან გამომდინარე, საჭირო არ იყო და რაკიღა იყო ლიდერი, გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, როცა „ნაცმოძრაობას" უჭირდა და რაღაც სპეცოპერაცია იყო განსახორციელებელი, ის მონაწილეობდა.

**– როდესაც 1 წლის წინათ კობა ბექაურმა გითხრათ, რომ მას კამერა უგულავამ მიამაგრა, ეს თქვენთვის სიურპრიზი იყო?**

– არ მახსოვს ზუსტად, ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო, თუ არა, იმიტომ რომ ზოგადად მე ვიცოდი და ახლა, რა თქმა უნდა, უკეთ ვიცი ამ გუნდის დამოკიდებულება ასეთი სპეცოპერაციების დროს, როდესაც მათთვის მნიშვნელოვან ადამიანებს აპატიმრებდნენ. მთელი გუნდი იყო ჩართული. ზოგი კამერას ამაგრებდა, ზოგი დამჭერებს ამართლებდა, ზოგი საზღვარგარეთ აგვარებდა ამ ამბავს. შესაბამისად, ჩემთვის ცნობილია ეს დამოკიდებულება.

**– თქვენს საქმეშიც, ისევე, როგორც უგულავას შემთხვევაში, ბექაური იყო მთავარი მოწმე. თქვენი გამოცდილებით, რამდენად სერიოზულად აღიქვამთ მის ახლანდელ სტატუსს?**

– ჩემს საქმეში ის დაზარალებული იყო. რამდენად სერიოზული მოწმეა ის დღეს, ეს უნდა დაადგინოს გამოძიებამ. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ ბექაურსა და უგულავასა რაღაც საერთო გათვლები ჰქონოდათ იმ პერიოდში, იმიტომ რომ ბექაური ემსახურებოდა „ნაცმოძრაობას". საერთო კავშირები ჰქონდათ. მან სწორედ ამ კავშირების შესახებ მოყვა და რამდენად სერიოზულია ეს მონაყოლი, სასამართლომ უნდა დაადგინოს. მე დღეს არ მაქვს არანაირი განსაკუთრებული ემოცია ბექაურისადმი – არც უარყოფითი და ბუნებრივია, არც დადებითი. უბრალოდ, რაც ერთხელ ჩაიდინა, ბუმერანგივით მოუბრუნდა უგულავას. შესაბამისად, მისგან მიულებელია ბექაურის, როგორც ბრალდების მოწმის, კრიტიკა. მეტიც, საერთოდ გამაოგნებელია ბიზნესმენ კაპანაძის თემა: ადამიანები, რომლებიც ძალიან დიდი ხის მანძილზე ამტკიცებდნენ, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობა არის სახელმწიფოებრივი ვალი, დღეს საპირისპიროს ამტკიცებენ და ძველბიჭურად უდგებიან საკითხს. უგულავა იგივე ხაფანგში გაება, რასაც თავის დროზე სხვებს უგებდა. ეს ბუნების კანონია – როდესაც საქმე გაქვს ისეთ ნაკლებად სანდო ადამიანებთან, როგორიც არის ბექაური, ეს უკან მოგიბრუნდება ბუმერანგივით. სიმართლე გითხრათ, არც მწყინს და არც მიხარია უგულავას ამბავი. არ მიხარია, იმიტომ რომ უგულავაც კი მეცოდება ციხისთვის და ამავდროულად თავს ვერ გამოვიდებ, რომ ვნერვიულობ. მან მიიღო ის, რაც ეკუთვნის. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი აზრია.

**კობა ბექაური:**

– მათ ეგონათ, რომ მხოლოდ ისინი იყვნენ და სხვა არავინ – ვისაც უნდოდათ, ქონებას წაართმევდნენ და სახლს დაუნგრევდნენ, ბიზნესს წაართმევდნენ. უგულავა არ იყო, რიყეს რომ მიადგა და ხალხს რესტორნები დაუნგრია? ასე რომ, ეს არის ადამიანი, რომელიც ვიდეოკამერის წინ დემაგოგობს და ამის უკან მაფიოზურ-კლანური სისტემის შემქმნელია. ალბათ, არ ეგონა, რომ, ოდესღაც პასუხი მოეთხოვებოდა.

**– „სითი პარკთან" დაკავშირებით უგულავამ თქვენს მოწმეობაზე საკმაოდ ცინიკური კომენტარი გააკეთა...**

– მანაც და მისმა მეგობრებმაც ძალიან კარგად იციან, რომ მე ვიყავი ამ ამბავთან დაკავშირებული. ჯერ კიდევ როცა საკრებულოში ვიყავი, მაშინ დავიწყეთ პარკინგის მოწესრიგებაზე საუბარი. წავედი, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში და შემდე ვიყავი ისრაელში. ჯერ ჭიაბერაშვილი წავიყვანე და მერე კომპანია, რომელმაც პრეზენტაცია გააკეთა. მერე, გარკვეული მიზეზების გამო დავტოვე პარლამენტი, რომლის შესახებაც მერე გიამბობთ... ამის შემდეგ ესენი ჩადიან ისრაელში და ეუბნებიან, რომ აღარ არის კობა პარლამენტში და ჩვენ უნდა გვეკონტაქტოო. ზუსტად იმ ადამიანებთან, რომლებმაც 2005 წელს გამართეს პრეზენტაცია. 2007 წელს ზუსტად მათზე მოარგეს ხელშეკრულება, სატენდერო პირობები და მათ მისცეს ეს ტენდერი. ხელშეკრულებაში აქვთ მათ მაფიოზურ-კლანური გარიგება – აძლევენ უფლებას, რომ შეიცვალოს ხელშეკრულების პირობები და კომპანია, რომელსაც ტენდერი მისცეს 15 წლით, საქმიდან გაჰყავთ სამ წელიწადში და შემოჰყავთ ვირჯინიის კუნძულებზე გაფორმებული თავისი დაფუძნებული კომპანია. თქვენ თუ გახსოვთ, 2009 წელს ისინი მიაწვნენ „სითი პარკს", უუქმებდნენ ხელშეკრულებას, რომ კიდევ მეტი წილი წამოეღოთ. გიგიმ და მისმა ამფსონებმა ხელშეკრულებაში პირობა ჩადეს, რომ, თუ ვინმე შეეხებოდა „სითი პარკს", დიდი ჯარიმა უნდა გადაეხადა, ანუ მათ წინ გაიხედეს: ჯერ ხომ ისედაც იპარავდნენ ბიუჯეტიდან ფულს და მომავალშიც რომ ფული ეშოვათ.



**– რა თანხას იღებდნენ ამ ოპერაციით უგულავა და მისი თანამზრახველები პირადად?**

– შეადარეთ: 2003 წელს, როცა მე ვმუშაობდი ამაზე, 800 ათასიდან მილიონ ლარამდე შემოდიოდა ბიუჯ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შალვა რამიშვილის ემოციები

EXCLUSIVE

ნეს
ქმე

ს

ლებმა
ელი
?



ეტში. დღესაც ისე შემოდის. მაშინ იყო, სადღაც 150 ათასი მანქანა და დღეს არის 500 ათას მანქანაზე მეტი დედაქალაქში. ჩემი დათვლით, უგულავასა და მის თანამზრახველებს ყოველ წელიწადს 15 მილიონი ლარი შესდიოდათ.

**– იმ დროს, როდესაც თქვენ ამ საქმეში იყავით ჩართული, თქვენი წილი რამდენი უნდა ყოფილიყო?**

– მაშინ ჩვენ ვფიქრობდით აბსოლუტურად რეალურ ბიზნესზე.

**– ანუ, თქვენ წილს ებრაული მხრიდან მიიღებდით. მათ წარმოადგენდით?**

– რა თქმა უნდა.

**– თქვენ არათუ ბიზნესიდან, პარლამენტიდანაც დაგითხოვეს... თქვენ განაცხადეთ, რომ პარლამენტიდან წამოსვლაზე განცხადება არ დაგიწერიათ...**

– დღეს, როცა გოგორიშვილი გამოდის და დემოკრატიაზე ლაპარაკობს, სასაცილოა. ის იყო ყველანაირი ბინძური დავალების შემსრულებელი. გოგორიშვილი იყო საკონსტიტუციო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც უნდა დაეძახა ჩემთვის, თანახმა ვიყავი თუ არა წასვლაზე. იმ დროს ხმას როგორ ამოვიღებდი, რომ მის გარეშე წამოვედი, მაინტერესებს, როგორ გააკეთა ეს სიბინძურე, ამ სიბინძურის რომ სჩადიოდა და ბინძურ დავალებებს ასრულებდა, დღეს ვის დემოკრატიაზე საუბრობს გოგორიშვილი?

**– შალვა რამიშვილის საქმე ქრონოლოგიაში მერამდენეა? ჯერ „სითი პარკი" იყო, მერე რამიშვილი და მერე პარლამენტიდან წამოსვლა, თუ?.. თუმცა თქვენ არ გიყვართ ამ თემაზე საუბარი, არა?**

– ამ თემასთან დაკავშირებით მარტო იმას გეტყვით, რომ როცა კუდ-ში მივედი, იქ დამხვდა უგულავა. ყველაფერს ქალაქის მერი აკონტროლებდა და ჩანაწერიც მას გადავეცი.

**– რატომ მიიღეთ ამ სპეცოპერაციაში მონაწილეობა?**

– ამ სპეცოპერაციაში მონაწილეობა რომ არ მიმეღო, ბევრ რამეს დავკარგავდი. არ მინდა ამის დაკონკრეტება.

**– პარლამენტიდან რომ გამოგიშვეს, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა?**

– არაფერს ვკითხულობდი, რადგან არაფერს ჰქონდა აზრი. სჯობდა, ჩუმად ვყოფილიყავი. პირდაპირ მითხრეს, პარლამენტს ტოვებო. ასე გადაწყვიტა ამან და ამანო.

**– ვინო?**

– სააკაშვილმა შემოთვალა პირდაპირო. შეცდომა მე დავუშვი. გავიჩხირე ტერმინალთან დაკავშირებით, სადაც ჩემს ოჯახს ჰქონდა ინტერესი. მაგრამ მარტო მე ვიყავი ბიზნესში?

**– ისე, ობიექტურობა მოითხოვს, გითხრათ, რომ ბიზნესი თქვენ იმ ხელისუფლების პირობებში შეიძინეთ კიდეც და დაკარგეთ კიდეც...**

– წვრილ-წვრილი რაღაცები ყოველთვის მქონდა.

**– „სითი პარკი" – ეს თქვენი ანგარიშსწორებაა, თუ ელით რაიმე სიკეთეს ამ საქმიდან?**

– პროკურატურას ჩვენება ამ თემაზე საგამოძიებო ფილმის გასვლის შემდეგ მივეცი.

ყველაფერი დადასტურდება – როგორ შედგა ეს მაფიოზურ-კლანური გარიგება, რომლის შედეგადაც ყველა მძღოლის ჯიბეში ყოფენ ხელს. მინდა ყველამ დაინახოს, როგორ მოქმედებდნენ ესენი, როგორი მოქმედების წესი ჰქონდათ ამათ და არაფერს დაგიდევდნენ, თუნდაც თანაგუნდელი ყოფილიყავი. ვიცოდი, რომ დრო მოვიდოდა და პასუხს მოვთხოვდი ყველას. არავისთვის არაფერი მიპატიებია და არც ვაპატიებ. უნდა მიიღონ ის, რისი მიღების ღირსებიც არიან.






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ნაბეღლავი“ - ქართული ბუნების მადლი

თეა ხომერიკი

**ნებისმიერი კომპანია, რომელიც ლოკალური ბაზრიდან საერთაშორისო არენაზე გადის, ერთგვარი სახეა, თავისი ქვეყნის, კულტურისა და ტრადიციების. ეს განცდა განსაკუთრებით გაძლიერებულია ისეთი პატარა ქვეყნიდან გასული ბრენდებისთვის, როგორიც საქართველოა.**

„წყალი მარგებელის“ პროდუქცია წელს უკვე 27 ქვეყანაშია წარმოდგენილი. ბრენდები „ნაბელღავი“ და „ბახმარო“ ხშირ შემთხვევაში, მალევე იმკვიდრებენ საკუთარ ნიშას უცხოურ ბაზრებზე, სარგებლობენ განსაკუთრებული უპირატესობებით კონკურენტებთან შედარებით და განსხვავებულ ლოიალურობასაც იძენენ მომხმარებლის თვალში. ეს განსაკუთრებულობა მეტწილად მათი ნატურალური, გემოვნური და სამკურნალო თვისებების დამსახურებაა, თუმცა ამასთანავე მნიშვნელოვანია ის ფასეულობები, კულტურა და ტრადიცია, რაზეც ეს ბრენდი დგას და რითაც ამდიდრებს ბუნებისგან ბოძებულ სარგებელს.




„წყალი მარგებელი“ დაარსებიდან 17 წლის განმავლობაში კულტურის, განათლების თუ ბუნებისდაცვის მიმართულებით, უამრავი სხვადასხვა პროექტის მხარდამჭერი იყო.

„წყალი მარგებელის“ სოციალურ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი განათლებას უჭირავს. აღნიშნული სფეროს მიმართ ინტერესი გამოიხატება, როგორც სასკოლო, ასევე უმაღლესი განათლების მხარდამჭერ პროექტების განხორციელებაში.

მათ შორის მნიშვნელოვანია პროექტი „განათლებული მომავლისთვის“, რომელიც უკვე მეორე წელია „წყალი მარგებელის“ მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი საშუალებას აძლევს ახალგაზრდა თაობას, ეროვნულ ოლიმპიადაში გამარჯვების შედეგად, კომპანიის დახმარებითა და დაფინანსებით გაემგზავროს დიდ ბრიტანეთში და აიმაღლოს ინგლისური ენის ცოდნის დონე. ასევე აღსანიშნავია, უამრავი სტუდენტური კონფერენცია განათლების მიმართულებით, რომლებიც რეგულარულად ტარდება საქართველოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში.

განათლებასთან ერთად კომპანიისთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო, როგორც ქართული ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, ასევე საერთაშორისო კულტურული პროექტების მხარდაჭერა.

„წყალი მარგებელი“ ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების პარტნიორია, როგორიცაა თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი, სადაც 25-მდე ქვეყნის ახალგაზრდა წარმომადგენელს საშუალება ეძლევა თავიანთი ნამუშევრები და აზრები გაუზიარონ ერთმანეთს და მათთვის აქტუალურ საკითხებზე იმსჯელონ. ამასთანავე, კომპანია არ ივიწყებს ქართულ კულტურას და ყოველწლიურად რამდენიმე ღონისძიების მხარდამჭერად გვევლინება, დაწყებული ეროვნული ქორეოგრაფიული ანსამბლის - „ერისიონი“- გასვლითი კონცერტებიდან, დამთავრებული საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ფესტივალის - „არტ გენის“ პარტნიორობით.

კომპანია თავისი არსითა და ფასეულობებით უმეტესად საქართველოში ბუნების სილამაზით გამორჩეულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონს, გურიას წარმოადგენს. შესაბამისად, „წყალი მარგებელის“ გუნდი დიდ რესურსს ხარჯავს გარემოს დაცვითი საქმიანობის საწარმოებლად და წასახალისებლად. 2013 წელს კომპანიის გუნდმა შეიმუშავა „ბახმაროს“ ბოთლის ისეთი ფორმა და დიზაინი, რომელიც შემცირებული წონადობით გამოვიდა ბაზარზე, რის შედეგადაც შემცირდა პოლიეთილენისგან გარემოსთვის მიყენებული ზარალი. კომპანიის ინიცირებით ხშირად ტარდება დასუფთავების აქციები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ყოველივე ზემოთ აღწერილს ზურგს უმაგრებს დარგის პროფესიონალთა მრავალწლიანი მუშაობა და გამოცდილება, რასაც ემატება მინერალური და წყაროს წყლის ბუნებრივად გამორჩეულობა, რაც კომპლექსს ქმნის იმ მახასიათებლებისა, რის გამოც „ნაბელღავი“ და „ბახმარო“ უკვე რამდენიმე წელია მომხმარებელთა სიყვარულსა და მოწონებას იმსახურებს.

**. . . და მართლაც, „ნაბელღავი ჯობია“!**

# მსოფლიოში უძველესი რეცეპტი... ლუდის რეცეპტია!

# აუცილებელია იცოდეთ!



**მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უძველეს სასმელს - ლუდს მილიარდობით ადამიანი საუკუნეების განმავლობაში დიდი სიამოვნებით მიირთმევდა და ის დღესაც უზომოდ პოპულარულია.**

ლუდის სახეობები დღეს საკმაოდ, მრავალფეროვანია და ფერითა და არომატით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, მისი საფუძველი კვლავ უცვლელია...

წარმოგიდგენთ რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას თქვენი ცოდნის გასაფართოებლად, აი ისინიც:

1. თუ თქვენ ლუდის მოყვარული ან ენთუზიასტი ბრძანდებით, განმარტების მიხედვით „ცერევიზაფილი“ ხართ, ხოლო თუ ლუდის ბოთლებს აგროვებთ, მაშინ „ლაბეორფილისტი“ ყოფილხართ.

2. ლუდი სამართლებრივად განსაზღვრულია, როგორც ბავარიის მთავარი სასურსათო პროდუქტი.

3. ჩაის შემდეგ ლუდი ყველაზე უფრო პოპულარული სასმელია მსოფლიოში.

4. ძველი ბაბილონისდროინდელი ჰამურაბის კანონების თანახმად, ვაჭარი შეიძლება სიკვდილით დასჯილიყო ლუდის განზავებისთვის... ვაი!

5. ძველ ინგლისში პატარძალი ქორწილში სტუმრებს ელით უმასპინძლდებოდა. სანაცვლოდ სტუმრები ახლად დაქორწინებულებს ფულს ჩუქნიდნენ. ლუდი ცნობილი იყო როგორც „პატარძლის ელი“ (Bride Ale, აქედან წარმოიშვა სიტყვა bridal)!

6. ძველ ეგვიპტეში ქვისმჭრელები და მონები, რომლებიც პირამიდების მშენებლობაზე მუშაობდნენ, ანაზღაურებას ლუდის სახით იღებდნენ. ამ ტიპის ლუდს უწოდებდნენ „ქეშს“, საიდანაც წარმოიშვა სიტყვა cash (ნაღდი ფული)!

7. პირველი ოქტობერფესტი მიუნხენში 1810 წელს შედგა... და დღემდე წარმატებით იმართება!

8. აშშ-ს ეროვნული ჰიმნი The Star Spangled Banner („ვარსკვლავური დროშა“) სინამდვილეში შთაგონებული იყო სიმღერით Anacreon, რომელსაც ბრიტანელები ლუდის სმისას მღეროდნენ.

9. აშშ-ს პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა ერთხელ აფრიკულ საფარიში მოგზაურობისას თან 500 გალონი ლუდი წაიღო... საინტერესო მოგზაურობა უნდა ყოფილიყო!

10. მსოფლიოში უძველესი რეცეპტი... ლუდის რეცეპტია!

11. ლუდის ბოთლები მხოლოდ 1850 წელს გამოიგონეს. მანამდე ლუდის მოყვარულებს საყვარელი სასმელი სახლში სპეციალური ჭურჭლით მიჰქონდათ.

12. ცენოსილიკაფობია არის ცარიელი ჭიქის შიში...(ბარებში გავრცელებული ფობია).

13. შუა საუკუნეების ინგლისში ლუდს ხშირად საუზმეზე მიირთმევდნენ.

14. მე-13 საუკუნეში გავრცელებული იყო ბავშვების ლუდში მონათვლა.

15. კენტუკიში ნებისმიერი ადამიანი, ვინც ლუდს სვამს, ფხიზლად არის მიჩნეული, სანამ არ წაიქცევა. ნამდვილად კარგი წესია, ვერაფერს იტყვი.

16. 1642 წელს პირველი ლუდსახარში ამერიკაში ნიუ ჯერსიში, კერძოდ ჰობოკენში აშენდა.

17. ძველ ეგვიპტეში მინიმალური ხელფასი ლუდის ორი კონტეინერი იყო.

18. 4 000 წლის წინ ბაბილონში დამკვიდრებული იყო ტრადიცია, რომ ქორწილიდან ერთი თვის განმავლობაში პატარძლის მამა სიძეს იმდენი თაფლის ლუდით ამარაგებდა, რამდენიც ამ უკანასკნელს შეეძლო დაელია. რადგან მათი კალენდარი მთვარის ციკლზე იყო დამოკიდებული, ამ პერიოდს „თაფლობის თვეს“ ანუ honeymoon-ს უწოდებდნენ.

19. პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონს საკუთარი ლუდსახარში ჰქონდა საკუთარ სახლში მაუნტ ვერნონში.

20. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3 000 წელს ეგვიპტელები უკვე ხარშავდნენ ექვსი განსხვავებული ტიპის ლუდს.

21. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1 600 წელს ეგვიპტეში ლუდი 100-მდე დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

22. Pabst Brewery-იმ 1940 წელს პირველად გამოუშვა ლუდის ექვსპაკეტიანი შეკვრა. კომპანიამ კვლევა ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ ლუდის თუნუქის ექვს ქილას იდეალური წონა ჰქონდა საშუალო დიასახლისისთვის მაღაზიიდან სახლში მისატანად!

23. აშშ-ს საზღვაო კორპუსმა პირველი სარეკრუტო ცენტრი ბარში გახსნა.

24. ვინ ამბობს, რომ შუა საუკუნეებში ბერებმა არ იცოდნენ დრო როგორ გაეტარებინათ! მათ დღეში ხუთი კვარტა ლუდის დალევა შეეძლოთ!

25. 1 300 წლიდან 1 700 წლამდე ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტებში არსებობდა შიდა ლუდსახარშები სტუდენტებისთვის ლუდის დასამზადებლად. ჰარვარდში 1674 წელს მუშაობდა საკუთარი ლუდსახარში და გამოყოფილი იყო ხუთი დარბაზი ლუდის დასალევად.

26. ჩინეთის იმპერატორის ჩვ.წ. აღ.-მდე 1116 წლის ედიქტში აღნიშნული იყო, რომ ზეცა ადამიანებისგან მოითხოვდა ლუდის დალევას.

27. ეგვიპტეში არსებობს ლუდი სახელწოდებით „ბაუსა“(bousa), რომელიც ფეტვისგან იხარშება და უკვე 3 000 წელია არსებობს. თანამედროვე ეთიოპიას აქვს ამ სასმელის ხორბლისგან დამზადებული ვერსია. მიჩნეულია, რომ ამ სახელწოდებისგან წარმოიშვა სიტყვა booze (სასმელი).

28. მეფე ფრედერიკ დიდმა ერთი პერიოდი ყავა აკრძალა, ლუდის გაყიდვების ხელშეწყობის მიზნით.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დემოკრატია პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს

ქეთი ხატიაშვილი

**საფრანგეთის პრეზიდენტის დაკითხვის მიზნით დაკავებამ ზოგს სააკაშვილი გაახსენა და ზოგმაც პარალელები უგულავასთან გაავლო. მაშინ რატომ არ შეიძლება საქართველოს ექსპრეზიდენტის დაკითხვა ან ყოფილი მერის დაკავება? კითხვა ბევრი გაჩნდა და მაგალითებიც გაიხსენეს.**

თუმცა, სანამ მაგალითებზე გადავალთ, სარკოზი შოკშია. როგორც ჩანს, ის ასეთ უპრეცედენტო გადაწყვეტილებას არ ელოდა.

ნიკოლა სარკოზი საფრანგეთის პირველი პრეზიდენტია, რომელიც დააკავეს; საფრანგეთის პირველი პრეზიდენტია, რომელიც მეორედ არ აირჩიეს; და პირველია, ვინც პრეზიდენტობის ვადაში მეორე ცოლს გაეყარა და მესამე შეირთო.

სარკოზის ქრთამის მიცემას, კორუფციულ გარიგებებს, უკანონო ქმედების დამალვასა და სამსახურებრივი მდგომარეობის უკანონოდ გამოყენებას ედავებიან. გამოძიების აზრით, პრეზიდენტობის დროს 2007-2012 წლებში სარკოზი მაღალჩინოსნებს დაწინაურებას ჰპირდებოდა, მისთვის საჭირო ინფორმაციების მიწოდების სანაცვლოდ.

თავად სარკოზი მომხდარს პოლიტიკურ შეფასებას აძლევს და აცხადებს, რომ გარკვეულ ძალებს არ სურთ სარკოზის პოლიტიკაში დაბრუნება. პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ ყოფილმა პრეზიდენტმა განცხადება რამდენიმე ხნის წინ მართლაც გააკეთა.

თუმცა, გამოძიება სარკოზის კვალს მაშინ დაადგა, როცა ეჭვი გაუჩნდათ, რომ ლიბიის პრეზიდენტი კადაფი სარკოზის წინასაარჩევნო მარათონს აფინანსებდა, ამიტომაც გამოძიებამ მისი ტელეფონი მოსმენაზე აიყვანა. თუმცა მოულოდნელად საქმეში სხვა მთავარ გმირს წააწყდნენ, რომელიც ადრე სხვა საქმეში გამოჩნდა. საქმე მილიარდერ ლილიან ბეტანკურს ეხება. ის არაოფიციალურად წინასაარჩევნოდ სარკოზის სოლიდურ თანხებს აძლევდა.

ახლა გამოძიება მიიჩნევს, რომ ერთ-ერთმა მოსამართლემ, რომელსაც ბეტანკურის საქმე მიჰყავდა, სარკოზის ამ საქმეზე დახურული ინფორმაცია მიაწოდა და სატელეფონო მოსმენასთან დაკავშირებითაც გააფრთხილა.

სხვათა შორის, ჟაკ შირაკის მიმართაც, რომელიც თავის დროზე ნიკოლა სარკოზის მხარდაჭერას უცხადებდა, არსებობდა კითხვის ნიშნები. საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, უფლებამოსილების გადამეტებისთვის შირაკს 2011 წლის 15 დეკემბერს 2 წელი პირობითი მისცეს.

კანონთან პრობლემები გერმანიის მაღალი რანგის პოლიტიკურ ფიგურებსაც ჰქონდათ. მათ შორის, ისეთ ცნობილ მოღვაწეს, როგორიც ჰელმუდ კოლია. და ეს უბრალოდ სკანდალი არ იყო. ეს უფრო მასშტაბურ აფერას ჰგავდა. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის უკანონო დაფინანსებაზე მაშინ პირველად გერმანიის პარლამენტის ტრიბუნიდან პარტიის ლიდერმა და ფრაქციის თავმჯდომარემ ბოდიშიც კი მოიხადა, პარლამენტში საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ კი პარტიული ლიდერები ღიად დაკითხა. ასეთი პოლიტიკური აფერა პირველად მოხდა, მან კოლის პოლიტიკური კარიერა შეიწირა. ის იძულებული გახდა, პარტიის თავმჯდომარის პოსტიც დაეტოვებინა, პარტიამ კი ძლივს მოახერხა პოლიტიკური სახის შენარჩუნება. პარტიის ფინანსურმა ბოსმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, სიკვდილის წინ მან წერილიც დატოვა, რომლის დეტალებიც არ ხმაურდება. კოლს ბრალად ედებოდა 2,5 მილიონი მარკის პარტიის ანგარიშებზე საიდუმლოდ განთავსება.

სარკოზის მსგავსად, კოლმაც აბსურდული უწოდა მისთვის წაყენებულ ბრალდებებს.

ამ შემთხვევაში აღარაფერს ვიტყვით იტალიასა და ბერლუსკონიზე...

სერიოზული კორუფციული სკანდალი მოჰყვა ბოსნია-ჰერცოგოვინის ფედერაციის პრეზიდენტის ბიგ ჟივკო ბუდიმირას დაპატიმრებას, რომელიც სხვა 19 მაღალჩინოსანთან ერთად აიყვანეს. პრეზიდენტს ხელბორკილი სარაევოში,







**მიხეილ სააკაშვილი ღიად და ხშირად გამაღიზიანებლად აპელირებს იმაზე, რომ დასავლეთმა მკაცრად გააფრთხილა ახალი ხელისუფლება, – სააკაშვილი არც დაკითხოთ და არც დაიჭიროთო...**

საკუთარ სამუშაო ოფისში დაადეს.

პრეზიდენტს კორუფციაში ედებოდა ბრალი. გამოძიების მიხედვით, პრეზიდენტი პატიმრის შეწყალების საქმეში 40 ათას ევროს იღებდა. შეწყალებული კი მას ათეულობით პატიმარი ჰყავდა. მხოლოდ ერთ წელში პრეზიდენტმა 100-მდე პატიმარი შეიწყალა. ბუდიმირის წყალობით, ციხეს 35 მკვლელმა და 5 ნარკობარონმა დააღწია თავი.

ბუდიმირმა პრეზიდენტის პოსტი 2011 წლის 11 მარტს დაიკავა, იუგოსლავიიდან გამოყოფის შემდეგ ამ სკანდალმა ყველა შოკში ჩააგდო.

კანონის წინაშე სხვა ქვეყნის პრეზიდენტებიც წარდგნენ. 2010 წელს თელავივის სასამართლომ ექსპრეზიდენტი მოშე კაცავი დამნაშავედ ცნო ძალადობასა და ამორალურ ქმედებაში. მაღალი რანგის პოლიტიკოსს 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

მსგავსი შემთხვევები, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთში ფიქსირდება. ისლამური ირანის ისტორიაში პირველად დაიბარეს პრეზიდენტი პარლამენტში. სპეციალურ სესიაზე მისულ პრეზიდენტ აჰმადინეჯადს სერიოზულ საკითხებზე მოუწია პასუხების გაცემა.

მაჰმუდ აჰმადინეჯადი პრეზიდენტად 2005 წელს აირჩიეს, 2009 წელ მან მეორედ დაიკავა ეს პოსტი, პარლამენტში კი 2012 წელს გამოიძახეს.

ტუნისში პრეზიდენტი მონსეფ მარზუკი მოწმის სტატუსით დაიკითხა. მის მიმართ შეკითხვები ოპოზიციური ლიდერის ბელიაიდას მკვლელობის შემდეგ გაჩნდა.

უკრაინის ექსპრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა კი ჟურნალისტ ღონღაძის მკვლელობის საქმეზე ჯვარედინ დაკითხვაზეც კი გამოიძახეს. თავდაპირველად კუჩმამ უარი თქვა ჯვარედინ დაკითხვაზე, თუმცა მოგვიანებით განაცხადა: თუ ეს გენერალური პროკურატურის მოთხოვნაა, ჯვარედინ დაკითხვაში მონაწილეობას მივიღებო.

გამოძიება მიიჩნევდა, რომ ჟურნალისტის მკვლელობა პრეზიდენტ კუჩმას „არაკანონიერი განკარგულებების“ შემდეგ განხორციელდა.

ამდენი მაგალითის შემდეგ საქართველოშიც დაისვა კითხვა – რატომ არ შეიძლება წინა ხელისუფლების მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურების დაკავება დაკითხვის მიზნით? დემოკრატია მათ შორის კანონის წინაშე პასუხისგებასაც ნიშნავს. არც კოლი, არც სარკოზი და არც სხვები დანაშაულს არ აღიარებენ, ბრალდებებს პოლიტიკურ დევნად აფასებენ, მაგრამ ზუსტად იციან, რომ ყველა კითხვას უნდა უპასუხონ. საქართველოში ბევრი, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეებიც, მიიჩნევს, რომ დაკითხვის პროცედურაში დამამცირებელი არაფერია. თუნდაც ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის მაგალითზე.

მიხეილ სააკაშვილი ღიად და ხშირად გამაღიზიანებლად აპელირებს იმაზე, რომ დასავლეთმა მკაცრად გააფრთხილა ახალი ხელისუფლება, – სააკაშვილი არც დაკითხოთ და არც დაიჭიროთო. და შესაძლოა, ასეც იყოს. ისევე როგორც თავის დროზე, ვარდების რევოლუციის შემდეგ სააკაშვილი გააფრთხილეს, რომ შევარდნაძეს თითსაც ვერ დააკარებდა. თუმცა, ამის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე გამომწვევი დემონსტრაციული ტონით არ აცხადებდა, – ხომ ხედავთ, რა სუსტია სააკაშვილის ხელისუფლება, ვერც მიჭერს და ჩემ მიმართ რამე რომ ჰქონდეს, ამდენხანს გამოიყენებდაო.

მიხეილ სააკაშვილი დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობს, რა თქმა უნდა, ის სერიოზული დონის პოლიტიკოსია, ამდენად გასაოცარია, როცა ცელქი ბავშვივით შემოუთვლის ხოლმე შიგადაშიგ ქართველ სამართალდამცავებს, აბა თუ ბიჭები ხართ, გამომეკიდეთ და დამიჭირეთო. ეს, უბრალოდ, არასერიოზული და შეუფერებელიც კია სააკაშვილისთვის.

საქართველოში პოლიტიკური ფიგურების დაკითხვისა თუ დაჭერის თემა დაპირისპირების თემა ხდება. წითელი ხაზი ქოცებისა და ნაცების მომხრეებს შორის გადის. ერთნი ამ პროცესს სამართლიანობის აღდგენას უწოდებენ, სხვები – პოლიტიკურ დევნას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გია ხუხაშვილი: „ჩვენ კ
# მაგრამ ზედმეტი იმედები



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ტელეკომპანია „იმედის“ პარალელურად, არ არის გამორიცხული, ცვლილებები „რუსთავი 2“-შიც განხორციელდეს. რაც დრო გადის, სულ უფრო აქტიურდება ხმები „რუსთავი 2“-ის გაყიდვის შესახებ. თავად ტელეკომპანიაში აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებენ, თუმცა ფაქტია, რომ ინტერნეტში მყიდველის მსურველის ვინაობაც კი გაჟღერდა. გარდა ამისა, ვიცე-პრემიერმა, კახი კალაძემ რამდენიმე დღის წინ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა „რუსთავი 2“-ის წარსული და აღნიშნა, რომ ის მალე მესაკუთრეს დაუბრუნდება, ანუ სამართლიანობა აღდგება.**

**კახი კალაძე, ვიცე-პრემიერი:**

– „იმედი“ პატარკაციშვილების ოჯახს უსამართლოდ ჩამოართვეს, უგულავას თაოსნობით, და მიხეილ სააკაშვილის საკუთრებაში იყო. დღეს „რუსთავი 2“ სააკაშვილის საკუთრებაში რჩება. ახლა „რუსთავი 2“-ის მეპატრონე გახლავთ სააკაშვილის უახლოესი მეგობარი უკრაინაში, ყარამანაშვილი. იმედია, „რუსთავი 2“ თავის მფლობელს დაუბრუნდება. მალე მოვა ამის დრო.

საკუთრების დაბრუნებას ქიბარ ხალვაში უკვე წლებია ელოდება და მეტიც, იბრძვის კიდეც საკუთრების დასაბრუნებლად: „რუსთავი 2“-ისთვის 2008 წლიდან ვიბრძვი. პირველი საჩივარი სააკაშვილის პროკურატურაში შევიტანე. ახლაც პროკურატურაზეა დამოკიდებული, თუ საჭიროდ ჩათვლის გამოიძიებს კიდეც საქმეს“.

ფატი ხალვაშის, ქიბარ ხალვაშის დის განცხადებით, საქმეზე გამოძიება უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. დეპუტატი იმედს გამოთქვამს, რომ სააკაშვილის რეჟიმის დასრულების შემდეგ სამართლიანობა ამ მხრივაც აღდგება.

**ფატი ხალვაში, ქიბარ ხალვაშის და:**

– კახი კალაძის განცხადება არ მომისმენია, მაგრამ რ„უსთავი 2“-ის საქმე საერთოდ ადვოკატებს აქვთ და ვიცი, რომ აქტიურად მუშაობენ მასზე. დეტალურად ვერაფერს გეტყვით. ჩემმა ძმამ თავის დროზე აიყვანა ადვოკატები, თუმცა მაშინ, სააკაშვილის დროს გამორიცხული იყო, რაიმე შედეგი დამდგარიყო, მით უფრო სამართლიანი.

**– თქვენს ძმასთან არ გქონიათ ამაზე საუბარი?**

– ჩემი ძმა ახლა გერმანიაში არ იმყოფება, გასულია ქვეყნიდან და რომ დაბრუნდება, მაშინ დაველაპარაკები დეტალებზე.

თუმცა ფატი ხალვაშისგან განსხვავებით, პროკურატურის მუშაობის ტემპებით ნაკლებად კმაყოფილია ხალვაშის ადვოკატი. პაატა სალიას მიაჩნია, რომ წართმეული ტელევიზია – ეს ერთ-ერთი მთავარი და პრიორიტეტული საკითხია ახალი ხელისუფლებისთვის. შესაბამისად, ადვოკატმა ბუნებრივია, ხალვაშთან შეთანხმებით, ბევრჯერ მიმართა პროკურატურას განცხადებით, რომ გამოძიება დაჩქარებულიყო, თუმცა ჯერჯერობით სიახლე არაფერია.

**პაატა სალია, ქიბარ ხალვაშის ადვოკატი:**

– სიმართლე გითხრათ, არანაირი სიახლე არ არის „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით. იძიებენ, როგორც ბევრ დანარჩენ საქმეს. „არტის“ თემასთან და სხვა კომპანიების თანამშრომლების უკანონო დაჭერასთან დაკავშირებით ჩვენ განცხადება გვაქვს შეტანილი. ერთი თემა სტრასბურგშია, მოგეხსენებათ, იქ განხილვებს საკმაოდ დიდი დრო სჭირდება და არ ვიცით, როდის იქნება პასუხი. რაც შეეხება პროკურატურას, რამდენჯერაც არ უნდა მივმართოთ, მათგან ყოველთვის ერთი პასუხია: ვიძიებთ, შეგატყობინებთ შედეგებს. ვიღაცები დაიკითხნენ, ვიღაცები არ დაკითხულან, დასაკითხიც ბევრია, ჯერჯერობით კონკრეტული არაფერი არ არის. ჩვენც ძალიან გვინდა, რომ სწრაფად გაირკვეს ყველაფერი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო ეს ვერ ხერხდება.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება საქმის გაწელვა?**

– შეგნებულად გაწელვას ნამდვილად ვერავის დავაბრალებ. პროკურატურას მართლაც ძალიან ბევრი საქმე აქვს და ალბათ, ამიტომ იგვიანებს ჩვენი საკითხის გარკვევაც. ალბათ, სხვა თემები მიაჩნიათ უფრო პრიორიტეტულად და ჯერ მათ იძიებენ, როგორც ჩანს. ჩვენ მათზე ზეგავლენას ვერ ვახდენთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაზე პრიორიტეტული ჩვენი საქმეა, ამ შემთხვევაში ჩვენ ვართ სუბიექტურები. ბევრჯერ მივმართეთ განცხადებებით პროკურატურას, რომ საქმის გამოძიება დაჩქარდეს. ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ბევრი გახმაურებული საქმეა გამოუძიებელი.

**– კონკრეტულ პასუხს ვერ იღებთ, როდისთვის შეიძლება დაიძრას საქმე?**

– პროკურატურა ვადებში შეზღუდული არ არის, მათი მთავარი მიზანი ისაა, რომ საქმე სწორად გამოიძიონ. სასამართლოშიც, იცით, რომ დღეს ბევრად მეტი თავისუფლებაა და მეტად თავისუფლად იღებენ მხარეები გადაწყვეტილებას, წინა მთავრობასთან შედარებით.

**– როდესაც პროკურატურიდან იღებთ პასუხს, რომ მიმდინარეობს გამოძიება, არ ითხოვთ ინფორმაციას, რა კეთდება კონკრეტულად? ხომ შეიძლება, საერთოდ არაფერი კეთდებოდეს და საერთოდ, თაროზე იყოს შემოდებული „რუსთავი 2“-ის საქმე?**

– არ მაქვს ინფორმაცია, რომ საქმე თაროზეა შემოდებული, ვიცით, რომ გამოძიება მიმდინარეობს. გამოძიება არ არის ვალდებული და საერთოდ, უფლებაც არ აქვს, ჩვენ შეგვატყობინოს და გვითხრას, ვინ დაკითხა ან როდის აპირებს დაკითხოს კონკრეტული პირი, ან დაკითხვის შედეგად რა პასუხები მიიღეს, რა პროცედურა ჩაატარეს. ჩვენ ამ შემთხვევაში პასიური როლი გვაქვს და პროცესს ვერ ვაკონტროლებთ. უბრალოდ, ინფორმაციის მიღების უფლება გვაქვს მხოლოდ, თანაც ძალიან ზოგადი ინფორმაციის. როდესაც გვეტყვიან, რომ გამოძიება დასრულდა, ამის შემდეგ დაიწერება საბრალდებო დასკვნა და წავა სასამართლოში.

**– გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეიძლება „რუსთავი 2“ გასხვისდეს. თუ ასე მოხდება, როგორ ფიქრობთ, რამდენად შემცირდება თუნდაც ქიბარ ხალვაშისთვის ტელევიზიის დაბრუნების შანსები?**

– გასხვისების შემთხვევაში ესეც გამოძიების თემა გახდება, რამდენად კეთილსინდისიერია მყიდველი, მით უმეტეს ისეთი ტელევიზიის, რომელთან დაკავშირებითაც სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. გასხვისება წინასწარვე სადავო საკითხი ხდება. ყოველ შემთხვევაში ვიცით, რომ წილებს ყადაღა არ ადევს, ეს საჯარო ინფორმაციაა, ან შესაძლებელია, გაიყიდოს როგორც ქონება, ასევე წილებიც. თუმცა მთელმა საქართველომ იცის, რომ ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს. მარტივად რომ აგიხსნათ, როდესაც თქვენ გინდათ სახლის შეძენა და გაიგებთ, რომ ამ სახლზე დავა მიმდინარეობს, არ შეიკავებთ თავს მისი ყიდვისგან, რომ შემდეგ პრობლემები არ შეგექმნათ? არ ვიცი, ვნახოთ, თუ გასხვისდება, ეს უკვე ახალი სამართლებრივი საკითხი იქნება და ცალკე სამუშაო გვექნება ამ შემთხვევაში. მით უმეტეს, ჩვენ ჯერ კიდევ სააკაშვილის პრეზიდენტობისას, 2012 წლის არჩევნების შემდეგ გავაკეთეთ განცხადება და ღიად ვისაუბრეთ იმაზე, როგორი ზეწოლის შედეგად მოხდა ტელევიზიის გასხვისება. ეს მოხდა მიხეილ სააკაშვილის კაბინეტში, სწორედ იქ განხორციელდა ზეწოლა ხალვაშზე, სადაც მას უთხრეს, რომ მისთვისვე აჯობებდა, რომ წილი დაეთმო.

**– თავად ქიბარ ხალვაშის პოზიცია როგორია, აქვს იმედი, რომ „რუსთავი 2“-ს დაიბრუნებს?**

– რა თქმა უნდა, აქვს იმედი, იმედი რომ არ ჰქონდეს, პროკურატურაში არ შევიტანდით საჩივარს. ჩვენ გვაქვს ამის იმედი.

კახი კალაძის განცხადებით, ამ ეტაპზე „რუსთავი 2“ ბიზნესმენ ლევან ყარამანაშვილის საკუთრებაშია. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ყარამანაშვილის ინიციატივაა ტელეკომპანიის გაყიდვა.

თავად ლევან ყარამანაშვილი „რუსთავი 2“-თან ერთად ტელეკომპანია „მზესაც“ ფლობდა. ყარამანაშვილი, ტელეკომპანიების გარდა, ბიზნესმენ რევაზ შარანგიასთან ერთად რუსული კომპანია „მობიტელის“, იგივე „ბილაინის“, სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო. გარდა ამისა, ის პოკერის საყოველთაოდ ცნობილი მოთამაშეა. მან ბოლოს „Russian Poker Series“-ის 2011 წლის ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა.

„რუსთავი 2“-ის ძველი მეპატრონის მსგავსად, გია ხუხაშვილსაც მიაჩნია, რომ პროკურატურამ, პირველ რიგში, წართმეული საკუთრების დაბრუნებით უნდა დაიწყოს საქმეების განხილვა და ასეთი ერთ-ერთი პირველი საქმე სწორედ „რუსთავი 2“ უნდა გახდეს. რაც შეეხება მეორე ტელეკომპანიას, ხუხაშვილს მიაჩნია, რომ ის, რაც „იმედზე“ ხდება, საინტერესო პროცესია და იმედი აქვს, რომ შედეგიც ასეთივე იქნება...

**გია ხუხაშვილი, ექსპერტი:**

– არა მგონია, რამე განსაკუთრებული ხდებოდეს „იმედზე“, ბაია ცანავა რომ გაეშვათ ტელევიზიიდან, მესმის, მაგრამ ის ტელევიზიაში რჩება. ტელევიზია ცდილობს, რომ განვითარდეს. ტელევიზიის დამფუძნებელს აქვს სურვილი, რომ ახალ-ახალი, ინოვაციური მომენტები შემოიტანოს, უცხოური ტელევიზიების გამოცდილებები უნდა გავიზიაროთ, ხომ უნდა დაიწყოს სტანდარტის ანალიზის პროცესი? აქედან



**გია ხუხაშვილი: „რატომღაც „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით საქმე ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, უნდა დაჩქარდეს და უნდა გაირკვეს, რა ხდებოდა და როგორ ხდებოდა. ზუსტად ვიცი, რა მეთოდებით ხდებოდა დვალისა და აქიმიძის ჩამოშორება“**



პაატა სალია

**პაატა სალია: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაზე პრიორიტეტული ჩვენი საქმეა, ბევრჯერ მივმართეთ განცხადებით პროკურატურას, რომ საქმის გამოძიება დაჩქარდეს“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ი ვსაუბრობთ „იმედზე“, ...ს შექმნა სწორი არ იქნება“



ქიბარ ხალვაში: „რუსთავი 2“-ისთვის 2008 წლიდან ვიბრძვი. პირველი საჩივარი სააკაშვილის პროკურატურაში შევიტანე. ახლაც პროკურატურაზეა დამოკიდებული, თუ საჭიროდ ჩათვლის, გამოიძიებს კიდეც საქმეს“

## გია ხუხაშვილი: „იმედი“, როგორც ბიზნესაქტივი, რომ გაიყიდოს, ასეთი რამ ვერც კი წარმომიდგენია“







გამომდინარე, თუ არხზე ტრენინგები ჩატარდება, თუ ახალი იდეები, ახალი აზრები გაჩნდება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი იქნება, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. რა გამოვა აქედან, ეს ცალკე თემაა. ერთია განაცხადი, მე ამისგან რაღაცას გავაკეთებ და მეორეა შედეგი. ეს შედეგი ყოველთვის არ არის ხოლმე. მე ვუსურვებ წარმატებას ახალ მენეჯმენტს, ისე არ უნდა მოხდეს, რომ მენეჯმენტი შეიცვალოს და რეიტინგისა თუ ხარისხის მხრივ ეს ცვლილება არ დაეტყოს. წარმატებას ვუსურვებ ყველას თავის ადგილზე, ბაია ცანავასაც სამეთვალყურეო საბჭოში, ახალ მენეჯმენტსაც, ისინი ერთი გუნდი არიან და ყველა დაინტერესებულია, რომ ტელევიზიაში უკეთესობა იყოს.

**– ამბობენ, რომ „იმედზე“ ცვლილებები არჩევნების მეორე ტურის შემდეგ გაგრძელდება...**

– არა მგონია, ასე მოხდეს. არა მგონია, რეზო საყევარიშვილს რაიმე „ემუქრებოდეს“. რამდენადაც ვიცი, დამფუძნებლების მხრიდან რეზოსადმი დამოკიდებულება არის პოზიტიური და მეგობრული. ეს საკითხი, რამდენადაც ვიცი, არც არასოდეს დამდგარა. რაც შეეხება ბაია ცანავას, ის არც გაუშვიათ და რამდენადაც ვიცი, არც მატერიალურად დაზარალებულა. პრინციპში, ის უფრო დააწინაურეს, სამეთვალყურეო საბჭო დაწინაურებაა. გასაგებია, რომ აქტიურ მენეჯმენტს დროებით ჩამოაშორეს, მაგრამ ეს არის მუშა პროცესი. ცანავა საერთოდ რომ გაეშვათ, ეს, ალბათ, საუბრის საფუძველი გახდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ბაია ცანავა მუშაობას აგრძელებს და ვინ რა პოზიციაზე იქნება, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, შედეგი იყოს გაუმჯობესებული და ამოცანა შესრულდეს.

**– თქვენ განაცხადეთ, რომ ტელევიზია საკუთარი სტანდარტის ამაღლებაზე მუშაობს. ბაია ცანავას განცხადებით, „იმედზე“ ჩამოდის ჯგუფი, რომლის ყველა წევრი ქართველი იქნება, ხელმძღვანელი კი – ნათია აბრამია და როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა?**

– კი, გასაგებია, მაგრამ მე რამდენადაც ვიცი, ამ ჯგუფში იქნებიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ მიღებული ბრიტანულ ტელევიზიებში. მაგალითად, ირაკლი იმნაიშვილი ახლაც „ბი-ბი-სი“-ზე მუშაობს. მათ უკეთესი გამოცდილება აქვთ, ასევე აქვთ უშუალო შეხება ევროპულ ტელეინდუსტრიასთან. ეს საინტერესო და სერიოზული გამოცდილებაა, იმდენს თუ მოახერხებენ, რომ თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ არა მარტო ჟურნალისტებს, არამედ მენეჯმენტებსაც, რადგან ერთია ჟურნალისტური ხარისხი და მეორეა მენეჯმენტის ხარისხი, ძალიან კარგი იქნება. მათ ეს ყველაფერი შიგნიდან აქვთ ნანახი, გამოცდილება აქვთ და მათი გამოცდილების გაზიარება საინტერესო იქნება, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად ეფექტურად აითვისებენ მათ გამოცდილებას. ამას უკვე დრო გვაჩვენებს.

**– ითქვა, რომ ჟურნალისტებმა გააპროტესტეს. მიგაჩნიათ, რომ მათი გამოცდილება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შედეგად ტელევიზიის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას მიიღებენ?**

– ჯერჯერობით პროცესი იწყება, წინასწარ რამის თქმა ძნელია. ეს კი არა, მსოფლიო ჩემპიონატზე მაღალი დონის მწვრთნელებმა, რომლებიც პირობას დებდნენ, რომ შედეგებს დადებდნენ, ვერაფერს მიაღწიეს. შესაბამისად, წინასწარ გარანტირებულად საუბარი არ შეიძლება. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო პროცესია იმედზე და რა გამოვა აქედან, ეს მოგვიანებით უნდა შევაფასოთ. ჩვენ კი ვსაუბრობთ „იმედზე“, მაგრამ ზედმეტი იმედების შექმნა სწორი არ იქნება.

**– ვასაძის ვერსიას გამორიცხავთ? ითქვა, რომ სწორედ მან მოითხოვა მენეჯმენტის შეცვლა ყიდვამდე...**

– ეს საკითხი გამორიცხულია. წარმოგიდგენიათ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ბადრისთვის ტელეკომპანია? ფაქტობრივად, ბადრი ამ ტელევიზიას შეეწირა და ამ ოჯახის ირგვლივ მთელი დრამა სწორედ ამ ტელევიზიის ირგვლივ ტრიალებდა. აქ მარტო მატერიალურ ფასეულობებზე არ არის საუბარი, აქ საუბარია მორალზე, მორალურ ვალდებულებებზე, ტელევიზიის დამფუძნებლის ვალდებულებებზე. „იმედი“, როგორც ბიზნესაქტივი, რომ გაიყიდოს, ასეთი რამ ვერც კი წარმომიდგენია.

**– ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ განაცხადა, რომ მალე „რუსთავი 2“-იც დაუბრუნდება პატრონს. ფიქრობთ, რომ ეს საკითხი ისევ გააქტიურდება?**

– მოდით, ასე ვთქვათ: „რუსთავი 2“-ის ისტორია საერთოდ წარმოუდგენელი ისტორიაა. ის რევოლუციის შემდეგ ხელიდან ხელში გადადიოდა თითქოს, მაგრამ სინამდვილეში იყო ხელისუფლების, ანუ მიხეილ სააკაშვილის ხელში. უბრალოდ, იცვლებოდნენ ფიგურანტები, მისი ნომინალური მფლობელების სახით. ეს დაიწყო იმით, რომ დათო დვალი და ჯარჯი აქიმიძე, სხვადასხვა მანიპულაციების მეშვეობით, ძალისმიერი მეთოდებით ჩამოაშორეს ტელევიზიას და სანაცვლოდ კაპიკები გადაუხადეს. ამ ყველაფერს აკეთებდა ხელისუფლება. რა თქმა უნდა, ეს საკითხი გამოსაძიებელია. რატომღაც „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით საქმე ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, უნდა დაჩქარდეს და უნდა გაირკვეს, რა ხდებოდა და როგორ ხდებოდა. ზუსტად ვიცი, რა მეთოდებით ხდებოდა დვალისა და აქიმიძის ჩამოშორება.

**– ზეწოლა იყო?**

– რა თქმა უნდა, სერიოზული ზეწოლა იყო, თუმცა ეს არავის გვიკვირს. ვფიქრობ, ასეთ საქმეებს, რადგან ის მეოთხე ხელისუფლებას ეხება, პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა და აქამდეც უნდა გარკვეულიყო, როგორ და რატომ მოხდა წართმევა და რა სქემა იყო ეს, საერთოდ. მიმაჩნია, რომ, სხვა საქმეებისგან განსხვავებით, ეს საქმე თაროზე არ უნდა შემოდებულიყო.

## ფატი ხალვაში: „რუსთავი 2“-ის საქმე, საერთოდ, ადვოკატებს აქვთ და ვიცი, რომ აქტიურად მუშაობენ მასზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სტრასბურგში მ

ქეთი ხატიაშვილი

**ეს უკვე მეორედ წინა ხელისუფლების დაწყებული საქმე ახალმა ხელისუფლებამ გამარჯვებით დააგვირგვინა. ასე იყო ევროკავშირის ასოცირებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემთხვევაში და ასე მოხდა ევროსასამართლოში გამარჯვებით. წინა ხელისუფლების მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე განაჩენი სასამართლომ შვიდი წლის შემდეგ გამოიტანა და ის საქართველომ მოიგო.**

**ეს საქართველოს დრამატული და კონკრეტული ადამიანებისთვის რიგ შემთხვევებში ტრაგიკული ისტორია 2006 წლის სექტემბრიდან დაიწყო. სწორედ მაშინ, 2006-07 წლებში, რუსეთიდან ეთნიკური ქართველების მასობრივად გამოძევების ფაქტები დაფიქსირდა. ეს იყო რუსეთის პასუხი საქართველოში (2006 წლის 27 სექტემბერს) რუსეთის 4 ოფიცრის დაკავებაზე. მათ ბრალი შპიონაჟში წაუყენეს. ამის შემდეგ რუსეთის მთელ ტერიტორიაზე ეთნიკური ქართველების დაკავებისა და დეპორტაციის თითქმის სამთვიანი პროცესი დაიწყო. საქართველოს მოქალაქეებს არაადამიანურად ეპყრობოდნენ, მათი უფლებები უხეშად ირღვეოდა. ქართული მხარის მონაცემებით, 2 ათასზე მეტი ეთნიკურად ქართველი დააკავეს და გამოაძევეს.**

**ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილი ელჩი ზურაბ ჭიაბერაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბარში იმ პერიოდს იხსენებს, როცა საქართველო სარჩელს ამზადებდა:**

– მაშინ საქართველოში ჩამოვიდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის მომხსენებელი მატიას იორში და იმ ადამიანებს შეხვდა, ვინც რუსეთიდან გამოაძევეს. ეს ისტორიები უშუალოდ მათგან მოისმინა. ასე რომ, ევროპის საბჭო ამ პროცესში თავიდანვე იყო ჩართული.

სარჩელი წინა ხელისუფლების დროს მომზადდა და სასამართლო პროცესი 2012 წლისთვის უკვე დასრულებული იყო.

პროცესზე რუსული მხარე აცხადებდა, რომ ქართული მხარის ბრალდებები აბსურდული იყო და რომ მოსკოვი, უბრალოდ, პრევენციულ ზომებს იღებდა არალეგალების წინააღმდეგ. სასამართლო პროცესი საინტერესო აღმოჩნდა. რუსეთმა აღიარა ის ფაქტი, რომ შესაბამისმა სამსახურებმა სპეციალური წერილები დააგზავნეს სკოლებში ქართველი მოსწავლეების იდენტიფიცირების მიზნით, თუმცა პროცესზე რუსეთის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ეს ქმედება შსს-ს მითითებით კი არ მოხდა, არამედ ცალკეულმა თანამდებობის პირებმა საკუთარ უფლებამოსილებას გადააჭარბეს.

სასამართლომ გადაწყვეტილების მისაღებად ერთი წელი ითხოვა. თუმცა, რეალურად ეს იყო ვადა, რომელსაც ევროსასამართლო მხარეებს, ამ შემთხვევაში კი რუსეთსა და საქართველოს, აძლევს მოლაპარაკებისთვის.

სწორედ ეს იგულისხმა თეა წულუკიანმა თავის ხმაურიან განცხადებაში, როცა თქვა, რომ მასზე ხორციელდებოდა გარკვეული სახის ზეწოლა საქმის სასამართლოდან გამოტანასთან დაკავშირებით. თუმცა, ამ ხმაურიანი განცხადებების იქით მინისტრს სხვა არაფერი დაუკონკრეტებია. ექსპერტების ვარაუდით, საქმე ეხება არა საქართველოს ხელისუფლებას, არამედ თავად ევროსასამართლოს, რომელიც ერთი წლის ვადას სწორედ მოსარიგებლად აძლევს მხარეებს.

და ეს მარტივი პროცედურული ისტორიაც წულუკიანმა ისე გაასკანდალა, თითქოს რაიმე განსაკუთრებული გმირობა ჩაიდინა.







**ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდმა დარბაზმა ხმათა უმრავლესობით მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რომ ადგილი ჰქონდა:**

მეხუთე მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევას (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება);

მეხუთე მუხლის მეოთხე პარაგრაფის დარღვევას (დაპატიმრებისას სასამართლოს უფლება);

მესამე მუხლის დარღვევას (არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა);

მეცამეტე მუხლის დარღვევას (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მეხუთე მუხლის პირველ პარაგრაფსა და მესამე მუხლთან ერთად;

ოცდამეთვრამეტე მუხლის დარღვევას (ყველა დაწესებულების გამართვა გამოძიების ეფექტური წარმართვისთვის).

სასამართლომ არ დაადგინა მერვე მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების), მეშვიდე პროტოკოლის პირველი მუხლის (პროცედურული გარანტიები უცხო ქვეყნის მოქალაქეების გაძევებასთან დაკავშირებით) და პირველი პროტოკოლის პირველი და მეორე მუხლების (საკუთრებისა და განათლების უფლება) დარღვევა.

მხარეთა მიერ წარდგენილი მასალების, 21 მოწმის მოსმენისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების განხილვის შემდეგ, სასამართლომ დაადგინა, რომ 2006 წლის შემოდგომაზე, რუსეთის ხელისუფლება აწარმოებდა კოორდინირებულ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს მოქალაქეების დაკავებას, დაპატიმრებასა და გაძევებას, და წარმოადგენდა კონვენციის დარღვევას.

ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, სასამართლომ თავისი დასკვნა დააფუძნა მხარეთა დაკვირვებებზე, მათ მიერ წარდგენილ მრავალ დოკუმენტსა და მოწმეთა ჩვენებებზე. გათვალისწინებულ იქნა, ასევე, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიშები.

## ფაქტობრივი გარემოებები

აღნიშნული საქმე ეხებოდა რუსეთში საქართველოს მრავალი მოქალაქის დაკავებას, დაპატიმრებასა და გაძევებას 2006 წლის სექტემბრის ბოლოდან 2007 წლის იანვრის ბოლომდე პერიოდში.

საქართველოს მთავრობის თანახმად, ეს ზომები იყო შურისძიება, რომელიც მოჰყვა თბილისში 2006 წლის 27 სექტემბერს ოთხი რუსი ოფიცრის დაკავებას, რაც ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის კულმინაცია იყო.

საქართველოს მთავრობის განაცხადის თანახმად, ამ პერიოდის მანძილზე საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლებამ გაძევების 4 600 ბრძანება გამოსცა. მათ შორის 2 300-ზე მეტი პირი დააკავეს და ძალის გამოყენებით გააძევეს, დანარჩენებს კი საკუთარი სახსრებით მოუწიათ ქვეყნის დატოვება. საქართველოს მთავრობა აცხადებდა (maintained), რომ ციფრები საქართველოს მოქალაქეების გაძევების მონაცემებში მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებდა. ეს მონაცემები 2006 წლის ივლისისა და სექტემბრის თვეებში, საშუალოდ, 80-დან 100 ადამიანამდე იყო, 2006 წლის ოქტომბრისა და 2007 წლის იანვრის პერიოდში კი თვეში 700-დან 800 ადამიანამდე გაიზარდა.

საკუთარი მტკიცებების გასამყარებლად, რომლის მიხედვითაც ამ მონაცემის ზრდა იყო სპეციფიკურად საქართველოს მოქალაქეებზე მიმართული პოლიტიკის შედეგი, საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც გამოცემულია 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისსა და შუა რიცხვებში სანკტ-პეტერბურგის შინაგან საქმეთა პოლიციის ორგანოების, ასევე რუსეთის ფედერაციის მიგრაციის სამსახურის მიერ. ეს დოკუმენტები, რომლებიც აისახა (referred) ორ ბრძანებაში, რომელიც გამოსცა სანკტ-პეტერბურგის შინაგან საქმეთა სამმართველომ და რუსეთის შს სამინისტრომ 2006 წლის სექტემბრის ბოლოს, უბრძანებდა ამ უწყებების თანამშრომლებს, მიეღოთ ფართომასშტაბიანი ზომები, რათა გამოევლინათ მაქსიმალურად ბევრი საქართველოს მოქალაქე, რომელიც რუსეთში უკანონოდ ცხოვრობდა – იმ მიზნით, რომ ისინი დაეკავებინათ და დეპორტაცია მოეხდინათ.

საქართველოს მთავრობამ ასევე წარმოადგინა 2006 წლის ოქტომბერში სკოლებისთვის გაგზავნილი მოსკოვის ორი ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს ორი წერილი, მოთხოვნით, მომხდარიყო ქართველი მოსწავლეების იდენტიფიკაცია, რათა, მათ შორის, „უზრუნველეყოთ საჯარო წესრიგი და კანონის პატივისცემა, მოეხდინათ ტერორისტული აქტებისა და მოსკოვის მაცხოვრებელ და საქართველოს მოქალაქე ბავშვებს შორის დაძაბულობის პრევენცია.

რუსეთის მთავრობამ იდავა საქართველოს მთავრობის ბრალდების წინააღმდეგ. მათ განაცხადეს, რომ არ მიუღიათ არანაირი შურისძიებითი ზომა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ, არამედ უბრალოდ აგრძელებდნენ არალეგალური იმიგრაციის თავიდან აცილებისთვის საჭირო ზომების მიღებას. რაც შეეხება გაძევებათა რაოდენობას, მათ განაცხადეს, რომ არ გადაუცილებიათ წლიური ან ნახევარწლიური სტატისტიკისთვის. მათივე თქმით, 2006 წელს საქართველოს მოქალაქეების მიმართ გაიცა 4000-მდე ადმინისტრაციული გაძევების ბრძანება, 2006 წლის პირველი ოქტომბრიდან 2007 წლის პირველ აპრილამდე კი – 2800 ბრძანება. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ისინი გაყალბებული იყო. რუსეთის მთავრობამ დაადასტურა სანკტ-პეტერბურგის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი ბრძანების არსებობა, თუმცა მათი შინაარსის შესახებ არაფერი განაცხადა. რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ბრძანებები ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს წინაშე ვერ იქნებოდა წარდგენილი, რადგან ისინი „სახელმწიფო საიდუმლოებად“ იყო კლასიფიცირებული. რუსეთის მთავრობას არ უარყვია, რომ რეგიონულმა ხელისუფლებამ დააგზავნა წერილები მოსკოვის სკოლებში და სხვა რეგიონებში ქართველი მოსწავლეების იდენტიფიცირების მიზნით, მაგრამ უარყო, რომ ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანების საფუძველზე მოხდა; საპირისპიროდ, მათ განაცხადეს, რომ წერილები თვითნება მოხელეების მიერ იქნა დაგზავნილი და ისინი ამისთვის დაისაჯნენ.

სხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა – მათ შორის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტმა, Human Rights Watch-მა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ წარადგინეს ანგარიშები, 2007 წელს, საქართველოს მოქალაქეების რუსეთის მიერ 2006 წლის შემოდგომაზე გამოძევებასთან დაკავშირებით. ანგარიშებში მათ ხაზი გაუსვეს ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებას შორის კოორდინირებულ მოქმედებას, რომელსაც ისინი სანკტ-პეტერბურგის შინაგან საქმეთა სამმართველოს ერთი და იმავე დოკუმენტების საფუძველზე აკეთებდნენ, რაც ასევე განაცხადა საქართველოს მთავრობამ.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში, 2011 წლის 31 იანვრიდან 4 თებერვლამდე მოხდა მოწმეთა ჩვენებების მოსმენა, რომლის ფარგლებშიც ჩვენება მისცა 21-მა მოწმემ, მათ შორის 9-მ საქართველოს მხარის მიერ წარდგენილმა, 10-მა რუსეთის მთავრობის მიერ, 2-მა კი სასამართლოს მიერ არჩეულმა.

ქართველი მოწმეების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებს აკავებდნენ მათი პირადობის მოწმობის შემოწმების შემდეგ ქუჩებში, ბაზარში, მათ სამუშაო ადგილებსა და სახლებში. რამდენიმე მოწმემ განაცხადა, რომ მათ იკითხეს დაკავების მიზეზი, რაზეც პასუხად მიიღეს, რომ მათ აკავებდნენ, რადგან ქართველები იყვნენ და ზემოდან ბრძანება იყო, რომ ქართველი მოქალაქეები გაეძევებინათ.

პოლიციაში რამდენიმე საათის ან რამდენიმე დღის ყოფნის შემდეგ, ისინი ჯგუფებად ავტობუსით გადაიყვანეს სასამართლოში, რომელმაც ჯამურად დააკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა და მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ტერიტორიიდან მათი ადმინისტრაციული გაძევების შესახებ. სასამართლო პროცედურა დაახლოებით 5 წუთი გაგრძელდა და არ მომხდარა ფაქტების რეალური შემოწმება, მოპასუხეები არ ყოფილან წარმოდგენილი ადვოკატის მიერ. მოსამართლეებმაც და პოლიციის ოფიცრებმაც ურჩიეს მათ, არ გაესაჩივრებინათ გადაწყვეტილება და უთხრეს, რომ არსებობდა საქართველოს მოქალაქეების ქვეყნიდან გაძევების ბრძანება. მათ ორი დღიდან ორ კვირამდე გაატარეს დაკავების ცენტრებში უცხოელებისთვის, გადატვირთულ საკნებში – რის გამოც უწევდათ რიგრიგობით დაძინება და სათლის, რომელსაც ტუალეტის ფუნქცია ჰქონდა, რიგრიგობით გამოყენება, სანამ მათ გადაანაწილებდნენ მოსკოვის სხვადასხვა აეროპორტებში, საიდანაც ისინი გადაიყვანეს საქართველოში.

რუსეთის მხარის მოწმეებმა, ფედერალური მიგრაციის სამსახურისა და მოსკოვის პროკურატურის თანამშრომლებმა, განაცხადეს, რომ საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ სასამართლოს გადაწყვეტილება და არ ყოფილა საქართველოს მოქალაქეების უფლებების შეზღუდვის ბრძანება. რუსმა მოწმეებმა ასევე უარყვეს, რომ დაკავების ცენტრებში პირობები არაადეკვატური იყო.

თავიანთ ანგარიშებში, PACE-ის მონიტორინგის კომიტეტი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები დაკავებებს, სასამართლო პროცედურებს, დაკავებისა და საქართველოს მოქალაქეების გაძევების პირობებს აღწერენ ქართველი მოწმეების მსგავსად და აცხადებდნენ, რომ დაკავებისას გარდაიცვალა საქართველოს ოთხი მოქალაქე.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოგებული საქმე



## რა კავშირი აქვს ირაკლი ოქრუაშვილს რუსეთიდან გამოძევებულ ქართველებთან და რა ინციდენტი მოხდა კეხვში





## ვინ რა ზეწოლას ახდენდა თეა წულუკიანზე და რატომ გააკეთა იუსტიციის მინისტრმა ხმაურიანი განცხადება



არაადამიანური მოპყრობის შედეგად გამოძევებულების ისტორიას რომ დავუბრუნდეთ, მათ სერიოზული დაბრკოლება საქართველოშიც დახვდათ და ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ ადრეც წერდა:

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სწორედ ირაკლი ოქრუაშვილი იყო პირველი ჩინოვნიკი, რომელსაც სოზარ სუბარი (სახალხო დამცველი) მწვავედ დაუპირისპირდა. საუბარია კეხვის ინციდენტზე, როდესაც რუსეთიდან დეპორტირებულ საქართველოს მოქალაქეებს ოქრუაშვილი ქვეყანაში შემოსვლის უფლებას არ აძლევდა. აი, რას წერდა ამ ფაქტთან დაკავშირებით **სოზარ სუბარი:**

„2004 წლის 30 ოქტომბერს რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე, როკის გვირაბის გავლით, 5 ავტობუსი შემოვიდა, მათ რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული (ჟირინოვსკი) პარტიის წარმომადგენლები მოაცილებდნენ. ავტობუსში, სხვებთან ერთად, რუსეთიდან დეპორტირებული საქართველოს 60-მდე მოქალაქე იმყოფებოდა... ავტობუსებმა როკის გვირაბიდან სოფელ კეხვამდე გზა უპრობლემოდ გაიარეს (ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია). აქ ისინი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გააჩერეს (მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის უშუალო ბრძანებით), უკან გაბრუნება და კანონიერი გზით – ლარსის მხრიდან შემოსვლა მოსთხოვეს. ამ მოთხოვნას ყველაზე ხმამაღლა პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში, მიხეილ ქარელი (ქარელი ირაკლი ოქრუაშვილის გუნდის წევრი და მისი ახლო მეგობარი გახლდათ) ახმოვანებდა. ეს იყო უკანონო და ანტიკონსტიტუციური ქმედება, რომელიც, აგრეთვე, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას... კეხვში შეჩერებული მგზავრების უკან გაბრუნება შეუძლებელიც იყო, რადგან იქ მყოფთა ნაწილს ამოწურული ჰქონდა ვიზის ვადა, ნაწილი დეპორტირებული იყო, ხოლო მგზავრთა ნაწილს შეადგენდნენ ავადმყოფები და მეძუძური დედები ბავშვებით“.

სიტუაცია მას შემდეგ განიმუხტა, რაც სუბარი საქართველოს პრეზიდენტს დაუკავშირდა. ამის შემდეგ ოქრუაშვილს უკან დახევა მოუწია. 2 ნოემბერს საქართველოს მოქალაქეებს კონფლიქტის ზონიდან გამოსვლის უფლება მისცეს. ისინი დროებით გორის საბაჟო ტერმინალში დააბინავეს.

ასე რომ, ევროსაბჭოს სასამართლოში ქართულმა მხარემ რუსეთს პროცესი მოუგო. ახლა მთავარია, კომპენსაციების ოდენობა განისაზღვროს. საქართველომ კომპენსაციის ოდენობა სარჩელში თავიდანვე არ მიუთითა. თინა ბურჯალიანის განმარტებით, საქართველომ კომპენსაციებზე საუბარს თავი შეგნებულად აარიდა, პროცესის მოგების შანსების გაზრდის მიზნით.

ახლა უკვე ახალმა ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები რუსეთთან. სასამართლომ მხარეებს ამისთვისაც ერთწლიანი ვადა მისცა. თუკი მხარეები ვერ მორიგდებიან, მაშინ კომპენსაციის ოდენობას თავად ევროსასამართლო განსაზღვრავს.

დეტალები ამ მიმართულებითაც არ კონკრეტდება. სავარაუდოდ, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც რუსეთის მხარესთან მოლაპარაკებებს გამართავს.

ახალ ხელისუფლებას სერიოზული მუშაობა ელის. რუსეთთან მოლაპარაკება მარტივი პროცესი არ იქნება.

საინტერესოა, რომ თეა წულუკიანმა მხოლოდ მიანიშნა, შს მინისტრმა კი ღიად განაცხადა, რომ რაც იყო, წარსულში უნდა დარჩეს და რუსეთთან ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ. და ამ განცხადებებს ოპოზიციის მწვავე კრიტიკა მოჰყვა.

ფაქტია, რომ წინა ხელისუფლებამ რუსეთთან მოლაპარაკებები ჩიხში შეიყვანა. სააკაშვილის ხელისუფლება, ალბათ, ვერ შეძლებდა რუსეთთან თუნდაც კომპენსაციების თაობაზე კონსულტაციების გამართვას. ახალ ხელისუფლებას ახალი პოლიტიკა აქვს არჩეული და ეს გასაგებია. თავის დროზე, მოსკოვში პირველი ვიზიტის დროს სააკაშვილმაც თქვა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოს.

რუსეთი ჯერ კიდევ რჩება საქართველოს ხელისუფლებებისთვის აქილევსის ქუსლი, ყველას ჰგონია, რომ ამ ქუსლის მიზანში ამოღება ადვილია და როგორც შევარდნაძესა და სააკაშვილს, ღარიბაშვილსაც აქვს უფლება, მოსინჯოს საკუთარი მიდგომა და საკუთარი პოლიტიკა ჰქონდეს რუსეთის მიმართ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არასაპარლამენტო ოპოზიცია სააკაშვილისა და დავით კეზერაშვილის დაჭერას ითხოვს

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**არასაპარლამენტო ოპოზიცია დიდიხანია სამართლიანობის აღდგენას ნაციონალების დასჯის სახით ითხოვს. მათი უმრავლესობა სწორედ ასეთ ნაბიჯს მოელოდა ხელისუფლებისგან და მათი რიგებიდან, უმრავლესობას თუ არა, ნაწილს მაინც მიაჩნია, რომ ეს პროცესი უკვე დაძრულია.**



## ჯონდი ბაღათურია: „თუ ხალხი ამ საკენკს არ აკენკავს, მაშინ ხელისუფლება იძულებული გახდება, მიხეილ სააკაშვილიც დაიჭიროს, დავით კეზერაშვილიც და მთელი ეს ბანდაც“

მეორე ტურის ჩავლის შემდეგ პროცესის გააქტიურება რამდენიმე დღის წინ კულტურის მინისტრის მოადგილემ ივარაუდა. ალექსანდრე მარგიშვილი გურამ ოდიშარიას მოადგილეა. მარგიშვილმა საკუთარი მოსაზრება სოციალური ქსელის საშუალებით დააფიქსირა და საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენის არნახული პროცესი დაუანონსა.

**კულტურის მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე მარგიშვილი:** „ეს მოფერებად მოგეჩვენებათ, როდესაც მორატორიუმი დასრულდება და მართლმსაჯულების მანქანა ახალი საწვავით ამოიქოქება. უგულავა ვის გაგახსენდებათ“.

საკუთარ განცხადებას მარგიშვილმა მალევე მოაყოლა ახსნა-განმარტება. მინისტრის მოადგილემ დასმულ კითხვებს მოკლე კომენტარით უპასუხა და განაცხადა, რომ არანაირ ინფორმაციას არ ფლობს და აღნიშნულ დასკვნამდე ის თავად ნაციონალების საქციელმა მიიყვანა: „ასეთი ინფორმაცია არ მაქვს, მიმაჩნია, რომ, რაც წუხელ „ნაცმოძრაობის“ აქტივმა ჩაიდინა, არის დასჯადი ქმედება. ისინი თავგამოდებით ცდილობენ, წვალობენ, ათას ხრიკს იგონებენ, რომ როგორმე დესტრუქცია შეიტანონ ყოველდღიურ ცხოვრებაში და ხელი შეუშალონ სახელმწიფო აპარატის გამართულად ფუნქციონირებას. ამგვარი უკანონობისთვის ნებისმიერი ბოროტმოქმედი უნდა დაისაჯოს – მით უმეტეს, ის ბოროტმოქმედები, რომლებიც ქართველ ხალხს 9 წლის განმავლობაში სისხლს სწოვდნენ. ეტყობა, ეს სისხლი არ ასვენებთ“, – ამბობს მარგიშვილი. ეს მუქარა არაა. მე დავინახე, რომ სასამართლოს შენობასთან შეკრებილი „ნაცმოძრაობის“ აქტივი კიდევ უფრო მეტ საზიზღრობას სჩადიოდა (კონფლიქტის ესკალაციას), ვიდრე უგულავას მიმართ წაყენებული ბრალია“.

მიუხედავად დაანონსებული სამართლიანობის აღდგენისა, არასაპარლამენტო ოპოზიცია სახელისუფლებო გუნდის მხარდაჭერას მაინც არ გეგმავს. მათ მიაჩნიათ, რომ მორატორიუმის გამოცხადება თავიდანვე არასწორი გადაწყვეტილება იყო და ერთადერთი, რასაც მიესალმებიან, ეს მორატორიუმის პროცესის შეწყვეტაა.

**ჯონდი ბაღათურია, „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ წევრი:**

– მე მათი ერთი სიტყვისაც არ მჯერა. ჯერ საქმე გვაჩვენონ. უგულავას დაკავებას მე პირადად საარჩევნო კამპანიას ვუკავშირებ. უგულავა დააპატიმრა არა ხელისუფლებამ, არამედ ხალხმა. იმ ხალხმა, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ ზურგი შეაქცია და ხმა არ მისცა. თორემ გიგი უგულავას დაჭერა ორი წლის განმავლობაში უამრავჯერ შეეძლოთ. მას ცხრა ბრალი აქვს წაყენებული. დაკავებამდე ერთი დღით ადრე ჰყავდათ დაბარებული პროკურატურაში. გიგი უგულავა თავისი ფეხით მივიდა იქ, სასამართლოში წაიყვანეს, მაგრამ არ დაუკავებიათ. მაშინ აღმკვეთი ღონისძიება არც კი მოუთხოვიათ.

**– ამბობთ, რომ ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლად გადადგა?**

– კი, ასე ვფიქრობ, ეს ჩვეულებრივი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. მიმაჩნია, რომ ხალხმა დანარჩენი დაპირებების შესრულება უნდა მოითხოვოს, ასეთ იაფფასიან ტრიუკზე ამომრჩეველი არ უნდა წამოეგოს. გგონიათ, უგულავას დიდი ხნით დაიჭერენ? დამთავრდება არჩევნები და ვნახოთ.

**– ფიქრობთ, რომ მალე გამოვა? ბრალი, რომელიც მას წაუყენეს, საკმაოდ მძიმეა...**

– ვნახოთ, რატომ არ შეიძლება? უგულავას ადვოკატები აუცილებლად გაასაჩივრებენ. არჩევნებამდე ზუსტად შვიდი დღით ადრე ხელისუფლება იძულებული გახდა, საზოგადოების მკაცრ მოთხოვნას დაჰყოლოდა და გიგი უგულავა დაეჭირა. თუ ხალხი ამ საკენკს არ აკენკავს, მაშინ ხელისუფლება იძულებული გახდება, მიხეილ სააკაშვილიც დაიჭირონ, დავით კეზერაშვილიც და მთელი ეს ბანდაც.

**– თქვენს ამომრჩეველს არ მოუწოდებთ, მხარი დაუჭირონ „ოცნებას“?**

– კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ამის.

მეორე ტურში რომ „ოცნება“ გაიმარჯვებს, ამაში ეჭვი არავის ეპარება. არც თავად ნინო ბურჯანაძეს და არც მის ირგვლივ გაერთიანებულ ოპოზიციას, მაგრამ კითხვა: პირველ ტურში გავარდნილი პარტიების ამომრჩევლები ვის სასარგებლოდ მისცემენ ხმას? – უკვე დიდი ხანია განიხილება. პირდაპირვე უნდა ითქვას, რომ პოლიტიკოსები და ექსპერტები გამონაკლისებსა და ექსცესებს მეორე ტურისთვის არ ელოდებიან. მაგრამ, როგორც ირკვევა, გიგი უგულავას დაკავება არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის საკმარისი არ არის. ხელისუფლების მხარდაჭერის სანაცვლოდ, ისინი კეზერაშვილისა და სააკაშვილის დაკავებასაც ითხოვენ.





# „ნაციონალურ არჩევნებ

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ლევან ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ ვერანაირი მობილიზება ნაციონალებს სასწაულებს ვერ მოახდენინებს და ისინი განმეორებით არჩევნებში პირწმინდად დამარცხდებიან. დედაქალაქის გადაყენებული მერი როგორც მმართველ გუნდში აცხადებენ, პარტიას დამატებით პროცენტებს ვერ მოუტანს. შესაბამისად, 12 რიცხვს „ქართული ოცნება“ მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვების საზეიმოდ ელოდება. რაც შეეხება მორატორიუმს, მმართველ გუნდში სულაც არ მიაჩნიათ პრობლემად მისი დარღვევა, რადგან უგულავას შემთხვევაში დანაშაული ბევრად აღემატებოდა მორატორიუმის შინაარსს...**

## „მე ვერ გეტყვით, რომ მორატორიუმი არის ისეთ რამ, რომლის დარღვევაც არ შეიძლება“

**ლევან ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:**

– რაც სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მოხდა, ეს იყო დაბალი პოლიტიკური კულტურის გამოხატულება. რაც შეეხება პროვოკაციას, ეს შეიძლება წინასწარ იყო დაგეგმილი, მაგრამ ფაქტია, რომ ნაციონალებს არ სურთ, სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილონ. სასამართლოს გადაწყვეტილებას, მოგწონს თუ არა ის, მაინც უნდა დაემორჩილო. ასეთია დემოკრატიულ ქვეყნებში აღიარებული წესი. მე კარგად მახსოვს, რომ სასამართლოსთან დაუმორჩილებლობის გამო რუსთაველის გამზირზე სულ ცემა-ტყეპით შეყარეს ხალხი და უამრავი ადამიანი დააპატიმრეს და უბედურება დაატრიალეს ნაციონალებმა არც ისე დიდი ხნის წინათ. გასაკვირია მათგან ასეთი საქციელი, რადგან თითქოს ამკვიდრებენ სასამართლოსადმი პატივისცემას, შემდეგ კი ასეთ დამოკიდებულებას იჩენენ. ის, რასაც ისინი აკეთებდნენ, მიუხედავად იმისა, ვინ რას წარმოადგენს, ვინ რა კულტურის პატრონნია და სხვა, მაინც ძალიან შემაშფოთებლად გამოიყურებოდა, რადგან მათი საქციელით საერთო საზოგადოების სახე გამოიხატა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი რეალური სახე აჩვენა და ძალიან სამწუხაროა, საერთოდ ასეთი ამბები რომ ხდება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ კანონზე მაღლა ვერავინ დადგება. ვერც გიგი უგულავა, ვერც ყოფილი რომელიმე ელჩი და ვერც პარლამენტარი. ამიტომ, მგონი, პროცესიც სრულიად გასაგებია.

**– რაც შეეხება გამოცხადებულ მორატორიუმს, თანაც არჩევნების მეორე ტურამდე ძალიან ცოტა დრო რჩება, ფიქრობთ, რომ სწორი გადაწყვეტილება იყო უგულავას დაჭერა?**

– გამოცხადებული მორატორიუმის დროს, არჩევნების მეორე ტურამდე ქვეყნიდან მიდიოდა კაცი, რომელიც დაბარებული იყო დაკითხვაზე.

**– ანუ თქვენც ფიქრობთ, რომ გიგი უგულავა საქართველოში არ ჩამოვიდოდა?**

– ეს ჩემი პრობლემა არ არის, დარწმუნებული პროკურატურა უნდა ყოფილიყო, რომელიც არ იყო დარწმუნებული. სწორედ ამიტომ დააკავეს უგულავა. მე საერთოდ ვერ ვხედავ პრობლემას. კაცი რომ მოეკლა, ასეთ შემთხვევაში რას ვიზამდით? ვიტყოდით, მორატორიუმი გვაქვს გამოცხადებული და ვერ დავიჭერთ და უნდა მოვითმინოთო? მორატორიუმი ნიშნავს, რომ არავის არ დავიჭერთ არჩევნებთან დაკავშირებით და ვეცდებით, რომ პატარა დანაშაულზე, გადაცდომაზე თვალი დავხუჭოთ, მაგრამ დანაშაულზე, რომელზეც ძიება ორი წელია, მიმდინარეობს, სადაც მრავალი მილიონი იკვეთება და ამ დროს ეს ადამიანი აშკარად აპირებდა ქვეყნის დატოვებას, პროკურატურას რა უნდა გაეკეთებინა? ბუნებრივია, შემდეგ სასამართლოს უნდა დაედგინა. სხვათა შორის, პროკურატურამ სთხოვა სასამართლოს, რომ უგულავა საზღვარგარეთ არ გაეშვა, მაგრამ სასამართლომ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა. მორატორიუმს აცხადებს ერთი მხარე და პროკურატურა არის მეორე მხარე. მე ვერ გეტყვით, რომ მორატორიუმი არის ისეთ რამ, რომლის დარღვევაც არ შეიძლება. თუ დანაშაულის სიმძიმე აღემატება იმას, რაც მორატორიუმში იგულისხმებოდა, რა თქმა უნდა, ასეც მოხდებოდა. ჩვენ, პარლამენტის წევრებს, ბევრი რამის უფლება გვაქვს, მაგრამ მე რომ ქუჩაში ქალი გავაუპატიურო, თქვენ რა გგონიათ, მაცლიან და იტყვიან,





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ი მოძრაობა“ ყველა განმეორებით ...ს 12 ივლისს წააგებს“



# ლევან ბერძენიშვილი: „ნუ გვიყვებიან ზღაპრებს და, საერთოდ, ძალიან გთხოვთ, სტეფანეს ნათქვამზე ნუ მატირებთ“

**„წინა ხელისუფლება ხალხს ფულს ჰპარავდა, თუ ისინი არ დაისჯებიან, დღევანდელი ხელისუფლებაც ასე მოიქცევა და ეს არასოდეს დასრულდება“**

EXCLUSIVE

რომ პარლამენტის წევრია და ისიამოვნოსო? კარგად არ მესმის იმ ადამიანების ლოგიკა, ვინც მორატორიუმზე საუბრობს. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა დავიცვათ და დავიცავთ კიდეც ყველას უფლებას.

**– გია ხუხაშვილმა განაცხადა, რომ უგულავას დაპატიმრებაში შეთქმულების თეორიას ხედავს, რადგან წინასაარჩევნოდ ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერის დაპატიმრება მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალებისთვის იმუშავებს...**

– ხუხაშვილის კომენტარზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან არ ვიცი, რა ვთქვა. მართალი გითხრათ, არ მგონია, რომ სერიოზულად უნდა გავაანალიზო ხუხაშვილის კომენტარი.

**– მაშინ მითხარით, როგორ ფიქრობთ, უგულავას დაპატიმრება ნაციონალების მხარდამჭერების მობილიზებას მოახდენს საარჩევნოდ?**

– „ნაციონალურ მოძრაობას“ მაქსიმალური მობილიზება ჰქონდა ახლაც და ექნება მეორე ტურისთვისაც, გიგი უგულავასთან ერთად თუ გიგი უგულავას გარეშე ისინი მხოლოდ მობილიზებით აღწევენ პროცენტებს. ამიტომ არაფერი გასაკვირი არ არის. უგულავას დაჭერა კიდევ უფრო მეტ მობილიზაციას თუ გამოიწვევს, ჩვენ ამის მაინც არ გვეშინია, რადგან მაინც მოვუგებთ. ეს გადაეცით ბატონ გია ხუხაშვილსაც და მომავალ წაგებულ ბატონ ნიკანორ მელიასაც და მთლიან „ნაციონალურ მოძრაობასაც“. „ნაციონალური მოძრაობა“ ყველა განმეორებით არჩევნებს 12 ივლისს წააგებს, ყველას.



**„უგულავას დაჭერა კიდევ უფრო მეტ მობილიზაციას თუ გამოიწვევს, ჩვენ ამის მაინც არ გვეშინია, რადგან მაინც მოვუგებთ. ეს გადაეცით ბატონ გია ხუხაშვილსაც და მომავალ წაგებულ ბატონ ნიკანორ მელიასაც“**

**– როგორ ფიქრობთ, გაგრძელდება თუ არა დაკავებები?**

– კანონის წინაშე ყველა უნდა იყოს პასუხისმგებელი. თუ კანონი და პროკურატურა იპოვის იმდენ საბუთს, რამდენიც საჭიროა, რომელიც 100%-ით და მყარად დაასაბუთებს, რომ ბატონი სააკაშვილი, ან კიდევ სხვა დამნაშავეა, მაშინ ყველა დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს ის, აუცილებლად აგებს პასუხს. სააკაშვილმა შევარდნაძისდროინდელი არც ერთი დანაშაული რომ არ გამოიძია, ჩვენ იგივეს ვერ გავაკეთებთ, ასე ვერ დავტოვებთ. მაპატიეთ, მაგრამ ხალხს ჯიბიდან ჰპარავდნენ ფულს და ამ ფულით იგებდნენ არჩევნებს. ახლა ჩვენ გვეუბნებიან, რა მოხდა მერე, ასე რომ ვაკეთებდით, მოითმინეთო. წინა ხელისუფლება ხალხს ფულს ჰპარავდა, თუ ისინი არ დაისჯებიან, დღევანდელი ხელისუფლებაც ასე მოიქცევა და ეს არ დასრულდება არასოდეს. ჩვენ იმით, რომ ამ დამნაშავეებს ვებრძვით, რეალურად დამნაშავე სისტემას ვებრძვით, რომ ფული არ მოიპაროს, არ მოხდეს პოლიტიკური კორუფცია და შემდეგ ამ მოპარული ფულით არ მოვიდეს ვინმე ხელისუფლებაში. ყველა უნდა გულშემატკივრობდეს ამ პროცესს, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ გაიყო საზოგადოებრივი აზრი? იმწუთას გამოჩნდა ნაწილი, რომლებმაც თქვეს, რომ გიგი კარგი ბიჭია, მე დამაფინანსაო... იციით, ჰიტლერმა რამდენი ადამიანი დააფინანსა და რამდენი აქვს გადახდილი მუზეუმებისთვის? საქართველოში ერთად არ გადაუხდია არავის იმდენი, რამდენიც ჰიტლერმა მარტო ნიცშეს მუზეუმს გადაუხადა, მაგრამ რა მერე? ჰიტლერმა გზებიც ააშენა და ამიტომ უნდა ეპატიებინათ მრავალი მილიონი ებრაელის ამოხოცვა, ან მთელი მსოფლიოს უბედურებაში გახვევა? გიგი უგულავას კარგი კაცობა და კაცური საქციელები, თუ არის ასეთები, ვერ წაშლის დანაშაულებს. ამიტომ ნუ გვიყვებიან ზღაპრებს და, საერთოდ, ძალიან გთხოვთ, სტეფანეს ნათქვამზე ნუ მატირებთ. აქ არის კანონი და გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. კანონის მიმართ ყველა იქნება თანასწორი, შევარდნაძე, სააკაშვილი თუ ქიბროწაშვილი, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

**– ოდნავ განსხვავებულ თემას მინდა შევეხო, გიორგი ახვლედიანმა განაცხადა, რომ „რესპუბლიკელები“ ადრეც და ახლაც აფხაზეთისა და ოსეთის აღიარების პოლიტიკის მომხრეები იყვნენ და არიან...**

– გიორგი ახვლედიანსა და კიდევ სხვა ჩამოწერილ ხალხზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. მაპატიეთ, მაგრამ ასეთ ადამიანებზე ნუ მალაპარაკებთ. გიორგი ახვლედიანი თუ ოდესმე იქნება პარლამენტში, იქ დაველაპარაკები. ეს არის უბრალოდ ბოროტი და უვიცი განცხადება, აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს და ამაზე რა პასუხი უნდა გავცე? დებილობას ლაპარაკობს. „რესპუბლიკურ პარტიაზე“ სალაპარაკო ნამდვილად არ აქვს გიორგი ახვლედიანს. ახვლედიანზე პასუხი გასცეს ნინო ბურჯანაძემ და სხვებმა, რომლებიც იქ არ არიან, სადაც უნდათ, რომ იყვნენ. ჩვენ ვართ რეალურ საქმესთან, ამიტომ ჩვენ, ან ჩვენი პარტნიორები, ვინც პარლამენტში არიან, ყველა მზად ვართ ნებისმიერ საკითხზე დისკუსიისთვის, ახვლედიანთან და დანარჩენ წარსულის პოლიტიკოსებთან რა საკითხზე უნდა გავმართოთ დიალოგი? „რესპუბლიკურ პარტიას“ დოკუმენტი აქვს გამოქვეყნებული აფხაზეთზე, სჯობს, ჯერ წაიკითხოს ეს დოკუმენტი ახვლედიანმა და თუ კითხვა მას ეზარება მაშინ საზოგადოებამ წაიკითხოს. რაზე მახარჯვინებთ დროს? ნულოვან პოლიტიკურ ფიგურაზე, რომელიც არსად არ არის, არც საკრებულოში, არც პარლამენტში და მის სისულელეებზე მალაპარაკებთ.

**„რესპუბლიკურ პარტიას დოკუმენტი აქვს გამოქვეყნებული აფხაზეთზე, სჯობს, ჯერ წაიკითხოს ეს დოკუმენტი ახვლედიანმა და თუ მას კითხვა ეზარება, მაშინ საზოგადოებამ წაიკითხოს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ჩვენ ვამბობთ, რომ ნატოში გაწევრიანება ნამდვილად არ ნიშნავს, რომ საქართველომ ტერიტორიებზე თქვას უარი....“

## გიორგი ახვლედიანი: „რესპუბლიკელები საზოგადოებას აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებას სთავაზობენ... ისინი უნივერსიტეტიდანაც გამოყარეს“



EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

**როგორ გრძნობენ თავს პროდასავლური ორიენტაციის ქრისტიან-დემოკრატები პრორუსული ორიენტაციის ბურჯანაძის პარტიაში? ნინო ბურჯანაძის პროპუტინისტური განცხადებები მათ უხერხულობას არ უქმნის? ნინო ბურჯანაძე ხან ნატოს წინააღმდეგ ილაშქრებს და ხანაც ევროკავშირის.**

**ამ თემაზე „პრაიმტაიმმა“ ინტერვიუ სთხოვა „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერს გიორგი ახვლედიანს:**

**– გიორგი, როგორც ქრისტიან-დემოკრატს, ბურჯანაძის განცხადებები პრობლემებს არ გიქმნის თუნდაც ნატოსთან მიმართებაში?..**

– ჯერ კიდევ მაშინ, როცა ერთიან კოალიციად ვიწყებდით ჩამოყალიბებას, ამ საკითხზე არაერთხელ გავაკეთე განმარტება, ავხსენით ჩვენი დამოკიდებულება, რომ არავითარი განსხვავებები ხედვებში ამ მიმართულებით არ არსებობს.

იგივე პარლამენტში ყოფნისას, ჩვენ ყოველთვის ვსაუბრობდით, რომ აქცენტს საქართველოს ევროპულ ორიენტაციაზე ვაკეთებდით, ყოველთვის ვითხოვდით ყოფილი ხელისუფლებისგან მაქსიმალურად ეფექტური ნაბიჯების გადადგმას და რუსეთთან დიალოგით ბევრი საკითხის გადაწყვეტას. იმ ხელისუფლებას ამის არანაირი რესურსი არ აღმოაჩნდა.

**– მაშინ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან და იმასაც შეგახსენებ, რომ, როცა თქვენ პარლამენტში იყავით წინა ხელისუფლების დროს, საკითხს ასე არ სვამდით, როგორც ახლა ბურჯანაძე, რომ ნატოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შესვლას საქართველოს მთლიანობას ვარჩევო. ამ კუთხით ამ საკითხს მხოლოდ პრორუსული პარტიები აყენებენ...**

– ჯერ კიდევ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჩვენი პოლიტიკა და გზავნილი საზოგადოების მიმართ სწორედ ასეთი იყო. ორი აზრი არ არსებობს, რომ მე ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა უფრო მადარდებს, ვიდრე რომელიმე ორგანიზაციის წევრობა. თუ არჩევანი ასე დადგება...

**– და საიდან მოიტანეს, რომ ასეთი არჩევანი დადგება? არ მახსოვს, ქრისტიან-დემოკრატებს ეთქვათ, რომ ნატოში შესვლა ცხინვალისა და აფხაზეთის დაკარგვას ნიშნავს.**

– არა, ასე არც ჩვენ გვითქვამს და არც ასე დგას საკითხი.

**– ბურჯანაძემ თავის განცხადებაში საკითხი სწორედ ასე დააყენა...**

– რა თქმა უნდა, ნატოში შესვლა არანაირად არ უნდა უკავშირდებოდეს ტერიტორიული მთლიანობის დათმობას. მაგრამ თუ ასე დადგა საკითხი... და, მაგალითად, „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ გაცხადებული პოლიტიკა ავიღოთ, წლების განმავლობაში ისინი საზოგადოებას აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებას სთავაზობენ, შემდეგ უკვე ევროსტრუქტურებში გაწევრიანებას და მერე აფხაზეთსა და ოსებთან ლაპარაკს და ვხედავთ, რომ ამ მიმართულებით ძალიან კონკრეტული ნაბიჯები იდგმება... ჩვენ ვამბობთ, რომ ნატოში გაწევრიანება ნამდვილად არ ნიშნავს, რომ საქართველომ ტერიტორიებზე თქვას უარი....

**– ვინ რესპუბლიკელებზე საუბრობთ?**

– რომელია „რესპუბლიკური პარტია“ ამ ქვეყანაში? დავით უსუფაშვილი ლევან ბერძენიშვილი, თინა ხიდაშელი...

**– პირველად მესმის, რომ რესპუბლიკელებს აქვთ იდეოლოგია აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარების.**

– არ მოგისმენიათ, ეტყობა, არ გახსოვთ, უნივერსიტეტიდან რომ გამოყარეს, მაშინ ისინი სწორედ ამ პროგრამის პრეზენტაციას მართავდნენ... მათ პოლიტიკაში არაფერი შეცვლილა. ამ მიმართულებით მუშაობენ ისინი....

**– მაინც ბუნდოვნად საუბრობ, მე ბურჯანაძის განცხადებაზე შენი პასუხი მაინტერესებდა, გქონდათ პარტიაში ამ საკითხზე დისკუსია?**

– რა თქმა უნდა... პუტინთან ბურჯანაძის შეხვედრას ერთი შედეგი ჰქონდა, მაშინ რუსეთის ხელისუფლებამ ღია გზავნილი გამოუგზავნა ხელისუფლებას, რომ მათ აქვთ ყველანაირი რესურსი და მზაობა იმისა, რომ გარკვეული პრობლემები მოლაპარაკებების რეჟიმში გადაწყდეს. მაგრამ მაშინ ეს ხელისუფლებამ არ გამოიყენა. ან ბიძინა ივანიშვილი რა პოლიტიკით მოვიდა ხელისუფლებაში? ის ამბობდა, რუსეთთან მოლაპარაკებების რეჟიმში შევალო... მაგრამ არც მას აღმოაჩნდა ეს რესურსი.

**– დიდი განსხვავებაა იმას შორის, რასაც ბურჯანაძე ამბობს და ივანიშვილი ამბობდა რუსეთთან მიმართებით, იმიტომ რომ ბურჯანაძე აფიქსირებს თავის უარყოფით პოზიციას ნატოსთან და ევროკავშირთან დაკავშირებით, ივანიშვილი კი ამბობდა, რომ ორივე მიმართულებით გადადგამდა ნაბიჯებს...**

– არავითარი უარყოფითი, ვერც ერთ განცხადებას ვერ დამისახელებთ, როცა ნინომ, მით უფრო, ევროკავშირის მიმართულებით უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა.

**– აბა, სხვა ვინ აყენებს საკითხს ასე, რომ ნატოში გაწევრიანებით აფხაზეთსა და ცხინვალს დავკარგავთ? ასე საკითხს მხოლოდ პრორუსული ძალები აყენებენ...**

– რას ნიშნავს პრორუსული ძალები? თქვენი ხელისუფლება, „რესპუბლიკური პარტია“ აკეთებს ამას. ხელისუფლებას აქვს ამგვარი საგარეო პოლიტიკა...

**– და ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე როცა საუბრობ, „რესპუბლიკური პარტიით“ რატომ აპელირებ?**

– აბა, გუბაზზე ვილაპარაკო, რომელსაც კოალიციაში არც არავინ არაფერს ეკითხება?

**– საგარეო პოლიტიკას ქვეყანაში ვინ განსაზღვრავს?**

– ააა, თქვენ გგონიათ, რომ ფანჯიკიძე ქმნის საგარეო პოლიტიკას?

**– არა, არ მგონია, ვფიქრობ, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ განსაზღვრავს და ეს გუნდური პასუხისმგებლობის თემაა...**

– დღეს ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკას ძალიან სერიოზულად ქმნის პარლამენტი, პარლამენტს მართავს „რესპუბლიკური პარტია“. მე „ქართული ოცნება“ ვიცი, ორგანიზაცია, ერთი ადამიანი, რომელსაც ჰქვია ირაკლი ღარიბაშვილი, ის არის ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი... არიან კიდევ მანანა კობახიძე, დავით საგანელიძე და ვოლსკი...

**– რადგანაც შენ არ გახსოვს ნინო ბურჯანაძის უარყოფითი განცხადებები ევროკავშირთან დაკავშირებით, მე გაგახსენებ. მან ევროპა ინცესტს დაუკავშირა და თქვა, რომ ევროპა ინცესტს აკანონებს, რაც მხოლოდ პრორუსულ პროპაგანდაში გვხვდება. მეორე, ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ნინომ თქვა, რომ ეს ხელშეკრულება ისევე გვაზეიმეს, როგორც 2008 წელს ომის მოგებაო...**

– და აქ ევროკავშირის ან ნატოს შეურაცხმყოფელი რომელია?

**– ის რომ თურმე ევროპა ინცესტს აკანონებს...**

– ევროპასთან რომ გავაფორმეთ ხელშეკრულება, უსუფაშვილმა გამოგვიცხადა, რომ დამოუკიდებლობის აქტის ტოლფასი დოკუმენტი გავაფორმეთ და ეს ისტორიული მნიშვნელობის დღეაო. სიცილით მოკვდება ნებისმიერი, ვინც ოდნავ მაინც აზროვნებს და ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს იმაზე, რას მოვაწერეთ ხელი. პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა არაფერი ისტორიული არ ყოფილა. ჩვენ სულ სხვა ხელშეკრულება გავაფორმეთ ვაჭრობის, ვიდრე, მაგალითად, უკრაინამ. ამაზე ილაპარაკონ, აბა...

**– მე ორივე დოკუმენტს ვიცნობ და მითხარი, რა განსხვავებას გულისხმობ?**

– იმისთვის, რომ ქართული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე გავიდეს, ჩვენ ევროკავშირის ბაზარზე შესვლის გადასახადი უნდა გადავიხადოთ, იმიტომ რომ ქართული გორის ვაშლი ბელგიურზე იაფი არ აღმოჩნდეს და კონკურენცია არ გაუწიოს. ევროკავშირის პროდუქცია კი, რომელიც საქართველოში შემოვა, არავითარ საქართველოს ბაზარზე შემოსვლის გადასახადს არ გადაიხდის... მე ევროპული პროდუქციის წინააღმდეგი კი არა ვარ, ქართული პროდუქციის მოსპობის წინააღმდეგი ვარ. მე ახლა მრეწველების აზრი მაინტერესებს... ევროპული რძე რომ შემოვა, მაგალითად, რომელიც ერთი ლიტრი ორჯერ უფრო იაფი იქნება, ვიდრე ჩვენი რძის პროდუქტები, ჩვენი წარმოება არ დაინგრევა? იქ დასაქმებული ადამიანები უმუშევრები არ დარჩებიან?

**– ახლა, უბრალოდ, ფაქტებს ამახინჯებ... მეორეც, ქართულ პროდუქციაში მთავარი პრობლემა ხარისხია. თუ ხარისხიანია, მომხმარებელი ყოველთვის ჰყავს, უხარისხოს კი არც უცხოურს ყიდულობენ...**

– რა თქმა უნდა, ხარისხი პრობლემაა და ძალიან სერიოზული. და ეს კიდევ ერთი, დამატებითი არგუმენტია, რომ ჩვენი პროდუქცია დიდხანს ვერ გავა ევროპულ ბაზარზე... ქართული ვაშლი ბელგიურ ვაშლს კონკურენციას ვერ გაუწევს...

**– შეიძლება ვერ გაუწიოს, იმიტომ რომ ბელგიური ვაშლი ძალიან იაფია, მაგრამ იგივე გორის ვაშლი სხვა ბაზარზე გავა, მათ შორის რუსეთის ბაზარზე...**

– კი...

**– და ამ ხელისუფლების პრიორიტეტიც სწორედ ასე მესმის, რომ ალტერნატიულ ბაზარზე შესვლის პერსპექტივები გააჩინოს...**

– ღმერთმა ქნას, რომ მაგ მიმართულებით არავითარი პრობლემა არ შექმნას... მე ვამბობ, რომ ამ ხელშეკრულებით საზოგადოებას არარეალურ და არაადეკვატურ მოლოდინებს ვუჩენთ. რუსეთის ბაზრის დახურვა ერთადერთ შემთხვევაში არ მოხდება, თუ ბატონი ღარიბაშვილი ინებებს და დაიწყებს ფიქრს იმაზე, რომ უმაღლესი დონის შეხვედრას გაუკეთოს ორგანიზება. და ის პრობლემები, რომელიც ჯერ არ დამდგარა, ეგება არც დადგეს.

**„პუტინთან ბურჯანაძის შეხვედრას ერთი შედეგი ჰქონდა, მაშინ რუსეთის ხელისუფლებამ ღია გზავნილი გამოუგზავნა ხელისუფლებას, რომ მათ აქვთ ყველანაირი რესურსი და მზაობა იმისა, რომ გარკვეული პრობლემები მოლაპარაკების რეჟიმში გადაწყდეს“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბურჯანაძე სანიკიძეს ჩაანაცვლებს, მალაშხია კი – ალასანიას




**ქეთი ხატიაშვილი**

**„ეროვნული ფორუმი“ საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის კომისიაში ადგილებს დაკარგავს. ცესკოში მის ადგილს ნინო ბურჯანაძე დაიკავებს. ადგილობრივი არჩევნების შედეგების შემდეგ ეს უკვე ნათელია. ცესკოს დაკომპლექტების წესის თანახმად, კომისიებში მონაწილეობენ ის პარტიები, ვინც ბარიერი გადალახა და უფრო მეტი დაფინანსება მიიღო.**

**მიხეილ მაჭავარიანის განმარტებით:**

– ვინაიდან „ქართულ ოცნებას“ ცესკოში ჰყავდა ექვსი წევრი, მიღებული დაფინანსება ექვსზე იყოფოდა. როცა ბურჯანაძემ ხმების ის რაოდენობა მიიღო, რაც მიიღო, ეს რაოდენობა, ფინანსებზე ფორმულით გადაყვანილი, არის უფრო მეტი, ვიდრე „ოცნების“ ხმების 1/6. ამიტომ ერთი წევრი გამოდის და შედის ბურჯანაძის პარტია. „ეროვნული ფორუმი“ გამოდის იმიტომ, რომ ბლოკში „ფორუმი“ მეექვსე ეწერა.

კანონის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი უცვლელი დარჩა. სამივე დონის კომისია შედგება 13 წევრისგან. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ექვსი წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, არჩეულია პრეზიდენტის წარდგინებით და დანარჩენი 7 წევრი პოლიტიკური პარტიებიდანაა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ცესკოს შემადგენლობა პარტიული ხაზით ასეთი იყო: ნაციონალური მოძრაობა; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია; მრეწველები; ევროპელი დემოკრატები (პაატა დავითაიას პარტია); კონსერვატიული პარტია და ლეიბორისტული პარტია;

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ცესკოს შემადგენლობა შეიცვალა და 6 წევრი კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ დანიშნა, ერთი – „ნაციონალურმა მოძრაობამ“.

ადგილობრივი არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ლანდშაფტი ისევ შეიცვალა.

ადგილობრივი არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ ცესკოს ადმინისტრაციაში კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ექვსი წევრიდან ხუთი წევრი დარჩება და „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენელს ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელი შეცვლის. „ფორუმს“ ჩაანაცვლებს ბურჯანაძე, რადგანაც კოალიცია „ქართული ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური სუბიექტები ცესკოში შემდეგი განრიგით დარეგისტრირდნენ: პარტია „ქართული ოცნება“, კონსერვატორები, რესპუბლიკელები, მრეწველები ალასანიას პარტია და „ფორუმი“.

რადგანაც ნინომ უფრო მეტი დაფინანსება მიიღო, ვიდრე „ფორუმმა“, ამიტომაც გუბაზ სანიკიძის ადგილს დაიკავებს ცესკოში.

**სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ცენტრის დამკვირვებლის ვლადიმერ ბოჟაძის განცხადებით:**

– „ფორუმი“ დაფინანსებას არ დაკარგავს, დაფინანსება დარჩებათ, რადგან მათ აქვთ დაფინანსება 2012 წლიდან. უბრალოდ, ნინო ბურჯანაძის პარტიის დაფინანსება ამ არჩევნების შედეგების მიხედვით უფრო მაღალი იქნება, ვიდრე კოალიციის დაფინანსების 1/6. მოხდება ეს პროცედურა, თუმცა „ფორუმს“, რა თქმა უნდა, კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი დარჩება...

ბოლოდან მეორე ადგილი უჭირავს ალასანიას პარტიას და შესაძლოა, ცესკოში ადგილი მანაც დაკარგოს, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ ორად გაიყო და შოთა მალაშხია კოალიციიდან გავიდა. ამ შემთხვევაში მას უკვე ირაკლი ალასანიაზე მეტი დაფინანსება ექნება და ცესკოში სწორედ ის დაიკავებს მის ადგილს.

შესაძლოა, ნაციონალები ამ თემაზე ალასანიას ევაჭრებიან კიდეც.

რა პრინციპით დალაგდა თავის დროზე კოალიციაში შემავალი სუბიექტების რიგითობა, ძნელი სათქმელია, ამიტომაც გაურკვეველია, რატომ აღმოჩნდა ამბიციური ალასანია ბოლოდან მეორე. თუმცა, კონსერვატორების მეორე ადგილის ახსნა, ალბათ, იმით შეიძლება, რომ ივანიშვილის ბლოკში შემავალი ექვსი პარტიიდან ოთხი 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა, საიდანაც მხოლოდ კონსერვატიულმა პარტიამ დაიტოვა ცესკოში წარმომადგენელი და 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის წინა არჩევნებზე გამოყენებული #7 შეინარჩუნა.





## ცესკოს შემადგენლობა იცვლება





# ევროპულ დემო



**ქეთი ხატიაშვილი**

**დაძაბულობის მიუხედავად, ევროპა პოროშენკოს ურჩევს, სამშვიდობო პოლიტიკურ ხაზს არ გადასცდეს და რუსეთთან დიალოგზე წავიდეს. რამდენიმე მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. პოროშენკომ ცეცხლის შესახებ გადაწყვეტილებაც მიიღო, თუმცა შეთანხმება ცალმხრივად დაირღვა. პუტინი კიევს და რუსეთის მიერ მართულ ტერორისტებს ადანაშაულებს, პოროშენკო კი – მოსკოვს და რუსეთის მიერ მართულ სეპარატისტებს.**

გერმანია და საფრანგეთი პოროშენკოს დაჟინებით ურჩევენ დიალოგის რეჟიმის შენარჩუნებას. დასავლეთის მედიასთან ინტერვიუში უკრაინის პრეზიდენტმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ, მშვიდობის გარდა, ის ტერიტორიების დაბრუნების სხვა გზას ვერ ხედავს. პოროშენკო წინა ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზეც ალაპარაკდა და აღნიშნა, რომ უკრაინაში რუსული ენის სახელმწიფო ენის არაღიარების პოლიტიკა არასწორი იყო.

პოროშენკომ მძიმე მემკვიდრეობა ჩაიბარა და კიდევ უფრო მძიმეა ის მეთოდები, რითაც პუტინი საკუთარი თამაშის წესების დამყარებას ცდილობს.

ევროპულ დემოკრატიას უკვე რუსული გაზის სუნი უდის. პუტინი „გაზპრომით“ დასავლეთს მართავს. კლასიკური მაგალითი ტარიფებია. მაგალითად, კუბას პუტინმა მეფური საჩუქარი გაუკეთა და არსებული დავალიანების 90% ჩამოაწერა. კრემლმა კუბას 31,7 მილიარდი დოლარი ჩამოაწერა 35,2-დან. ასეთივე საჩუქარი პუტინმა ჩრდილოეთ კორეას გაუკეთა, რომელსაც ერთ მშვენიერ დილას დავალიანების 90% ჩამოაწერა, რაც 10 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

პუტინი ასეთივე გულუხვი იყო ერაყის მიმართ, რომელსაც 2008 წელს 12,9 მილიარდიდან 12 მილიარდის დავალიანება ჩამოაწერა. მთლიანად პუტინმა 23 ქვეყანა „შეიწყალა“. ამ აქციით ქვეყნებს მთლიანობაში 100 მილიარდი აპატია პუტინმა. და მართლაც, როგორც რუსეთში იტყვიან: „не имей сто рублей, а имей сто друзей“.

პუტინი საკუთარი თამაშის წესების დაწესებას სწორედ ამ ტარიფებით ცდილობს. კომუნალური გადასახადების ზრდა ყოველთვის იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას და სოციალური „ბომბიც“ მზად არის, პუტინს მხოლოდ თითის გამოკვრა სჭირდება.

ახლა ამ მეთოდს პუტინი უკრაინასთან იყენებს. აქ არა მხოლოდ ტანკებით იბრძვის, არამედ ტარიფებითაც.

ევროპაც ტარიფებით უჭირავს. განსაკუთრებით გერმანია, შემდეგ კი – საფრანგეთი და იტალია. შემთხვევ-




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კრატიას რუსული გაზის სუნი ასდის



რომ ევროკავშირის წარმომადგენელთან ერთად გვექნებოდა მოლაპარაკებები სამმხრივ ფორმატში. ასე რომ, ჩვენ არ ველოდებით რაიმე ნეგატიურ რეაქციას...

სააკაშვილის აგრესია მისაღები არ იყო უკრაინის ახალი ხელისუფლებისთვის. საინტერესოა, რომ, როცა თავად პოროშენკო და ევროკავშირი რუსეთთან მოლაპარაკებებს უჭერდნენ მხარს, საქართველოში ოპოზიცია საქართველოს პრემიერს ასეთივე პოზიციის გამო აკრიტიკებდნენ. ანუ, თუ პოროშენკო ამბობს, რომ რუსეთთან მშვიდობიანად უნდა მოაგვაროს კონფლიქტი და პუტინთან დიალოგი გამართოს, ეს პროგრესულია და თუ იგივეს იტყვის ღარიბაშვილი, ეს უკრაინელი ხალხის ღალატი და პუტინის მონობის ნიშანია.

რუსეთთან არასწორმა პოლიტიკამ შეიყვანა ჩიხში „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობა.

არავინ ამბობს, რომ აქ თბილისია დამნაშავე, უბრალოდ სააკაშვილის შეცდომა იყო ის, რომ მან მოსკოვთან ურთიერთობაში უკან დასახევი გზა არ დაიტოვა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა სააკაშვილი უკრაინაში გამოჩნდა, ყველამ ივარაუდა, რომ ეს კიდევ უფრო დაძაბავდა ურთიერთობებს უკრაინაში პუტინის საქართველოს ექსპრეზიდენტისადმი დამოკიდებულების გამო.



## სტაბილურობას მიჩვეულ ევროპას ვლადიმერ პუტინთან ურთიერთობების დაძაბვა აშინებს

ითი არ არის, რომ ჰელმუდ კოლისგან მოყოლებული, ანგელა მერკელით დასრულებული, გერმანიის კანცლერები ნატოს გაფართოების წინააღმდეგები იყვნენ. ზამთარი განსაკუთრებით მძიმეა ხოლმე ევროპისთვის. სტაბილურობას მიჩვეულ ევროპას პუტინთან ურთიერთობების დაძაბვა აშინებს და ხშირად პოზიციებსაც კი თმობს.

მიხეილ სააკაშვილს, კიევისთვის ამ მძიმე პერიოდში, პოროშენკოს მთავარი მრჩევლის სტატუსის მიღება სურდა, თუმცა უკრაინის პრეზიდენტმა, როგორც ჩანს, პუტინთან დაძაბულ ურთიერთობას ნავთი აღარ დაასხა და საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს უარი უთხრა.

მიხეილ სააკაშვილს არა მხოლოდ საქართველოს მედიაში, უკრაინაშიც განიხილავდნენ ამ თანამდებობაზე. თუმცა, პოროშენკოსა და სააკაშვილის პოლიტიკა უკრაინასთან მიმართებაში იმდენად განსხვავებულია, რომ უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა ყოფილი პრეზიდენტის სამსახურზე უარი თქვა.

**ინტრიგა თავად პოროშენკომ ჩააგდო, როცა თქვა:**

– დღეს შემიძლია, ერთი ინფორმაცია გაგიმხილოთ, ჩემს მრჩევლებს შორის საქართველოს მოქალაქეები იქნებიან, თუ ვინ – ეს ჯერ ინტრიგად დარჩეს...

სააკაშვილის დანიშვნაზეც მაშინ ალაპარაკდნენ. თუმცა, ექსპრეზიდენტმა იმდენად აგრესიული განცხადებები გააკეთა რუსეთის მიმართულებით, რომ დიდი ალბათობით, პოროშენკო მას არ გულისხმობდა.

**სააკაშვილი მხარს ომს უჭერდა:**

– მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, განსაკუთრებით აშშ-ში, მომზადებულია იმისთვის, რომ პირდაპირი დახმარება გაუწიონ უკრაინას. ვფიქრობ, რომ ესკალაციის გაგრძელების შემთხვევაში, უკრაინას საკმარისად აქვს იარაღი, მაგრამ, თუ საჭირო გახდება, ისინი მიიღებენ თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო იარაღს... ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებას... ისინი მიიღებენ ნატოს საუკეთესო არმიის დახმარებას...

**პოროშენკო კი რუსეთთან მშვიდობიან მოლაპარაკებებს ემხრობოდა და ემხრობა:**

– მზად ვარ, გავაფორმო ხელშეკრულება მშვიდობაზე ყველასთან, ვინც არ უნდა იყოს ის. მე მინდა ჩემს ქვეყანაში მშვიდობა დავამყარო, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ სუსტები ვართ, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ არ ვართ პატრიოტები. ჩვენ მზად ვართ, დავიცვათ ჩვენი ქვეყანა, რადგან მე არ შემიძლია იმის გაგებაც კი, რომ არ გამოვიყენო უკანასკნელი შესაძლებლობაც კი რეგიონებში მშვიდობის დასამყარებლად... მზად ვარ, მოლაპარაკებები გავმართო პუტინთან... ხანდახან ბატონი პუტინის პოზიცია პრაგმატული, ხანდახან კი ძალიან ემოციურია... პუტინი დამპირდა,



**პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის განმარტებით:**

– თუ პოროშენკოს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება უნდა, მაშინ სააკაშვილი და მისი ხალხი არ გამოადგება. მიშა დღეს პუტინისთვის არის წითელი ნაჭერი, რომელსაც ხარს ცხვირწინ უფრიალებენ ხოლმე. სადაც სააკაშვილი იქნება, იქ პუტინთან მოლაპარაკება გამორიცხულია. სააკაშვილს შეუძლია, გახდეს კლიჩკოს მრჩეველი, ან დაიკავოს სხვა რომელიმე დაბალი თანამდებობა, მაგრამ არა პრეზიდენტის კარზე. არა მგონია, მიშამ ჩინოვნიკობა მოინდომოს, ის კაბინეტში ვერ გაჩერდება, მთელი დღე უნდა ირბინოს.

პოროშენკო ყირიმის დაბრუნებამდე ჯერ ვერ მივიდა, აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონებში სეპარატისტებთან ბრძოლას განაგრძობს. სლავიანსკში მან უკვე შეძლო პოზიციების გამაგრება და სახელმწიფო დროშის აღმართვა ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე. მას ტერიტორიების 13% აქვს დაკარგული.

ეს არის ვითარება, როცა ომის შანსები გამორიცხულია, მშვიდობა კი რომელიც ერთადერთი გამოსავალია, რეალურ შედეგებს არ მოიტანს. სანამ პუტინი დასავლეთსაც კი „გაზპრომის" მეშვეობით მართავს, პოსტსაბჭოთა სივრცეში კიდევ ერთი გაყინული კონფლიქტი გაჩნდა – ახლა უკვე ყირიმის სახით.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალური სო

## რობერტ სტურუა: „ქართველი კაცის სახელის გამტეხელს მექრთამე ევროპა ველარ იცავს... დაიწყო!“

## ბლატნოი ქართველი მღვდელი - სკანდალური ვიდეო

## ლიანა ისაკაძე: „მე საერთოდ აღარ ჩამოვალ თბილისში“

## მოჩვენება რუსთაველის თეატრში

## საქალაქო სასამართლომ გიგი უგულავას პატიმრობა შეუფარდა

თამარ გორთამაშვილი

**სოციალური მედიის უპირატესობა ისაა, რომ ყველაფერი, რაც ხდება, საზოგადოებას თითქმის პარალელურ რეჟიმში მიეწოდება. ინფორმაცია იმდენად სწრაფად ახლდება და იცვლება, რომ ხშირად საჭიროა, „სერჩს“ მიმართო. ბევრი რომ არ ეძებოთ, საქმეს გაგიმარტივებთ და კვირის ყველაზე ცხელ სკანდალებზე მოგიყვებით, რომელმაც სოციალურ მედიაში დღის რეიტინგები მოხსნა. ცნობილი პერსონების პირადი გვერდებიდან გადმოტანილი სკანდალები რომ დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამას რა მტკიცება სჭირდება?! ასე მაგალითად, გასულ კვირას რეჟისორმა რობერტ სტურუამ საკუთარ კედელზე მორიგი სტატუსი გამოაქვეყნა და ის უსწრაფესად ჩვეულებრივ „ნიუსად“ იქცა – სათაურით: „რეჟისორი რობერტ სტურუა „ნაცმოძრაობას“ მიმართავს“.**

„დ ა ი წ ყ ო! თითქმის ორი წელი ვუცდიდით... მონანიებას?.. არ ვიცი... მაგრამ არც ერთმა სინანულიც კი არ გამოხატა... არც მოინდომეს, არც სინდისმა შეაწუხა... არც უზნეო ოჯახში ჯერ გაუხრწნელმა შვილებმა... არც მშობლებმა, არც გვარმა... არც წამებაში დაღუპული მსხვერპლის სისხლმა... არც მოპარულმა ფულმა, არც გამქრალმა ერის საგანძურმა, პარიზში მშიერი ქართველები თვალის ჩინივით რომ უფრთხილდებოდნენ... არც ღმერთმა, არც ჯვარმა, არც სვეტიცხოველმა – და ჰა, მიიღეს... ველური ტომის მოდგმას – ჯალათებს, ქართველი კაცის სახელის გამტეხელს მექრთამე ევროპა ველარ იცავს... დაიწყო“, – წერს სტურუა სოციალურ ქსელში.




ხმაური და „ფეისბუქური“ განხილვები მოჰყვა ყოფილი მერის დაკავებასაც. თუმცა ძირითადად გიგი უგულავას მეგობრები და არამეგობრები აქტიურობდნენ, ხშირად ერთმანეთის ლანძღვა-გინებაზე გადასვლით...

გასულ კვირას საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია სოციალურ ქსელში გავრცელებულმა რამდენიმე ვიდეომაც, სადაც სასულიერო პირები, მსუბუქად რომ ვთქვათ, მათთვის შეუფერებელ სიტუაციაში არიან აღბეჭდილი. „ჯიპოსანი“ მამაოები ქუჩაში „საქმის გარჩევის“ დროს დააფიქსირეს და სმარტფონით გადაღებული ვიდეოც მომენტალურად აიტვირთა ინტერნეტში... გამოხმაურებამაც არ დააყოვნა, ამას მოჰყვა სპეციალური განცხადებები სხვადასხვა სასულიერო პირებისგან და სკანდალიც შეიკრა.

სკანდალური იყო ქართველი მევიოლინის, ლიანა ისაკაძის განცხადებაც, რომელიც იმუქრებოდა, რომ თბილისში აღარასდროს ჩამოვა. ისაკაძემ ხელისუფლებას ვრცელი წერილით მიმართა. წერილში კარგად ჩანს ისაკაძისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკის შორის არსებული დაპირისპირება. ამასთანავე, ამავე წერილში ლიანა ისაკაძე სინანულს გამოთქვამს, რომ საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ მისი საქველმოქმედო მოღვაწეობის შესახებ არაფერი იცის.

გარდა ამისა, ლიანა ისაკაძე წერს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არსებული გაუგებრობები არ აღმოიფხვრება, ის თბილისში არასდროს ჩამოვა.

Ambebi.ge-მ ლიანა ისაკაძის მიმართვა გამოაქვეყნა:




„როგორც მე ვატო მაჭავარიანმა გადმომცა, თურმე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკის უთქვამს მისთვის, ლიანა ისაკაძემ თავისი ფესტივალით „გაგვძარცვაო“ და ერთი ვიოლინო მაინც ეყიდა ათწლედისთვისო! ეს მე ძალიან მეწყინა და მივხვდი, რომ ახალმა მთავრობამ არაფერი იცის ჩემს საქველმოქმედო მოღვაწეობაზე! შესაძლოა, თქვენ არც კი იცით და მე მინდა გთხოვოთ, რომ გაავრცელოთ შემდეგი...“

შემდეგ უკვე ცნობილი მევიოლინე ძირითადად საკუთარ უანგარო შრომასა და ქველმოქმედებაზე საუბრობს, რომელიც არ დაუფასდა... და კიდევ, ისაკაძე მევიოლინე ლიზა ბათიაშვილს ახსენებს მასზე გაწეულ ამაგს და საყვედურობს, რომ ლიზას ამის შესახებ არც ერთხელ არსად დასცდენია...

„ლიზა ბათიაშვილს კი არც ერთ თავის ინტერვიუში არასდროს უხსენებია, ვისი მეშვეობით ჩამოვიდა გერმანიაში და გაიკეთა ასეთი კარიერა! ვფიქრობ, როცა ადამიანი სინდისისგან გარეცხილია, ის ვერასდროს იქნება ნამდვილი და კარგი მუსიკოსი!! კიდევ ერთხელ გკოცნით“, – წერს ლიანა ისაკაძე... ალბათ, მძიმე მოსასმენი იქნება ეს სიტყვები ბათიაშვილისთვის და ალბათ, გამოეხმაურება კიდეც... ასე რომ, სკანდალი გაგრძელდება...




საინტერესო და სკანდალური აღმოჩნდა ასევე ვიდეო, რომელზეც რუსთაველის თეატრის მოჩვენებაა გამოსახული... ეს ამბავი ღიმილისმომგვრელია, თუმცა თეატრის მოჩვენებაზე სრული სერიოზულობით საუბრობენ მსახიობები... ერთ-ერთმა სანდრო ახმეტელის სახელიც კი ახსენა... რას გაიგებ... ვერავინ შეძლებს იმის მტკიცებას, ვისი სული თუ აჩრდილი დადის თეატრში, თუმცა ის, რომ გადაღებულ ვიდეოს სრული სერიოზულობით აღიქვამენ და არჩევენ, ფაქტია... მომხდარს რობერტ სტურუაც კი გამოეხმაურა...






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ციალური მედია

## ვანო მაჭავარიანის მოხსნის განსხვავებულ მიზეზებზე საუბრობენ

**სოციალური მედია გასულ კვირას მოჩვენებების თემასაც გასცდა და საქმე უფრო სერიოზულ მაღალ ეშელონებშიც ავიდა... აი, სკანდალიც ამას ჰქვია... როგორც ჩანს, სოციალურ მედიაში ისევ აქტუალურია კითხვა: რა იყო მარგველაშვილის მიერ ვანო მაჭავარიანის მოხსნის რეალური მიზეზი? სწორედ ამ სათაურით გამოქვეყნდა გასულ კვირას www.compromati.com-ზე მასალა, რომელიც პრეზიდენტს, მის რჩეულსა და ყოფილ ფავორიტს ეხება... ინტერპრეტაციებისგან თავს შევიკავებთ და სტატიას, რომელიც მალევე compromati.com-ის გარდა Forum.ge-ს, Ireporter.ge-ს და სხვა საიტების განხილვის თემა გახდა, სრულად შემოგთავაზებთ:**







### რა იყო მარგველაშვილის მიერ ვანო მაჭავარიანის მოხსნის რეალური მიზეზი?

ამ ვერსიაზე კარგა ხანია, კულუარებში საუბრობენ. თუმცა ის იმდენად პირადი და სათუთია, მის განხილვას ჩვენც კი არ დავიწყებდით, რომ არა ფაქტი, რომ ის პრეზიდენტია, საჯარო პირი, ხოლო სახელმწიფოს მართვის საკითხები პირადი ცხოვრებით არ უნდა წყდებოდეს, რადგანაც, უამრავი მაგალითი ვიცით, როგორი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ქვეყნისთვის.

ვანო მაჭავარიანი „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატისა და პარტიის ყოფილი გენერალური მდივნის მიშა მაჭავარიანის ძმაა; ის 2007-2009 წლებში საქართველოს ელჩი იყო იაპონიაში, შემდეგ კი საპარტნიორო ფონდში მუშაობდა.

გიორგი მარგველაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ, ის საგარეო საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა. ცოტა ხნის წინ განთავისუფლებულმა მაჭავარიანმა ერთ-ერთ გადაცემაში სკანდალური განცხადებებიც გააკეთა და პრეზიდენტის კარზე მისი კარიერის დასასრული ირიბად „უჩინარ ხელს" დააბრალა. მაჭავარიანის სკანდალურმა განცხადებებმა პრეზიდენტი მარგველაშვილი იმდენად უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ „იმედის" ეთერში თავის მართლებაც მოუწია. მაგრამ როგორ შეეძლო, ერთი მხრივ, დაუმორჩილებელ პრეზიდენტს, რომელმაც საკუთარი გადაწყვეტილებების სიმტკიცით მისი სათაყვანებელი ბიძინაც კი უარყო, სამსახურიდან გაეშვა ადამიანი, რომელთანაც 20-წლიანი ძმაკაცობა აკავშირებს. ბავშვობის ძმაკაცებს შორის დაპირისპირების მიზეზი მაკა ჩაჩუა გახდა, რადგან მარგველაშვილი ვანო მაჭავარიანსა და თავის მეგობარ ქალბატონზე ეჭვიანობდა. ჩაჩუას ორსულობის სასიხარულო ამბავმა პრეზიდენტის ეჭვიანობას ხელი შეუწყო და უფრო მეტიც, გაამძაფრა. ასე შეერყა საფუძველი იმ მეგობრობას, რომლის გამოც მარგველაშვილმა „ქართული ოცნების" მმართველი ფრთაც კი გაანაწყენა, როდესაც ფარად გადაეფარა მაჭავარიანს, შემდეგ კი ყველასთვის მოულოდნელად ის დაითხოვა.

ჩვენ ამ ინფორმაციის გადამოწმება ვცადეთ. რა თქმა უნდა, ამაზე ხმამაღლა საუბარი არავის სურდა, მაგრამ ერთ-ერთ ღონისძიებაზე მოვახერხეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელთან გასაუბრება. მან პირად საუბარში დაგვიდასტურა ჩვენი წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია. „ვანოს გაშვება მართლა მოულოდნელი იყო და არც არავინ მალავს, რომ გული დაგვწყდა ძალიან. კარგა ხანია, ეს ამბავიც ვიცით, მაგრამ ხმამაღლა ვერავინ იტყვის, ხომ გესმის, რაც ხდება. იმასაც კი ამბობენ, რომ ეს შეიძლება მაკა ჩიჩუას შურისძიება ყოფილიყო მარგველაშვილის ახალ გატაცებაზე, ქრისტინე გარუჩავაზე", – გვითხრა ადმინისტრაციის თანამშრომელმა.

არანაკლებ სკანდალურია კიდევ ერთი მასალა, რომელიც exclusive-news.ge-ზე გამოქვეყნდა და ყოფილ ჩინოსანს, პეტრე მამრაძეს ეხება. როგორც დარეჯან ლიპარტელიანის მასალიდან ირკვევა, ნაციონალებს მამრაძეზე ისეთი კომპრომატები აქვთ, სიტყვებით მისი გადმოცემა უხერხულიც კია... თუ ამ მასალას დავეყრდნობით, არსებობს სექსუალური ხასიათის ვიდეოკომპრომატები...

### როგორ გადაიღო კუდ-მა ჩოხა-ახალუხსა და ფაფახში გამოწყობილი პეტრე მამრაძის სექსი კუდ-ის აგენტთან?

მიხეილ სააკაშვილის ძალადობრივმა რეჟიმმა ცხოვრება უამრავ ადამიანს ჯოჯოხეთად რომ უქცია, უცხო არავისთვის არ არის. სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის პერიოდი, ქართველმა ერმა შიშსა და მუქარაში რომ გაატარა, ესეც კარგად ცნობილია. მაგრამ იმან, რაც შევიტყვე და უნდა გიამბოთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

არაერთმა პოლიტიკოსმა, ჟურნალისტმა, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლმა, ექსპერტებმა თუ პოლიტოლოგმა, ის პოლიტიკური შეხედულებები, რაც, ერთი წლის წინათ ჰქონდათ, მკვეთრად შეიცვალა და რატომღაც ხელისუფლების კრიტიკასა და განქიქებაზე გადავიდა. ისინი ყოფილი ხელისუფლების მიმართ მეტად ლოიალურნი გახდნენ. ამ ყველაფერში უცნაური არაფერია. არსებული ხელისუფლების მიმართ კრიტიკა, შესაძლოა, სამართლიანიც იყოს, მაგრამ ისე, კონკრეტული პიროვნებისგან მსგავს განცხადებას რომ არავინ ელოდება, და მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილს ატეხს – ეს რას სჩადის ახალი ხელისუფლება, ყოფილი ხელისუფლების დროს ასეთი რამ არ ხდებოდაო; გაგიჩნდება უნებლიე კითხვა, რა მოხდა?

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოგიყვებით იმას, რაც სანდო წყაროსგან შევიტყვეთ:

„ექსკლუზივ ნიუსს" ცნობილი პიროვნებისა და პოლიტოლოგის, პეტრე მამრაძის შესახებ სკანდალური ინფორმაცია მიაწოდეს:

„ბატონი პეტრე ინტელიგენტი და ცნობილი ოჯახის შვილია, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის მსხვერპლი ისიც გახდა.

ბატონ პეტრეს კუდ-მა ახალგაზრდა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონი მიუგზავნა. პეტრე მამრაძის დისკრედიტაცია და მისი კომპრომეტირება, უშუალოდ პრეზიდენტ სააკაშვილის დავალება იყო. სულ ცოტა ხანში, კუდ-ელმა ქალბატონმა, პეტრე მამრაძე „საწოლში" შეიტყუა და მთელი ეს ურთიერთობა თავიდან ბოლომდე გადაღებულია. რამდენად დაუჯერებელიც უნდა იყოს, პეტრეს სექსუალური ურთიერთობისას ჩოხა-ახალუხი აცვია და თავზე ფაფახი ახურავს. კუდ-ელმა ქალბატონმა ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე გადაიღო.

პეტრე მამრაძეს, როგორც კი სააკაშვილისა და მისი გუნდის წინააღმდეგ პოლიტიკური განცხადებების გაკეთება დაიწყო, ნაციონალებმა ეს კომპრომატი წინ დაუდეს. პეტრე მამრაძემ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებაზე ის ინფორმაციები გააჟღერა, რაც ნაციონალებს ხელს აძლევდათ, იმხანად ყველა ტელევიზია პეტრე მამრაძეს იწვევდა. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ ბატონი პეტრე კარგი ადამიანია, მაგრამ ნაციონალების შანტაჟის მსხვერპლი გახდა და მისი პოლიტიკური შეხედულებებიც უკვე ობიექტურობას მოკლებული იყო. დაშანტაჟებული კაცი სიმართლეს არასოდეს იტყვის, მან პოზიციაც ამიტომ შეიცვალა. გარდა პეტრე მამრაძისა, ანალოგიურ სიტუაციაში, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სხვა პოლიტიკოსებიც აღმოჩნდნენ და კუდ-ის მიერ მიგზავნილ ქალებთან იგორავეს, რომელიც ასევე გადაღებულია. ეს პოლიტიკოსები აქტიური პოლიტიკიდან წავიდნენ, რადგანაც კუდ-მა მათ ეს ფარული ჩანაწერები აჩვენა და მკაცრად გააფრთხილა: ჭკვიანად იყავით, თორემ გავასაჯაროებთ და თქვენს ცოლებსაც გავუგზავნითო. ამით დატერორებულმა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა პარტია დაშალა, ზოგმა სხვადასხვა სექტორში გადაინაცვლა. ერთ-ერთ ცნობილ, ვითომ ოპოზიციონერ პოლიტიკოსს, რომელიც ხალხსაც უყვარს, ამ ხელისუფლებისა და მისი მეთაურის, პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის მიწასთან გასწორება აქვს დავალებული.

კომპრომეტირებულ პოლიტიკოსს, რომელიც ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი აღვირახსნილ განცხრომას მიეცა და კუდ-ის მიგზავნილ ქალებთან ერთობოდა, „ნაციონალური მოძრაობა" ამ ავადსახსენებელი ფარული ჩანაწერებით დღემდე მართავს და საზოგადოებას თვალებში ნაცარს გვაყრის.

მოკლედ, „ნაციონალური მოძრაობა" ძველ მეთოდებს, შანტაჟსა და კომპრომეტირებას დღემდე აქტიურად იყენებს და შედეგიც სახეზე გვაქვს. ვერ ვეღირსეთ სამართლიანობის აღდგენას. „ნაციონალურ მოძრაობაშიც" დღემდე ხალისობენ – როგორ მრუშობდა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ოპოზიცია კუდ-ელ ქალბატონებთან".

**P.S. არის თემები, რაზეც კომენტარი ზედმეტია. გაოგნებული და შოკირებული ვერაფერს ვამბობ, გარდა ერთისა: სადამდე უნდა გაგრძელდეს ეს ყველაფერი ამ ქვეყანაში? – წერს სტატიის ავტორი...**

**დარეჯან ლიპარტელიანი**

მოკლედ, გასული კვირა საკმაოდ ცხელი და სკანდალებით დატვირთული იყო, რომელსაც, ალბათ, გაგრძელებაც მოჰყვება...




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# papa



სტეფანე და სოფი სააკაშვილი



გიორგი ხაბურზანია, დემნა ჯაფარიძე და სტეფანე





ნატალია ქუთათელაძე









ლელა წურწუმია



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# arazzi



გეგა ფალავანდიშვილი და თამთა გოდუაძე



თამთა გოდუაძე



გეგა ფალავანდიშვილი





სოფო ტოროშელიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ადამიანის პრაიმტაი

რეზო შატაკიშვილი

**თეატრალურ სამყაროში იშვიათად ნახავ მასავით გაწონასწორებულ ადამიანს. მისი მთელი რეჟისურა კი იმ ამოცანითაა შეპყრობილი, რომ თქვენ, მაყურებელს, დაგაკარგინოთ წონასწორობა - დაგაფიქროთ, აგაფორიაქოთ, გაგაბრაზოთ თუნდაც... უნდა ითქვას, რომ ახერხებს კიდეც - თუნდაც გრძელი პაუზებით და კიდევ უფრო გრძელი სპექტაკლებით... დიახ, ის იშვიათად დგამს, მაგრამ როცა დგამს - გრძელ სპექტაკლებს დგამს, რასაც გადაჩვეულია თანამედროვე მაყურებელი - გართობაზე ორიენტირებული, თან სხაპა-სხუპით, სწრაფად გართობაზე ორიენტირებული...**

მისი ცხოვრების ყველა მონაკვეთი თეატრთანაა დაკავშირებული. მეტიც, ის თეატრში იყო ამ ქვეყნად დაბადებამდეც - ის არის სახელგანთქმული ქართველი ტრაგიკოსის - ზინაიდა კვერენჩხილაძის ვაჟი. შემდეგ იყო ბავშვობა - ასევე თეატრში გატარებული, შემდეგ თეატრალური ინსტიტუტი, სადაც გაიარა ყველა საფეხური - სტუდენტობიდან რექტორობამდე.

**გოგი მარგველაშვილი. დღევანდელი რეგალია:** საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სრული პროფესორი. გრიბოედოვის თეატრის მთავარი რეჟისორი...



**- თქვენი ცხოვრების რომელი პერიოდი გახსენდებათ ყველაზე ტკბილად, და საერთოდ, ცხოვრების რომელი პერიოდი მიგაჩნიათ საუკეთესო დროდ ადამიანისთვის?**

- როგორც წესი, იხსენებენ ბავშვობას, ახალგაზრდობას... ადამიანი, 50 წელს რომ გადააბიჯებს, განსაკუთრებული ნოსტალგიით იხსენებს ახალგაზრდობას. ახალგაზრდობა ძალიან სასიამოვნოა - როდესაც არის და სასიამოვნოა მისი გახსენებაც, მაგრამ მე არ ვიტყოდი, რომ ეს არის საუკეთესო პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში. საუკეთესო პერიოდი, ალბათ, მაინც 40 წლის შემდეგ არის, როდესაც უკვე გაქვს ცხოვრებისეული გამოცდილება, პროფესიული გამოცდილება, უკვე გაქვს გამოცდილება ადამიანებთან ურთიერთობის, რაც ყველაზე რთულია და რაც ყველაზე დამღლელია ამ ცხოვრებაში. ადამიანებთან ურთიერთობა, ეს იქნება პირადი, თუ პროფესიული, არის ყველაზე რთული, რაც შეიძლება იყოს ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანს არაფერი არ ხვდება ადამიანზე რთული. სარტრს აქვს მშვენივრად ნათქვამი, ჯოჯოხეთი, ეს არის სხვები.

**- სარტრი მუქ ფერებში ხედავდა და ხატავდა სამყაროს, აი, კეთილი კაცი, ეკზიუპერი კი წერდა, რომ ადამიანებთან ურთიერთობა ფუფუნებაა.**

- ეკზიუპერის ნათქვამი უფრო ოცნებაა, კეთილი სურვილია, რომ ეს ასე იყოს, სარტრის ნათქვამი კი უფრო ჰგავს სიმართლეს. ყოველ შემთხვევაში ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, სარტრის ნათქვამი უფრო ჰგავს სიმართლეს. და არა მარტო სარტრის... სხვებთან ურთიერთობა არის არა მხოლოდ ყველაზე დამღლელი, არამედ ყველაზე აუტანელი, რაც შეიძლება ადამიანს შეხვდეს ამ ცხოვრებაში. რატომღაც მგონია, რომ ყველაზე მძიმე დაავადებაზე რთულია...

**„ადამიანებთან ურთიერთობა არის არა მხოლოდ ყველაზე დამღლელი, არამედ ყველაზე აუტანელი, რაც შეიძლება ადამიანს შეხვდეს ამ ცხოვრებაში. ადამიანს არაფერი არ ხვდება ადამიანზე რთული“**

**- ვის ღლის, ვის არა, ცალკე თემაა, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ადამიანებთან ურთიერთობას მიაქვს ყველაზე დიდი ენერგია ადამიანის.**

- მიაქვს მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოზომილი აქვს ადამიანს, უბრალოდ ადამიანმა არ იცის, ეს მოზომილი რამდენია მის შემთხვევაში - მიაქვს დრო. დრო, რომელსაც ადამიანი ვერ იბრუნებს ვერასოდეს... არ ვამბობ იმას, რომ ადამიანებთან ურთიერთობა მხოლოდ დამღლელი და აუტანელია, მაგრამ ამ ურთიერთობის პარადოქსულობა სწორედ იმაშია, რომ როცა სასიამოვნოა და არ ჰგავს ჯოჯოხეთს, მაშინაც კი რთული და დამღლელია, დროის წამლებია... მაგრამ ეს არის ის, რაც ავსებს შენს ცხოვრებას.

**- ანუ, ადამიანისთვის პრაიმტაიმი 40 წლის შემდეგ იწყება, როცა მან იცის ლავირება ადამიანებთან, უმკლავდება ამ სირთულეებს?**

- ლავირება და გამკლავება იმდენად არა, უბრალოდ, თუ ამ ასაკში ადამიანმა არ ისწავლა განსაზღვრა იმის, რა არის უფრო მნიშვნელოვანი და რა უმნიშვნელო, ესე იგი ვეღარასოდეს ისწავლის... ამიტომ 40 წლის შემდეგ, ეს ყველაფერი სახეს იცვლის, უკვე ახერხებ რაღაცნაირად შერჩევას, ვისთან გქონდეს ეს ურთიერთობები. თუმცა, ეს ჩვენს პროფესიაში რთულია. არის ურთიერთობები, რომელსაც ვერ ასცდები პროფესიიდან გამომდინარე. თან, თეატრალურ სამყაროში ეს ურთიერთობები კიდევ უფრო სპეციფიკურია, ალბათ, ყველა პროფესიას, ამ მხრივ, თავისი სპეციფიკა აქვს, მაგრამ მე სხვა პროფესიებზე ვერ ვილაპარაკებ, არ ვიცი, მაგრამ კარგად ვიცი, როგორია თეატრალურ სამყაროში და ერთი რამ შემიძლია ვთქვა - ის აბსოლუტურად არ ჰგავს იმას, რაც გარედან ჩანს... თეატრალურ სამყაროში, ადამიანებთან ურთიერთობის სირთულეს ემატება აბსოლუტური აბსურდულობა და გამოირჩევა ზღვარგადასული სისასტიკით. შედგება ბევრი რამისგან - სისასტიკისგან, დაუნდობლობისგან, უმადურობისგან, სიკეთისგან, სილამაზისგან, ყველაფრისგან, რაც შეიძლება ადამიანს შეხვდეს ამ ცხოვრებაში. ეს ურთიერთობები მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ვნებებით კი არაა სავსე, პროფესიული ელფერის მქონეა ეს ვნებები. თამაშით ნებისმიერი ადამიანი თამაშობს, მაგრამ მსახიობებს პროფესიად აქვთ ქცეული ეს თამაში და ეს გარკვეულ დაღს ასვამს მათ შორის ურთიერთობებს. ხშირად ისინი ერთმანეთთან მათ მიერ ნათამაშევი გმირებივით იქცევიან, მათი ლოგიკით, მათი თვისებების გამოყენებით. მეტიც, არის კიდევ ერთი საშინელი რამ - ძალიან ხშირად, მსახიობები, ნებისმიერ კონფლიქტში, იქცევიან ისე, როგორც მოიქცეოდა გმირი, რომელიც მათ არც უთამაშიათ. ყველა მსახიობს ჰყავს საოცნებო პერსონაჟები, „ენ“ რაოდენობა გმირების, რომლის თამაშიც უნდათ და თუ სცენაზე არ ეძლევათ ამის საშუალება, ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში ასახიერებენ იმ პერსონაჟს, ასახიერებენ თავისი კონცეფციით, ისე, როგორც მათ ჰყავთ წარმოდგენილი ეს გმირი და უცებ, შენ წინ დადგება რიჩარდ მესამე, ან ჰამლეტი, ან ლედი მაკბეტი, ან თვითონ მაკბეტი, ან ალქაჯი მაკბეტიდან, ან კიდევ ვინმე... მსახიობების დიდი ნაწილი, მათთვის საოცნებო როლებს ამზადებენ თავისთვის, თამაშობენ, გიჟობენ თავისთვის, ეს თავისთავად ძალიან საინტერესო და სევდიანია, მაგრამ ეს სადღაც აუცილებლად იჩენს თავს. ხშირად, ადამიანებს, ვინც ამაში ვერ ერკვევა, რატომ იქცევა ესა თუ ის მსახიობი ასე და მე ვაწყნარებ ხოლმე, ეს თვითონ არ არის ახლა, ეს შენ გელაპარაკებოდა ის, ვისი თამაშიც უნდა... ოღონდ იმ გმირის ტექსტით არ ლაპარაკობს, თვისებებს ავლენს, ხან ფრაზას მოიშველიებს მისას... არტისტები განსხვავებული არიან სხვა პროფესიის ადამიანებისგან და ამ განსხვავებულობას ბადებს მათი პროფესია, მუდმივად სხვისი ცხოვრებით ცხოვრება, ან სხვისი ცხოვრებით ცხოვრების სურვილი... რაც დაღს ასვამს მათ ქცევას, დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი, ცხოვრებისადმი, განაპირობებს მის პრეტენზიებს, მის ურთიერთობებს არამარტო სხვა მსახიობებთან, რეჟისორებთან თუ მხატვრებთან, საერთოდ ადამიანებთან და მეტიც, თუ ის მორწმუნეა, იმასთანაც ვისიც სწამთ... მსახიობები, როგორც წესი, მორწმუნეები არიან, ყოველ შემთხვევაში ასეთებად იცნობენ მათ უმეტესობას... რბილად რომ ვთქვათ, მსახიობები უცნაური ხალხია, თუმცა აქვე მინდა ვთქვა, რომ არიან ძალიან კარგები, კეთილები და საინტერესონი... ძალიან საინტერესოა მათთან ურთიერთობა, მაგრამ ეს ურთიერთობა აღსავსეა სირთულეებით.




**„ირონიულად მეღიმება, როდესაც ლაპარაკია ჩემ შემოქმედებაზე...“**

**- თქვენ მსახიობების ოჯახში გაიზარდეთ, რამდენად იმოქმედა ამ ფაქტმა თქვენ პროფესიულ არჩევანზე?**

- მსახიობის ოჯახში გაზრდილი ადამიანის პრობლემები, გარკვეულწილადად სპეციფიკურია, რთულია, იმიტომ რომ მსახიობის პროფესია დაწყევლილი პროფესიაა, ძალიან დიდი დრო მიაქვს მისი ცხოვრებიდან თეატრს და მაშინაც კი, როცა ადამიანი ძალიან ორგანიზებულია, მომართული, არასოდეს არაფერზე არ რჩებათ დრო. ხშირად ბავშვს ვერავის უტოვებენ და მიჰყავთ თეატრში, მსახიობების შვილების უმეტესობა იზრდება თეატრში. ცხადია, ექიმებსაც მიჰყავთ შვილები სამსახურში, როცა ვერავის უტოვებენ და სხვა პროფესიის ადამიანებსაც, მაგრამ განსხვავება იწყება მერე, რა სამყაროში ხვდება ის ბავშვი, რომელიც მიჰყავთ თეატრში და რომელიც მიჰყავთ ლაბორატორიაში. რა თქმა უნდა, ლაბორატორიაც საინტერესოა, მაგრამ ის, რაც მერე ხდება თეატრში... ბავშვს არავინ ერიდება თეატრში და მთელი ის ურთიერთობები, თავისი სიმაღლითა და სიმახინჯით, მის წინაშეა გაშლილი.

**- თქვენ თეატრში იზრდებოდით და ფაქტია, რომ მოგეწონათ, თორემ რეჟისორი არ გახდებოდით...**

- რა თქმა უნდა... მე ვერ ვიტყვი იმას, როდის იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული. ის რომ დავჯექი და გადავწყვიტე, მე ვაბარებ თეატრალურში, ასეთი რამ არ ყოფილა. თავისთავად მოხდა. არც ყოფილა მსჯელობა ან კამათი ამაზე ჩვენ ოჯახში, აქეთ თუ იქით, იქნებ ან ამაზე ჩააბარო, ან იმაზე, არაფერი უთქვამს არც დედაჩემს, არც მამაჩემს. ასე გადაწყვიტე? მორჩა.

**- ბავშვი როცა იყავით, არ გიჭირდათ დედის ყურება სცენაზე?**

- კი, ძალიან რთულია. კვდები ნერვიულობით, განსაკუთრებით როცა პატარა ხარ - გეშინია, ღელავ, ღელავ ათჯერ მეტად ვიდრე სხვა, სხვა განიცდის პერსონაჟის ამბავს, შენ განიცდი დედას და მხოლოდ შემდეგ პერონაჟს...

**- მაგ ასაკში, რა როლში გახსოვთ დედა ყველაზე შთამბეჭდავად? ანტიგონეს როლში?**

- არა, ანტიგონეს დროს, მერვე მეცხრე კლასში, ბავშვი აღარ ვიყავი უკვე. მე ნანახი მაქვს „ჭინჭრაქას“ თითქმის ყველა წარმოდგენა. არა მარტო მე, გია კიტიას და კიდევ რამდენიმე ბავშვს, ვისაც გვიწევდა მუდმივად თეატრში ყოფნა. ბევრმა არ აირჩია რეჟისორობა, ან მსახიობობა, მაგრამ მაშინ ყველა თეატრში ვიყავით და დავრბოდით დერეფნებში, ხშირად, ჩვენს მშობლებს რეპეტიციები ჰქონდათ და ჩვენ შევდიოდი სხვა სპექტაკლებზე. სასიამოვნო გასახსენებელია ეს ყველაფერი. თვითონ რუსთაველის თეატრიც სხვანაირი იყო მაშინ, გადასასვლელებით, გვირაბებით, სადაც გამოფენილი



იყო ძველი მაკეტები, ზოგი გარედან, ზოგი შიგნიდან განათებული, უამრავი რამ გაგახსენდება, სარეკვიზიტოები, საგრიმიოროები, გარდერობი, საამქროები... როცა ბავშვია, ყველა ეფერება, პატიჟებს, შეჰყავს...

**- რა როლს თამაშობენ ჩვენს ცხოვრებაში შეხვედრილი ადამიანები, რომელთაც გვახვედრებს ბედი, სიტუაცია თუ პროფესია? რომ არ შეხვედროდით მიხეილ თუმანიშვილს, არ ყოფილიყავით მისი ჯერ სტუდენტი, შემდეგ ასისტენტი, როგორი იქნებოდა თქვენი ცხოვრება? ისეთი, როგორიც არის?**

- არა, რა თქმა უნდა, არა, სხვანაირად იქნებოდა ბევრი რამ... თუმცა, მე ინსტიტუტში სწავლა არ დამიწყია ბატონ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მი 40 წლიდან იწყება“





## გოგი EXCLUSIVE მარგველაშვილის პრაიმტაიმი

**„ყველა მსახიობს ჰყავს საოცნებო პერსონაჟები, „ენ“ რაოდენობა გმირების, რომლის თამაშიც უნდათ და თუ სცენაზე არ ეძლევათ საშუალება, ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში ასახიერებენ იმ პერსონაჟს... უცებ, შენ წინ დადგება რიჩარდ მესამე, ან ჰამლეტი, ან ლედი მაკბეტი, ან თვითონ მაკბეტი, ან ალქაჯი მაკბეტიდან...“**

მიშასთან. ჩვენი ჯგუფი აიყვანა ბატონმა შალვა გაწერელიამ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, არც თუ ისე სასიამოვნო გასახსენებელი მოვლენების შემდეგ, ბატონი შალვა წავიდა ინსტიტუტიდან და ჩვენ აღმოვჩნდით ბატონ მიშასთან. თუმანიშვილი ისეთი მასშტაბის ფიგურაა საერთოდ, არა მხოლოდ ჩემს ცხოვრებაში, არამედ საერთოდ ქართული თეატრის ისტორიაში, რომ ძნელია ვინმეს შეადარო. თუმანიშვილთან ურთიერთობა არასოდეს შემოიფარგლებოდა მხოლოდ სწავლის, პიესის განხილვის ან რეპეტიციების პროცესით. თუ ის ახლოს მიგიშვებდა, ეს ურთიერთობა უფრო ჰგავდა აღორძინების ხანის მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობას, რომელსაც ჰქონდა პერმანენტული ხასიათი, ნონსტოპი იყო. ეს ურთიერთობა იყო უწყვეტი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუდმივად ერთად ვიყავით, მაგრამ არ იყო შემოსაზღვრული გარკვეული დროით. ნებისმიერ საკითხზე, პრობლემაზე შეგეძლო მიგეღო მისგან კონსულტაცია, როგორც თეატრალურ პრობლემაზე, ისე არათეატრალურზე - ცხოვრებისეულზე, გემსჯელა მასთან ნებისმიერ საკითხზე, პოლიტიკაზეც ზოგჯერ და ა.შ. უბრალოდ, იგი ნებისმიერ საკითხს, რა ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო და რა შინაარსისაც, აუცილებლად ჩაატრიალებდა პროფესიული თვალსაზრისით, თუ დავუშვათ ეს იყო რაიმე ცხოვრებისეული კონფლიქტი, ამ კონფლიქტის განხილვა გადაჰქონდა ქმედითი ანალიზის სიბრტყეში - რა მოხდა, სად არის ამოცანა, სად ზეამოცანა, ჰყოფდა ეპიზოდებად და ა.შ. ცხოვრებისეულ საკითხების განხილვა ხდებოდა ისე, როგორც ხდება პიესის განხილვა. და ამას ახერხებდა ისეთი ფილიგრანული სიმსუბუქით, რომ ვერც ამჩნევდი და მიჰყვებოდი. მასთან, არა მარტო სწავლა, ურთიერთობა იყო ძალიან საინტერესო და მრავლის მომცემი. პროფესიული თვალსაზრისით, უამრავი ადამიანისთვის აქვს ყველაფერი მიცემული. ის არ იყო უბრალოდ რეჟისორი და არც უბრალოდ პედაგოგი, ის იყო მოვლენა ქართულ თეატრში და აქვე მინდა გითხრა, რომ მასთან ურთიერთობა ძალიან რთული იყო, ეს არ იყო ადვილად საურთიერთო კაცი, არც თუ ისე მსუბუქი ხასიათი ჰქონდა. საკმაოდ ეჭვიანი იყო, საკმაოდ კი არა, ძალიან ეჭვიანი ადამიანი იყო, წყენია იყო, გაბუტვა იცოდა, ოღონდ ზოგჯერ იბუტებოდა მართლა, ზოგჯერ ეს იყო თამაში. მასთან ურთიერთობის გამოცდილებით უნდა მიმხვდარიყავი, მართლა გაგებუტა, თუ ეს იყო პატარა თამაში შენს გამოსაცდელად. ყველაფერი ახასიათებდა რაც ახასიათებს ადამიანს... განსაზღვრაც კი ძნელია იმ მასშტაბის ერუდიცია ჰქონდა პროფესიაში. რაც შეეხება მსახიობთან მუშაობას, სპექტაკლის ხერხემლის აგებას, პიესის ქმედით ანალიზს და ატმოსფეროს შექმნას, აბსოლუტში ჰქონდა აყვანილი, სრულად ფლობდა ამ საიდუმლოს. ზოგჯერ რეპეტიციებზე ისეთი ენერგეტიკა იბადებოდა, უკვე რაღაც მისტიკურ პროცესში გადადიოდა ეს ყველაფერი... განსაკუთრებით მაშინ, როცა აგებდა პერსონაჟებს შორის ურთიერთობას და იმ სცენისთვის საჭირო ატმოსფეროს შექმნას. ატმოსფეროს შექმნა ძალზე რთულია და ცოტა რეჟისორი თუ აღწევს, თუმანიშვილი ამას ყოველთვის აღწევდა.

**- გარკვეული ასაკის შემდეგ რეჟისორებს ხშირად ეწყებათ შემოქმედებითი კრიზისი, მეტიც, ხშირად შემოქმედებით მარაზმშიც გადადიან, რაც საერთოდ არ მომხდარა თუმანიშვილის შემთხვევაში. არათუ კრიზისი, მან ცხოვრება დაასრულა შედევრებით. ფაქტობრივად მას ასაკმა ვერაფერი წაართვა პროფესიული თვალსაზრისით.**

- მან ეს ყველაფერი შეინარჩუნა თავისი პროფესიული დონით და სამყაროსადმი დამოკიდებულებით.

**- ანუ ის არ დაბერდა.**

- არ დაბერდა, იმიტომ რომ ის რამდენიმეჯერ იყო დაბადებული... რაც მან გადაიტანა ცხოვრებაში - ომი, ტყვეობა, დაჭრა, კონტუზია, დახვრეტაზე გაყვანა... იმდენჯერ დაიბადა თავიდან... მან ამ ცხოვრებაში გაიარა რამდენიმე რეინკარნაცია, ოღონდ მუდმივად ბრუნდებოდა თავის სხეულში... მის მიმართ დაუნდობელი იყო ცხოვრება, მათ შორის პროფესიაშიც. იშვიათად თუ ნახავთ ქართველ რეჟისორს, რომელსაც იმდენი ლანძღვა შეხვედროდეს, რამდენიც მას შეხვდა თავისი სპექტაკლების გამო, რომელიც შემდეგ შედევრებად აღიარეს, ლამის იჭერდნენ და სხვა დრო რომ ყოფილიყო დახვრეტდნენ კიდეც... მაგალითად, „ჭინჭრაქას“ გამო, მაგალითად, „ზაფხულის ღამის სიზმარის“ პირველი ვარიანტის გამო და ა.შ. სხვა დრო რომ ყოფილიყო, ალბათ, „ანტიგონეს“ გამოც დახვრეტდნენ... იგი არასოდეს სარგებლობდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით. თავად განსაჯეთ, თუმანიშვილი ისე გარდაიცვალა, რომ არც რუსთაველის პრემია აუღია, არც ახმეტელის. მხოლოდ მარჯანიშვილის პრემია მისცეს, ისიც სპექტაკლში კი არა, - წიგნში... ძალიან მძიმე ცხოვრება გამოიარა და ისე გამოიწრთო, რომ პრაქტიკულად გარდაცვალებამდე შეინარჩუნა საოცარი ჟინი, უნარი იმის, რომ შექმნას ის, რაც ყველაზე კარგად შეუძლია - დადგას სპექტაკლი და ის ამისთვის აკეთებდა ყველაფერს, მიუხედავად იმისა, სიცხიანი იყო თუ წნევიანი. ცოტა მშიშარაც იყო ამ მხრივ, მაგრამ რეპეტიციის გაცდენაზე დიდი ტრაგიკული მოვლენა მისთვის არც არსებობდა. მას სპექტაკლზე მუშაობის გარეშე არ შეეძლო ცხოვრება. 70-ს გადაცილებულმა დადგა „ზაფხულის ღამის სიზმარი“, შემდეგ დადგა სპექტაკლი სიყვარულზე, სიყვარულის ჰიმნი დადგა - „ამფიტრიონი 38“. ამ ასაკში ადამიანები ხშირად ბოროტდებიან, აგრესიულები ხდებიან, უფრო და უფრო მუქ ფერებში ხედავენ სამყაროს, თუმანიშვილი ხედავდა მხოლოდ კარგს, მხოლოდ კეთილს, ნათელს და ამაზევე დგამდა სპექტაკლებს...

**- თქვენი შემოქმედებიდან რომელ სპექტაკლს გამოარჩევთ, როგორ მიგაჩნიათ, სად, რომელ სპექტაკლში უფრო მოხერხდა თქვენი ჩანაფიქრის რეალიზაცია?**

- ირიონიულად მეღიმება, როდესაც ლაპარაკია ჩემს შემოქმედებაზე... ძალიან ცოტა სპექტაკლი მაქვს დადგმული. ასე წარიმართა ცხოვრება, ამაში მეც მიმიძღვის ბრალი და ამას აქვს თავისი სხვა მიზეზებიც... იშვიათად ვდგამ, მაგრამ როცა ვდგამ, ვცდილობ, რომ ეს იყოს პროფესიულ დონეზე და რომ სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი იყოს შეწუხებული, დაფიქრებული, ან გაბრაზებული, ან გახარებული, მოკლედ - წონასწორობა დაკარგული. თუ სპექტაკლმა წონასწორობა ვერ დააკარგვინა მაყურებელს, უბრალოდ, იხალისა, გავიდა და დაავიწყდა იქვე, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სპექტაკლი არ შედგა. რაც შეეხება იმას, რომელ სპექტაკლს გამოვარჩევ, მე უფრო ავტორებს გამოვარჩევდი. მე მიმუშავია სამი გენიოსის - შექსპირის, პირანდელოს, ჩეხოვის პიესებზე. ჩემთვის ეს სამი ავტორი ყველაზე მდიდარია თავისი მსოფლმხედველობით, დრამატურგიული შინაარსით და იმ უზარმაზარი კოსმოსით. დამდგმელსაც და მასაც ვინც თამაშობს, საშუალებას გაძლევენ მოქმედება ააგო სხვადასხვა ფორმაში, სხვადასხვა საშუალებებით. როდესაც მუშაობ შექსპირის, პირანდელოს, ან ჩეხოვის პიესებზე, ძალიან ბევრ რამეში ერკვევი, პირველ რიგში - ბევრ ნიუანსსა და დეტალში შენივე ცხოვრების, შენი და ადამიანებს შორის ურთიერთობის, შენი და სამყაროს ურთიერთობის. ერკვევი და შედიხარ საკმაოდ სახიფათო ლაბირინთში - ადამიანის ქცევის სხვადასხვა მოტივების, სხვადასხვა მიზნების, ამ მიზნების განხორციელების გზების, სურვილების, ამოცანების.... იმდენად მდიდარია ამ სამი დრამატურგის პიესები ამით, რომ გაძლევს საშუალებას შექმნა მართლა სამყარო. ყველა პიესა, ყველა დრამატურგი სამყაროს შექმნის საშუალებას არ იძლევა. ზოგჯერ ძალიან პოპულარული პიესებიც კი. განსაკუთრებით თანამედროვე პიესები. შექსპირზე ლაპარაკიც არაა საჭირო, აბსოლუტური გენიოსია, მასზე დიდი და მასზე მნიშვნელოვანი მსოფლიო დრამატურგიაში არაფერი შექმნილა. არანაკლებ რთულ ლაბირინთში შედიხარ, როდესაც მუშაობ ჩეხოვის პიესაზე და თუ ცოტა იღბალიც არ დაგეხმარა, ვერც გამოხვალ. მხოლოდ ოსტატობა და პროფესიის ფლობა არ კმარა.

**- როდესაც რექტორი გახდით, ამბობდით, რომ თქვენი უმთავრესი ამოცანა იყო ქართული თეატრალური სკოლის შენარჩუნება, განვითარება. რა მოხერხდა და რა ვერ მოხერხდა?**

- სანამ მართვის სადავეებთან მიხვალ, ბევრი რამ სხვანაირად გეჩვენება და პრობლემები უფრო ადვილად მოგვარებადი გგონია. მაგრამ შემდეგ ძალიან რთულია. განსაკუთრებით რთულია ჩვენთან. ქართველები რთული ხალხი ვართ, არის ისეთი რაღაცები, რასაც ვერ გავექცევით, ესაა ზღვარს გადასული ამბიციები და საკუთარი თავის და პროფესიაში საკუთარი ადგილის არაადეკვატურად აღქმა. რაც ართულებს ურთიერთობებს და ამ სირთულეს ემატება კიდევ სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ბევრი რამ უფრო სწრაფად განხორციელდებოდა, მაგრამ ამას სჭირდებოდა გარკვეული სახსრები დროულად, ასევე მზადყოფნა არა მხოლოდ შენი და შენი კოლეგების, არამედ იმ სამთავრობო სტრუქტურებისაც, რომელზეც ყოველთვის არის დამოკიდებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. ბევრი რამაა დამოკიდებული სამთავრობო უწყებების გადაწყვეტილებებზე, ამა თუ იმ საკითხის დროულად ან საჭირო კუთხით გადაწყვეეტაზე... საქართველოში კი სწრაფად და მიზანმიმართულად ბევრი რამ არ კეთდება, საბოლოოდ ბევრი რამ კეთდება, უბრალოდ, ის დროში ბევრად უფრო დიდ მონაკვეთს იკავებს, ვიდრე სასურველია, ამიტომ ამ წლების მანძილზე, რა თქმა უნდა, არის შედეგები, ძალიან უნდა დაიბრმაოს ადამიანმა თვალები, რომ ეს შედეგები ვერ დაინახოს, მაგრამ დაგეგმილი ბევრად მეტი იყო, და მიღწევადიც ბევრად მეტი...

**- რექტორობას დრო მიაქვს და ამანაც ხომ არ ითამაშა გარკვეული როლი იმაში, რომ ცოტა სპექტაკლები გაქვთ დადგმული?**

- არა, მარტო მაგაშიც არ არის საქმე, მე დიდი ხანია დავიწყე პედაგოგობა, უკვე 30 წელი გავიდა, 1983 წელს დავიწყე პედაგოგიური საქმიანობა, როგორც ბატონ მიშას ასისტენტმა... თუ გულით, პასუხისმგებლობით ეკიდები ამ საქმეს, ისედაც დიდი დრო მიაქვს. მაგრამ ეს იმდენად საინტერესო პროცესია, გარკვეულ ეტაპზე გადავწყვიტე, რომ ყოფილიყო ჩემი ცხოვრების ნაწილი და როცა ცხოვრების ნაწილია, რა თქმა უნდა, გარკვეულ დროს იკავებს. ამას დაემატა ის, რომ აღმოვჩნდი რექტორის თანამდებობაზე, რა თქმა უნდა, ამასაც თავისი დრო მიაქვს, მაგრამ ეს არ არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ხშირად არ ვდგამ, თვითონ ამ იშვიათად დადგმაში, თუ ვინმეა დამნაშავე, მე ვარ დამნაშავე. რაღაცნაირად ასე აეწყო, ჯერ ერთი არ ვთვლი, რომ ხშირი დადგმა, რაიმეს ცვლის თვისობრივად, თუმცა არიან რეჟისორები, ჩემი უახლოესი მეგობრები, კოლეგები, რომლებიც ძალიან ბევრს დგამენ, და ძალიან კარგ სპექტაკლებს აკეთებენ. ერთი რამეცაა, იგივე ჩემი მეგობარი ავთო ვარსიმაშვილი ძალიან სწრაფად დგამს, მე ასე სწრაფად ვერ ვდგამ. ასევე ლევან წულაძე, დათო დოიაშვილი, გიორგი შალუტაშვიული, ანდრო ენუქიძე, ეს ბიჭები სულ ყველა, ჩემ გარშემო ვინც არიან, ბევრად უფრო სწრაფად დგამენ, რაღაცნაირად დაოსტატდნენ ამაში, ესეც უნარია. მე ამას ვერ ვახერხებ, ასე აეწყო, ალბათ, სიზარმაცე მიშლის ხელს, არც ამას გამოვრიცხავ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლეგენდარული ტიმ სევერინისა და არგონავტების მეორედ სტუმრობა 30 წლის შემდეგ

**my View**
**თამარ გონგაძე**



**EXCLUSIVE**



**თბილისს, ხუთი დღით, 73 წლის ინგლისელი მოგზაური, მეცნიერი და მწერალი ტიმ სევერინი არგონავტებთან ერთად სტუმრობდა. სევერინის და არგონავტების საქართველოში მოგზაურობიდან 30 წელი გავიდა. საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ამ მნიშვნელოვანი ვიზიტის ფორმა გახლდათ, „არგო 2014 - ლეგენდის გაცოცხლება“ ერქვა. კონფერენცია საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ჩატარდა. სევერინს და მის ეკიპაჟს საზოგადოებრივ მაუწყებელში პრესკონფერენციაზე შევხვდი. მომხიბლა, საოცარი ადამიანია. 22-ზე მეტი წიგნის ავტორი, მსოფლიო დონის მეცნიერი და მოგზაურია, თან ისეთი თავმდაბალი და უშუალოა, გაოცებას ვერ ვმალავდი. ძალიან კულტურული და ინტელიგენტი კაცია. თავისუფლებას ასხივებს. დღემდე აქტიურად გადის ექსპედიციებში.**

1984 წელს სევერინმა საექსპერიმენტო ექსპედიცია „არგონავტები“ საქართველოში ჩამოსვლით ჩაატარა. მან საბერძნეთში თავისი ხელით აგებული, სპეციალურად მოძიებული ხის მასალის 16-მეტრიანი „არგოთი“ ირლანდიელი, ბერძენი, თურქი და ქართველი არგონავტებით მოიარა ყველა ის წერტილი, რომელიც იაზონმა გაიარა. 20 ივლისისთვის შემოვიდნენ ყვავილებით და ხალხით სავსე ფოთში. ამ ექსპედიციით და საქართველოში ჩამოსვლით კი სევერინმა დაამტკიცა, რომ ლეგენდა არგონავტებზე რეალურია და მასში ბევრი რეალური ისტორია დევს. მაშინ ჟურნალისტის შეკითხვას, იპოვა თუ არა საქართველოში ოქროს საწმისი, ასეთი პასუხი გასცა: „ვიპოვე, ოღონდ იაზონისგან განსხვავებით, რომელმაც ოქროს საწმისი „არგოთი“ წაიღო, მე ჩემი გულით მიმაქვსო“.

ტიმ სევერინის საქართველოში ჩამოსვლის იდეა ილია ფერაძეს ეკუთვნის. მან, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, ხუთდღიანი მასპინძლობა გაუწია 11-კაციან დელეგაციას. სტუმრებს აჩვენეს დმანისი, ევროპაში პირველი ჰომინიდების ნასახლარები, მოუწყეს ღვინის ტური კახეთში, დაათვალიერებინეს ძველი თბილისი, მცხეთა... ტიმ სევერინის და მისი მეგობრების სტუმრობა ჩვენი ქვეყნის გარეთ გატანილი დიდი რეკლამაა. 30 წლის წინ მათი ჩამოსვლა მხოლოდ მოგზაურობა არ იყო, ეს საქართველოს ისტორიის კიდევ ერთხელ აღიარება გახლდათ. სტუმრებმა გაიხსნეს, რომ ყველაზე მეტად ამ მოგზაურობაში ბოსფორის სრუტის გადმოცურვა გაუჭირდათ. დინება უკან აბრუნებდათ თურმე.

„პრაიმტაიმის“ შეკითხვაზე - აქამდე როგორ არ მოუვიდათ თავში 30 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც შეკრებილიყვნენ, ასეთი პასუხი გაგვცეს: ოჯახები შევქმენით და ველარ მოვიცალეთო. ექსკლუზიურად ჩვენი მკითხველისთვის ტიმ სევერინი და ინგლისელი არგონავტები ისტორიას აცოცხლებენ და თავიანთ ემოციებს იხსენებენ.

**„მე ძალიან ბევრს ვმოგზაურობ. ამაზე სულ ვყვები და ვწერ ხოლმე. ახლა ჩემს აუდიტორიას ვეტყვი, რომ ჩემს ეკიპაჟთან ერთად დავბრუნდი საქართველოში, სადაც ისევ ისეთი სტუმართმოყვარეობით, სითბოთი და სიკეთით გამთბარი გულებით მიმიღეს, როგორც 30 წლის წინ...“**

### არგონავტები

**ქომაქ ოკონერი:** - ყველაზე პირველი, რაც მე თქვენს ქვეყნაზე იმ ვიზიტიდან მახსოვს, არის სტუმართმოყვარეობა. თქვენი სითბო, მეგობრულობა დაუვიწყარია. რა თქმა უნდა, ქართული ღვინო საოცრებაა. აქ თავს სახლში გრძნობ. გემშობლიურება ყველაფერი. მომწონს ტრადიციები, ის მშობლიურივით იყო ჩვენთვის. ყოველთვის მემახსოვრება თქვენი - „გაუმარჯოს“.

**მაქრი თუნსი:** - მე საბერძნეთიდან გამოვყევი ამ მოგზაურობას საქართველოსკენ. იყო ნესტი, სისველე, მაგრამ ყველანი ბედნიერები ვიყავით ამ ექსპედიციით. ქარის საწინააღმდეგოდ ცურვა არ იყო ადვილი. რთული იყო და ძალიან ნელა მივცურავდით შავ ზღვაში. დღეები თითქოს გრძელდებოდა, ყველანი დაღლილები ვიყავით. შევცურეთ თუ არა საქართველოში, მთელი ეს სურათი შეიცვალა. ის ხალხი, ვინც აქ დაგვხვდა, არასდროს დაგვავიწყდება.

**ჯონატან ქლოქი:** - მე საქართველოზე მისი ბევრი ლამაზი ეკლესია-მონასტერი მახსენდება. ძალიან მომწონს ქართული ენა, მისი მწერლობა ხელოვნების ნიმუშია, თქვენი კულტურა და ხელოვნება მხიბლავს. ვიცი, რომ თქვენ ძველისძველი ღვინით ამაყობთ. ის საუკეთესოა.

**ალი ვაიგონი:** - მე თურქეთიდან ვარ, არქეოლოგი. ამ ჯგუფში ორი არქეოლოგი ვიყავით. ჩვენთან ერთად ამ მოგზაურობის გასაშუქებლად BBC-ი და „ნეშენალ გეოგრაფიკის“ გუნდი იყო. ძალიან მნიშვნელოვანი ექსპედიცია გამოდგა.

**ჯონ იგანი:** - რაც მახსოვს, მხოლოდ და მხოლოდ კარგია. საბერძნეთში „არგოს“ მშენებლობა რომ დაიწყო, იქედან მოყოლებული, მე ამ ხომალდზე ფოტოგრაფი გახლდით და „არგოს“ მოგზაურობიდან ყველაფერს ვაფიქსირებდი. ჩემი ფოტოები წიგნებში გამოიყენა სევერინმა. ასევე ჟურნალებში დაიბეჭდა. რაც მახსოვს, ეს ქართველების შეუდარებელი სტუმართმოყვარეობაა. „არგოზე“ მითი ქართველებმა გააცოცხლეს. თქვენი კულტურა, ისტორია და ტრადიციები ჩვენთვის დიდი სიურპრიზი იყო. ახალგაზრდა და თავგადასავლების მაძიებელი ხალხისთვის, რომელიც შევიდა ქვეყანაში, სადაც ვიპოვეთ ასეთი ისტორია, სითბო, რაც პატარა ბავშვიდან დაწყებული მოხუცამდე - ყველაში იდო, ეს დიდი დღესასწაული გახლდათ.

### იაზონის და მედეას შეხვედრა 30 წლის შემდეგ

30 წლის წინ, ტიმს, როგორც იაზონს, ვანში სიმბოლურად შეახვედრეს მედეა, რომელიც ნუკა კაციტაძე იყო. 19 წლის ნუკას, ფოთში, ბიძინა ჩხეიძე იღებდა ფილმში „ბატონი ავანტიურისტები“. მამუკა კიკალეიშვილთან ერთად ნუკას პატარა როლი ჰქონდა.

**ნუკა კაციტაძე:** - მთელი საქართველო მობილიზებული იყო ტიმ სევერინის დასახვედრად. ყველა ფოთსა და ვანში იყო ჩასული. BBC-ის გადამღები ჯგუფი და „დაგუბკული“ მიკროფონები პირველად მაშინ ვნახე. ბერძნულ სტილში ჩამაცვეს კაბა. ვანში ჩაგვიყვანეს და გადაგვიღეს ფოტოები. ამოტვიფრეს ჩვენი ხელმოწერები. ახლა კი ბატონ ტიმს უნივერსიტეტის დარბაზში შემახვედრეს, უთხრეს თუ იცნობ შენ მედეასო? აბსოლუტურად შეცვლილი ვარ, გაუხარდა ჩემი დანახვა. მკითხა, რას შვრები, როგორ ხარ, როგორ გაიარა ამ წლებმაო? ძალიან კულტურული და ინტელიგენტი კაცია. ისეთი კითხვები დამისვა, ჩემი თავისთვის რომ არასდროს დამისვამს. მაგალითად, შეკითხვა - 30 წელმა ისე გაიარა, როგორც შენ გინდოდა თუ არაო? ამაზე არ მიფიქრია.

ჩვენ ბატონ ტიმსაც ვკითხეთ ქალბატონ ნუკაზე, მას თვალები გაუბრწყინდა.

**ტიმ სევერინი:** - ძალიან ლამაზია, საყვარელი ქალია, საოცარი შეხვედრა გვქონდა. რა თქმა უნდა, კომპლიმენტები ვუთხარი და მისი ხილვით ბედნიერი ვარ.

**„უამრავი მოგონება განმიახლდა. საოცრად გემრიელი ქართული საკვები, ღვინო, ლამაზი ქართველი გოგონები... მაოცებს თქვენი სიცოცხლისუნარიანობა, ენერგეტიკა, ემოციურობა. დიდი სულის პატრონები ხართ“**

### „მაოცებს თქვენი სიცოცხლისუნარიანობა“

**- რა გახსოვთ 30 წლის წინანდელი საქართველოდან?**

**ტიმ სევერინი:** - რაც ყველაზე შთამბეჭდავად მახსოვს, ეს თქვენი სტუმართმასპინძლობა, ემოციურობა, სითბოა. ჩვენ ერთად ვაცოცხლებდით ისტორიას. ხალხი მზადყოფნაში იყო. დიდ დახმარებას გვიწევდა და მოგვყვებოდა ექსპერიმენტზე. საერთოდ, წელიწადში სხვადასხვა ქვეყანაში ექვსჯერ მაინც ვმოგზაურობდი. არ ვითვლი ქვეყნებს. ყველა ქვეყანა განსხვავებულია ერთმანეთისგან. ეს ყველაფერი მე ჩემს წიგნებში აღვწერე.

**- რა ემოცია გაქვთ?**

- უამრავი მოგონება განმიახლდა. საოცრად გემრიელი ქართული საკვები, ღვინო, ლამაზი ქართველი გოგონები... მაოცებს თქვენი სიცოცხლისუნარიანობა, ენერგეტიკა, ემოციურობა. დიდი სულის პატრონები ხართ. ქართველებს თითქოს ადარებენ სამხრეთ იტალიელებს, მაგრამ ქართველები ქართველები არიან. ძალიან ბედნიერი ვიყავი ოჯახში, სადაც მე გამიმასპინძლდნენ და დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. უზარმაზარი სუფრა სავსე იყო უგემრიელესი ქართული კერძებით, რომელსაც ქართველები გარშემო უსხდნენ, ილიმოდნენ და მხიარულობდნენ. სითბო იგრძნობოდა. დიდი ემოცია იყო ჩემთვის. იგივე განვიცადე სტუდენტობისას, როდესაც ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდით და 20 წლის ვიყავი. ორი მეგობარი მოტოციკლით ბულგარეთიდან ჩავედით სტამბულში. იქ ერთ ოჯახში მოვხვდით და შავ-თეთრი ფოტო გადავიღე. იქაც დაბადების დღე იყო, სუფრას გარშემო უსხნენ. ახლა აქ, თბილისშიც, იგივე სურათი გამიმეორდა. ფერი შეემატა სიტუაციას, მაშინ თუ შავ-თეთრი ფოტო გადავიღე, ახლა გაფერადდა გარემო. თქვენთან მეგობრული გარემო სუფევს. ეს ბედნიერებაა.

**- „არგოს“ როგორ გაიხსენებთ?**

- ძალიან ლამაზი და ელეგანტური იყო. ნამდვილად ელეგენტური. ადვილად შეგეძლო კურსის მიცემა. მიმზიდველი გახლდათ. ძალიან ლამაზი და საყვარელი.

**- რას მოყვებით როდესაც სამშობლოს დაუბრუნდებით?**

- მე ძალიან ბევრს ვმოგზაურობ. ამაზე სულ ვყვები და ვწერ ხოლმე. ახლა ჩემს აუდიტორიას ვეტყვი, რომ ჩემს ეკიპაჟთან ერთად დავბრუნდი საქართველოში, სადაც ისევ ისეთი სტუმართმოყვარეობით, სითბოთი და სიკეთით გამთბარი გულებით მიმიღეს, როგორც 30 წლის წინ...





არგონავტები „პრაიმტაიმში“ მათზე სტატიამ გაახარა





მედეა და იაზონი 30 წლის წინ და ახლა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ფონდი „ქართველისა“ და კოტე სულაბერიძის კოლაბორაცია - გამოფენა ღვინის თემაზე

**my View**
**თამარ გონგაძე**





## მხატვარი, რომელმაც 70 ჯიშის ღვინის ფერი ქაღალდზე გადაიტანა

„ერთმა პოლონელმა გალერისტმა ისიც თქვა - როგორ არ მოუვიდათ ფრანგებს აზრად მსგავსი გამოფენის გაკეთებაო. ჩვენმა გამოფენამ ღვინო სულ სხვანაირად დაანახა დამთვალიერებელს“


cARTveli Art Foundation
Requests the pleasure of your company at the opening of KOTE SULABERIDZE'S exhibition

Wine Shades
by the eyes of a color blind

Venue - Vinopolis London,
1 Bank End, London SE1 9BU

Date: 28.06.2014,
Time: 18:30

251 209 023

Project is supported by the Georgian Embassy in the UK, London Vinopolis and British Georgian Chamber of Commerce

cARTveli vinopolis BGCC

**28 ივნისს, ლონდონში, ფონდმა „ქართველმა“, რომელიც საზღვარგარეთ ქართველი არტისტების პოპულარიზაციით არის დაკავებული, მხატვარ კოტე სულაბერიძესთან კოლაბორაციით რიგით მესამე გამოფენა მოაწყო. ქართული ღვინის თემაზე გამოფენის გაკეთების იდეა ფონდს ეკუთვნის. სივრცე, სადაც გამოფენა მოეწყო „ვინოპოლისია“, ღვინის სახლი, სადაც მსოფლიოში ღვინის მწარმოებელი ქვეყნების კომპანიები აწყობენ გამოფენებს. სამდღიანი გამოფენა ლონდონში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით მოეწყო. ფონდი სამ ქალბატონს აერთიანებს - ტერეზა კანდელაკს, ეკატერინე მონიავასა და ელისაბედ ჩაჩხიანს. „პრაიმტაიმი“ ამ კრეატიული გამოფენის ერთ-ერთ ორგანიზატორს და ფონდ „ქართველის“ წევრს - ელისაბედ ჩაჩხიანს დაუკავშირდა.**

**ელისაბედ ჩაჩხიანი:** „ლონდონში ჩამოსულ კოტე სულაბერიძეს შევხვდით, წავედით „ვინოპოლისში“ და გამოფენის კონცეფცია მისი ერთი დარბაზის სივრცეს მოვარგეთ. ჩვენ ფონდს საკუთარი საგამოფენო სივრცე არ გააჩნია. თუმცა სამუშაოდ ასე უფრო საინტერესოა. ერთ სივრცეზე რომ ხარ მიჯაჭვული, ფანტაზიაში შეზღუდული ხარ და მხოლოდ მას არგებ გამოფენას. ამ გამოფენის შემთხვევაში სივრცეს - „ვინოპოლისს“ მოვარგეთ გამოფენა“.




გამოფენა მართლაც რომ ძალიან ორიგინალური და საინტერესო იყო, ეს ორგანიზატორის მონათხრობმა მანძილიდანაც სრულად დამანახა. საქართველო რომ ღვინის ქვეყანაა და ყურძნის წიპწის აღმოჩენით დამტკიცდა, რომ ღვინის აკვნის სამშობლო გვაქვს, კარგად ვიცით. თუმცა არა მხოლოდ აქ, მსოფლიოშიც კი, სადაც თავიანთი ღვინით ამაყობენ, ძალიან ცოტას და შეიძლება ითქვას საერთოდ არც კი მოსვლიათ თავში ღვინის ფერის აღბეჭდვის იდეა. კოტე სულაბერიძემ კი ღვინის თემატიკაზე გამოფენის გაკეთების დავალებას საოცრად ორიგინალური ფორმა მოარგო. მან ქაღალდზე გადაიტანა ქართული ღვინის ფერები და ამ ღვთიური სასმელის მიერ დატოვებული კვალის გამოფენა მოაწყო.

**ელისაბედ ჩაჩხიანი:** „ღვინო საქართველოსთვის ძალიან სენსიტიურია. საქართველოს მისი არაჩვეულებრივი ღვინით იცნობენ. თემა აქედან გაჩნდა. კონცეფცია კი იყო შემდეგი: ღვინოს აქვს რამდენიმე მახასიათებელი, ერთ-ერთი არის მისი ფერი, რომელსაც ქაღალდზე ტოვებს. არტისტ კოტე სულაბერიძის მიგნება იყო ის, რომ ღვინო გემოსთან და სუნთან ერთად კვალს ტოვებს. მხატვარმა საქართველოს გარშემო მოგზაურობისას სხვადასხვა ჯიშის ღვინის ნიმუში შეაგროვა. 20-20 გრამს აგროვებდა, რათა შემდეგ ქაღალდზე ფერებად გამოეყენებინა. 15 სანტიმეტრის სიგრძე-სიგანის თეთრ ქაღალდზე ფუნჯით კვადრატები ღვინის ფერებით შეფერა. მინიმალისტური ნამუშევარია. საბოლოოდ 70 ჯიში ქართული ღვინის ფერი აღბეჭდა. ნამუშევარს მოყვებოდა ბარათი, სადაც აღწერილი იყო ღვინის ჯიში, სახელი, რომელი წლის ღვინოა, რა ტიპის და რომელი რეგიონისაა. ამ ბარათის გარეშე დამთვალიერებელი ვერაფერს გაიგებდა. ეს ღვინის ნიმუშები კედელზე იყო გამოფენილი. კოტემ გამოფენა გახსნა წინასიტყვაობით. არტისტმა თქვა, რომ მისთვის პროექტზე მუშაობის პროცესი უფრო საინტერესო იყო, ვიდრე შედეგი, რითიც თქვენ ტკბებითო. მუშაობისას თან აგემოვნებდა ღვინოს და თან ფერს დებდა ქაღალდზე. ღვინის ქაღალდზე დატანის პროცესში სხვადასხვა ემოციები მოდიოდაო, თქვა. ჩაწერილი ჰქონდა, თითეულმა ჯიშმა რა ემოცია აღუძრა. ვწუხვარ, თქვენ რომ არ განგიცდიათ იგივეო.









ელისაბედ ჩაჩხიანი: „დღეს ლონდონში რთულია ისეთი რამის გაკეთება, რაც აქამდე არ გაკეთებულა. მთელი მსოფლიოდან ნიჭიერი ხალხი იყრის აქ თავს. დიდია კონკურენცია და რთულია დამთვალიერებელს ათქმევინო - აუ, მსგავსი არ მინახავსო. 90-მა პროცენტმა დაადასტურა, რომ მსგავსი გამოფენა ღვინის თემაზე არ უნახავთ“



მრავალფეროვანი იყო გამოფენა. ტონებიდან არც ერთი არ იყო ერთნაირი, არ მეორდებოდა. მხატვარმა 70 ფერი მიიღო. ყველა წითელ ღვინოს თავისი სხვადასხვა კვალი ჰქონდა დატოვებული, ისევე როგორც თეთრს“.

დარბაზში სიმბოლური სუფრა ყოფილა „გაშლილი“. საქართველოში ღვინო სუფრის გარეშე და სუფრა ღვინის გარეშე არ არსებობს. სუფრაზე კოტე სულაბერიძის მიერ საღებავებით დახატული სხვადასხვა კერძი ფერადი გეომეტრიული ფიგურებით იყო გამოსახული. წითელი ფიგურით ცხელი კერძი გამოისახებოდა, მწვანით ცივი კერძები. იქვე იდო მენიუ, რომელშიც დანომრილი იყო კერძები და ამ ნუმერაციით არკვევდით, რომელი ფიგურა რა კერძის სახით იყო წარმოდგენილი სუფრაზე.

„გამოფენა სივრცეს ორგანულად ერწყმოდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ვიზუალურ მხარეს. პირველად ყველაფერს თვალი აფიქსირებს. კედლებზე ღვინის ბოთლები რომ დაამწკრივო, ასე იყო ნამუშევრები გამოფენილი. ეფექტური იყო გარშემო ნამუშევრები და შუაში ოთხმეტრიანი მაგიდა“.

**- გინახავთ სადმე მსგავსი ტიპის გამოფენა?**

- ქართულ ღვინოზე ასეთი პროექტი არავის გაუკეთებია. გამოფენა უამრავმა დამთვალიერებელმა ნახა, ყველას ძალიან მოეწონა და არც ერთს არ უთქვამს, რომ მსგავსი რამ სადმე უნახავთ. ერთმა პოლონელმა გალერისტმა ისიც თქვა - როგორ არ მოუვიდათ ფრანგებს აზრად მსგავსი გამოფენის გაკეთებაო. ჩვენმა გამოფენამ ღვინო სულ სხვანაირად დაანახა დამთვალიერებელს. ახლა ფონდი იმ წინადადებაზე იწყებს მუშაობას, რაც ამ გამოფენის მერე მიიღო. რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება გვაქვს. იანვარში თანამედროვე ხელოვნების ცენტრში ვგეგმავთ გამოფენის გაკეთებას.

**- უცხოეთში მოღვაწე ქართველ არტისტებზე რას იტყვით?**

- ქართული ხელოვნება არაფრით არ ჩამორჩება თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებას. ბევრი ნიჭიერი არტისტი გვყავს, რომლებიც მსოფლიოსთან თანადროულები არიან. უბრალოდ, მათ ქვეყნის ფარგლებ გარეთ პოპულარიზაცია და მათზე ინფორმაციის გავრცელება აკლიათ. რახან არაკომერციულია ჩვენი ფონდი, ამიტომ, რაც შეიძლება კრეატიულ და განსხვავებულ გამოფენებს ვაკეთებთ. დღეს ლონდონში რთულია ისეთი რამის გაკეთება, რაც აქამდე არ გაკეთებულა. მთელი მსოფლიოდან ნიჭიერი ხალხი იყრის აქ თავს. დიდია კონკურენცია და რთულია დამთვალიერებელს ათქმევინო - აუ, მსგავსი არ მინახავსო. 90-მა პროცენტმა დაადასტურა, რომ მსგავსი გამოფენა ღვინის თემაზე არ უნახავთ.




კოტე სულაბერიძე და ფონდი „ქართველის“ დამფუძნებლები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინო სურგულაძეს ქართველი ბავშვების დასახმარებლად ვარსკვლავები ჩამოჰყავს

**my View**
თამარ გონგაძე

**ნინო სურგულაძემ საქველმოქმედო ფონდი დააარსა, ფონდს „ნატვრის ხე“ ჰქვია. მეცო სოპრანო საქართველოში 27 ივნისის კონცერტთან დაკავშირებით ჩამოვიდა და ახლა აქ არის. არდადეგები აქვს, დატვირთული წლის შემდეგ დასვენებას აპირებს. როგორც ამბობს, წელს რამდენიმე საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობდა. სად დაისვენებს, პრესასთან არ ამბობს. არ გამორიცხავს, რომ თავისუფალი დრო საქართველოშიც გაატაროს. წელს ჰქონდა სადებიუტო პარტიები „აიდაში“, „სოფლის პატიოსნებაში“. თბილისში ყოფნისას თავის პედაგოგ გულიკო კარიაულთან გადის ვოკალის გაკვეთილებს. „როგორც ფეხბურთელებს ჰყავთ თავიანთი მწვრთნელი, ჩვენც გვყავს ჩვენი „მეყურე“:) ასე დავარქვი. უცხოეთში ყოფნისას ჩვენ სკაიპითაც გვაქვს გაკვეთილები. ეს შეიძლება მომზადების განსხვავებული ფორმაა და რეალობას ბოლომდე არ ასახავს, მაგრამ კარგი საშუალებაა, რომ ვოკალზე კონტროლი გქონდეს. ხომ ხედავთ, საიდუმლოებები გაგანდეთ ვოკალთან დაკავშირებით“.**

ქართველმა მეცო სოპრანომ „პრაიმტაიმთან“ საუბარში განაცხადა, რომ ფონდის სახელით კეთილი საქმის კეთება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ფონდის საპრეზენტაციო ღონისძიება გახლავთ პირველი საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც, 10 ივლისს, თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში 22 საათზე გაიმართება და ორ საათს გასტანს. კონცერტი „იმედის“ პირდაპირ ეთერში მარათონის სახით გადმოიცემა და მაყურებელს ზარების მეშვეობით შეეძლება ქველმოქმედებაში ჩართვა. რაც შეეხება საკონცერტო პროგრამას, ის ცნობილი საოპერო ნაწარმოებებისგან შედგება, მათ შორის - „რიგოლეტოსგან“, „ტრავიატასგან“, „ნაბუკოსგან“... კონცერტი საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევით კეთდება. ფონდში პირველად გაერთიანდნენ ის მომღერლები, რომლებიც ამ ღონისძიებისთვის ჩამოდიან საქართველოში და სრულიად უსასყიდლოდ ერთვებიან ქველმოქმედებაში. თბილისს, სამი დღით, მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავები ეწვევიან - ბელგიის სამეფო თეატრის ლიეჟის მუსიკალური ხელმძღვანელი, მთავარი დირიჟორი და მსოფლიოს წამყვანი თეატრების სტუმარი დირიჟორი, მაესტრო - პაოლო არივაბენი, სოპრანო ელენა მოშუკი, მეცო სოპრანო ენკელეიდა შკოზა, ტენორი ჩელსო ელბელო, ბარიტონი კრისტოფერ რობერტსონი. რაც შეეხება მიზეზს, რის გამოც ფონდი „ნატვრის ხე“ თავის პირველ კონცერტს მართავს, მზრუნველობა მოკლებული ბავშვებია. მათ შორის კონსერვატორიის სტუდენტი, 22 წლის მეცო სოპრანო ნინო ჩიქოვანი გახლავთ, რომელსაც იშვიათი დაავადება დაუდგინდა, ტვინის არტერიულ ვენური მალფორმაცია. მოკლედ, ფონდი მიუსაფარ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს ეხმარება.




## ქართველმა მეცო სოპრანომ საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე“ დააარსა

**„ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა, რომ საქველმოქმედო კონცერტი გამეკეთებინა. მას შემდეგ რაც გავიგე, რომ ჩემ კოლეგას, ყოფილ ბალერინას, ნინო ჩიქოვანს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ოპერაცია, კონცერტის ჩატარება დავაჩქარე. ჩემი კოლეგები, რომლებიც 10 ივლისს ქართველი პუბლიკის წინაშე წარსდგებიან, მსოფლიოს საოპერო სცენებზე მოღვაწეობენ და ვარსკვლავები არიან. ძალიან მახარებს ის, რომ ამ კონცერტზე კეთილი საქმის გაკეთების გარდა არანაირი ინტერესი არ აქვთ“**

**ნინო სურგულაძე:** - ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა, რომ საქველმოქმედო კონცერტი გამეკეთებინა. წინა ვიზიტზე შევხვდი ოპერის და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელს, ბატონ დავით კინწურაშვილს და დავგეგმეთ კონცერტი. მას შემდეგ რაც გავიგე, რომ ჩემ კოლეგას, ყოფილ ბალერინას ნინო ჩიქოვანს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ოპერაცია, კონცერტის ჩატარება დავაჩქარე. რთულია ასეთ დროში ასეთი კონცერტის ორგანიზება. ჩემი კოლეგები, რომლებიც 10 ივლისს ქართველი პუბლიკის წინაშე წარსდგებიან, მოღვაწეობენ მთელი მსოფლიოს საოპერო სცენებზე და ვარსკვლავები არიან. ძალიან მახარებს ის, რომ ამ კონცერტზე კეთილი საქმის გაკეთების გარდა არანაირი ინტერესი არ აქვთ. ეს მათი პირადი სურვილი იყო და ამას ძალიან ვაფასებ. უსასყიდლოდ დაუკრავს ოპერის ორკესტრიც. ვინაიდან ხუთი მონაწილე ვართ, ვინაწილებთ პროგრამას. თითოეული მომღერალი სამ არიას შევასრულებთ. მაესტრო უვერტიურებს უდირიჟორებს. მე შევასრულებ მეცოს ცნობილ არიებს: დალილა, კარმენი, პრინცესა დე ბუიონის არიას.

**„არ თხოვდები - ეს ტრადიციული შეკითხვაა. და სწორია. ეს შეკითხვა სულ მახსენებს იმას, რომ დრო გადის. ეს ძალიან კარგად მესმის და ამაზე ვფიქრობ“**

**- ამ უცხოელ კოლეგებთან მეგობრობთ?**

- ისინი მეგობრობენ ჩემთანაც და კეთილ საქმეებთანაც. ამ სამი დღის განმავლობაში შევეცდები მათ გავაცნო თბილისი. პირველად მოდიან საქართველოში. თუმცა ბევრი სმენიათ ჩვენს ქვეყანაზე ქართველი კოლეგებისგან, რომლებიც მრავლად არიან მთელ მსოფლიოში.

**- ფონდთან დაკავშირებით რა გეგმები გაქვთ?**

- ასე ვიწყებთ და მერე ვნახოთ. წელიწადში ერთხელ უნდა გავაკეთო მსგავსი ღონისძიება. ფონდი ყველასთვის არის და მისი სახელით შეუძლია სხვამაც გააკეთოს ქველმოქედება.

**- კარიერულად როგორი ეტაპი გიდგათ?**

- სტაბილურობის ეტაპია. წარმატება ჩემთანაა, შევასრულე ნანატრი პარტიები, მათ შორის აიდა. ალბათ, მიმართლებს. კორეაში მქონდა საინტერესო გამოსვლა, კარმენი ვიმღერე. წელს ლონდონში, ეიგმორ ჰოლში მქონდა სოლო კონცერტი. კამერული რეპერტუარი შევასრულე. ეს კამერული კონცერტისთვის შექმნილი თეატრია, რომელიც საუკეთესო აკუსტიკით გამოირჩევა. ჩემი ხმისთვის, რომელიც დიდ დარბაზებს არის მიჩვეული, ცოტა რთული იყო ამ სცენაზე სიმღერა.

**- რამდენიმე თვის წინ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიში იჯექით. სხვა ქართულ შოუში ხომ არ გამოჩნდებით?**

- იყო შემოთავაზება, მაგრამ იმდენად რთული და დატვირთული პერიოდი მქონდა, ფიზიკურად არ მეცალა. ჩემთვის ძალიან რთულია ადამიანის განსჯა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს. როდესაც შენ ზიხარ და აფასებ, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. ყურადღების დაძაბვას მოითხოვს. ყოველთვის მსურს, რომ კორექტული ვიყო მეორე ადამიანის მიმართ. საერთოდ, მინდა კეთილგანწყობილი ვიყო. ჟიური მკაცრი უნდა იყოს. ბუნებით მკაცრი კი ვარ, მაგრამ სირბილეც მახასიათებს. მე ვიცი, რამხელა შრომა დევს ამ ყველაფრის უკან. შოუში ჯდომა აზარტი და ადრენალინია. სულ სხვა დატვირთვა აქვს, ვიდრე გამოსვლას და სიმღერას.

**- ხომ არ იცეკვებთ?**

- ჯერჯერობით ვერ. მე უფრო მძიმე კატეგორიაში ვარ, ვიდრე მოცეკვავეა. მომღერლები არ ვართ მათ მსგავსად ჰაეროვნები. მე მიყვარს მოცეკვავეები, მათ შორის ბევრი მეგობარიც მყავს. ისინი განსხვავებული ტიპები არიან. სხვა დამოკიდებულება აქვთ ცხოვრების მიმართ. ბევრად უფრო მხიარულები და ბევრად უფრო სიცოცხლის მოყვარულები არიან. ჩვენ, ვოკალისტები, მძიმე ხალხი ვართ. დინჯები, ვფიქრობთ ხმაზე, მის გამო ბევრ რამეზე ვამბობთ უარს, თუმცა, არსებობენ გამონაკლისებიც.



**- პირადი ისევ ჩაკეტილი გაქვთ პრესისთვის?**

- სამწუხაროდ, ისევ. ადამიანი როგორც ცხოვრობს და მიჰყავს ცხოვრება, ისე იცნობენ. თუ უნდა რომ სკანდალური იყოს, ასეთიც ხდება. ადამიანი თვითონ ირჩევს ბედს. ვთვლი, უნდა იყო ისეთი, როგორიც შინაგანად ხარ და როგორადაც მოგწონს თავი. იმას არ ვამბობ, რომ თავისუფალი არ უნდა იყო, ისე ძალიან ძნელია ცხოვრება, მაგრამ არის პრინციპები, რომელიც მაქვს და არ გადავდივარ. ყველა ადამიანს თავისი ცხოვრებისეული ფილოსოფია აქვს. მე პატივს ვცემ ადამიანების პრინციპებსა და დამოკიდებულებებს.

**- თბილისში ჩამოსვლისას, ალბათ, მუდმივად გესმით ქართული „არამკითხე“ შეკითხვა - არ თხოვდები?**

- არ თხოვდები - ეს ტრადიციული შეკითხვაა. და სწორია. ეს შეკითხვა სულ მახსენებს იმას, რომ დრო გადის. ეს ძალიან კარგად მესმის და ამაზე ვფიქრობ.

**- არის შესაძლებელი, რომ მეორე ნახევარი იტალიელ მამაკაცში იპოვოთ?**

- იტალია ჩემი მეორე სახლია, იქ ბევრი მეგობარი მყავს. იტალიელები ბევრი რამით გვგვანან - ტემპერამენტით, ოჯახის სიყვარულით, მუსიკის და ხმაურის სიყვარულით. იტალიაში რომ ჩავედი, მეგონა იქ ცხოვრება გამიჭირდებოდა, მაგრამ ასე არ არის. მე ისეთი პროფესია მაქვს, რასთან შეგუებაც ძლიერი სქესისთვის ადვილი არ იქნება. მუდმივი გადაფრენები, მუდმივი არყოფნა, რაც ბევრ მსხვერპლთან არის დაკავშირებული. ეს ამ ადამიანის რისკი იქნება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩემი ქორწინება შეუძლებელია. არსებობენ კოლეგები, რომელთაც აქვთ ოჯახები. მე ვფიქრობ, ეს უსიყვარულოდ არ უნდა მოხდეს. ასი პროცენტით უნდა ვიყო მასში დარწმუნებული, ეს ნაბიჯი ორივე ადამიანმა უნდა გადადგას. ხშირად ოჯახები ინგრევა, მაგრამ არ მინდა ნაბიჯი ისე გადავდგა, რომ რაღაც ვინანო. მინდა, ამ ასაკში შეგნებული ნაბიჯი გადავდგა.



**- შეყვარებული როგორი ხართ?**

- ალბათ, ბედნიერი. სიყვარულს სიმშვიდე მოაქვს. ამ დროს ადამიანი დაფრინავს. სიყვარული არტისტისთვის საკმაოდ საშიშია. ეს ემოციებთან არის დაკავშირებული. მას შეუძლია, რომ საქმიანობას ხელი შეუწყოს, ასევე შეუშალოს. ყოველთვის მაინტერესებს როგორ კარნახობენ გულს, როგორ ახერხებენ საქმესთან გრძნობის ისე შეთავსებას, რომ ხელი არ ეშლებათ. ჩემთვის პრიორიტეტული გულწრფელობაა, როგორც ჩემი, ისე ადამიანების მიმართ. ერთხელ ვცხოვრობთ და სანამ აქ ვართ, არც ჩვენი თავი უნდა მოვატყუოთ და არც არავინ ჩვენ გარშემო.



**„მე ისეთი პროფესია მაქვს, რასთან შეგუებაც ძლიერი სქესისთვის ადვილი არ იქნება. მუდმივი გადაფრენები, მუდმივი არყოფნა, რაც ბევრ მსხვერპლთან არის დაკავშირებული. ეს ამ ადამიანის რისკი იქნება“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანიტა რაჭველიშვილი 30 წლის იუბილეზე, დანგრეულ ოჯახსა და ძეფირელის „კარმენზე“



დათუნა ალადაშვილთან ერთად

**my View**

**თამარ გონგაძე**

**ექვსთვიანი პაუზის შემდეგ ანიტა რაჭველიშვილი სამშობლოს(ამერიკიდან) ივნისში ეწვია. განსაკუთრებულად მეამაყებიან ის ქართველები, რომლებიც უცხოეთში მსოფლიოს უმტკიცებენ, რა ნიჭიერები ვართ. აღიარებულ ქართველ მეცო სოპრანოზე „ნიუ-იორკ თაიმსიც“ წერს. „მეტროპოლიტენში“ „კარმენი“ პირველად რომ იმღერა, გავლენიანმა გამოცემამ ის ანა მანიანს შეადარა, გარეგნულად, თამაშის სტილითა და მანერით. „ეს ჩემთვის მოულოდნელობა, სიხარული და ბედნიერებაც იყო. ჩემს საყვარელ მსახიობს შემადარეს“ - გვითხრა ანიტამ. ვერონაში, საზაფხულო ფესტივალზე, ოთხი წლის წინ, ფრანკო ძეფირელიმ „კარმენისა“ და „აიდას“ როლები მისცა. წელს ძეფირელის „კარმენს“ 50 წლის იუბილე აქვს და ანიტა ამ ზაფხულს მერიმეს ამ უკვდავ გმირს გააცოცხლებს. ანიტამ თბილისში ორ კონცერტში მიიღო მონაწილეობა, 27 ივნისს, რიყეზე და 1 ივლისს პიანისტ დათუნა ალადაშვილთან ერთად ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში. 28 ივნისს იუბილარი გახლდათ, მეცო სოპრანოს 30 წელი შეუსრულდა. დათუნა ალადაშვილმა სიურპრიზი მოუწყო და 27 ივნისს ერთ-ერთ კაფეში ახლო სამეგობრო წრე შეუკრიბა და ფოიერვერკებით შეახვედრა იუბილეს.**

„დიდი ხანია საქართველოში დაბადების დღე არ აღმინიშნავს. ვისადილეთ, დავუკარით, ვიმღერეთ. კარგი დრო ვატარეთ“.

### დედის საფირმო ქაბაბი

ანიტა საქართველოში ჩამოსვლისას დედას მენიუს წინასწარ უთანხმებს. მეცო სოპრანოს განსაკუთრებით ხორცის კერძები ჰყვარებია. ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ მომღერლის დედამ, ქალბატონმა მეგი დუმბაძემ განუცხადა.

**მეგი დუმბაძე:** - ანიტას ჩამოსვლა მართლა დღესასწაული და ზეიმია. ვცდილობთ შინაურულად დავხვდეთ, ოჯახურ გარემოში. ყოველთვის ვეკითხები, რა მოგიმზადო-მეთქი. განსაკუთრებულად უყვარს ჩემი მომზადებული ქაბაბი. საფირმო მაქვს. ძირითადად ხორცეული უყვარს. ვუმზადებ ტოლმას. მას თვითონ უყვარს ხაჭაპურის გამოცხობა. ცხობის პროცესი უფრო უყვარს, ვიდრე ხაჭაპურის მირთმევა.

**ანიტა:** - დიდი სიამოვნებით მივირთმევ ოჯახურ კერძებს. მიყვარს სამზარეულოში ტრიალი. თუ დრო და ინგრედიენტები მაქვს, ვტრიალებ და სადილებს ვამზადებ.

**- რა თვისებას გამოყოფთ ანიტაში?**

**„არა მგონია, რომ კარიერის ბრალი იყოს მხოლოდ. შეიძლებოდა ისედაც დანგრეულიყო ჩვენი ოჯახი. მეგობრობის გარდა არაფერი გვქონდა დარჩენილი. ერთად ყოფნას აზრი არ ჰქონდა“**

**მეგი დუმბაძე:** - მიზანდასახულია. რასაც ჩაიფიქრებს, ბოლომდე მიჰყვება. ძალიან შრომისმოყვარეა. უყვარს თავისი საქმე. საქმე მისი სტიმული და ყველაფერია. ხასიათით მამას ჰგავს, მე ცოტა უფრო რბილი ვარ. როგორც პიროვნება ძლიერია და მე ამით ვამაყობ.

### დათუნა და ანიტა

ეროვნული მუსიკალური ცენტრის სცენაზე, შენობის საბოლოო დაზიანების გამო, კონცერტების გამართვა, ბოლო 2 თვეა, შეჩერებულია. ანიტამ და დათუნამ ცენტრის მხარდასაჭერად კონცერტი-აქცია ამავე შენობის ფოიეში გამართეს. მუსიკოსების სურვილია, შემოსული თანხით დაეხმარონ შენობას, სადაც რეპეტიციებსაც ველარ ატარებს ორკესტრი. კონცერტი ძალიან ემოციური და შთამბეჭდავი გამოვიდა. კონცერტზე შეასრულეს თაქთაქიშვილის, სალუქვაძის, რახმანინოვის, დიუ პარკის და დეფალიეს მუსიკალური ნაწარმოებები. ისეთი საინტერესო ტანდემია, ეჭვი გაგიჩნდებათ - ამათ შორის „რაიმე“ ხომ არ ხდებაო? ამ ტანდემს სცენაზე ფლირტიც აქვს, მეგობრობაც. სცენისთვის ატიპიური წყვილია. იუმორში გასმენინებენ კლასიკას. ანიტა და დათუნა ერთმანეთთან სამი წელია მეგობრობენ. მილანში ანიტა კარმენის როლში რომ მოისმინა, მას შემდეგ დათუნამ ტანდემი შეკრა. ამერიკაში მოღვაწე პიანისტმა ფონდი „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ დააარსა. სწორედ ამ ფონდის ეგიდით ჩატარდა ეს კონცერტი.

**ანიტა:** - ჯერჯერობით ეროვნულ მუსიკალურ ცენტრთან დაკავშირებით არაფერი ცვლილება არ არის. გვინდა ხმა მივაწვდინოთ შესაბამის უწყებებს. რადგან არაფერი კეთდება, ალბათ, ცუდი ფორმით მოგვიწევს ამის გაკეთება. რაც შეეხება დათუნას, ფანტასტიკური ადამიანი და პიანისტია. თანამშრომლობა წელს დავიწყეთ. დიდხანს მომიწია ნიუ-იორკში ყოფნა და ერთად დავდიოდით ქართველი და ამერიკელი მეგობრების წრეში. ვუკრავდით და ვმაიმუნობდით ერთად. თავის დაბადების დღეზე თავისი დისკის პრეზენტაციაზე მთხოვა მემღერა. ნიუ-იორკში ასეთი ტრადიცია დამყარდა, კლუბებში კლასიკური კონცერტები ტარდება. ხალხმა აიტაცა ეს ტრადიცია და მოსწონთ. ჩვენც კლუბში ვიმღერეთ. და მას მერე გადავწყვიტეთ თანამშრომლობა. მაშინაც ვიხუმრეთ შესრულების დროს და გადავწყვიტეთ გაგვემეორებინა ხუმრობები. ეს ჩვენი ნომრები დაუგეგმავია, მაგრამ ყველა კონცერტზე ვიმეორებთ. ორგანყოფილებიანი კონცერტი რომ გაქვს, იუმორი სასიამოვნო განწყობას უტოვებს მაყურებელს. დაგეგმილი გვაქვს ნიუ-იორკში, ბერლინში და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გამოსვლა. შემოდგომაზე ჩინეთში ვაპირებთა წასვლას. ძალიან კარგი მუსიკალური ტანდემი გვაქვს. ჩვენთვის საამაყოა ის, რომ ქართული მუსიკა შედის ჩვენ პროგრამაში. თაქთაქიშვილის და სალუქვაძის რომანსებს წავიღებთ მსოფლიოში. ითქვა, რომ ასეთი დონის კამერული კონცერტი დიდი ხანია თბილისში არ ჩატარებულა. მიხარია, რომ ისეთი პროგრამა გვქონდა, სადაც ცალკე დათუნას პიანისტური პროფესიონალიზმი და ცალკე ჩემი ვოკალისა და ტექნიკის მაღალი დონე წარმოჩინდა, რომელზეც წლებია ვშრომობ. თანაბარი ტანდემი გვქონდა.






### ძეფირელის „კარმენსა“ და „აიდაში“

ანიტა ზაფხულს ვერონაში ატარებას. საზაფხულო ფესტივალის ფარგლებში „კარმენსა“ და „აიდაში“ მღერის. ძეფირელისთან ანიტა 2009 წლიდან თანამშრომლობს.

„ძეფირელის „კარმენი“ განსხვავებულია იმით, რომ ბევრი მასიური და ლამაზი სცენითაა დატვირთული. ბევრი მსახიობი, მოცეკვავე, მომღერალი და ცხოველია სცენაზე. რეჟისურა ბევრად უკეთესიც მინახავს. ძირითადად ძეფირელის სპექტაკლები მასიური სილამაზით გამოირჩევა. სხვა გამორჩეული მის სპექტაკლებს არაფერი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მოხუცია და სავარძელს არის მიჯაჭვული, მაინც ფრანკო ძეფირელიდ რჩება. როლზე წყნარად ვიმუშავეთ. კმაყოფილი იყო იმით, რომ მე იქ ვიყავი. ძეფირელიმ „ლა სკალას“ „კარმენში“ რომ მნახა, მოინდომა ვერონას პირველივე ფესტივალზე მის „კარმენში“ მემღერა. ასეც მოხდა. 2010 წლის ზაფხულში ვერონას ფესტივალზე მისი სურვილით მოვხვდი და ამდენი წლის მერე „კარმენი“ და „აიდა“ შევასრულე.

**- რომელი გმირია თქვენთან ახლოს?**

- ალბათ, ცოტათი უფრო კარმენი და დულსინეა ოპერიდან „დონ კიხოტი“. კარმენი საოცარი ქალია, რომელიც საკუთარი თავისუფლებისთვის ყველაფერზეა წამსვლელი. მისი ეს თვისება ჩემთვის საკმაოდ სამაგალითოა. თუმცა ადამიანი თავისუფლებისთვის და იმისთვის, რომ არავის ეკუთვნოდეს, სიკვდილისთვის მზად არ უნდა იყოს. კარმენი თანამედროვე ქალის მოდელია ჩემთვის და არამხოლოდ ჩემთვის. ამიტომ ვიწვევ ყველა ახალგაზრდა ქალს ეს სპექტაკლი ნახოს, წარმოდგენა რომ ჰქონდეს ქალის თავისუფლებასა და ავტორიტეტზე.

### დანგრეული ოჯახი

ერთი წლის წინ, ხუთწლინახევრიანი თანაცხოვრების შემდეგ, ანიტა რაჭველიშვილი და რიკარდო მასი გაიყარნენ. მასი იტალიელი ტენორია. ისინი სასცენო პარტნიორებიც იყვნენ. „კარმენში“ დონ ხოსეს პარტიას რიკარდო ასრულებდა, კარმენს - ანიტა. ერთად თბილისშიც უმღერიათ. იტალიელი სიძე საქართველოში არაერთხელ ჩამოსულა.

**ანიტა:** - არაფერი განსაკუთრებული. ასეთი რამ ყველას ცხოვრებაში ხდება. მეგობრობის გარდა არაფერი გვქონდა დარჩენილი და ცალ-ცალკე ცხოვრება გადავწყვიტეთ. ერთად ყოფნას აზრი არ ჰქონდა. დიდი მეგობრობა ისევ მეგობრობად დარჩა.

**- რაღაც რაღაცის ხარჯზე ზარალდება და პირიქით. ანუ თქვენ შემთხვევში კარიერას შეეწირა ოჯახი?**

- არა მგონია, რომ კარიერის ბრალი იყოს მხოლოდ. შეიძლებოდა ისედაც დანგრეულიყო ჩვენი ოჯახი. ვერ დავაბრალებ ჩემს კარიერას. მაინც მაქსიმალურად ვახერხებდი და ვნახულობდი, ან მნახულობდა. რთულია, მაგრამ მაინც ხერხდება ოჯახის შენარჩუნება. ჩემი ბევრი კოლეგა ახერხებს საქმეს ოჯახი შეუთავსოს. ეს ბევრ ნიუანსზეა დამოკიდებული, რომელსაც მე არ განვიხილავ. ვთვლი, რომ გაყრის შემდეგ ორი ადამიანი მეგობრად რომ რჩება, ეს არის ყველაზე მთავარი.

**- ნინო სურგულაძემ თქვა, რთულია თქვენ პროფესიას ვინმე შეეგუოს. მომღერლის გვერდით ცხოვრება ერთგვარად რისკზე წასვლააო.**





- მართალია ნინო, აბსოლუტურად ვეთანხმები.

**- ოჯახი იყო კარიერის ხელისშემშლელი?**

- სტაბილურობის განცდაა, როდესაც იცი, რომ გვერდით ადამიანი გყავს. ამიტომ არ იყო ჩემთვის ხელის შემშლელი. რთული იყო ის, რომ გასტროლით ცალკე დადიოდა რიკარდოც და მეც. ახლა მარტო კომფორტულად ვარ. მერე ვნახოთ.

**- არის რაიმე, რისი მიღწევაც გაქვს გეგმაში?**

- კარიერულად ყველაფერი ისე მიდის, როგორც მინდა. 2019 წლის ჩათვლით ბევრ კონტრაქტზე მაქვს ხელი მოწერილი. სოციალურ, საქველმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებით ბევრი რამ მინდა გავაკეთო. მინდა არა მხოლოდ დაავადებულ ბავშვებს დავეხმარო, არამედ იმ ნიჭიერ სტუდენტებსაც, რომლებსაც საზღვარგარეთ სასწავლებლად გასამგზავრებლად ფინანსური დახმარება სჭირდებათ. როგორც მე მჭირდებოდა თავის დროზე და არავინ დამეხმარა. ამიტომ მინდა მათ დავეხმარო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „X ფაქტორი“ შეცვლილი ფინალითა

## my View

**თამარ გონგაძე**

**გასულ კვირას „X ფაქტორში“ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ოთხშაბათს მებომ პროექტის დატოვების გადაწყვეტილება თვითნებურად მიიღო. მეორე დღეს სოციალური ქსელის მეშვეობით ამის შესახებ თვითონ ამცნო საზოგადოებას. ვრცელ პოსტში წერს, რომ თითქოს, როგორც მუსიკოსს, არ აძლევდნენ თავის გამოვლენის საშუალებას და ამღერებდნენ იმას, რაც მისთვის მიუღებელი იყო. ერთი შეხედვით მეამბოხე ტიპაჟი არ არის და მისი ასეთი საქციელი გასაკვირი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, სტრესს ვერ მოერია. ანალოგიურ უცხოურ შოუებში ყოფილა იმის პრაქტიკა, რომ კონკურსანტს თვითნებურად დაეტოვებინოს პროექტი. არ არის იოლი კვირიდან კვირამდე ახალი ნომრის მომზადება, აუტსაიდერებში დგომა, მუდმივი შიში იმისა, რომ არ დატოვო პროექტი. კონკურსანტები სტრესში ნადვილად არიან. ყველას ერთნაირი ნერვული სისტემა არ აქვს, ზოგი ვერ უძლებს მიღებულ სტერსს. მებო ორჯერ იდგა აუტსაიდერებში. შესაძლოა, დაისტრესა კიდეც. მის პოსტში ვკითხულობთ.**

### მებო - „მიხარია, რომ „არასაკონკურსო“ ვარ“

„კარგად იცით, რომ ჩემთვის მთავარი მუსიკაა და ის, რომ ვაკეთო საქმე, რაც ყველაზე მეტად მიყვარს. სამწუხაროდ, პროექტში, გარკვეული პერიოდის მერე, აღარ მეძლეოდა უფლება მემღერა ის სიმღერები, რომლებიც მომცემდნენ საშუალებას კარგად მეგრძნო თავი და ბოლომდე ვყოფილიყავი ნამდვილი მებო. ვცდილობდი ხოლმე ჩემი იდეების გატანას, მაგრამ ძირითადად იყო არგუმენტები „ეგ სიმღერა არაა მსოფლიო ჰიტი“, „ეგ სიმღერა ზედმეტად სევდიანია კონკურსისთვის“ და მსგავსი რამ, რაც ძალიან მწყვეტდა გულს, რადგან ვთვლი, რომ ყველაზე მეტად სწორედ სევდიანი სიმღერების მღერა გამომდის და სულაც არ მგონია, რომ ეს „ცუდია“, რომ სევდა „ცუდია“ და არ არის საეთერო. და არც იმას ვთვლი ცუდად, რომ „არასაკონკურსო“ ტიპი ვარ. ჩემთვის სიმღერა სპორტი არ არის, ყოველ დღე ივარჯიშო და ფორმაში იყო. ჩემთვის სიმღერა ემოციაა. გამოდის, რომ ვიღაცები ეგრე არ თვლიან და სპორტი ურჩევნიათ ემოციას. მე კი მიხარია, რომ „არასაკონკურსო“ ვარ.

პროექტის მსვლელობისას ისე გამოვიდა, რომ პირველი კასტინგების მერე თითქმის აღარ ვყოფილვარ ჩემი თავი. თუმცა ამას ვიტანდი და ვუძლებდი იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც მომეცემოდა საშუალება, მთლიანად გამომემჟღავნებინა ჩემი მუსიკალური სამყარო და ამით ამენაზღაურებინა ის სიმღერები, სადაც არ ვიყავი საკუთარი თავი. სწორედ ამ იმედით ვაგრძელებდი მონაწილეობას „იქს ფაქტორში“ და მიხაროდა, რომ თქვენც გვერდში მედექით და აქამდე მომიყვანეთ. ფინალში რომ გადავედი, დიდი იმედი მქონდა, აქ მაინც შევძლებდი ისეთი სიმღერების შესრულებას, სადაც ჩემი ნამდვილი მუსიკალური მხარის გამოვლენის შანსი მექნებოდა. ჩემი უმთავრესი მიზანი ერთი იყო: ფინალში უკვე არ მქონდა უფლება ვყოფილიყავი „სხვა მებო“,



**გიორგი ხაბურზანია: „ბევრად მრავალფეროვანი ფინალი მივიღეთ. მე პირადად, ძალიან გამიხარდა მიშო ელიავას და სოფი სააკაშვილის დაბრუნება. ორივე იმსახურებდა ფინალს. დიდი ვნებათაღელვა იქნება, ღირსეული და ხალხის რჩეული გაიმარჯვებს“**

**მებო: „ფინალში უკვე არ მქონდა უფლება ვყოფილიყავი „სხვა მებო“, ფინალში უნდა ვყოფილიყავი ნამდვილი მე და ისეთი, როგორსაც მხედავთ ხოლმე ჩემს ლაივებზე“**

ფინალში უნდა ვყოფილიყავი ნამდვილი მე და ისეთი, როგორსაც მხედავთ ხოლმე ჩემს ლაივებზე.

სამი სიმღერა უნდა მემღერა ფინალში და ოპტიმალური ვარიანტი ასეთი იყო: 1) Say (უკულელეთი) 2) მოდი წავიდეთ (გიტარით) და 3) Wrecking Ball (ჩემ ჯგუფთან, The BearFox-თან ერთად). სამწუხაროდ, სამიდან ორ სიმღერაზე უარი მივიღე. ერთი „ზედმეტად დეპრესიული“ აღმოჩნდა ფინალისთვის, მეორე კი გაურკვეველი მიზეზებით, არც ისე ცნობილი ჰიტი ფართო მასებისთვის. თუმცა მერე გაირკვა, რომ სხვა მონაწილე იმღერებდა ამ სიმღერას ფინალში, რამაც ძალიან დამწყვიტა გული და უსამართლობის შეგრძნება დამიტოვა, რადგან მე უკვე რამდენიმე კვირაა, რაც მინდა ვიმღერო ეს სიმღერა და ყოველთვის უარს მეუბნებიან „არასახალხო ჰიტის“ მიზეზით. და როცა უკვე მივხვდი, რომ საბოლოო იყო მათი გადაწყვეტილება და არ მამღერებდნენ, არჩევანი არ დამიტოვეს. მე ვარჩიე წამოსვლა. იმედია, კარგად გაიგებთ ჩემს გადაწყვეტილებას. მე ისევ ის ვარ - ერთი უბრალო მუსიკოსი, რომელიც ყოველთვის ძალიან ბედნიერდება, როცა ერთი ადამიანი მაინც უსმენს მის შექმნილ სიმღერას და რომელიც ყოველთვის წითლდება და არ იცის სად წავიდეს, როცა რამე კარგს ეუბნებიან. დიდი მადლობა, რომ ჩემ გვერდით ხართ! ბევრ საინტერესო სიახლეს გპირდებით უახლოეს მომავალში! „არ მოგასვენებთ“ ახალი სიმღერებით და კონცერტებით! მიყვარხართ, თქვენი მებო.

### უარი გიორგი გაბუნიასგან

მებოს მენტორი გიორგი გაბუნია იყო. მათ შორის არასდროს შეიმჩნეოდა ის დაძაბულობა, რაც მებოს ფრაზებს შორის იკითხება. თითქოს ძალიან მეგობრულად და ფეხშეწყობილად მოდიოდნენ. გიორგი, კასტინგის დღიდან მოყოლებული, ისე აქებდა მებოს, ასეთ ფინალს თუ მივიღებდით, მართლაც რომ წარმოუდგენელი იყო. „მებო თავად არის მუსიკა“ - ეს გიორგის ყველაზე დასამახსოვრებელი შეფასებაა.

**გიორგი გაბუნია:** - მებო თვლიდა, რომ იჩაგრებოდა. თვლიდა, რომ სხვებს უფრო მეტი საშუალება ჰქონდათ, რომ საკუთარი თავი გამოეხატათ, მას კი ეს არ გამოსდიოდა. კონკურსის წესებისა და მენტორისგან გამომდინარე რა შეზღუდვაც ჰქონდა, თვლის, რომ როგორც მუსიკოსი დაზარალდა. ფინალის წინ კი გადაწყვიტა პროექტის დატოვება.

**- კონფლიქტამდე მიხვედით?**

- ყველას უნდა, რომ კონფლიქტი დაინახოს, მაგრამ არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა. თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ახლაც ასეა. ჩვენი დაშორება ორსაათიანი წყნარი მსჯელობის შემდეგ მოხდა.

**- რა მოხდა გასულ კვირას?**

- მას ერთი კონკრეტული სიმღერის შესრულება უნდოდა, რაზეც მე უარი ვუთხარი. ვთვლიდი, რომ მისთვის ამ სიმღერის შესრულება არ იქნებოდა მომგებიანი.

**- ამხელა პროექტის ფინალის წინ დატოვებამ ხმაურის გარეშე როგორ ჩაიარა?**

- აბსოლუტურად უხმაუროდ ჩაიარა. მებო არ არის ხმაურიანი ტიპი.

**- ამიტომაც გამიკვირდა მისგან ასეთი საქციელი, თანაც ფინალისკენ.**

- მითხრა, რომ ბევრი იფიქრა და მერე მიიღო ეს გადაწყვეტილება.

**- პიროვნული წყენა ხომ არ გაქვს მებოსადმი?**

- არა, ეს მისი გადაწყვეტილება იყო. ამიხსნა პრობლემები და წყენას ადგილი არ ჰქონია.

### „შოუს, სადაც ოთხი ასეთი კონკურსანტია, მე პირადად ვუყურებდი“

კონკურსანტის გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო პროექტის პროდიუსერებისთვის. მსგავსი ტიპის გაუთვალისწინებელი რამ „რუსთავი 2“-ის საერთაშორისო პროექტების განყოფილებას არ ახსოვს. არხმა მაშინვე ოფიციალური განცხადება გაავრცელა: „ნამდვილად სამწუხაროა მებოს გადაწყვეტილება. კონკურსანტები პროექტის განმავლობაში საკმაოდ დიდ სტრესს განიცდიან და ზოგი ამას ვერ უძლებს. ზოგადად, ასეთ შემთხვევებში, როდესაც კონკურსანტი მიდის პროექტიდან და ტოვებს მის მენტორს და კოლეგებს, იხდის კონტრაქტით გათვალისწინებულ ჯარიმას. ჩვენ ვმუშაობთ ჩვენს იურისტებთან ერთად, რომ მოვნახოთ გზა, როგორ არ გადავახდევინოთ მებოს კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმა.





**- და რამდენს შეადგენს დაკისრებული ჯარიმა?**

გიორგი ხაბურზანია (საერთაშორისო პროექტების პროდიუსერი): - ჯარიმის თანხა 10 ათასი ლარია და ის ყველა კონკურსანტის კონტრაქტშია ჩადებული.

**- როდის გადაწყდება, მოუწევს თუ არა მებოს ამ თანხის გადახდა?**

- ფინალის მერე გადაწყდება. კონტრაქტი ზუსტად ითვალისწინებს იმას, რომ როდესაც კონკურსანტი თვითნებურად ტოვებს კონკურსს, მენტორს, კოლეგებს და ფინალს, ამ დროს დაკისრებულია ჯარიმა.

**- რას იტყვით მებოს დასახელებულ**











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# და დაბრუნებული კონკურსანტებით




## მიშო ელიავა: „მეზოს ადგილას პროექტიდან არ წავიდოდი“

## სოფი საკაშვილი: „დავბრუნდი არა პირველობისთვის და გამარჯვებისთვის, არამედ ჩემი მაქსიმუმის გამოსავლენად“

EXCLUSIVE



**მიზეზზე?**

- ყველას შეიძლება მიზეზი ჰქონდეს, ეს მაინც პროექტის თვითნებურად დატოვებაა. ამ გადაწყვეტილების გაგების მერე ჩვენთვის მთავარი იყო ფინალი. დავიწყეთ ფიქრი და გავაკეთეთ ის, რაც შოუსთვის სამართლიანი იქნებოდა და მაყურებლისთვის კარგი. ჯერ ვესაუბრეთ პროექტის ავტორებს და კონსულტაცია მათთან გავიარეთ. კარგი გამოსავალიც არის და სტანდარტია დააბრუნო ნახევარფინალს გამოთიშული კონკურსანტები. ყველაფერი უკეთესობისკენ არის. შოუ უნდა გაგრძელდეს. ბევრად მრავალფეროვანი ფინალი მივიღეთ. ოთხი კონკურსანტი გვყავს, ჟანრობრივად აბსოლუტურად განსხვავებული. ფინალი ბევრად უკეთესი გამოდის ამ შემადგენლობით. მე პირადად ძალიან გამიხარდა მიშო ელიავას და სოფი სააკაშვილის დაბრუნება. ორივე იმსახურებდა ფინალს. რომ არა პროექტის მკაცრი წესი, ერთ-ერთი მათგანი მაინც მოხვდებოდა ფინალში. ამ ცვლილებამ მოგვცა იმის საშუალება, რომ მაყურებელმა ღირსეულს გაამარჯვებინოს. ეს შემადგენლობა ჩემთვის იმედის მომცემია. შოუს, სადაც ოთხი ასეთი კონკურსანტია, მე პირადად ვუყურებდი. წავა ძლიერი კონკურენცია და არა ერთი, არამედ სამი სიმღერით. ასეთი ინტენსიური ფინალი სხვა შოუებში არ გვქონია. ერთ კვირაში სამი სერიოზული სიმღერა მოამზადო, რომლითაც გინდა მაყურებელი მოხიბლო, რთული ამოცანაა, ვაჟკაცობა სჭირდება.

**- მიშო და სოფი გვიან შეუერთდნენ სარეპეტიციო სამზადისს, ალბათ, 24-საათიანი გრაფიკით ემზადებოდნენ ფინალისთვის?**

- მართლაც 24-საათიანი შრომა მოუხდათ. გვინდოდა ფინალისთვის ყვარელში გაგვეკეთებინა გასვლითი სარეპეტიციო დღე. მაგრამ ამ ფაქტის გამო ველარ მოვახერხეთ გასეირნება. საფინალო გასეირნება ჩაგვივარდა. ღირს ამად, კარგი შოუ გამოდის.

**- სტეფანეს დასვენება და გარუჯვა უნდოდა და კონკურსანტის დაბრუნებით კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.**

- ჯობია კონკურსანტი ჰყავდეს. ძალიან გაგვიხარდა სტეფანეს ამოქმედება, გვეჩაგრებოდა.

**გიორგი გაბუნია: „ერთი კონკრეტული სიმღერის შესრულება უნდოდა, რაზეც მე უარი ვუთხარი. ვთვლიდი, რომ მისთვის ამ სიმღერის შესრულება არ იქნებოდა მომგებიანი“**

**- როგორია ფინალის პროგრამა?**

- სამ სიმღერას იმღერებენ. ერთს ქართულს, რაზეც მაყურებლისგან იყო მოთხოვნა, ერთს ლაივებზე საუკეთესო ნამღერს და ერთსაც საფინალო სიმღერას. ძალიან კარგი კონცერტი უნდა გამოვიდეს, დიდი ვნებათაღელვა იქნება, ღირსეული და ხალხის რჩეული გაიმარჯვებს. ჟიურის შეფასების გარდა არაფრის უფლება არ აქვს. სტუმარი არ გვეყოლება. იმდენად გაჯერებული კონცერტია, არაფერზე არ გვინდა ყურადღების გადატანა. ყურადღების ცენტრში ფინალისტები უნდა იყვნენ. ისინი ამას იმსახურებენ და მაყურებელს ეს აინტერესებს.

### „სიზმარშიც არ დამესიზმრებოდა მსგავსი რამ“

მეზოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუმცა ვთვლი, სოფი და მიშო პროექტისთვის დანაკლისები იყვნენ. გიორგი ხაბურზანიას ვეთანხმები, ფინალში უნდა ყოფილიყვნენ. უკან დაბრუნებით ძალიან გახარებულები არიან

**სოფი სააკაშვილი:** -მეწყინა მეზომ რომ დატოვა პროექტი. ძალიან კარგი ადამიანია. დაბრუნება კი ჩემთვის ემოციური იყო, გამიხარდა, მაგრამ გული დამწყდა, რომ პროექტში ასე მომიწია დაბრუნება. არ ველოდი. არც კი გავიფიქრებდი, სიზმარშიც არ დამესიზმრებოდა მსგავსი რამ. დატვირთული რეჟიმით ვიმუშავეთ. არ ვნერვიულობ. დავბრუნდი არა პირველობისთვის და გამარჯვებისთვის, არამედ ჩემი მაქსიმუმის გამოსავლენად. ხალხს მივაწოდებ იმას, რისი კეთებაც მიყვარს. დაძაბული დღე იქნება.

**- მეორე შანსს იყენებ?**

- შანსის გამოყენებას არ ვაპირებ. მინდა კარგი პერფორმანსი გავაკეთო და ხალხმა ისიამოვნოს.

**მიშო ელიავა:** - მართალია, რომ დამირეკეს შოუში გაბრუნებთო - თავიდან აზრზე ვერ მოვედი - რა მოხდა, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ. ბევრს დაწყდა გული ჩემი წასვლით. არ მეგონა ამდენი გულშემატკივარი თუ მყავდა. იმედია, ახლა ბოლომდე მიგულშემატკივრებენ. მიხარია ის, რომ ფრენკ სინატრას სიმღერას, რომელიც წინა ლაივზე ვერ შევასრულე, ახლა შევასრულებ. ქართულ სიმღერაზე ვნერვიულობ. წესით ლამაზი ფინალი იქნება. რაც შეეხება მეზოს, თვითონ იცის, როგორც მოიქცა. თავის სისწორეში, ალბათ, დარწმუნებულია. მე მის ადგილას ასე არ მოვიქცეოდი და პროექტიდან არ წავიდოდი.









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დავით მუჯირის ვიზიტი „ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფ







## „მიუხედავად იმისა, რომ მუნდიალი ბრაზილიაში იმართება და მიუხედავად იმისა, რომ არგენტინას მესი ჰყავს, მაინც, ჩემი აზრით, ფავორიტი გერმანიაა“

მაგდა კლდიაშვილი

**„პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის - „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“, შემდეგი გაჩერება „ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფილიალი იყო. ტოტალიზატორს სტუმრად ვეტერანი ფეხბურთელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი შემტევი, დავით მუჯირი ესტუმრა.**

მუჯირის დასახვედრად ტოტალიზატორში დიდი მზადება იყო. ის, რომ იქ ცნობილი ქართველი ფეხბურთელი უნდა მისულიყო სტუმრად, გარეთაც გაიგონებდით ხმებს. ფეხბურთელთან შეხვედრის სურვილი პატარა ბავშვებსაც ჰქონდათ.

დავით მუჯირმა, იგივე „მუმუმ“, როგორც მას საფეხბურთო სამყაროში უწოდებენ, „ევროპაბეთის“ მიერ, სპეციალურად მისთვის დამზადებული ბილეთი შეავსო და ვარაუდი გამოთქვა, რომ გერმანია მსოფლიო ჩემპიონი გახდება.

რაც შეეხება მის პროგნოზს, გერმანიამ ნახევარფინალის საგზური უკვე მოიპოვა, საფრანგეთის დამარცხებით და ვნახოთ, რას იზამს ბრაზილიის წინააღმდეგ, რაც შეეხება საფრანგეთს, „მუმუ“ ვარკეთილში, სწორედ საფრანგეთისა და ნიგერიის ნაკრები გუნდების დაპირისპირების საყურებლად მივიდა.

europe-bet.com

სიმბოლურ ბილეთში დააფიქსირა კიდეც, რომ მატჩი ფრანგების გამარჯვებით - 3:1 დასრულდებოდა, ზუსტი შედეგი ვერ გამოიცნო, თუმცა პროგნოზი, რომ დიდიე დეშამის გუნდი ამ შეხვედრას მოიგებდა, გამართლდა.

როგორც ფეხბურთელი ამბობს, ის გერმანიის გულშემატკივარი არაა და გადაწყვეტილი აქვს, რომ სანამ საქართველოს ნაკრები რომელიმე მნიშვნელოვან საფეხბურთო ტურნირზე მოხვდება, არც ერთ სხვა გუნდს არ უგულშემატკიվროს, თუმცა, მაინც ფიქრობს, რომ გერმანიას აქვს ის რესურსი, რომ მსოფლიო მუნდიალი მოიგოს.

**„იმედგაცრუება, შეიძლება ითქვას, სტატუსიდან გამომდინარე, ესპანეთის ნაკრებია, იმიტომ, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ესპანელებმა სამი მნიშვნელოვანი ფორუმი მოიგეს და ეს ამ პერიოდში არცერთ სხვა გუნდს არ მოუხერხებია“**

„მსოფლიო ჩემპიონატს ძალიან ბევრი ფავორიტი ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ მუნდიალი ბრაზილიაში იმართება და მიუხედავად იმისა, რომ არგენტინას მესი ჰყავს, მაინც, ჩემი აზრით, ფავორიტი გერმანიაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე მათ ვგულშემატკივრობ. მყარად მაქვს გადაწყვეტილი, რომ იმ დრომდე, სანამ საქართველოს ნაკრები არ მოხვდება რომელიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმზე, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე, არც ერთ გუნდს არ ვუგულშემატკივრო. რაც შეეხება პროგნოზს, თუ მაინც უნდა ვთქვა, ვინ მოიგებს, ვამბობ, რომ გერმანია გახდება მსოფლიო ჩე-









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ილიალში და გერმანიის სასარგებლოდ დადებული ფსონი

მპიონი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მე გერმანიას ვგულშემატკივრობ და სხვა გუნდებს არ აქვთ მოგების შანსი", - განაცხადა მუჯირმა.

მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენად ვეტერანი ფეხბურთელი კოსტა რიკის ნაკრებს მიიჩნევს და ამბობს, რომ პატარა ქვეყნის გუნდი იმ ქვეყნებისთვის მაგალითი უნდა იყოს, სადაც არც ისე ბევრი ადამიანი ცხოვრობს. მუჯირი ფიქრობს, რომ სწორი მუშაობით შესაძლებელია იმ შედეგის მიღება, რაც კოსტა რიკის ნაკრებმა დადო.

„კოსტა რიკის ნაკრები შედეგითაც აღმოჩენაა. გამოიკვეთა სხვა გუნდებიც, მაგალითად, ჰოლანდია, რომელმაც ჯგუფში ყველა თამაში მოიგო და გამოკვეთილ ფავორიტად სახელდება. ეს ტურნირის მიმდინარეობისასაც დაამტკიცა. მექსიკის ნაკრებთან ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ იღბალიც ახლდათ, თამაშის ბოლოს მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება და მძიმე წუთებში მოიგეს", - ამბობს ფეხბურთელი.

მიმდინარე მუნდიალის ყველაზე დიდ იმედგაცრუებად დავით მუჯირი ესპანეთის ნაკრებს მიიჩნევს, რომელიც სტატუსიდან გამომდინარე, გათამაშების ფავორიტად ითვლებოდა და მათ გულშემატკივარს მოუწოდებს, რომ სწორედ ამ მძიმე წუთებში უნდა დაუდგნენ გვერდში საყვარელ გუნდს.

„იმედგაცრუება, შეიძლება ითქვას, სტატუსიდან გამომდინარე, ესპანეთის ნაკრებია, იმიტომ, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ესპანელებმა სამი მნიშვნელოვანი ფორუმი მოიგეს და ეს ამ პერიოდში არც ერთ სხვა გუნდს არ მოუხერხებია. იმედი მაქვს, რომ ესპანეთის გუნდი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე, ევროპის ან მსოფლიოსი, დაიბრუნებს თავის სახეს და ძლიერ გუნდად წარმოჩინდება. მათ გულშემატკივარს მოვუწოდებ, ახლა დაუჭირონ, მძიმე პერიოდში მხარი, როცა ეს მათ ნამდვილად სჭირდებათ", - მხარდაჭერისკენ მოუწოდებს ვეტერანი ფეხბურთელი ესპანეთის ნაკრების ქომაგებს.

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის აღმოჩენად კოლუმბიელ როდრიგესს მიიჩნევს, რომელმაც ბრაზილიასთან მატჩამდე, მოახერხა და ოთხ შეხვედრაში ხუთი გოლი გაიტანა. როდრიგესმა მეექვსედაც მოახერხა მეტოქის კარის აღება, თუმცა ეს მუჯირთან შეხვედრის შემდეგ შეძლო და ახლა 6 გატანილი გოლით მუნდიალის ბომბარდირია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაკრები მეოთხედფინალში, ბრაზილიასთან 2:1 დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა.

„კოლუმბიამ დაამტკიცა, რომ ფალკაოს და გუნდის წამყვანი ფეხბურთელის გარეშეც შეუძლია თამაში. ეს ვერ მოახერხა ურუგვაიმ სუარესის გარეშე და გამოეთიშა მსოფლიო ჩემპიონატს. ფალკაოს არყოფნაში, კოლუმბიას გამოუჩნდა ახალი ლიდერი, რომელმაც დაამტკიცა უკვე ეს, რომელიც, შეიძლება ითვას, მოულოდნელად, მუნდიალის ბომბარდირია. საუკეთესო გახდება ის, ვინც მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში უკეთ ითამაშებს", - ამბობს ფეხბურთელი.

მუჯირთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა „ევროპაბეთის" ვარკეთილის ფილიალში შეკრებილი საზოგადოება, ისინი ფეხბურთელს ტაშითა და ოვაციებით დახვდნენ, მისგან ხელმოწერილი ბურთები მიიღეს საჩუქრად და ბევრი სურათიც გადაიღეს ფეხბურთელთან. სტუმართა შორის აქტიურობდნენ მანდილოსნებიც და მუჯირთან შეხვედრის შემდეგ, საკუთარ ემოციებს ვერ მალავდნენ.

**ლელა ქარდავა:** - გახარებული ვარ დღევანდელი დღით, რომ ისეთი კარგი ფეხბურთელი, როგორიც დავით მუჯირია, „ევროპაბეთის" სტუმარი იყო. გვესაუბრა, კარგი შთაბეჭდილებები მივიღეთ, ბურთები დაგვირიგა, მიხარია, რომ ასეთი სასიხარულო ფაქტი მოხდა ჩვენს ტოტალიზატორში. .

შთაბეჭდილებების ქვეშ იყვნენ თავად „ევროპაბეთის" ვარკეთილის ფილიალის თანამშრომლები, რომლებზეც მუჯირის სტუმრობამ ნამდვილად დიდი ეფექტი მოახდინა.

**ქეთევან მჭედლიძე, „ევროპაბეთის" წარმომადგენელი:** - გრძელდება „ევროპაბეთისა" და „პრაიმტაიმის" ერთობლივი აქცია „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად". დღეს, ჩვენთან სტუმრად დავით მუჯირი იყო, რომელმაც, ჩვენს მომხმარებელთან ერთად, ბილეთი შეავსო, დააჯილდოვა ჩვენი მოთამაშეები ბურთებით. სასიამოვნო იყო დღევანდელი საღამო, ჩვენი მომხმარებლებიც კმაყოფილები წავიდნენ შინ. ნამდვილად კარგი ადამიანი დავით მუჯირი, რომელმაც გაგვახარა თავის სტუმრობით.

ტოტალიზატორში ბავშვები ვერ მოხვდნენ (ასაკზე დაწესებული ცენზის გამო), არადა, მათაც ძალიან სურდათ დავით მუჯირთან შეხვედრა, ამიტომ, ვეტერანმა ფეხბურთელმა მათთან შეხვედრა ტოტალიზატორიდან გასვლის შემდეგ მოახერხა, გაესაუბრა და ხელიც ჩამოართვა.

„ევროპაბეთისა" და „პრაიმტაიმის" ერთობლივი პროექტი, რვა ივლისს, ტოტალიზატორის კოსტავას ფილიალში დაიხურება, სადაც სტუმრად ლევან კობიაშვილი იქნება მოწვეული. „კობი" მესამე შეხვედრის სტუმარი უნდა ყოფილიყო, თუმცა მან საქართველოში დაბრუნება ვერ მოახერხა, პროექტის ბოლო სტუმარი სწორედ საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი იქნება და ქართველ გულშემატკივარს, „პრაიმტაიმი" და „ევროპაბეთი" მასთან შეხვედრის სიხარულს მიანიჭებენ.




„მყარად მაქვს გადაწყვეტილი, რომ იმ დრომდე, სანამ საქართველოს ნაკრები არ მოხვდება რომელიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმზე, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე, არც ერთ გუნდს არ ვუგულშემატკივრო"








„სასიამოვნო იყო დღევანდელი საღამო, ჩვენი მომხმარებლებიც კმაყოფილები წავიდნენ შინ. ნამდვილად კარგი ადამიანია დავით მუჯირი, რომელმაც გაგვახარა თავის სტუმრობით"

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N26 (276) ორშაბათი, 7 ივლისი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი   ფასი 2 ლარი   www.ptpress.ge



## ნინო სურგულაძეს ქართველი ბავშვების დასახმარებლად ვარსკვლავები ჩამოჰყავს




## ფონდი „ქართველისა“ და კოტე სულაბერიძის კოლაბორაცია - გამოფენა ღვინის თემაზე

### ანიტა რაჭველიშვილი 30 წლის იუბილეზე, დანგრეულ ოჯახსა და ძეფირელის „კარმენზე“



### ხუთწლიანი თანაცხოვრების შემდეგ მეცო სოპრანო რიკარდო მასის გაეყარა

# EXCLUSIVE




## ლეგენდარული ტიმ სევერინისა და არგონავტების მეორედ სტუმრობა 30 წლის შემდეგ



## „ადამიანის პრაიმტაიმი 40 წლიდან იწყება“

## გოგი მარგველაშვილის პრაიმტაიმი exclusive

ISSN 1987-7404



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება